*დანართი №2*

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

**სსიპ- ქალაქ გორის N 5 საჯარო სკოლა**

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები;**

თავმჯდომარე: ლია გრიგოლია

წევრები: თამარ საჩანელი, მაია ფხაკაძე

შორენა გაგნიძე, ნინო ლაცაბიძე

ლამზირა აფაქიძე , თეა ხუროშვილი

თეა გაბისონია, ჯულიეტა ტაბეშაძე

ედუარდ ნაკაიძე ლელა მანგოშვილი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## ნაწილი I. შესავალი

### I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია შესახებ | |
|---|---|
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება | სსიპ-ქალაქ გორის N 5 საჯარო სკოლა |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | საჯარო სამართლის იურიდიული პირი |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | 218016714 |

II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | ქალაქი გორი |
| იურიდიული მისამართი | ზ. რუხაძის ქ. 164 |
| ფაქტობრივი მისამართი | ზ. რუხაძის ქ. 164 |
| საფოსტო ინდექსი | 1400 |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი | https://skolebi.emis.ge |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა | Gori5@mes.gov.ge |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი | 5779225 33 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი) | განათლების ხარისხის მართვის ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 17 ივლისის N 889368 ბრძანება |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 17, 18 აგვისტო |

## IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

***„ზოგადი განათლების შესახებ“*** საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

| **N** | **ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება** | **ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური** | **ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა** | **ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
|---|---|---|---|---|



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1. | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა; | დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური | ქართული ენა | ქალაქი გორი , რუხაძის ქ. 164 |
| | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა; | საბაზო საგანმანათლებლო საფეხური | ქართული ენა | ქალაქი გორი, რუხაძის ქ. 164 |
| | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა; | საშუალო საგანმანათლებლო საფეხური | ქართული ენა | ქალაქი გორი, რუხაძის ქ. 164 |

## V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ - ქალაქ გორისN 5 საჯარო სკოლაში შეფასების პროცესი აქტიურ რეჟიმში წარიმართა. ორი დღის განმავლობაში ექსპერტებმა განიხილეს სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია, შედგა ინტერვიუირების პროცესი, როგორც სკოლის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ადმინისტრაციასთან, ისე სხვადასხვა საგნობრივი კათედრის წევრებთან. საგნობრივ ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ ონლაინ რეჟიმში გასაუბრებოდნენ მასწავლებლებს და მოეპოვებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით, გარდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტისა, რომელმაც ვიზიტის პერიოდში განიხილა კურიკულუმები, დაათვალიერა სასწავლო გარემო და გაესაუბრა საგნობრივი კათედრის წარმომადგენლებს.

ვიზიტის ბოლოს ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომელიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა.

## VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

*ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.*

| წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა | აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა | ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა |
|---|---|---|
| | | |

## VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

მოსწავლეთა უნარების განვითარების, სკოლისადმი მიკუთვნებულობის გააზრების მიზნით სკოლაში ტარდება გამოფენები, სადაც აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ სსსმ მოსწავლეებიც.

სკოლას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტთან და სკოლაში მიმდინარეობს პროექტი „ კოდინგის სკოლა ქალწებისთვის“ . აღნიშნულ პროექტში მონაწილეობენ მშობლები და უფროს კლასელები. პროექტი ხელს უწყობს მოსწავლვეთა პროფორიენტაციას და ეხმარება მათ მომავლი პროფესიის განსაზღვრაში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

## I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| სტანდარტი/კომპონენტი | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სტანდარტი 1**<br>სკოლის ფილოსოფია | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 1.1**<br>სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 1.2**<br>სკოლის დაგეგმვა და განვითარება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 3**<br>სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| **კომპონენტი 3.1**<br>პერსონალის მართვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.2**<br>პერსონალის განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.3**<br>პროცესების მართვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.4**<br>ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.5**<br>მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.6** | ☒ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| საინფორმაციო რესურსები | ☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.7**<br>ფინანსური რესურსები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 4**<br>**მოსწავლეთა მხარდაჭერა** | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 4.1**<br>მოსწავლეთა უფლებების დაცვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 4.2**<br>მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება**

| | | |
|---|---|---|
| მოსწავლეთა რაოდენობა: 1200 | ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒ | აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)* |
| | ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐ | |

**III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.**

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:
ექსპერტთა ჯგუფმა სრულ შესაბამისობით შეაფასა დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.*

| *სტანდარტი N1* | სკოლის ფილოსოფია | *ხარვეზი* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N..* | | .............. |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი N3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციულ[ი] და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | *ხარვეზი* |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| | | |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი N4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | |
| *ინდიკატორი N..* | | |
| | | |

| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი<br>(ასახეთ კურიკულუმის დასახელება) | *ხარვეზი* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N....* | | .............. |
| | | |
| | | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)*[1]

| *სტანდარტი N1* | სკოლის ფილოსოფია | *სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N....* | | .............. |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი N3* | სასწავლო პროცეს ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურულ მხარდაჭერა | |

*1* გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| ინდიკატორი 3.4.1.1 | სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირება და პირველადი დახმარების აღმოჩენას | სსიპ ქალაქ გორის N 5 საჯარო სკოლას მიეცა რეკომენდაცია:<br>1.შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა მოიპოვოს 2023 წლის 16 აგვისტოდან 2024 წლის 18 მარტის ჩათვლით.<br>2. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება უფლებამოსილ ორგანოსთან განახორციელოს 2023 წლის 6 ნოემბრიდან 2023 წლის 6 დეკემბრის ჩათვლით.<br>3. სკოლის შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ მიწერილობისა და დასკვნი მიღება სკოლამ შეძლოს 2023 წლის 6 ნომბრიდან 2014 წლის 18 მარტის ჩათვლით . |
| ინდიკატორი 3.5.1.3. | სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს | სკოლას მიეცა რეკომენდაცია: სკოლის შენობის მეორე და მესამე სართულებს შორის პანდუსების მოწყობა უზრუნველყოს 2023 წლის 6 ნოემბრიდან 2024 წლის 15 აგვისტოს ჩათვლით. |
| | | |
| *სტანდარტი N4* | *მოსწავლეთა მხარდაჭერა* | *სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
| *ინდიკატორი N....* | | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| | | |

| *სტანდარტი N2* | *სასკოლო კურიკულუმი*<br>*(ასახეთ კურიკულუმის დასახელება)* | *სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N....* | | .............. |
| | | |
| | | |

## VI. რჩევა

*გთხოვთ, გადმოიტანოთ* არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

| *სტანდარტი N1* | *სკოლის ფილოსოფია* | *რჩევა* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N....* | | .............. |
| | | |
| | | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N3* | სასწავლო პროცეს ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურულ მხარდაჭერა | *რჩევა* |
| | | |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი N4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | *რჩევა* |
| *ინდიკატორი N....* | | |
| | | |

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხური | *რჩევა* |
| **ინდიკატორი 2.1.2.1** | შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას | სასურველია გარკვეული ინსტრუმენტებით (მაგ:კითხვარი) გაზომილ იქნას მოსწავლეთა სურვილები და მათი რელევანტურობის შემთხვევაში ისინი გათვალისწინებული იქნა თემის შესასწავლი საკითხების შერჩევის დროს. ასევე საკითხები დასამუშავებლად მეტი ინტენსივობით იქნას შერჩეული კომპლექსური დავალებები შესაბამისი კონტექსტ მაგალითებით |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| | საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | კომპლექსური დავალების იდეით, მაგალითები შედარებისთვის და სასწვლო რესურსები კომპლექსური დავალების დამუშავებისთვის. |
| ინდიკატორი 2.1.2.3 | სასწავლო პროცესი ითვალისწინებ დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სასურველია მეტი ინტენსივობით გამოიყენონ ტიპიურ მოსწავლეთა საჭიროებების დასადგენი ინსტრუმენტები (სხვადასხვა შინაარსობრივი დატვირთვის კითხვარები) და შესაბამისად მოახდინონ დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიების გამოყენება (აქტივობის განხორციელებისთვის დროის მენეჯმენტის მორგება, დავალების სირთულის მიხედვით შერჩევა— სასწავლო მენიუ და სხვა ). ასვე სასურველია სკოლას ჰქონდეს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო რესურსების მიწოდების მექანიზმი. მიუხედავად იმისა სკოლას ეყოლება თუ არა სსსმ მოსწავლე, რაც საშუალებას მისცემს სკოლას ნებისმიერ მომენტში მომსახურეობა გაუწიონ სსსმ მოსწავლეს. |
| ინდიკატორი 2.1.2.4 | განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება | სასურველია შეფასების რუბრიკების შექმნისას მაქსიმალურა გამოყენებულ იქნას კრიტერიუმთა მიმართება განმსაზღვრელ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| | მიემართება გრძელვადიან მიზნებს და მეთოდიკურ ორიენტირებს; საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | რუბრიკებისთვის სტანდარტის შედეგთან, ხოლ განმავითარებელი რუბრიკებისთვის სამიზნე ცნების მკვიდ წარმოდგენებთან. |
| ინდიკატორი 2.1.2.4 | განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებს და მეთოდიკურ ორიენტირებს; ესთეტიკური აღზრდა | სასწავლო წლის დაწყებამდე დაკონკრეტდეს განმავითარებელ შეფასების რუბრიკები და ასევე დაწყებითი საფეხურ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები მიმართული იყოს სამიზ ცნებასთან, ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან და სტანდარტ შედეგებთან. |
| ინდიკატორი 2.1.2.5 | დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სასურველია ერთობლივად, კათედრაზე მუშაობით იქნას შერჩეული ისეთი კომპლექსური დავალებები, რომლებიც მორგებული იქნება მოსწავლეთა საჭიროებებს და დაცული იქნებ სკოლის მეთოდური ორიენტირები. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| ინდიკატორი **2.2.1.1** | სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლ<br>სწავლების კონსტრუქტივისტუ<br>პრინციპებს.<br>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სასურველია, რომ კომპლექსური დავალებები მეტი რაოდენობით და ხარისხის უზრუნველყოფით იყოს წარმოდგენილი კურიკულუმში, რაც გაამჯობესებს მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარებას |
| ინდიკატორი 2.2.1.3 | სასწავლო პროცესში აქცენტ<br>კეთდება სწავლის სწავლაზე;<br>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სასურველია, სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება სწავლა<br>სწავლების პროცესში მოსწავლეთა მაღალი აკადემიურ<br>მიღწევებისთვის. როგორიცაა: დამოუკიდებელი სწავლებ<br>სტრატეგიის მოდელირება, ტექსტის დანაწილებით გააზრება დ<br>მთავარი ასპექტების გამოკვეთა და სხვა. |
| ინდიკატორი 2.2.1.4 | სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული<br>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სასურველია, მოსწავლეთა პირობისეული ცოდნის გააქტიურება სხვადსასხვა მარტივი მოქმედებებით. დუნდ მოსწავლეებმა დაუსვან თავიანთ თავს შეკითხვა: როგორ გამოიყენონ და ვის გამოადგება მათი შექმნილი შემოქმედებითი პროდუქტი? |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| ინდიკატორი 2.2.2.2 | ახალი ცოდნის კონსტრუირებ ხორციელდება წინარე ცოდნაზ დაფუძნებით; საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სასურველია, მასწავლებლის მიერ შეტანილი დამატებითი საგნობრივი კონტექსტი გათვლილი იყოს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო–სოციალურ განვითარებაზე. |
| ინდიკატორი 2.2.2.3 | სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სასურველია,მოსწავლის ჰოლისტური განვითარებისთვის, მის ინდივიდუალური გამოცდილების რეალიზებით მოხდე მოსწავლის გონებაში ცოდნის ჩამოყალიბება. |

## VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

## VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*სსიპ ქალაქ ~ გორის N5 საჯარო სკოლას გაეგზავნა ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნის პროექტი. დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ სკოლამ გამოაგზავნა 3.4.1.1. ინდიკატორის მოთხოვნის- „სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას"- სკოლამ სკოლის სენობის მდგრაშენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა მოიპოვოს 2023 წლის 16 აგვისტოდან 2024 წლის 18 მარტის ჩათვლით.*
*2. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება უფლებამოსილ ორგანოსთან განახორციელოს 2023 წლის 6 ნოემბრიდან 2023 წლის 6 დეკემბრის ჩათვლით.*
*3. სკოლის შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ მიწერილობისა და დასკვნის მიღება სკოლამ შეძლოს 2023 წლის 6 ნომბრიდან 2014 წლის 18 მარტის ჩათვლით .სკოლის შენობის მდგრადობის გეგმის არ არსებობის შესახებ, არგუმენტირებული პოზიცია, კერძოდ , შესაბამისობის გეგმის მიხედვით სკოლა ამ პრობლემის მოგვარებას უზრუნველყოფს 2023 წლის 24 აგვისტოდან 2024 წლის 24 აგვისტოს ჩათვლით. აღნიშნული საკითხი განიხილა ექსპერტთა ჯგუფმა და გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია. შესაბამისად, ინდიკატორი 3.4.1.1." შეფასდა. როგორც მეტწილი. მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისი.*

## ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

### 1. სკოლის ფილოსოფია
### 1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები
### 1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სსიპ-ქალაქ გორის N 5 საჯარო სკოლის სასკოლო - სასწავლო გეგმაში ჩამოყალიბებულია სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები. ეროვნული სასავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად სკოლამ მიზნად დაისახა შექმნას „მოსწავლის ინტერესებზე და შესაძლებლობებზე ორიენტირებული უსაფრთხო და პოზიტიური გარემო, რაც ხელს შეუწყობს მოაზროვნე, მოტივირებული, ტოლერანტი და მრავალმხრივად განვითრებული პიროვნების ჩამოყალიბებას, რომელიც გაიზიარებს ზოგადსაკაცობრიო იდეალებს და თავს დაიმკვიდრებს საზოგადოებაში.“ ამ მიზნის მიღწევას სკოლა შეძლებს მუდმივი პროფესიული განვითარებით, უწვეტი თანამშრომლობის პრინციპზე დაფუძნებითა და სასკოლო ცხოვრებაში სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით.

წარმოდგენილი მისია, ხედვა შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან და ინდიკატორიც სტანდარტის შესაბამისია.

2. სკოლის მისიაში და ხედვაში ხაზგასმულია სასკოლო საზოგადოების როლი და მნიშვნელობა სკოლის მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად. სასკოლო საზოგადოების აქტიური მონაწილეობა მნიშვნელოვანია სკოლის წინაშე დასახული მიზნების მისაღწევად. ამიტომაც, სკოლა მუდმივად ატარებს კვლევებს სასკოლო საზოგადოების საჭიროების დასადგენად. მიღებული შედეგების ანალიზით ახდენს მათ პროფესიულ განვითარებას, ეს აქტივობა ხელს უწყობას სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებას და მნიშვნელოვანია სკოლის მისიის განსახორციელებლად. ამავე მიზანს ემსახურება: სადამრიგებლო პროგრამების განხორციელების ხელშეწყობა, სკოლის აღჭურვა სასწავლო რესურსებით, თვითშეფასების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სისტემის ჩამოყალიბება, უსაფრთხო და ორგანიზებული გარემოს შექმნა, მშობელთა ჩართულობის გაზრდა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში, მასტიმულირებელი ზერკეტების განსაზღვრა სწავლებისა და აღზრდის საქმეში.

სკოლის დირექციასთან, მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიების დროს გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოება ,თემი აქტიურად მონაწილეობდა სკოლის ხედვის , მისიის ჩამოყალიბების საქმეში.

სკოლა აცნობიერებს, რომ სწავლის პროცესი შეუძლებელია საზოგადოებრივი და თემის პრობლემებისგან ცალკე იდგეს და არ ემსახურებოდეს მათ გადაჭრას.სკოლის მისიისა და ხედვის თანახმად სკოლა გეგმავს სკოლა აქციოს პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო - კულტურულ სივრცედ. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

3. მასწავლებლებთან და სკოლის დირექციასთან იტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებებზე მუშაობა დაიწყო სასკოლო საზოგადოების საჭიროების კვლევით, ჩატარდა გამოკითხვები, შეფასდა წინა სასკოლო -სასწავლო გეგმა, გაკეთდა არსებული მონაცემების ანალიზი და დაისახა მისაღწევი მიზნები. ამ ეტაპზე აქტიურად მონაწილეობდა სასკოლო საზოგადოება - მასწავლებლი, მოსწავლე, მშობელი.

სკოლის დირექტორის ინდ. სამართლებრივი აქტით შეიქმნა სკოლის სასკოლო- სასწავლო გეგმის შემუშავების სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში წარმოდგენილია სასკოლო საზოგადოება. ჯგუფს ევალება არსებული კვლევების შედეგების ანალიზის შედეგად სკოლის ფილოსოფიის სრულყოფა. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, სკოლაში სასკოლო საზოგადების საჭიროებიდან გამომდინარე იგეგმება სკოლის მისიის მისაღწევად ღონისძიებები: მაგ: სასწავლო გეგმების, კურიკულუმების შემუშავება ხდება სკოლის ხედვის, მისიის და ღირებულებების გათვალისწინებით, ასევე 2023-22024 სასწავლო წლის სადამრიგებლო პროგრამებში შეტანილია სკოლის მისიის, ხედვის მისაღწევი ღონისძიებები; სასწავლო პროექტები სკოლაში განხორციელდება მისიის, ხედვის მიზნებიდან გამომდინარე. ამ პროცესში კი აქტიურ მონაწილეობას იღებს სასკოლო საზოგადოება. ინდიკატორი შესაბამისობაში სტანდარტთან.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებების დოკუმენტზე მუშაობის დასრულების შემდეგ ის საჯაროდ გამოიკვრება სკოლის ფოიეში, პირველ, მეორე და მესამე სართულებზე, სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი, რომელიც განსაზღვრავს ინფორმაციის გასაჯაროების მექანიზმებს. ესენია: სკოლის ელ.ფოსტა, ვებ -ვერდი; სოციალური ქსელი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასკოლო საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება ხდება ასევე პირდაპირი კომუნიკაციის გზითაც საკლასო ოთახებში, პირისპირ შეხვედრებზე. შესაბამისად, სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები ცნობილი იქნება სასკოლო საზოგადოებისთვის. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს, რაც დასტურდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

სსიპ - ქალაქ გორის N 5 საჯარო სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;

სკოლის დირექტორის ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;

სკოლის სასკოლო -სასწავლო გეგმაზე მომუშავე ჯგუფის მასალები;
სსიპ -ქალაქ გორის N5 საჯარო სკოლის სასკოლო -სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია;
შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## 1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

### 1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. 2023 წლის 4 აგვისტოს სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „სკოლის მისიის ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია“ ადგენს სტატეგიული დაგეგმარების ძირითად ეტაპებს, განსაზღვრავს პროცესზე პასუხისმგებლ პირსა და პროცესში ჩართულ მხარეებს, დოკუმენტში ცვლილების შეტანის, განხილვის, დამტკიცების და გაზიარების მექანიზმებს, სტატეგიული და სამოქმედო გეგმის წლიური ანგაარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დოკუმენტის მიხედვით სტატეგიული დაგეგმარების ეტაპებია: მისიის ხედვის, შემუშავებისა და გაზიარება, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავება/ გაზიარება/ დამტკიცება; სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება ; აღნიშნულ დოკუმენტებში ცვლილების მომზადება და დამტკიცება, სტატეგიული და სამოქმედო გეგმების ანგარიშის მომზადება.

სტატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მიზანია; სკოლის მისიის მისაღწევად განსაზღვროს სკოლის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები, ინსტიტუციური განვითარების პრიორიტეტები, სტრატეგიული მიზნები და სტატეგიული ამოცანები. ასევე აღნიშნულ დოკუმენტსი ნათქვამია, რომ სტატეგიული დაგეგმარება იწყება სასკოლო საზოგადოებიდან ინფორმაციის შეგროვებით. (სტატისტიკური მონაცემები, გამოკითხვების , კვლევების ანალიზის შედეგები). სკოლა სტატეგიული დაგეგმარების პროცესში იყენებს SWOT ანალიზის მეთოდოლოგიას. განსაზღვრავს სკოლის პრიორიტეტულ და განსავიტარებლ მხარეებს, ადგენს საჭიროებს და ქმნის სტარატეგიული განვითარების გეგმას გამოკვეითილი პრიორიტეტების მიხედვით. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

2. სსიპ-ქალაქ გორის N 5 საჯარო სკოლის სტატეგიული გეგმის მიხედვით სტატეგიული მიმართულებებია: უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველოფა, სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება, ადამინური რესურსის განვითარება, მატერიალურ -ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, სასკოლო საზოგადოების ჩართულობის გაზრდა და ორგანიზაციული განვითრება. გეგმაში გაწერილია სტატეგული მიზნებიც: სკოლის მართვის დემოკრაატიულის სტრუქტურის განმტკიცება, სწავლა-სწავლების ხარსხის გაუმჯობესება, სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვთარების ხელშეწყობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, სასკოლო საზოგადებასთან ეფექტური კომუნიკაცია და სკოლის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გაზლიერება არაფორმალური განათლების ა და პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით. სტატეგიული მიზნები ჩაშლილია ამოცანებად, ამოცანები აქტივობებად და განსაზღვრულია აქტივობების შესრულების ვადები და პასუხისმგებელი პირები. პასუხისმგებელ პირებად სხვა დასხვა აქტივობებზე მოიაზრებიან მასწავლებლები, დირექციის წარმომადგენლები, მოსწავლეთა თვითმართველობის წევრები და თავ-რე. სტატეგიული გეგმა 7 წლიანია ( 2023-2030 წ.წ.) და მოიცავს მისიათან თავსებად მიზნებს და მიზნის შესაბამის აქტივობებს.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

3. 2023 -2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა შემუშავებულია საგნობრივი კათედრებისა და დირექტორის მონაწილეობით. იგი განიხილება პედაგოგიური საბჭოს მიერ სექტემბრის დასაწყისში პედსაბჭოს პირველ სხდომაზე.

სამოქმედო გეგმის პრეამბულაში ნათქვამია, რომ 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს შვიდ წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმიდან. გეგმა ითვალისწინებს კონკრეტულ აქტივობებს, დასახული მიზნების მიღწევის ლოგიკური თანმიმდევრობას, ახდენს შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირებას და განსაზღვრავს განხორციელების ვადებს. სამოქმედო გეგმა გათვლილია 1 წელზე და მისი გადახედვა ხდება ყოველწლიურად. გადახედვის შედეგად ფასდება წინა წლის გეგმის შესრულება, ზუსტდება შემდეგი წლის ამოცანებისა და აქტივობების ნუსხა, საჭიროების შემთხვევაში ემატება ახალი აქტივობები. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

4. ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილია შესასრულებელი აქტივობები, შესრულების ვადები და პასუხისმგებელი პირები. სამოქმედო გეგმაში ფინანსური რესურსი არ არის გაწერილი, სკოლის დამტკიცებულ ბიუჯეტშიც არ ფიქსირდება პროფესიული მხარდაჭერის, წახალისებისა და მოსწავლეთა თვითმმართველობის აქტივობებისათვის გამოყოფილი თანხები, რაც საჭიროა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სამოქმედო გეგმაში ასახული გარკვეული აქტივობების განხორციელებისათვის. თუმცა, საპროგნოზო ბიუჯეტი შესაბამისობაშია წლიურ სამოქმედო გეგმაში გაწერილ აქტივობებთან. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა;

სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

სკოლის მისია,სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო-სასწავლო გეგმა,

სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია;

სკოლის დამტკიცებული და საპროგნოზო ბიუჯეტი;

სამეურვეო საბჭოს ოქმი სამოქმედო გეგმისა და ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ; შიდა საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი.

შეფასება:
იგთხოვთ, ასახოთ შეფასება.
იშესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მიხედვით სტრატეგიული განვითარების გეგმა უნდა ეფუძნებოდეს სკოლის ორგანიზაციული შესაძლებლობების, გამოწვევის (რისკების) და გარემოს ანალიზს. რომლის ფარგლებშიც განხილული და შეფასებული უნდა იქნეს ყველა ფაქტორი, როგორც დადებითი ასევე უარყოფითი, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს სტრატეგიული გეგმის შესრულებაზე და თავად სკოლის მდგრად განვითარებაზე. სკოლის სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია სტრატეგიული გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები,სტრატეგიული დაგეგმვის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფაზები რომელიც მოიცავს სტრატეგიული გეგმის გადახედვის ფაზას. მას წინ უსწრებს სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება. სკოლის შიდა საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია სკოლის საქმიანობის შიდა და გარე შეფასების , მართვის პროცესის, პერსონალის, მატერიალური და ფინანსური რესურსის შეფასების წესი, რომელიც უზრუნველყოფს ერთწლიანი სამოქმედო გემით განსაზღვრული პრიორიტეტული მიმართულებების შეფასებას. მონიტორინგის და შეფასების მექანიზმები გაწერილია როგორც შიდა საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში, ასევე სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში და სასკოლო-სასწავლო გეგმაში.

სკოლის ერთწლიანი საამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასებისათვის სკოლას შექმნილი აქვს დოკუმენტი, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელიც მოიცავს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შეფასებას და ანალიზს, სასკოლო გარემოს , ინფრასრუქტურული მდგომარეობის , მასწავლებელთა პროფესიული განვითარების, თანამშრომელთა და მოსწავლეთა დისციპლინის, მოსწავლეთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის, სკოლის მართვაში მშობელთა მონაწილეობის შეფასებისა და ანალიზის მექნიზმებს. სკოლა გეგმავს სკოლის შიდა საქმიანობის მონიტორინგის ჯგუფის შექმნას, რომლის მიზანია სკოლაში სასწავლო პროცესისა და სასწავლო გარემოს ხარისხის უზრუნველყოფა, სასკოლო-სასწავლო გეგმის სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მექანიზმების შემუშავება. მასში თანაბარი რაოდენობით შევა დირექციიის წევრი, მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი და სხვა დაინტერესებული პირი. სკოლაში შექმნილია სსსმ მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს კანონის მოთხოვნის შესაბამისად. სკოლას შემუშავებული აქვს ფორმა, რითიც მასწავლებელი ახორციელებს ინდ. გეგმის მონიტორინგს განმავითარებელი კომენტარით; სასწავლო პროცესის მონიტორინგს სკოლა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ახორციელებს მასწავლებლების, კათედრების ხელმძღვანელების, დირექტორის მოადგილის ანგარიშების საფუძველზე. აღნიშნული გარემოება გვაძლევს საშუალებას ინდიკატორი შეფასდეს, როგორც სტანდარტთან შესაბამისი.

2. სკოლას არ აქვს კონკრეტულად გაწერილი მონიტორინგის წესი, მაგრამ რამდენიმე დოკუმენტში დაკონკრეტებულია მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები. შიდა საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტით სკოლა განსაზღვრავს შეფასების ფორმებს. სკოლა გეგმავს გარე და შიდა შეფასების საფუძველზე, სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმიდან არსებული გადახრის დროულ აღმოჩენას და მათ გამოსწორებას, როგორც მთლიანად ორგანიზაციის, ისე ცალკეული თანამშრომლის საქმიანობაში. ინდიკატორი სტანდარტის შესაბმისია.

3. სტრატეგიული გეგმის და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შედეგების განხილვა პერიოდულად ხდება პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოს სხდომებზე, მშობელთა კრებებზე, მიეწოდება ინფორმაცია მოსწავლეთა თვითმართველობასაც. შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაზე მუშაობის და განხორციელების ეტაპები მოიცავს გამოკითხვებს სასკოლო საზოგადოებაში: კერძოდ, მასწავლებლებში, მოსწავლეებსა და მშობლებში. სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა და მისი შესრულების ანალიზი გამოკრულია საინფორმაციო დაფაზე. სასკოლო საზოგადოებას შეუძლია გამოთქვას მოსაზრებები, რჩევები განსახორციელებელი თუ განხორციელებული აქტივობების შესახებ და შესაბამისი რეკომენდაციები მოაწოდოს სკოლის ადმინისტრაციას. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

4. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაწერილია სტრატეგიული გეგმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ფაზები ანალიზისა და შეფასებისათვის, რის შემდეგაც მიღებულ მიგნებებს/დასკვნებს სკოლა გაითვალისწინებს მომავალი სასწავლო წლისათვის ყოველწლიური სამოქმედო გეგმის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შედგენის პროცესში. ასევე სკოლას აქვს შემუშავებული ანალიზის ფორმა , რითაც წლიურ სამოქმედო გეგმის თითოეულ პუნქტს აფასებს, შემდგომი ანგარიშით წარდგება პედსაბჭოს წინაშე. თუმცა არსებულ დოკუმენტში მკაფიოდ არ ჩანს გეგმით გათვალისწინებული მიმართულების ნაწილობრივ თუ სრულად შესასრულებელი კონკრეტული აქტივობების ანალიზი და კონსტრუქციული უკუკავშირი. შეფასება ხდება მხოლოდ-სრულად, მეტწილად, ნაწილობრივი კომენტარით. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია;
ერთწლიანი სამოქმედო გეგმა და მისი შეჯამება-შეფასების დოკუმენტი,
შიდა საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი,
სასწავლოპროცესის მარეგულირებელი წესი,
ხარისხისა და პროფესიული მხარდაჭერის დებულება,
სსიპ -ქალაქ გორის N 5 საჯარო სკოლის 2023 -2024 სასწავლო წლის სასკოლო-სასწავლო გეგმა,
სკოლის დირექტორის წლიური ანგარიში სამეურვეო საბჭოს, დირექტორის მოადგილის ანგარიში, კათედრის ხელმძღვანელების ანგარიში, მასწავლებლების ანგარიში, ინდ. სასწავლო გეგმის მონიტორინგის ფორმა;
ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

### 3.1. პერსონალის მართვა

#### 3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლაში არსებული სტრუქტურული ერთეულების/ პირების სამუშაო აღწერილობები, ფუნქციები და უფლება-მოვალეობები განსაზღვრულია სხვადასხვა დოკუმენტებში, კერძოდ, სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ-ქალაქ გორის N 5 საჯარო სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა“ , სადაც დეტალურადაა გაწერილი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის სტრუქტურა და დასაქმებულების უფლება-მოვალეობები, სკოლას ერთწლიან სამოქმედო გეგმაში კი მკაფიოდ აქვთ გამიჯნული სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების სამუშაო სექტორები, პასუხისმგებლობები.

სკოლას გააჩნია სკოლის დირექტორის მიერ ბრძანებით დამტკიცებული და სამინისტროსთან შეთანხმებული საშტატო განრიგი. აღნიშნიშნული დოკუმენტის მიხედვით სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: სკოლის დირექცია, ადმინისტრაცია, ტექნიკური პერსონალი, პედაგოგიური საბჭო, რომელიც შედგება 56 მასწავლებლისგან, მათ შორის არის ოთხი სპეციალური მასწავლებელი, სამეურვეო საბჭო, მრჩეველთა საბჭო, მანდატურები, სოციალური მუშაკები, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი. დასაქმებულთა უფლება - მოვალეობები და ვალდებულებები განისაზღვრება სსიპ ქალაქ გორის №5 საჯარო სკოლასა და დასაქმებულს შორის ორმხრივად გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების მიხედვით. გარდა ამისა, მასწავლებლის უფლება - მოვალეობები განისაზღვრება მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის შესაბამისად. სკოლაში ფუნქციონირებს საგნობრივი კათედრები, რომელთა შემადგენლობა და ფუნქციები აისახება სასკოლო სასწავლო გეგმაში.

სკოლის დირექცია შედგება დირექტორის, დირექტორის მოადგილისა და ბუღალტრისაგან. სკოლის ადმინისტრაცია შედგება საქმისმწარმოებლის, საინფორმაციო მენეჯერის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის, ექიმის, ბიბლიოთეკარის,ხოლო ტექნიკური პერსონალი შედგება დარაჯების, დამლაგებლების და ცეცხლფარეშისაგან (გათბობის სეზონზე).



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლა უზრუნველყოფს ისეთი ჩარჩო დოკუმენეტის შექმნას, რომელშიც მკაფიოდ იქნება გაწერილი პერსონალის ფუნქციები, მოვალეობები, ამოცანები და მათი საქმიანობის როლი დაწესებულების სტრატეგიული მიზნების მისაღწევად. აღნიშნული დოკუმენტი ხელმისაწვდომი იქნება თითოეული თანამშრომლისთვის.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

2. სკოლაში არსებობს დელეგირებისა და ფუნქციების განაწილების სისტემა, წახალისებისა და ადმინისტრირების, პერსონალის მართვის განსაზღვრული პოლიტიკა (დირექტორის მიერ დამტკიცებული დოკუმენტი), საგანმანათლებლო პროცესების მართვის, მონიტორინგის, შეფასების, დაგეგმვის პროცესები გადანაწილებულია პასუხისმგებელ პირებზე. სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილია სწავლა-აწავლების ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმი - ხარისხის განვითარების ჯგუფი, რომლის ფუნქციონირებაც დასტურდება გაკვეთილებზე დასწრების ოქმებით, ანალიზებით, შეფასებებითა და სხვა საგანმანათლებლო პროცესების ხარისხის განსავითარებლად ჩატარებული ღონისძიებების მტკიცებულებებით(ინტერვიუები, გამოკითხვები, პროექტები, სოცქსელების მასალა და სხვ) სკოლაში ვიზიტის დროს წარმოდგენილ იქნა სამეურვეო საბჭოს მიერ განხილული და დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც დაწვრილებით არის გაწერილი სასკოლო სუბიექტების საგამანათლებლო პროცესებში ჩართვის, მათი ფუნქციების, უფლება-მოვალეობების შესახებ ინფორმაცია.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დოკუმენტით „სსიპ -ქალაქ გორის N 5 საჯარო სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა“



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებებით;
პედაგოგიური საბჭოს , მრჩეველთა საბჭოს, სამეურვეო საბჭოს ოქმებით.
შეფასება:
o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. როგორც სკოლის თვითშეფასების ფორმაშია აღნიშნული, სკოლის მისიის შესრულება პირდაპირ კავშირშია ადამიანური რესურსების მართვის კარგად დაგეგმილ სისტემასთან. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. სკოლას აქვს მკაფიოდ განსაზღვრული პერსონალის მართვის წესები, მათი სამუშაო აღწერილობები, უფლებები და მოვალეობები, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით „სსიპ გორის N 5 საჯარო სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა “; ხელშეკრულებების ნიმუშებით, სკოლის შინაგანაწესით. ხელშეკრულებები შედგენილია ყველა მოქმედი კანონისა და ნორმატიული აქტის შესაბამისად (შრომის კანონმდებლობა, კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, სკოლის შინაგამაწესი და სხვა).

სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტი, რომელშიც დეტალურადაა განსაზღვრული სკოლის პერსონალის მართვის პროცედურები. კერძოდ, აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით დაწესებულებაში კანონმდებლობის საფუძველზე მოხდება ადამიანური რესურსების მართვა ყველა მიმართულებით: პედაგოგთა/თანამშრომელთა კონკურსის გზით მიღება, თანამშრომელთა საჭიროებების გამოვლენა, საათების განაწილება, თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით საჭირო ღონისძიებების ორგანიზება, სახელფასო სისტემის დახვეწა და ა.შ. აღნიშნული დოკუმენტის შემუშავების პროცესშია და იგი 2023 წლის სექტემბერში დამტკიცდება. ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისობაშია.

2. პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა ცალკე დოკუმენტად არ იძებნება, თუმცა გაწერილია სკოლის შინაგანაწესში და თანამშრომლებთან დადებული ხელშეკრულებების ტექსტში. მაგ. შინაგანაწესის მე-4 მუხლი ეთმობა სამსახურში დაგვიანებით გამოცხადებასა და გამოუცხადებლობის შემთხვევაში შეტყობინების წესს. დასაქმებულის მიერ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დისციპლინურ გადაცდომას და პასუხისმგებლობის სახეებზე საკმაოდ დაწვრილებითაა საუბარი შინაგანაწესის მე-13 მუხლში, ხოლო დასაქმებულის წახალისების სახეებსა და გამოყენების წესზე, დისციპლინურ დევნაზე მე-10 და მე-12 მუხლებში. აღნიშნული საკითხი ასახული იქნება სკოლის მიერ შემუშავებულ სკოლის პერსონალის მართვის დოკუმენტში, რომელშიც პერსონალის მართვის ძირითად მიმართულებებზეა საუბარი. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

3. სსიპ- ქალაქ გორის N 5 საჯარო სკოლის დასაქმების პოლიტიკის უმთავრესი პრინციპია კვალიფიციური და პროფესიონალი კადრების მოზიდვა, შენარჩუნება და მათი შესაძლებლობებისა და გამოცდილების მაქსიმალურად გამოყენება.

სკოლის დასაქმების პოლიტიკა ემყარება შემდეგ ძირითად პრინციპებს:

სამართლიანობას - სკოლა თანამშრომელთა მიმართ გამორიცხავს ყოველგვარი სახის დისკრიმინაციას, უზრუნველყოფს ობიექტურობას და მიუკერძოებლობას.

თანასწორობას (თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას) - სკოლა თანაბარ პირობებში აყენებს დასაქმებულებს ასაკის, სქესის, ეთნიკური, რელიგიური თუ რასობრივი კუთვნილების, სოციალური წარმომავლობის ან პოლიტიკური მრწამსის მიუხედავად. სკოლის ყველა თანამშრომელი თანაბარი უფლებებით სარგებლობს სასკოლო ცხოვრებაში და პროფესიული განვითარების თანაბარი შესაძლებლობები აქვთ.

თანამშრომელთა პირად საქმეებში წარმოდგენილია კანონის შესაბამისი დოკუმენტაცია: პედაგოგებთან - პირადი განაცხადი, CV, პირადობის მოწმობის ასლი, ნოტარიულად დამოწმებული დიპლომის ასლი; გამოცდილების დამადასტურებელი სერთიფიკატები ნასამართლეობის, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ცნობები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მრავალფეროვნებას - სკოლა ხელს უწყობს განსხვავებული და მრავალფეროვანიგამოცდილების, მრწამსის თუ ღირებულებების, სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის, ეროვნებისა თუ ეთნიკური წარმომავლობის მქონე კადრების მოზიდვასა და დასაქმებას.

გამჭვირვალობას - სკოლის მიერ შემუშავებული დასაქმების პოლიტიკა და პროცედურები არის გამჭირვალე და ხელმისაწვდომი ყველასთვის. სკოლაში კადრების საჭიროების დადგენის შემდეგ მასწავლებელთა შერჩევა ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად კონკურსის წესით, ხოლო ადმინისტრაციისა და სხვა თანამშრომლების შერჩევა ხდება მოქმედი კანონმდელობის შესაბამისად. ამგვარად, სკოლაში მოქმედი პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

4. სკოლაში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. სკოლას შრომითი ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული პერსონალთან. სკოლაში დასაქმებულია 56 მასწავლებელი მოწვეული). სკოლას ასევე ჰყავს დირექტორი, დირექტორის მოადგილე, საქმისმწარმოებელი, ბუღალტერი, ექიმი, ბიბლიოთეკარი, სპეც მასწავლებლი, სპეციალური საჭიროების მქონე პირის ასისტენტი (2) , 1 ექიმი დამლაგებლები და 3 დარაჯი.

პერსონალის დანიშვნის აქტები შესაბამის საკადრო ბრძანებების ჟურნალშია გატარებული. პედაგოგებთან და თანამშრომლებთან დადებული ხელშეკრულებები აღრიცხულია და ინახება კანონმდებლობის შესაბამისად. შესაბამისად, ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

5. სკოლის მართვის ორგანიზაციული კულტურა თანამშრომლობისა და გუნდურობის პრინციპს ეყრდნობა, რისი დასტურიც არის სკოლაში წარმართული კათედრის სხდომები, ურთიერთდასწრებები, განხორციელებული პროექტები, არაფორმალური



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ღონისძიებები და ა.შ. სკოლის აქტიური თვითმართველობა სკოლაში არსებულ გუნდურ ატმოსფეროზე მიუთითებს. როგორც მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. მასწავლებლები, მოსწავლეთა თვითმართველობა მონაწილეობას იღებს სკოლისთვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის პროცესში. შესაბამისად, ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

6. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ სკოლაში არსებობს წარმატებული პრაქტიკის გაზიარების მექანიზმი. კერძოდ, წარმატებული პრაქტიკის შესახებ საგნობრივი კათედრისა და სასწავლო ჯგუფების წინაშე ჩატარებული აქტივობებისა და სტრატეგიების პრეზენტაცია - განხილვა, კოლეგების დასწრება გაკვეთილებზე, გაკვეთილების ერთობლივი დაგეგმვა წარმატებული პრაქტიკის გამოყენების მიზნით, ჩატარებული გაკვეთილების ანალიზი, ძლიერი და სუსტი მხარეების განხილვა და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება სხვადასხვა საგნის მასწავლებლებისთვის აღნიშნული სტრატეგიების თუ მეთოდების გამოყენების მიზნით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სქრინი pedagogi.ge და მასწავლებელთა პირადი საქმე;

საკონკურსო საპრეტენზიო კომისის ოქმები;

დისციპლინური კომიტეტის ოქმი;

კათედრის სხდომის ოქმები;

პედსაბჭოს ოქმები;

ხარისხის ჯგუფის ოქმები;

შინაგანაწესი;

საშტატო განრიგი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 3.2. პერსონალის განვითარება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე**

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1 . პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვუთარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები გაწერილია დოკუმენტში „სსიპ -ქალაქ გორის N 5 საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“. აღნიშნული დოკუმენტის მიზანია მაწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება. ამ მიზნით აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია პერსონალის შეფასებისა და პროფესიული საჭიროების დადგენის მექანიზმები: სკოლა თანამშრომელთა საჭიროებების გამოვლენას განახორციელებს მასწავლებელთა პორტფოლიოების, გაკვეთილებზე დასწრების, მასწავლებელთა თვითშეფასების, მოსწავლეთა სასწავლო შედეგების ანალიზის საფუძველზე. სასკოლო საზოგადოების დანარჩენი წევრების შეფასება და პროფესიული საჭიროების დადგენა მოხდება პერსონალის თვითშეფასების, შესრულებული სამუშაოს შეფასებისა და ანალიზის საფუძველზე. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2 პერსონალის განვითარება ხორციელდება ჩატარებული გამოკითხვების, პერსონალის საქმიანობის შეფასების, მათ მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების, შესრულებული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად, სკოლის დირექცია აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ადგენს პერსონალის პროფესიული განვითარების გეგმას, რომელსაც განიხილავს პედაგოგიური საბჭო. სკოლის პერსონალმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ მათი საჭიროებების გათვალისწინებით აღნიშნული გეგმა მოიცავს შეხვედრებს, ტრენინგებს და უტარებათ ინდივიდუალურ კონსულტაციები. ამასთან კათედრებზე ხდება პროფესიული განვითარების მიზნით წარმატებული გამოცდილების გაზიარება, გაკვეთილების ერთობლივი დაგეგმა, ურთიერთდასწრება და ა.შ . ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

3. სკოლის მიერ შემუშავებულ დოკუმენტში „ სსიპ - ქალაქ გორის N 5 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის მექანიზმები“ გაწერილია აქტივობები სკოლის პერსონალის კარიერული ზრდისთვის. აღნიშნული დოკუმენტის მე-4 მუხლი მოიცავს ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმების ამოცანებს, კერძოდ, ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმების ამოცანებია: სკოლის ადამიანური რესურსების მართვა; სკოლის მიზნების და ამოცანების შესაბამისად დასაქმებულთა მუდმივი განვითარება მაღალკვალიფიციური და შესაბამისი კადრების შენარჩუნება/მომზადების მიზნით;სკოლის მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვისათვის აუცილებელი ღონისძიებების დაგეგმვა, კადრების შერჩევის პროცესის ორგანიზება და მართვა; სკოლაში დასაქმებულთა პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლაზე ზრუნვა, ამ მხრივ ძირითადი საჭიროებების განსაზღვრა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;სკოლაში არსებული პერსონალის საქმინობის შეფასების სისტემის დანერგვა;ადამიანური რესურსების საჭიროებათა უზრუნველსაყოფად სკოლის შესაძლებლობების ანალიზი და შეფასება. მასწავლებლთა პორთფოლიობის შეფასება,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის პერსონალის შეფასების შემდეგ აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით ხდება პერსონალის პროფესიული განვითარება. პროფესიული განვითარების მიზნით სკოლაში გაწერილია შემდეგი ღონისძიებები:

ა) მასწავლებლთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ორგანიზებით სხვა ორგანიზაციების მიერ დაგეგმილი ტრენინგების გავლა;

ბ) სკოლის ბაზაზე მასწავლებლთა შეხვედრები და განხილვები;

გ)განმავითარებელი დავალებები - ხელმძღვანელის მიერ მიცემული დავალება,რომელიც ახალი გამოწვევაა პერსონალისთვის, წარმოადგენს მისთვის სიახლეს და მიზნად ისახავს პერსონალის პროფესიულ განვითარებას;

დ) პროექტების მართვა - ახალი ე.წ. პროქტების მართვა წარმოადგენს ახალგამოცდილებას, რომელიც ავითარებს კოორდინაციის, დაგეგმვის, კომუნიკაციის უნარებს. ასევე მნიშვნელოვანია მოტივირებისათვის, რადგან პერსონალი ასრულებს და ითვისებს ახალი ტიპის აქტივობებს, შინაარსეებს.

ე) კათედრის წევრთა შეხვედრები.

ვ) ქოუჩინგი - ქოუჩი ეხმარება პერსონალს განივითაროს რომელიმე უნარი, კომპეტენცია (კომუნიკაცია, პერსონალთან ურთიერთობა, გადაწყვეტილების მიღება). ქოუჩის მიზანია პერსონალს თავადნვე აპოვნინოს გამოსავალი, ალტერნატივები. ქოუჩინგის მიზანია განავითაროს და გააძლიეროს პერსონალი. სკოლის მიერ შემუშავებული დოკუმენტის ადამინური რესურსების განვითარების მექანიზმები შეიძლება ითქვას , რომ პერსონალის განვითარება ძირითადად ეფუძნება საჭიროების ანალიზის შედეგად მოპოვებულ ინფორმაციას. შესაბმისად, ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

4. სკოლა ახალი თანამშრომლების სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის მიზნით ახორცილებს შემდეგ ღონისძიებებს:

ა)სკოლის შინაგანაწესის გაცნობა, ბ)კოლექტივისთვის ახალი თანამშრომლის წარდგენა პედსაბჭოზე/შეხვედრაზე, გ)თანამშრომლის დამატება სკოლის საკომუნიკაციო დახურულ ჯგუფში. თანამშრომლისთვის მისასალმებელი პოსტის დადება სკოლის დახურულ ჯგუფში, სოციალურ ქსელში/სკოლის ელექტრონული ფოსტიდან მისასალმებელი ტექსტის გაგზავნა,დ)სკოლის სხვა თანამშრომლებისთვის ელექტრონულ ფოსტაზე შეტყობინების გაგზავნა ახალი თანამშრომლის მიღების შესახებ. ე)სკოლის ორგანიზაციული კულტურის, რიტუალების გაცნობა, სკოლის დათვალიერება,ვ)კათედრაზე/ ადმინისტრაციისთვის წარდგენა,ვ)სამუშაოს შესაბამისი კულტურის, არსებული ძლიერი დასუსტი მხარეების, სამომავლო პერსპექტივების გაცნობა,მისთვის საჭირო დოკუმენტების გადაცემა,ზ)თანამშრომლების საკონტაქტო ინფორმაციის, კომუნიკაციისა და თანამშრომლობის არსებული ალტერნატიული გზების (დახურული ჯგუფები,ელექტრონული ჟურნალი და სხვ.) შესახებ ინფორმაციის მიწოდება, თ)თანამშრომლისთვის საქმიანობასთან დაკავშირებული კონკრეტული მოლოდინების დასახვა და მისი მოლოდინების გათვალისწინება, სამუშაოს შესრულების გაზომვად კრიტერიუმებსა და პერიოდულ მონიტორინგზე შეთანხმებ, ი)მოსწავლეებისთვის წარდგენა და სხვა. სკოლის პერსონალთან საუბრისას გაირკვა, რომ ზემოთ ჩამოთვლი აქტივობები ახალ პერსონალს ხელს უწყობს ახალ გარემოში ადაპტაციის პროცესში და განაპირობებს მის კეთილგანწყობას, შესაბამისად, ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

5. სკოლაში პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისება ხდება სხვადასხვა ფორმით, კერძოდ: ა) მადლობის გამოცხადება; ბ) საპატიო სიგელით დაჯილდოება; გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასაქმებულის მიმართ შეიძლება ერთდროულად გამოყენებული იქნეს წახალისების რამდენიმე ფორმა. დასაქმებულის წახალისების შესახებ გადაწყვეტილება ფორმდება დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით. დირექტორის მოადგილე/შესაბამისი საგნობრივი კათედრა/პედაგოგიური საბჭო/სამეურვეო საბჭო/მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი უფლებამოსილია წერილობით მიმართოს სკოლის დირექტორს დასაქმებულის/დასაქმებულების წახალისების თხოვნით, სკოლამ წარმოადგინა პერსონალის დაჯილდოებისა და წახალისების მტკიცებულებები. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით ვასკვნით, რომ ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

საინფორმაციო დაფა
ხელშეკრულებები
სქრინი pedagogi.ge და პირადი საქმე
საკონკურსო საპრეტენზიო კომისია
დისციპლინური კომიტეტის ოქმი
კათედრის ოქმებისსაათების გადანაწილება
პედსაბჭოს ოქმები
ხარისხის ჯგუფის ოქმები
შინაგანაწესი
ტრენინგების გავლის დამდასტურებელი მასალა
სსიპ - ქალაქ გორის N 5 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის მექანიზმები
სსიპ -ქალაქ გორის N 5 საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა
შეფასება:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.3. პროცესის მართვა**

**3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად**

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლას ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად დოკუმენტურად გაწერილი აქვს მონიტორინგისა და შეფასების ვალდებულება (სსგ) და წარმოდგენილი აქვს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის კომპონენტების არსებობის დამადასტურებელი მტკიცებულებები: კვლევები, ინტერვიუები, ანალიზები, კათედრის სხდომის ოქმები და სხვა. აღნიშნული დოკუმენტები არეგულირებს სასწავლო გარემოს, სწავლა/სწავლების პროცესის მართვას და საფუძვლად უდევს სკოლის განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებების შემუშავებას. სკოლაში ხორციელდება მონიტორინგი, რომლის მონაცემებიც გამოიყენება არა მხოლოდ კონკრეტული ინფორმაციის შესაფასებლად, არამედ საგანმანათლებლო პროცესის განვითარების ხელშესაწყობად. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

2. სკოლას საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები აქვთ იდენტიფიცირებული. კერძოდ, სტრატეგიული დაგეგმვა, წლიური დაგეგმვა, ხარისხის უზრუნველყოფა; კურიკულუმის განვითარება და სასწავლო პროცესის ორგანიზება; განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება, მოსწავლის სერვისების განხორციელება, საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება, ფინანსური რესურსებს მართვა, ადამიანური რესურსების მართვა, მატერიალური რესურსის მართვა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა), კარიერული განვითარება. თითოეული მინართულებით სკოლას შემუშავებული აქვს მარეგულირებელი დოკუმნტები, სადაც აღწერილია ჩამოთვლილი მიმართულებები. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვა სსიპ -ქალაქ გორის N 5 საჯარო სკოლაში დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტის „სსიპ - ქალაქ გორის N 5 საჯარო სკოლის გასაჩივრების ინსტრუქციის" შესაბამისად ხდება. დოკუმენტში აღწერილია თუ ვის და როდის შეუძლია საჩივრის შემოტანა, საჩივრის შემოტანის და გასაჩივრების ვადები.

სკოლაში არის დისციპლინური კომიტეტი, რომლის შეხვედრები დაოქმებულია. საერთო ბრძანებების ჟურნალში სკოლას გატარებული აქვს არაერთი მოსწავლისთვის თუ თანამშრომლისთვის დაკისრებული დისციპლინური სახდელის ბრძანება. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

4. სკოლის შინაგანაწესით უზრუნველყოფილია პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვა კერძოდ, საუბარია მათ უფლებებზე, ვალდებულებებზე, გადაწყვეტილებების გასაჩივრებაზე. დირექტორს ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს პირები, რომელიც პასუხისმგებელია მოსწავლეთა პირად გასინჯვაზე. სკოლას ჰყავს დისციპლინარული კომიტეტი, რომელიც მოსწავლეებისა და პერსონალის უფლებების დაცვის ერთგვარი გარანტია. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

დანართები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასკოლო სასწავლო გეგმა

საინფორმაციო დაფა

დისციპლინური  კომიტეტის სხდომის ოქმები; დირექტორის ბრძანებები.

სსიპ- ქალაქ  გორის  N5   სკოლის შინაგანაწესი

სსიპ - ქალაქ გორის N5  საჯარო სკოლის გასაჩივრების ინსტრუქცია

სსიპ -ქალაქ გორის N 5 საჯარო სკოლის  ხარისხის  უზრუნველყოფის პოლიტიკა

შეფასება:

შეფასება:

- გთხოვთ,  ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა**

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სასკოლო საზოგადოების ინფორმირება და უკუკავშირის მიღება ხდება შემდეგი არხების გამოყენებით: სკოლას გააჩნია პედაგოგთა ფბ-გვერდი, ვებ გვერდი, მესენჯერი, საინფორმაციო დაფა, საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა E-FLOW, „თიმსის" -ის პლატფორმა თავისი ელექტრონული ფოსტებით. გარდა ამისა, ინფორმაციის მიწოდება ხდება პედსაბჭოს , კათედრების წევრთა, მოსწავლეთა თვითმართველობის, მშობლთა კრებებზეც. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

2. სსიპ -ქალაქ გორის N 5 საჯარო სკოლაში ფუნქციონირებს სკოლის სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, დისციპლინური კომიტეტი, რაც დასტურდება როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ასევე სკოლაში ვიზიტის დროს მოძიებული მასალებით (სამეურვეო საბჭოს ოქმები, პედსაბჭოს,მრჩეველთა საბჭოსა და მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმები). სკოლაში აპრობირებულია სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლების ჩართვა სასკოლო ცხოვრების ყველა სფეროში - ბიუჯეტირება, დაგეგმვა, სწავლა-სწავლება და სხვ. მიღებულია საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის პრაქტიკა(ინტერვიუები, ანკეტირება) მშობელთა,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებელთა, მოსწავლეთა გამოკითხვის დამადასტურებელი სქრინები წარმოდგენილია სკოლის მიერ. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

დანართი ხარისხის განვითარების ჯგუფის ოქმი

მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმი

სამეურვეო საბჭოს ოქმები, პედსაბჭოს ოქმები

სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან ინტერვიუ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება**

**3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა**

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას შემუშავებული აქვს უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა, აქვს შემუშავებული ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რითაც უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას (კერძოდ, სასკოლო წესრიგის უზრუნველყოფა,), საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას. დირექტორის ბრძანებით შექმნილია საგანგებო შტაბი და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სკოლას აქვს „სსიპ- ქალაქ გორის N5 საჯარო სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა,“ რომელიც არ არის შეთანხმებული უფლებამოსილ ორგანოსთან.

სკოლაში, სამივე სართულზე გამოკრულია ევაკუაციის გეგმა და სკოლას ჰყავს დარაჯები და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომლებიც სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას და მის შემდგომ პერიოდში უზრუნველყოფენ სკოლაში გარეშე პირების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გადაადგილების კონტროლს 24 საათის განმავლობაში. სკოლაში არის მრჩეველთა საბჭო, სკოლას შემუშავებული აქვს უცხო პირთა გადაადგილების წესი. სკოლას აქვს სრულად აღჭურვილი სამედიცინო ოთახი და ჰყავს 1 ექიმი . სკოლას ჰყავს 4 სპეც. მასწავლებელი და სპეციალური საჭიროების მქონე პირის 2 ასისტენტი . სკოლაში ფუნქციონირებს რესურსოთახი. სკოლას ჰყავს მანდატურის სამსახური.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია: წაროდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად:

1.შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა მოიპოვოს 2023 წლის 16 აგვისტოდან 2024 წლის 18 მარტის ჩათვლით.

2. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება უფლებამოსილ ორგანოსთან განახორციელოს 2023 წლის 6 ნოემბრიდან 2023 წლის 6 დეკემბრის ჩათვლით;

3. სკოლის შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ მიწერილობისა და დასკვნის მიღება სკოლამ შეძლოს 2023 წლის 6 ნომბრიდან 2014 წლის 18 მარტის ჩათვლით ;

სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნვეყლყოფის გეგმის მიხედვით ინდიკატორი შეფასდა, როგორც მეტწილი.

2. სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად აწყობს სხდომებს(დასტურდება სხდომის ოქმებით). გამოყოფილია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლაში არის მანდატურის სამსახური. შემუშავებულია სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად სპეციალური ინსტრუქციები. სკოლის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე ზრუნავენ მორიგე მასწავლებლები, ვიზიტორთა ჟურნალში აღირიცხება სკოლაში შემომსვლელი სხვა პირები და ვიზიტის მიზანი. შესაბამისად, ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სკოლა ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად სხვადასხვა მიმართულებით აქტიურად მუშაობს. პირველ რიგში, აღსანიშნავია, მასწავლებლებისა და სკოლის ადმინისტრაციის აქტიურობა, რომელთა ინიციატივითა და აქტიური ჩართულობით ჩატარდა არაერთი კლასგარეშე აქტივობა მაგ. ტრეინინგები ბულინგისა და კიბერბულინგის თემაზე. ტრენინგის ფარგლებში მოსწავლეები გაეცვნენ ბულინგის სახეებს, ბულინგიის ამოცნობისა და პრევენციის ხერხებს. შეიუმუშავეს რეკომენდაციები ბულინგიდ პრევენციისთვის. სკოლა მუშაობს ანტიბულინგური გეგმის შექმნაზე, რომელიც მოზარდთა დაცვის მნიშვნელოვანი გარანტორი იქნება ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობისგან დასაცავად.

სკოლაში ფსიქოლოგიურ უსაფრთხოებას განაპირობებს მოსწავლეებისადმი ჰუმანური დამოკიდებულება, ზრუნვა ბავშვთა უფლებების დაცვაზე (ამ თემაზე ჩატარებული არაერთი შეხვედრა და სემინარი), მოსწავლეთა თვითმართველობის დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ისინი ზრუნავენ საკუთარი უფლებების დაცვაზე, აქვთ არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა, მაგალთად, მასწავლებლებლებთან ინტერვიუს დროს არაერთმა მასწავლებლმა აღნიშნა, რომ მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისად, შეცვალეს კომპლექსური დავალებების თემატიკა, ერთად შეიმუშავეს შეფასების სქემები და ა.შ.

სხვადსხვა საგნის სწავლების ფარგლებში აქცენტი კეთდება მოსწავლეებისთვის სტრესულ სიტუაციებთან გამკლავების, ემოციებისა და ქცევის მართვის უნარების განვითარებზე. წარმოდგენილი არგუმენტების საფუძველზე ვასკვნით, რომ ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

4. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით, სკოლას შემუშავებული აქვას ინსტრუქციები სკოლის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებით და გამოყოფილი ჰყავს მასზე პასუხიამგებელი პირი - სკოლის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფაზე პასუხისმგებლი პირი. დოკუმენტში გაწერილია ვალდებულებები: სასკოლო სივრცის დათვალიერება და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებით პრევენციული ღონისძიებების გატარება; დაზიანებული ნივთების შეკეთება; დირექტორის ინფორმირება; სახსრების არქონის გამო გადავადებული საქმიანობების ნუსხის შექმნა და ა.შ.

განსაზღვრულია გრაფიკი, როდის და როგორ უნდა დალაგდეს სკოლის სხვადასხვა სივრცე - საპირფარეშოები, საკლასო ოთახები, დერეფნები, ეზო და ა.შ. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

5. სკოლის მიერ ადგილზე წარმოდგენილ იქნა დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული იქნა „სსიპ - ქალაქ გორის N5 საჯარო სკოლის პერსონალური მონაცემების დამუშავების პოლიტიკა“. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, სკოლა ვალდებულია მონაცემები მოსწავლის შესახებ შეაგროვოს კანონიერი საფუძვლით, კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრულის კანონიერი მიზნებისთვის და ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელი მოცულობით. დოკუმენტი განსაზღვრავს ზოგიერთ მონაცემზე დაცვის უფრო მაღალ სტანდარტს,მაგ:ინფორმაცია მოსწავლის ჯანმრთელობის შესახებ; მოსწავლის რელიგიური შეხედულებები და ა.შ. სასკოლო კრებებზე დაუშვებლია მოსწალის პირადი ინფორმაციის გასაჯაროება, მოსწავლის შესახებ ინფორმაცია მშობელს მიეწოდება პირადად.

ასევე სკოლას ბრძანებით გამოყოფილი ჰყავს პერსონალურ მონაცემებზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც ხელმძღვანელობს საქართველოს კანონით - „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“, დადგენილი ნორმებით. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

6. „სსიპ ქალაქ გორის N5 საჯარო სკოლის პერსონალური მონაცემების დამუშავების პოლიტიკა“ დოკუმენტის მიხედვით სკოლა ვალდებულია დაიცვავს მის ხელთ არსებული პერსონალური მონაცემების უსაფრთხოება, რაც გულისხმობს როგორც



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ელექტრონულ, ასევე ფიზიკურ უსაფრთხობას ( დოკუმენტები განთავსებულია  დაცულ ოთახში, რკინის კარადებში, მუშაობს სიგნალიზაცია).

 ზემოთ აღნიშნული წესის  თანახმად, სკოლა  პასუხიმგებლია დაიცვას მის ხელთ არსებული დოკუმენტაცია  უკანონო განადგურებისგან, შეცლისგან, გამჟღავნებისგან,  მოპოვებისგან, ნებისმიერი სხვა ფორმითუკანონო გამოყენებისა და უკანონო განკარგვისაგან. სკოლა ასევე ვალდებულია დაიცვას მის ხელთ არსებული პერსონალური მონაცემების კონფიდენციალობა და იმოქმედოს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე.

 სკოლის საინფორმაციო  FB  და  ვებ  გვერდებზე მოსწავლეთა სურათების ან მოსწავლეთა შესახებ ინფორმაციის  გასაჯაროების შემთვევაში არსებობს მშობლების თანხმობები.  ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

7. „სსიპ ქალაქ  გორის N 5  საჯარო სკოლის  პერსონალური მონაცემების დამუშავების პოლიტიკა“ დოკუმენტის მიხედვით  სკოლა პერიოდულად ატარებს  ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას, შეფასებისთვის  იყენებს  დაკვირვებას, პასუხიმგებლი პირების ანგარიშებს, კითხვარებს მშობლებისთვის, მასწავლებლებისთვის, მოსწავლეებისთვის.  აღნიშნული დოკუმენტების, ფიზიკური დათვალიერებისა და დაკვირვების შესაბამისად  დგება SWOT ანალიზი, რომელიც საშუალებას  საშუალებას აძლევს გამოავლინოს  არსებული პრობლემები და დასახანონ  აღნიშნული მომსახურეობის გაუმჯობესების გზები. ინდიკატორი სტანდარტის  შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დანართები:

„სსიპ- ქალაქ გორის N5 საჯარო სკოლის პერსონალური მონაცემების დამუშავების პოლიტიკა";

ხელშეკრულებები;

შინაგანაწესი;

უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირის ბრძანება;

ფოტოები;

დამლაგებლის შრომითი ხელშეკრულება;

ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასების მასალები;

წერილი სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინსფრატრუქტურის საგენტოსთან.

სსიპ ქალაქ გორის N 5 საჯარო სკოლის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## 3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

### 3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

   ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.სსიპ- ქალაქ გორის N5 საჯარო სკოლა აშენებულია 1984 წელს, თუმცა ათასწლეულის განვითარების ფონდის მიერ რეაბილიტაცია ჩაუტარდა 2015-2016 წლებში. სკოლა სამსართულიანია და აღჭურვილია საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. 2014 წლის 6 ნოემბრიდან სსიპ ქონების მართვის ეროვნული სააგენტოსგან, უვადო სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვს ნაკვეთი საერთო ფართით 9688.00კვ.მ , რომელზეც დგას N1 სკოლის შენობა საერთო ფართით - 4373.6 კვმ , N 2 შენობა - საქვაბე- 12,8 კვმ, N 3 -აუზი. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

2. სკოლის შენობა არის 3 სართულიანი, პირველ სართულზეა საკლასო ოთახები, სკოლის ექიმის კაბინეტი, რესურს ოთახი, 3 სველი წერტილი (გოგნებისთვის, ბიჭებისთვის და 1 ადაპტირებული სველი წერტილები), მეორე სართულზე განთავსებულია სამასწავლებლო, დირექცია საკლასო ოთახები,სტემის საგნების ლაბორატორია(ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის ერთ ოთახშია განთავსებული), 3 სველი წერტილი, მცირე სააქტო დარბაზი, სკოლის არქივი, მესამე სართულზე განთავსებულია საკლასო ოთახები, სამი სველი წერტილი. ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია მასწავლებლის მაგიდით, მოსწავლის ინდივიდუალური მერხებით, სკამებით, კარადებით და სასკოლო დაფით. ბიბლიოთეკაში დაცულია 1000-მდე ერთეული წიგნი: ბიბლიოთეკაში ინახება ყველა საგნის სასწავლო წიგნის თითო ეგზემპლარი, დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, ილუსტრირებული მასალები, რუსულ ენოვანი და ინგლისურენოვანი წიგნები, დამხმარე სახელმძღვანელოები, პერიოდიკა და ა.შ. სკოლა ახორციელებს გაზეთი ,,ახალი განათლების'' შესყიდვას, რესურცენტრიდან იღებს ჟურნალ „მასწავლებელს," რომლის საშუალებითაც პედაგოგები და მოსწავლეები ეცნობიან განათლების სისტემაში მიმდინრე სიახლეებსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. სკოლის ბიბლიოთეკაში მოცემულია ელექტრონული კატალოგიც, რომელსაც მოსწავლეები წიგნის ძიების დროს იყენებენ. ბიბლიოთეკარს აქვს სარეგისტრაციო ჟურნალი, სადაც გატარებული აქვს სკოლის წიგნადი ფონდი. თაროებზე წიგნები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწყობილია ანბანური პრინციპით. ყველა წიგნს სკოლის ბეჭედი აქვს დასმული. ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში შექმნილია მყუდრო გარემო, რომ მოსწავლეებმა შეძლონ სასურველი წიგნის მოძიებაც და გაცნობაც. სკოლის ბუღალტერთან ინახება მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელსა და სკოლას შორის გაფორმებული წიგნების მიღება-ჩაბარების აქტები.

სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა, ადმინისტრაციის ოთახები აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით, რომელთა გამოყენების შესაძლებლობა აქვს ყველა მასწავლებელს.

სკოლის პირველსართულზე მდებარეობს თანამედროვე ტიპის სპორტული დარბაზი, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკით, არის გასახდელი გოგონებისთვის და ვაჟებისთვის.

სკოლაში ამჟამად სწავლობს 910 მოსწავლე. თითოეულ მათგანს აქვს ინდივიდუალური მერხი და სკამი. სკოლა მუშაობს ერთ ცვლაში. გარდა ამისა, სკოლა დასაწყობებული აქვს 70 ინდივიდუალური მერხი და სკამი სამივე საფეხურის მოსწავლეებისთვის.

სკოლას აქვს სარეკრიაციო ზონა არაფორმალური განათლების კუთხით სხვადასხვა აქტივობის განსახორციელებლად.ამ მიზნით შესაძლებლია გარეთა ეზოს და სკოლის დერეფნის გამოყენებაც. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

3.სკოლას აქვს ადაპტირებული სასწავლო გარემო სსსმ მოსწავლეთათვის. სკოლაში შემოსასვლელ კიბესთან დამაგრებულია პანდუსი, ყველა სართულზე განთავსებულია ადაპტირებული სველი წერტილი. სკოლაში ფუნქციონირებს რესურსოთახი. აღსანიშნავია, რომ პირველ და მეორე, მეორე და მესამე სართულებს შორის კიბეეზე არ არის პანდუსი. საბუნებისმეტყველო ლაბორატორია მდებარეობს მეორე სართულზე, შესაბამისად, შშმ მოსწავლეს ეზღუდება საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის გამოყენების უფლება, აღნიშნული გარემოების გამო, აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც სკოლას მიეცა რეკომენდაცია აღნიშნული პრობლემა მოაგვაროს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2023 წლის 6 ნოემბრიდან 2024 წლის 18 აგვისტოს ჩათვლით, შესაბამისად ინდიკატორი შეფასდა როგორც სტანდარტთან მეტწილ შესაბამისობაში.

4. სკოლაში არის უწყვეტი წყალმომარაგება, უზრუნველყოფილია დენით და ასევე ცენტრალური გათბობით ბუნებრივ აირზე. სკოლაში არის ინკლუზიური გარემო, კერძოდ: კომპიუტერული ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები (ქიმია, ბიოლოგია,ფიზიკა), რესურსოთახი, ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი, სააქტო დარბაზი,სამედიცინო კაბინეტი და შეხვედრების ოთახი (მცირე საკონფერენციო დარბაზი). ასევე სასკოლო შიდა და გარე სივრცე იძლევა სხვადასხვა აქტივობების/ ღონისძიებები ჩატარების საშუალებას.

სკოლა აღჭურვილია შესაბამისი რესურსით, კერძოდ: ინდივიდუალური მერხებით, დაფებით, სასკოლო ავეჯითა და კომპიუტერული ტექნიკით. სკოლაში სასწავლო პროცესი ორცვლიანია და გათვლილია დაახლოებით 1200 მოსწავლეზე. სკოლაში დღეის მდგომარეობით სწავლობს 910 მოსწავლე, აქედან 34 - სსსმ მოსწავლეა; სკოლაში აქვს უწყვეტი ინტერნეტკავშირი, რომელიც საჭიროებს გაძლიერებას, მართალია, WiFi მთელ სკოლას ფარავს, თუმცა სიხშირე არის ძალიან სუსტი.

სკოლის ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს სკოლის სოციო - კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას: სკოლის სამივე სართულზე მოწყობილია სასკოლო საზოგადოებისთვის დასასვენებელი, საინფორმაციო და კულტურული აქტივობებისთვის სივრცეები. კერძოდ, ამ მიზანს ემსახურება ყველა სართულზე განთავსებული ფოიე, მეორე სართულზე განთავსებული ბიბლიოთეკა, კომპიუტერულ ლაბირატორიაში მოსწავლეებს შეუძლია საკუთარი ინტერესის შესაბამისად გამოიყენონ აღნიშნული რესურსი. საკონფერენციო ოთახი და ა.შ. სკოლას აქვს ეზო, სადაც არის გამოყოფილი სარეკრეაციო სივრცე მწვანე

ნარგავებითა და სკამებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, რომ ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისობაშია.

5. სკოლას აქვს კურიკულუმით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსები:

ა) გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები;

ბ) საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსები (ვიდეო, DVD, კომპაქტური დისკები);

გ) სხვადასხვა სახის თვალსაჩინოები (რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვ.);

დ) ბიბლიოთეკა, საკონფერენციო ოთახი , ბუნებრივი გარემო და სხვ.

მათემატიკა: საანგარიშო, მაგნიტური დაფა, რიცხვები მაგნიტური სამაგრით, ბრტყელი გეომეტრიული ფიგურები მაგნიტური სამაგრით, სახაზავი, სანტიმეტრი, საათი, წამზომი, თერმომეტრი და ა.შ

ქართული: ქართული ანბანი, ბიოგრაფიული თვალსაჩინოებები და ა.შ

საზოგადოებრივი მეცნიერებები: რუკები, ნახევარსფეროების ფიზიკური რუკა, მაგნიტები, კომპასი, გლობუსი და ა.შ

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: ლაბორატორიის სრული კომპლექტი, მულაჟების, პლაკატები, რეაქტივები და ა.შ

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება: ნატურიდან ხატვისთვის საჭირო სხვადასხვა თვალსაჩინოება, დაზგა, დეკორატიული და გეომეტრიული ფიგურები, მხატვრების ალბომები და პლაკატები, ფანქრები, სახატავი მასალები და ა.შ..

მუსიკა: პიანინოები, კომპაქტ დისკები, ქართული ხალხური საკრავების პლაკატები და ა.შ

სპორტი: ბურთები, ჭადრაკი დაფები, ჰულაჰუპები და სხვა. სტანდარტი ინდიკატორის შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები:

დანართები

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

შენობა ნაგებობის სქემა

ბიბლიოთეკის და კომპიუტერული ლაბორატორიის დებულება

ბიბლიოთეკის დებულება

სკოლის რეაბილიტაციის დოკუმენტი

სასკოლო ბიბლიოთეკის წიგნების ფონდი

კომპიტერული ლაბორატორიის მოხმარების წესი, ფოტო მასალა

სკოლის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.6. საინფორმაციო რესურსები**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას**

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სსიპ-ქალაქ გორის N5 სკოლის ადგილზე დათვალიერების დროს ექსპერტებმა შეაფასეს სკოლის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა: სკოლას სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად სკოლას 47 კომპიუტერი, 23 ლეპტოპი, 2 ტელევიზორი, 2 ფერადი პრინტერი; 8 შავთეთრი პრინტერი; სამასწავლებლო და რესურსოთახი აღჭურვილია კომპიუტერითა და პროექტორით. ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, სკოლაში ხორციელდება პროექტი: ,, კოდინგის სკოლა“ , აღნიშნული პროექტის დასრულების შემდეგ სკოლას დარჩება უახლესი მოდელის 10 კომპიუტერი. რაც მნიშვნელოვანი შენაძენი იქნება სკოლისთვის. შესაბამისად, თითოეულ პედაგოგს აქვს შესაძლებლობა ამ რესურსის გამოყენებით გაკვეთილი ჩაატროს და თანამედროვე მეთოდოლოგიის გამოყენებით სრულფასოვანი სასწავლო პროცესი შესთავზოს მოსწავლეებს, შესრულდეს სხვადასხვა აქტივობები, კომპლექსური თუ შემაჯამებელი დავალებები. მოსწავლეებს ასევე შეუძლიათ ინტერნეტით მათთვის საჭირო ინფორმაცია მოიძიონ. სკოლა ელექტრონული საქმის წარმოებისთვის გამოიყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს email.mes.gov.ge, eschool.emis.ge. eflow.emis.ge. ეს რესურსები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაძლებლობას იძლევა, სკოლამ სრულფასოვნად წარმართოს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესი, მარტივად მიიღოს და გაავრცელოს სრულყოფილი ინფორმაცია სხვადასხვა საჯარო ინსტანციაში. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

2. სკოლაში შემუშავებულია კომპიუტერული ტექნოლოგიებით სარგებლობის წესი, რომელიც განთავსებულია სკოლის კომპიუტერულ ლაბორატორიაში, ხელმისაწვდომ ადგილზე. სკოლის პედაგოგებმა, დირექციამ, ადმინისტრაციამ გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ სკოლის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა მათთვის ხელმისაწვდომია. ყველა კათედრა, სამასწავლებლო და რესურსოთახი, ბიბლიოთეკა აღჭურვილია კომპიუტერითა და პროექტორით. სკოლის კუთვნილებაა კომპიუტერული ტექნიკა, მულტიფუნქციური პრინტერები სკანირებისა და კოპირების საშუალებები. ეს ტექნიკა განთავსებულია სამასწავლებლოში, საგნობრივ კათედრებზე, ბიბლიოთეკაში, რესურსოთახსა და ადმინისტრაციის ყველა ოთახში. ამ რესურსს თანაბრად იყენებს როგორც თანამშრომელი, ასევე მოსწავლე. სკოლას ასევე ემსახურება IT სპეციალისტი, რომელიც პასუხისმგებელია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურულ გამართულობაზე. შესაბამისად, ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები
დასტურდება (მტკიცებულებები):
ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
2022-2023 სასწავლო წლის ინვენტარიზაციის მასალები;
კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი;
ინვენტარიზაციისა და შეყიდვის დოკუმენტაცია
ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულება;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად**

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სკოლაში საქმის წარმოება მიმდინარეობს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის (e-flow) მეშვეობით. ყველა დოკუმენტი ტარდება ელექტრონლად, ამასთან სკოლას აქვს შიდა დოკუმენტაციის აღრიცხვის მიზნით საკადრო და საერთო სარეგისტრაციო ჟურნალები. საკადრო ჟურნალში ტარდება დასაქმებულთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები, რომლებიც ფორმდება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დირექტორის ბრძანებით, ხოლო საერთო ბრძანებებში აღირიცხება მოსწავლეთა მოძრაობა (ჩარიცხვა-ამორიცხვა, მობილობა და სხვადასხვა სახის გადაწყვეტილებები).

სკოლას ასევე აქვს შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი. ჟურნალები აკინძულია, ზონარგაყრილია, დანომრილია, დალუქულია და დამოწმებულია სკოლის ბეჭდითა და დირექტორის ხელმოწერით. სკოლაში ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები კანონმდებლობით დადგენილი ვადით. პირად საქმეებში შენახულია კანონით განსაზღვრული დოკუმენტაცია: დასაქმებულის პირადი განაცხადი, CV, პირადობის მოწმობის ასლი, ნოტარიულად დამოწმებული დიპლომის ასლი, ნასამართლეობის, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ცნობები. სტატუსის შესაბამისი სერტიფიკატი (პედაგოგის შემთხვევაში). დარაჯისა და დამლაგებლების პირად საქმეებში მოცემულია აღრიცხვის ფურცელი, პირადობის მოწმობის ასლი, პირადი განაცხადი.

მოსწავლის პირად საქმეში წარმოდგენილია - დაბადების მოწმობა ნოტარიულად დამოწმებული, მშობლის განცხადება, მშობლების პირადობის მოწმობის ასლები, ფოტო. ჯანმრთელობის ცნობები მოსწავლეთა ნაწილთან (საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან).

სკოლაში იწარმოება ბუღალტრული დოკუმენტაცია, რომელიც აკინძულია კანონმდებლობით დადგენილი წესით, ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტს.

2. სკოლა ელექტრონული საქმისწარმოებისთვის გამოიყენებს email.mes.gov.ge, eflow.emis.ge. eschool.emis.ge. ასევე ამ მიზნითაც შესაძლებლია ელექტრონული ჟურნალის გამოყენებაც. ელექტრონული ჟურნალი, ერთი მხრივ, სასწავლო პროცესის

ადმინისტრირებას შეუწყობს ხელს, მეორე მხრივ, ამარტივებს კომუნიკაციას სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. ინდიკატორი სტანადარტის შესაბამისია.

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში - eschool.emis.ge. რომლის საშუალებითაც სკოლის მთელ პერსონალზე და მოსწავლეებზე გახსნილია ველი და რომელშიც თავმოყრილია მთელი ინფორმაცია. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

4. სკოლა, კანონით დადგენილ ვადებში, ყოველი წლის 10 დეკემბერს eflow.emis.ge. საშუალებით წარუდგენს ანგარიშს საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პრემიერ-მინისტრს და „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე"-ს. ინდიკარორი აკმაყოფილებს სტანდარტს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი :

სკოლის ადმინისტრაციასთან, პერსონალთნ, მასწავლებლებთან დადებული ხელშეკრულებები.

პირადი საქმეები,

ბუღალტრული დოკუმენტაცია,

სსიპ -ქალაქ გორის N 5 საჯარო სკოლის საქმისწარმოების წესი

eflow, eschool, outlock



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას**

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1 სსიპ- ქალაქ გორის N 5 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი. წესის თანახმად საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი განსაზღვრავს სკოლის ინტერესებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით საკომუნიკაციო აქტივობების განხორციელების პირობებს, ცნობადობის ამაღლების ღონისძიებების ჩატარების გზებს, შიდა და გარე კომუნიკაციის მართვის პრინციპებს, საინფორმაციო საშუალებების ელ-ფოსტა, სოციალური მედიის არხები) მართვისა და განვითარების სტრატეგიებს. წესი ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული უკუკავშირის ანალიზისა და რეაგირების ფორმებს.

სკოლის ელექტრონულ ფოსტა: sakasheti@mes.gov.ge, სკოლის ვებ -გვერდი და ოფიციალური სოციალური ქსელი facebook –„ ქალაქ გორიN 5 საჯარო სკოლა“- წარმოადგენ სკოლის გარე კომუნიკაციის ძირითად წყაროებს და უზრუნველყოფენ ინფორმაციის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დროული გავრცელებისა და უკუკავშირის პროცესების ეფექტიანობას. იგივე მიზანს ემსახურება ელექტრონული ჟურნალიც, რომელიც ამარტივებს კომუნიკაციას სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის.

სოციალური ქსელი ხელს უწყობს ინფორმაციის გონივრულ ვადაში გავრცელებას და ასრულებს ორ ძირითად ფუნქციას:

ა) საკომუნიკაციო პლატფორმის ფუნქციას, რისთვისაც ხელმისაწვდომს ხდის სკოლის საკონტაქტო ინფორმაციას და ინტერნეტით კომუნიკაციის შესაძლებლობას;

ბ)საინფორმაციო ფუნქციას, რისთვისაც უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის, სკოლის მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ სრული ინფორმაციის საჯაროობას, სკოლას აქვს ვებ გვერდი, emis.mes. gov.ge -ზე.

2.სკოლა სოციალურ ქსელებთან ერთად იყენებს თიმსის პლატფორმას. პედაგოგთა თქმით, ამ გვერდებზე ხდება სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის განთავსება ფორმალური, თუ არაფორმალური განათლების მიმართულებით განხორციელებული თუ განსახორციელებელი აქტივობების, ღონისძიებების თაობაზე. აქ ზიარდება საგანმანათლებლო სტრუქტურებიდან შემოსული ინფორმაცია, ასევე სისტემაში მიმდინარე ცვლილებები, საგანმანათლებლო პროგრამებზე სხვადასხვა შემოთავაზებები და ა.შ. ინფორმაცია ზიარდება სანდო წყაროზე დაყრდნობით (წერილის ნომრის მითითებით, კონკრეტული ორგანიზაციის დასახელებით). სტანდარტი შესაბამისია ინდიკატორი.

3. სკოლას აქვს ელ. ჟურნალი, ელ. პლატფორმა - TEAMS და სოციალური გვერდები. დირექციის განმართებით, სასკოლო ელ. გამოკითხვები ამ სივრცეში მიმდინარეობს. მიმდინარე წელს გამოიკითხეს დირექცია, მასწავლებლები, მშობლები და მოსწავლეები შეფასების სისტემასთან დაკავშირებით. გამოკითხვის შედეგები გააანალიზეს და ამავე გზით გაუზიარეს სასკოლო საზოგადოებას.სტანდარტი შესაბამისია ინდიკატორი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სკოლას აქვს ვებ -გვერდი emis.mes. gov.ge -ზე,სადაც ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე. სკოლას გასაზღვრული ჰყავს, ვებგვერდის მართვაზე პასუხისმგებლი პირი.

ინდიკატორი სტანარტთან შესაბამისია.

5. ვებ -გვერდზე უკვე განთავსებულია სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დასტურდება (მტკიცებულებები):,

დანართი

საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი

Emis. Mes.gov.ge, თიმსი. FB

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.7. ფინანსური რესურსები**

**3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია**

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის ბიუჯეტის ძირითად ნაწილს შეადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება - ვაუჩერული დაფინანსება. შემოსავლები საპროგნოზო პერიოდში შეადგენს 1 1790063 ლარს, სერთიფიცირებული მასწავლებელის დანამატი 676330 ლარია. ბიუჯეტიდან მიღებული შემოსავალი შეადგენს 1 398 105,6 ლარს,. ამ თანხას ემატება ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავალი 1400 ლარი და საბოლოოდ, სკოლის 2024 წლის საპროგნოზო ბიუჯეტი შეადგენს 1399



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5059 ლარს. თანხის დიდი ნაწილი გათვლილია სკოლის მასწავლებლების, ადმინისტრაციისა და ტექპერსონალის ხელფასებზე. დანარჩენილი ნაწილი კი მოხმარდება სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებას, კერძოდ, 2024 წლის განმავლობაში შენობის მოვლა პატრონობისთვის( დასუფთავება ეზოს მოვლა) - გათვალისწინებულია 1050 ლარი, მცირე რემონტისთვის -1501 ლარი, სასკოლო ინვენტარის , საოფისე ტექნიკის, კომპიუტერების შეძენისთვის 3800 ლარი, სამედიცინო კაბინეტის პერიოდული შევსებისთვის 680 ლარი, მასწავლებელთა გადამზადებისთვის 3450 ლარი. მასწავლებლთა კონფერენციებსა და სხვა საგანმანათლებლო ღონისძიებებში მასწავლებელთა ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით სამივლინებო ხარჯებისთვის გამოყოფილია 1000 ლარი. შეიძლება ითქვას, მიუხედავად, იმისა, რომ სკოლა დეფიციტურია, ხარჯები აღემატება შემოსავალს, თუმცა სკოლის ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფილია სკოლის სამოქმედო გეგმის შესრულება. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის სისტემა, რომელიც დასტურდება შემდეგი დოკუმენტებით: სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტი (ოქმი წარმოდგენილია), სკოლის მიერ ბრძანებით დამტკიცებული 2024 წლის შესყიდვების წლიური გეგმა (პროექტი), წლიური და კვარტალური ბალანსები. სკოლას აქვს ბიუჯეტის მონაწილეობითი დაგეგმვის კომპონენტები - სასკოლო სუბიექტების ანკეტირება, მათი მოსაზრებების გათვალისწინების მიზნით, თუმცა კვლევის ანალიზი ჩატარების დამამტკიცებელი დოკუმენტაცია არ დევს. სკოლას ჩატარებიული აქვს SWOT ანალიზი, განსაზღვრულის სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეები წარმოდგენილ მასალებში არის დირექტორის ანგარიში გეგმის შესრულებაზე - სამეურვეო საბჭოს განრიგიდან დასტურდება, რომ სკოლის დირექტორი წარადგენს ფინანსურ ანგარიშს სკოლის ბიუჯეტის განკარგვასთან დაკავშირებით. ადგილზე მოვიძიეთ იმ სამეურვეო საბჭოს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ოქმები, რომლებზეც მოხდა საჯარო სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება, სასკოლო სასწავლო გეგმის რესურსების ნაწილის შეთანხმება და დირექტორის მიერ ბიუჯეტის შესრულებაზე ანგარიშგება. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

დანართი

სსიპ გორის N 5 საჯარო სკოლის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი და საპროგნოზო ბიუჯეტი

შესყიდვების წლიური გეგმა

ბუღალტრული დოკუმენტაცია

სკოლის სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები

SWOT ანალიზი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## 4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

### 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

### 4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა; კერძოდ, სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი შინაგანაწესი, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლეთა უფლება-მოვალეობებს. მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვა ხორციელდება ნებისმიერ ეტაპზე, ნებისმიერი პირის მიერ. მანდატურის სამსახური თავისი უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებების, უსაფრთხოებისა და სკოლის შინაგანაწესის დაცვას. მოწავლეთა უფლება-მოვალეობები გაწერილია ხელშეკულებაში, რომელიც ფორმდება სკოლასა და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს შორის. სკოლაში არსებობს მოსწავლეთა თვითმმართველობა,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რომელიც ირჩევა დემოკრატიული პრინციპებით, თვითმართველობის მიზანს წარმოადგენს მოსწავლეების თვალით დანახული პრობლემების გათვალისწინება და მათი მაქსიმალური ჩართულობა სკოლის ცხოვრებაში, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის საჭირო პირობების შექმნა, მოსწავლეთა დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება და კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა. სკოლაში მოქმედებს რეფერირების პროცედურები, რომელიც ემსახურება მოსწავლეთა უფლებების დაცვას, გამოვლენილი ძალადობის შესახებ მყისიერად მიეწოდება ინფორმაცია სკოლის მანდატურს, რომელიც ახორციელებს რეფერირების პროცედურებს. პესონალური ინფორმაცია დაცულია, გამოყოფილია პასუხიმგებელი პირი, ინფორმაციის გაცემა ხდება მშობლის თანხმობის საფუძველზე. სკოლაში მოქმედი სასკოლო სასწავლო გეგმაც და 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმა მოიცავს ინდივიდუალური გეგმის შემუშავების რეგულაციებს. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

2.მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ; კერძოდ, სკოლის შინაგანაწესი, რომელიც საჯარო დოკუმენტია განთავსებულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე და ხელმისაწვდომია ყველა პირისათვის. თითოეული კლასის დამრიგებელი სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში მოსწავლეებს აცნობს თავიანთ უფლება-მოვალეობებს. ბუკლეტების და პოსტერების სახით, მოსწავლეებს ურიგდებათ საინფორმაციო ბროშურები, 112- ის შესახებ ინფორმაცია.სკოლის დერეფნებში გამოკრულია 112-ის,მანდატურის,სახალხო დამცველის და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ცხელი ხაზის ნომრები. სკოლას აქვს ფეისბუქ გვერდი, სადაც აქტიურად ზიარდება ინფორმაცია სასკოლო ცხოვრების შესახებ. ყველა კლასის დამრიგებელს აქვს მესინჯერ ჯგუფი, სადაც გაწევრიანებულნი არიან მშოლები და იღებენ მათთვის საჭირო ინფორამაციას. სადამრიგებლო ჯგუფები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ასევე შექმნილია თიმშიც, სადაც ტარდება მშობელთა კრებები და აქტიურად ხდება მოსწავლის უფლება-მოვალეობების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და შინაგანაწესის პუნქტების განხილვა.სკოლის ყველ მოსწავლის მშობელს/წარმომადგენელს შორის ფორმდება ხელშეკრულებები. საჭიროების შემთხვევაში იგეგმება მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრები. სკოლას აქვს პერსონალურად დამზადებული საინფორმაციო ბროშურები(მოსწავლის უფლება-მოვალეობების შესახებ), რომლებიც ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისათვის. ყოველდღიურად დაწესებულია მასწავლებელთა მორიგეობა, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვას. სკოლას მუშაობს ვებ-გვერდის შექმნაზე.ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.ხელშეკრულება ძალაშია მოსწავლის სწავლის დასასრულამდე და მასში გაწერილია როგორც მოსწავლის,ისე მშობლის და სკოლის უფლებები და მოვალეობები. თუ მოსწავლე სარგებლობს რაიმე არასავალდებულო მომსახურეობით ასევე მის მშობელთან/წარმომადგენელთან ფორმდება ხელშეკრულება, რომელიც მოიცავს სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეს, პირობებს, პროგრამას და მისი სპეციფიკას. მომსახურებისთვის დადგენილი საფასურების შესახებ ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწდომია. სკოლის მისიას წარმოადგენს კულტურული, მრავალმხრივ განვითარებული პიროვნების ჩამოყალიბება, რომლის ხელშესაწყობადაც სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს დამატებით სერვისებს. კერძოდ, სკოლაში მოქმედებს ჭადრაკის, მუსიკის, ხელოვნებისა და ჟურნალისტიკის წრეები. აღნიშნული წრეები დიდი პოპულარობით სარგებლობს მოსწავლეებში და მათი უმრავლესობა აქტიურადაა ჩართული პრაქტიკულ მეცადინეობებში. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი მომსახურების სახეები, რომელიც წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილს. 2023-2024 სასწავლო წლისათვის,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დამატებითი სერვისების შესახებ, სკოლა გაარგძელებს კმაყოფილების კითხვარების შევსების პრაქტიკას, რაც მას შესაძლებლობას მისცემს მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვისა და უკუკავშირის ანალიზის საფუძველზე საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების შეტანას, ინდიატორი სტანდარტის შესაბამისია.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სსიპ -ქალაქ გორის N 5 საჯარო 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმა

სკოლის საინფორმაციო დაფა

სკოლის შინაგანაწესი

მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმი

ხელშეკრულება სკოლასა და მშობელს შორის

მანდატურის ოქმი

მშობლის თანხმობა პერსონალურ მონაცემთა გასაჯაროვებაზე

პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ ბრძანება

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

### 4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1,.სკოლას აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დამტკიცებული დოკუმენტი, სადაც გაწერილია კანონის შესაბამისი რეგულაციები. მოსწავლის ჩარიცხვა, მობილობა, საფეხურის დაძლევა, სტატუსის შეჩერება/აღდგენა ხდება საქართველოში არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლაში მოსწავლისათვის სტატუსის შეჩერება მხოლოდ საზღვარგარეთ წასვლის საფუძვლით მოხდა. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.
2. სკოლა მოქმედებს მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის შიდა რეგულაციებით; იღებს განცხადებებს, არეგისტრირებს ელექტრონულ სისტემაში, გამოსცემს ინდივიდუალურ-სამართლებლის აქტს, მუშაობს eflow და eschool-ის ბაზაში. მიმართავს წერილობით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებულ ორგანოებს საჭიროებიდან გამომდინარე. ბრძანების შაბლონს წერს სისტემაში, ტვირთავს ტიტულიან დოკუმენტს და ანიჭებს ნომერს, რაც ართულებს eschool-ის ბაზაში მოსწავლის მობილობის განხორციელებას, დამადასტურებელი დოკუმენტის ელექტრონულად იდენტიფიცირებას. მატერიალურად დოკუმენტები გატარებულია რეგისტრაციის ჟურნალშიინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.
3.სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი; აღნიშნული იმნფორმაციის დიდი ნაწილი განთავსებულია ელექტრონულ ჟურნალში. საინფორმაციო დაფებზე, სკოლის fb გვერდზე.
სკოლის კანონმდებლობის, კერძოდ, შინაგანაწესის, სასკოლო სასწავლო გეგმის, დღის რეჟიმის, საგაკვეთილო ცხრილის და ა.შ. გაცნობა დასტურდება საჯაროდ სივრცეში გამოკვრით და კლასის დამრიგებლების მიერ კლასის და მშობელთა შეხვედრების ოქმებით. ასევე სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრულია სკოლასა და მშობელს შორის წარმოშობილი ურთიერთობები სასკოლო სივრცეში. დამრიგებლისა და მშობლების კომუნიკაცია ხდებ,ა როგორც პირისპირ, ასევე ონლაინ, სოციალური ქსელით. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.
სკოლას აქვს შემუშავებული საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი, რომლითაც განსაზღვრულია საზოგადოებასთან ურთიერთობის პასუხისმგებელი პირი, სკოლის გარე და შიდა კომუნიკაციის მექანიზმები, ინფორმაციის გავრცელების ხერხები (ინტერნეტ სივრცე-ელექტრონული ფოსტა, სოციალური ქსელი, საიფორმაციო დაფა).სერვისების შესახებ ინფორმაციას მშობლები ღებულობენ ასევე კლასის დამრიგებლებისგან პირდაპირი კომუნიკაციით ან სოციალური ქსელით. სკოლა მუდმივად გასცემს განახლებულ ინფორმაციას სასკოლო თემში.
მშობელთან ურთიერთობის წესი არეგულირებს სკოლასა და მშობელს შორის კომუნიკაციის პროცესს. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
დასტურდება (მტკიცებულებები):
სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტი,
მოსწავლის ჩარიცხვა-ამორიცხვის, სტატუსის შეჩერების ბრძანებები,
საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი,
მშობელთან ურთიერთობის წესი,
ფოტო მასალა,
სოციალური ქსელი,
ვიზუალური დათვალიერება, მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება,

შეფასება:
○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

#### 4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.სკოლას აქვს დამტკიცებული ეფექტური ტრანზაციისა და აკადემიური პროგრესის უზრუნველყოფის დოკუმენტი, რომელშიც უმთავრესი აქცენტები კეთდება მშობლის მზაობაზე და შვილის ახალ გარემოსთან შეგუების რეკომენდაციებზე. სასკოლო მზაობისათვის გაკეთებული აქცენტები ზოგადია, არ მოიცავს სკოლის ქმედებების კონკრეტულ ნაიჯებს, აქცენტები გაკეთებულია პირველკლასელებზე, არ ჩანს რა პროცესებს ახორციელბს სკოლა მოსწავლის მობილობის შემთხვევაში. დამრიგებლის დებულებაში არ არის დაკონკრეტებული ახალი მოსწავლის მიღების და ადაპტაციის წესი. თუმცა შემუშვებულია ანკეტირების ფორმა ეფექტური ტრანზაციისათვის. სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლის მიღების და სასკოლო გარემოს მოწყობის მექანიზმები . სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის იქმნება ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ან/და დამატებითი სასწავლო პროგრამა, რომლის შესაბამისადაც ხორციელდება მისი სწავლება, სოციალური ადაპტაცია , ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

2. სასკოლო სივრცე მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე. საკლასო სივრცეები მოწყობილია ასაკთან შესაბამისად. სასწავლო წლის დასაწყისში სკოლას აქვს გახსნის ღონისძიება, რომელიც ხელს უწყობს სასწავლო სივრცეში მოსწავლეთათვის და მშობელთათვის შესაბამისი განწყობის შექმნას.

სკოლას ასევე გააჩნია ინდივიდუალური მიდგომები მომავალი პირველკლასეთა ეფექტური ტრანზაციისათვის. სკოლაში ხშირად ეწყობა მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა, გამოფენაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ სსსმ მოსწავლეებიც.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბმისია.

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეთა მიღწევების გასაუმჯობესებლად სკოლა იყენებს განმავითარებელ კომენტარებს დაწყებით საფეხურზე, ხოლო საბაზო საფეხურზე განხორციელებული შემაჯამებელიდამ ერთი დავალება განმსაზღვრელ შეფასებასთან ერთად ფასდება განმავითარებელი კომენტარით. მშობლები იღებენ ინფორმაციას მოსწავლეების აკადემიურ მიღწევებზე ინდივიდუალურ შეხვედრებზე და ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით. საჭიროების შემთხვევაში მასწავლებლები მოსწავლეებს აძლევენ საგნობრივ კონსულტაციებს.

აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესების მოტივაციის ასამაღლებლად სკოლა ახორციელებს საკლასო და სასკოლო პროექტებს, კონკურსებს, სპორტულ შეჯიბრებებს, სადაც მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული. აღნიშნული აქტივობა ავითარებს მოსწავლეების ფიზიკურ და გონებრივ შესაძლებლობებს და ხელს უწყობს შეძენილი ცოდნის განმტკიცებას. სკოლაში არ ჩანს სუსტი აკადემიური მოსწრების მოსწავლის ინდივიდუალური კონსულტირების ფორმა.

სსსმ მოსწავლეებისათვის წლის დასაწყისში მასწავლებლები სპეციალურ ფორმაში წერენ შეფასებას (კომენტარს) საგანში, სადაც მოსწავლის პროგრესს აკვირდებიან ყოველთვიური ჩანაწერით. ინდიკატორი სტანდარტის შესაბმისია.

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;

სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურის დოკუმენტი და სასკოლო-სასწავლო გეგმა განსაზღვრავს მოსწავლის კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებას. მოსწავლეს უფლება აქვს ჩააბაროს ექსტერნის, სემესტრული და საშემოდგომო გამოცდა. სკოლა დროულად უზრუნველყოფს ყველა საორგანიზაციო ღონისძიებას. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;

სკოლა ქმნის ინკლუზიურ გარემოს, შიდა და გარე სივრცეებით ადაპტირებულია და ხელმისწავდომია; ყავს კვალიფიცირებული ადამიანური რესურსი, რომელიც ზრუნავს მოსწავლეთა ჩართულობაზე სასკოლო და სკოლის გარე აქტივობებში. ინიციატივების წარდგენა ხდება პირდაპირი კომუნიკაციით კლასის/საგნის მასწავლებელთან ან დირექციაში. ექსკურსიების განხორციელება ხდება შესაბამისი განცხადებისა და სავალდებულო დოკუმენტაციის საფუძველზე.

სკოლას ჰყავს კანონმდებლობით არჩეული მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომლის ინიციატივით წლის განმავლობაში განხორციელდა რამოდენიმე ღონისძიება, თუმცა არ არის სამოქმედო გეგმა და თვითმმართველობის პორტფოლიო. სკოლის მოსწავლეებმა განახორციელეს შემდეგი პროექტები: საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვა, რომელშიც ჩართული იყო სასკოლო თემი და დაინტერესებული პირები; გამოფენა ,,შემოდგომის ფერები'', ეზოს გამწვანება სახელწოდებით ,,ხეები დედამიწისთვის“ და სხვა.

განხორციელდა ღონისძიება მოწვეულ სპეციალისტებთან, კერძოდ , შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში კინოლოგ-ცხოველთა უფლებადამცველთან ; სოფლის ექიმთან ერთად განხორციელებული აქტივობა-პირველადი დახმარების გაწევისა და ვირუსული ინფექციების შესახებ ინფორმაციის მიწოდება; საბუნებისმეტყველო საგნების მიმართ მოსწავლეთა დიდი ინტერესის გამოსკოლამ განახორციელა ექსკურსია თავისუფალ უნივერსიტეტში და კოკაკოლის ქარხანაში.

სკოლაში განხორციელდა სასკოლო პროექტი ,,ჯანსაღი ცხოვრების წესი''საკლასო პროექტები: „იყავი ნამდვილი მკითხველი“,“ნაადრევი ქორწინება ჩემს თემში“.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ევროპის სასკოლო სპორტის კვირეულის ფარგლებში ჩატარდა სპორტული აქტივობები მშობელთა მონაწილეობით.

მოსწავლეთა ინიციატივების წახალისება ხდება მატერიალური ფორმით; სიგელებით, საჩუქრებით, საკანცელარიო ნივთებით.

საკლასო სივრცეში გამოფენილია მოსწავლეთა ნამუშევრები. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ ჩანს, თუ როგორ, რა მექანიზმებით ხდება მოსწავლეთა, მშობელთა და დაინტერესებულ პირთა უკუკავშირის საფუძველზე მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესება.

კლასის დამრიგებლის პორფოლიოს სადამრიგებლო გეგმა ითვალისწინებს საკლასო პროექტებს. დამრიგებლები აკეთბენ უკუკავშირს, რეფლექსიებს განხორციელებულ აქტივობებზე, წერენ განმავითარებელ კომენტარებს მოსწავლეებზე. მოსწავლეები აკეთებენ თვითშეფსებას . სკოლაში ჩატარდა ანკეტური გამოკითხვები კლასის ხელმძღვანელების მუშაობის შესაფასებლად. მშობლები მონაწილეობას იღებენ ელექტრონულ გამოკითხვაში(ფორმსის კითხვარები)

სკოლის დირექცია ხელს უწყობს მასწავლებლებსა და მოსწავლეებს არაფორმალური აქტივობების განხორციელებაში. აწვდის მუდმივად ინფორმაციას საგანმანათლებლო პროექტებსა და პროგრამებზე (Easmus+, Flex, ).

სკოლა გამოხატავს მზაობას ხარისხის გაუმჯობესების მიზნით შეფასება და უკუკავშირი აქციოს სამოქმედო გეგმის მოქმედ მიმართულებად და გამოიყენოს მომსახურების გასაუმჯობესებლად. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ეფექტური ტრანზაციისა და აკადემიური პროგრესის უზრუნველყოფის დოკუმენტის პროექტი,
საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი,
ადამიანური რესურსების მართვის მექანიზმი,
მომავალი პირველკლასელთათვის ჩატარებული აქტივობის რეფლექსია,
ინკლუზიური განათლების პროგრამა და დებულება,
პროექტები, ფოტო მასალა , პროექტის რეფლექსიები,

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება**

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლას აქვს პროფესიული ორიენტაციის დაგეგმვის და კონსულტირების წესი, რომელიც განსაზღვრავს სკოლის მოსწავლეებისათვის კარიერული მხარდაჭერისა და პროფორიენტაციის ღონისძიების დაგეგმვის წესს. სკოლა გამოხატავს მზაობას მისცეს მოსწავლეებს საკუთარი შეესაძლებლობების გამოვლენის შესაძლებლობა და დაეხმაროს საკუთარი პროფესიული საჭიროებების განსაზღვრაში, მიაწოდოს მშობლებსა და ბავშვებს პროფესიების შესახებ ინფორმაცია. წესი ითვალისწინებს კონსულტირების ორ ეტაპს: კარიერული დაგაგმვის კონსულტაციას და ფსიქოლოგიურ კონსუტაციას. წესში არ არის დაზუსტებული პასუხისმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნული პროცესის განხორციელებას. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

2. სკოლა საინფორმაციო შეხვედრებით პოპულარიზაციას უწევს რეგიონში არსებულ საგანმნათლებლო დაწესებულებებს, განხორციელდა საინფორმაციო ექსკურსია სხვადასხვა საგანმნათლებლო დაწესებულებებში და სკოლა გეგმავს აქტივობების გაფართოებას. პროფესიების გაცნობის მიზნით მოსწავლეებმა განახორციელეს ვიზიტი გორის ერისთავის სახელობის სახელმწიფო თეატრში; პროფესიულ კოლეჯი „განთიადში“ გორის თავდაცვის აკადემიაში; გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში; გორის სამხატვრო სკოლაში და თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ლაბორატორიებში.

სკოლა აპირებს კოლეჯებსა და უმაღლეს სასწავლებლებთან თანამშრომლობის გაფართოებას. ასევე გეგმავს სხვადასხვა პროფესიების პოპულარიზაციას. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

3.სკოლაში დანერგილია ანგარიშვალდებულების სისტემა, რომელიც ითვალისწინებს სტრუქტურული ერთეულების ანგარიშის მიწოდებას სკოლის დირექციისათვის. სკოლა ასევე აწარმოებს მშობლთა მოსწავლეთა გამოკითხვას კარიერული განვითარების შესაძლობების აქტივობების შესახებ. გამოკითხვა წარმოებს ელექტრონულ კითხვარების საშუალებით და იგი ანონიმურია . მიღებული ინფორმაციის დამუშავების შემდეგ გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით ხდება აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
დასტურდება (მტკიცებულებები):
მემორანდუმი კოლეჯთან,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აქტივობების რეფლესიები; ვიზუალური დათვალიერება
საკოლო საზოგადოების გამოკითხვის მასალები.

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას**

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.დოკუმენტი, ინკლუზიური პროგრამა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის ითვალისწინებს მათთვის საჭირო განსახორციელებელ ღონისძიებების ჩამონათვალს, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შინაარს, შემუშავების მეთოდსა და ფორმირების ეტაპებს, ისგ ჯგუფის შემადგენლობასა და მოკლე სამუშაო აღწერილობას. დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით შექმნილია ისგ ჯგუფი კანონის შესაბამისად. სკოლას აქვს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა. ბრძნებით დამტკიცებულია ინკლუზიური განათლების მონიტორინგის ჯგუფი. სკოლას ჰყავს სპეციალური მასწავლებელი. მულტიდისციპლინური გუნდის მიერ დასკვნის დაწერის საფუძველია მოსწავლის მშობლის მიმართვა.

სკოლა თანაბრად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესს, რომლის ფარგლებშიც ყველა მოსწავლისთვის მოხდება განათლების ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით მიღება. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

2. წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა , რომ სკოლაში ირიცხება 16 სსსმ მოსწავლე, მათ შორის 1 შშმ მოსწავლეა, მოსწავლეებს ემსახურება 4 სპეციალური მასწავლებელი და 2 სპეც. მასწავლებლის ასისტენტი, რომელებიც მუშაობენ ინდივიდუალური გრაფიკით. შექმნილია ისგ ჯგუფი და შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც მორგებულია მოსწავლის შესაძლებლობებსა და საჭიროებებზე. ისგ.ჯგუფი ერთმანეთს ხვდება წელიწადში ოთხჯერ. მშობელთან კომუნიკაცია შვილის აკადემიური უნარების შესახებ ხდება, როგორც პირისპირ, ისე სატელეფონო საუბრებით. მასწავლებლები წერენ მოსწავლეზე განმავითარებელ შეფასებას და ახორციელებენ ინდ. გეგმის მონიტორინგს შესაბამისი ფორმით. ასევე, შეხვედრებზე იხილავენ მოსწავლის შედეგებს, სასწავლო პროცესში ჩართულობას სახავენ გრძელვადიან და მოკლევადიან გეგმებს. საინტერესოა რომ მოსწავლეები გარდა იმისა რომ გადიან სავალდებულო პროგრამას, დაკავებულნი არიან ხელსაქმითაც, ქმნიან ნამუშევრებს და აწყობენ გამოფენებს. აღნიშნული გარემოება ხელს უწყობს მოსწავლეთა ინტეგრაციას სასკოლო საზოგადოებაში. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ინკლუზიური პროგრამა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინკლუზიური განათლების პროგრამა და დებულება ,
ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა. ,
მონიტორინგის ჯგუფის შექმნის ბრძანება,
მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა.
მოსწავლეთა ნამუშევრები
მასწაველებლის მიერ პროგრესის შეფასების ფორმა
შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.
-

☒შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (კვების სერვისი,ტრანსპორტირების სერვისი) განხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების საფუძველზე. ამ ეტაპზე სკოლა სთვაზობს 2კმ-ზე მეტ მანძილით დაშორებით მცხოვრებ მოსწავლეებს სატრანსპორტო მომსახურებას. სულ ხორციელდება 1 მიმართულებით მარშრუტი „ კარალეთის დევნილთთა დასახლება - სსიპ -ქალაქ გორის N 5 საჯარო სკოლა“. დღეში 5 რეისი. ამ მომსახურებას ახორციელებს ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაცია, რომელსაც გორის მუნიციპალიტეტის მერიასთან უფორმდება შესამისი ხელშეკრულება. (იხ. დანართი ტრანსპორტირების ტაბელი) უნდა ავღნიშნოთ , რომ სკოლა აცხადებს მშობლთა თანხმობის შემთხვევაში კანონის დაცვით მოიძიოს შესაბამისი ორგანიზაცია ან ინდ. მეწარმე და აამოქმედოს კვების ბლოკი. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, გორის მუნიციპალიტეტსა სატრანსპორტო ორგანიზაციას შორის დადებული ხელშეკრულება განსაზღვრავს ორივე მხარის ვალდებულებებს მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით.ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ტაბელი - დევნილთა დასახლება - გორის N5 საჯარო სკოლა

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა

☒შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

**ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი - დაწყებითი საფეხური** | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.4** | ☐ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სახელმწიფო ენა**

სკოლის მიერ შემუშავებული „კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიიდან“ ირკვევა, რომ კათედრის კურიკულუმების ჩარჩო ჩამოყალიბდა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის გამოცდილების გაზიარებისა და გაანალიზების შედეგად . ამას ადასტურებს მათ მიერ წაარმოდგენილი დოკუმენტაციაც (კერძოდ, სტრატეგიული დაგეგმარების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მეთოდოლოგია,თვითშეფასების ფორმა,კათედრის ოქმი..). ჩანს, რომ კურიკულუმის შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართვა ხორციელდება მშობლებთან, სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებთან სოციალური მედიის, ელ. ფოსტის, ბეჭდვითი მასალების, საჯარო ღონისძიებების და სხვა საშუალებების გამოყენებით.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

**მათემატიკა**

სკოლის მიერ შემუშავებული „კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიიდან" ირკვევა,რომ მათემატიკის მიმართულებით კურიკულუმის შემუშავების პროცესის ნაწილი იყო კათედრებზე მასწავლებლების მიერ ინდივიდუალური ხედვის წარდგენა, კოლეგებთან ერთად განხილვა, უკუკავშირი, გასული წლების გამოცდილების გაზიარება და შეჯერება საბოლოო ვერსიაზე. ასევე სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებთან: რამდენიმე შემთხვევაში მშობლებთან და თითქმის ყველა მოსწავლესთან კონცეპტუალური იდეების განხილვა, გამოწვევებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირების მიზნით. სამივე საფეხურზე კურიკულუმის განვითარების მიზნით, ასევე სასწავლო პროცესის გასამრავალფეროვნებლად იყენებენ მათემატიკის პედაგოგის მიერ შექმნილ learningapps.org-ის ელ. რესურსებს.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

**უცხოური ენები**

სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის განვითარებისა და შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც გაწერილია სასკოლო საზოგადოების წევრების როლი, ფუნქცია-მოვალეობები კურიკულუმის შემუშავებისას. ასევე, თვითშეფასების ფორმაში აღწერილია რომ სკოლა დიაგნოსტიკური შეფასებების, კომპლექსური დავალებების, ,,მშობლის ბარათებისა" და კათედრაზე ერთობლივი მუშაობით ითვალისწინებენ სასკოლო საზოგადოების ინტერესებს. ამის დასტურად შესაძლოა მივიჩნიოთ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, სადაც გაწერილია სასკოლო საზოგადების ფუქცია-მოვალეობები და ასევე, წარმოდგენილი ,,მშობლის ბარათები". თუმცა, უმჯობესი იქნება სკოლამ შეიმუშავოს კურიკულუმის განვითარებისა და შემუშავების მეთოდოლოგიაც ცალკე დოკუმენტად.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

სსიპ -ქალაქ გორის #5 საჯარო სკოლის მიერ წამოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის ჩანაწერებით და სკოლის მიერ შემუშავებული „კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიიდან“ შეიძლება დავასკვნათ, რომ დაწესებულებას გათვალისწინებული აქვს სასკოლო საზოგადოების ინტერესები, ხედვები, აგრეთვე შესაძლებლობისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობები. ამას ადასტურებს ვიზიტის დროს დაწესებულების საბუნებისმეტყველო კათედრის პედაგოგებთან ინტერვიუების საფუძველზე მიღებული ინფორმაცია და კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის რიგი ჩანაწერები, რომელსაც მათივე თქმით ერთიან დოკუმენტის ფორმას მისცემენ მომავალი სასწავლო წლისთვის.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

**ესთეტიკური აღზრდა**

თვითშეფასების ფორმაში ვკითხულობთ, რომ სკოლა ჩართულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში, აქვთ კურიკულუმების შექმნის გამოცდილება, რომელშიც ჩართულია სასკოლო საზოგადოება.

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში ვკითხულობთ: კურიკულუმის შემუშავება გულისხმობს მომდევნო სასწავლო წლის სასწავლო პროგრამის და მისი რეალიზებისთვის საჭირო აქტოვობების განსაზღვრას. ამ პროცესში კათედრის ყველა მასწავლებელი ერთვება. პედაგოგები უნდა შეთანხმდნენ შემდეგ საკითხებზე:

• რომელ თემებს ასწავლიან მომდევნო სასწავლო წელს (იმ საგნებში, სადაც თემები სავალდებულოდ არ არის განსაზღვრული)

•რა ქვესაკითხებსა და საკითხებს ასწავლიან თემის ფარგლებში სამიზნე ცნებების გასააზრებლად, საფეხურის შედეგების მისაღწევად

•რა კომპლექსურ დავალებებს იყენებენ თემის ფარგლებში გამოკვეთილი საკითხებისა და ქვესაკითხების გასააზრებლად

•რა ძირითად და დამხმარე რესურსებს იყენებენ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში

•რა შეფასების ინსტრუმენტებს გამოიყენებენ მოსწავლეების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისთვის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

•რა მექანიზნებით შეისწავლიან სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მიმდინარეობას.
კურიკულუმს გეგმავს მთელი კათედრა და არა ერთი მასწავლებელი (მაგალითად, თუკი კათედრაზე 5 მუსიკის ან ხელოვნების მასწავლებელია ყველა მათგანი ერთსა და იმავე კურიკულუმზე თანხმდება).
მომავალი წლისათვის იგეგმება მშობელთა და მოსწავლეთა ინტერესების კვლევა და მათი ასახვა კურიკულუმში.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

**სპორტი**

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებშიც ნათლად ჩანდა ,ინტერვიუს დროსაც აღნიშნეს პედაგოგებმა, რომ სკოლის და მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებით გეგმავენ და კათედრაზე კოლეგიალურად ამუშავებენ კურიკულუმებს. მათ გამოთქვეს მზაობა, რომ სამომავლოდ კურიკულუმის შემუშავების პროცესებში მეტად ჩართული იქნება სასკოლო საზოგადოება. ( მშობელი, მოსწავლე, მასწავლებელი, დირექცია)..
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

**ტექნოლოგიები**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას და კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლების მიერ შემუშავებული კურიკულუმები არის მოსწავლეზე ორიენტირებული, შემუშავებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით. გათვალისწინებულია მოსწავლეთა და სასკოლო საზოგადოების ინტერესები. სკოლის თვითშეფასების კითხვარში სკოლა გეგმავს,, 2023-2024 სასწავლო წლის დასაწყისში, სასკოლო საზოგადოების უფრო მეტად ჩართულობის მიზნით, გამოვიკვლიოს მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები, დამოკიდებულებები" სასწავლო კურიკულუმზე მუშაობისას. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში სხვა კათედრებთან აქტიურად თანამშრომლობენ. ითვალისწინებენ ერთმანეთის მოსაზრებებს, გამოცდილებებს, მოსწავლეთა საჭიროებებსა და სასკოლო საზოგადოების ინტერესებს. წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზის და ინტერვიუს შემდეგ გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც მოსწავლე განიხილება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კონკრეტული გამოცდილების, ინეტერესებისა და ხასიათის მქონე ინდივიდად, რომელიც თავად არის საკუთარი ცოდნის მწარმოებელი და სწავლის პროცესის წარმმართველი. სიღრმისეული სწავლის უზრუნველყოფა ხორციელდება სწავლების კონსტრუქტივისტული ფილოსოფიით, კერძოდ, კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნა, სასწავლო მასალის ეტაპობრივად მიწოდება, ახალი საკითხების, ცნებების საფუძვლიანად და განსხვავებულ კონტექსტებში განხილვა, საგანთაშორისი კავშირების გამოვლენა და საერთო ასპექტების დამუშავება.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

**საზოგადოებრივი მეცნიერებები**

სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, დოკუმენტში გაწერილია პასუხისმგებელი პირების საქმიანობა. აღნიშნულია, რომ სასკოლო საზოგადოების წევრების ინტერესების, შეხედულებებისა და პრიოტიტეტების გათვალისწინებით უნდა გადამუშავდეს კურიკულუმი, მთელი წლის განმავლობაში დაგროვებული მონაცემების საფუძველზე. სკოლას გააჩნია შესაბამისი პრაქტიკა და მომავალშიც გეგმავს ამ მიმართულებით სასკოლო საზოგადოების წევრებთან აქტიურ თანამშრომლობას. კათედრა ახერხებს სკოლის ძირითადი პრიორიტეტების გაანალიზებას და წინა წლების გამოცდილებით ახალი მიზნების დასახვას სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

**2..სახელმწიფო ენა**

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან (სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია; თვითშეფასების ფორმა,მშობლის ბარათი.) და გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ კათედრა კურიკულუმის შედგენისას ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესებსა და შეხედულებებს, პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმს შეიმუშავებენ თანამშრომლობით, სასკოლო საზოგადოების წევრთა გამოკითხვა-ანალიზის ,გამოცდილების გაზიარების საფუძველზე. როგორც თავად აღნიშნეს,აქტივობები და დავალებები შერჩეულია მოსწავლეთა საჭიროებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე.სწავლისა და პიროვნული ზრდის მხარდაჭერისთვის, როგორც ფორმალური ,ისე არაფორმალური კუთხით. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**მათემატიკა**

პედაგოგებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ ისინი ცდილობენ პოზიტიური, სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერაზე ორიენტირებული სასკოლო კულტურის შექმნას; მოსწავლეზე ორიენტირებული, საფეხურის პროგრამების კურიკულუმში ასახვას; მოსწავლის სწავლის შედეგების ანალიზს; განმავითარებელი შეფასების სისტემის დახვეწას; არაფორმალური განათლების ხელშეწყობას; მშობლის ბარათებით მშობელთა ინფორმირებას თუ რისი სწავლა უწევთ მათ შვილებს - ეს ყველაფერი ბუნებრივად უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ყველა ინტერესების კურიკულუმში ასახვას. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

**უცხოური ენები**

დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები რასაც მოწმობს წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები. გარდა ამისა, ინტერვიუს დროსაც ახსენეს რომ მასწავლებლებს ხანდახან უხდებოდათ კომპლექსური დავალების პირობის შეცვლა მშობელთა უკუკავშირის საფუძველზე. ინტერვიუს დროს, ასევე ახსენეს რომ მათ იციან და ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს კომპლექსური დავალების შემუშავების დროს, ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები სსიპ ქალაქ გორის #5 საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის საგანთა კათედრასთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავების დროს გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის ინტერესები, აღმოჩნდა, რომ სკოლას აქვს გარკვეული გამოცდილება და ასევე თვითშეფასების დოკუმენტში არის წარმოდგენილი დამრიგებლის და ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, სასკოლო პროექტის დოკუმენტაცია და სხვა, სადაც იკვეთება, რომ დაწესებულება ითვალისწინებს მოსწავლეთა და მშობლების ინტერესებს, მასწავლებლების ინიციატივებს და წინადადებებს. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას და კათედრას გააზრებული აქვთ ამ საკითხის მნიშვნელობა.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

**ესთეტიკური აღზრდა**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლები ხვდებიან მშობლებს, აცნობენ წლის სამუშაო გეგმას, ახდენენ ზოგადი პრობლემების იდენტიფიცირებას, ითვალისწინებენ მათ მოსაზრებებს და ადგენენ სადამრიგებლო პროგრამებს. სასწავლო გეგმა მოიცავს როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ განათლებას, ღონისძიებებს, პროექტებს. სკოლას აქვს მზაობა, სამომავლოდ, კურიკულუმში უფრო მეტად ასახოს მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები.

პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სკოლას ერთგვარ ტრადიციად აქვს, ყოველ პარასკევს, მშობლებთან შეხვედრა. მოდიან მშობლები, ეცნობიან მიმდინარე პროცესებს, ხვდებიან პედაგოგებს და ჩართული არიან სასკოლო ცხოვრებაში. მათი ინტერესი განსაკუთრებით გამოიხატება ღონისძიებებში, სადაც ისინი განსაკუთრებით აქტიურად გამოხატავენ საკუთარ ინტერესებს.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

**სპორტი**

გასაუბრებიდან და გამოგზავნილიდან გამომდინარე კურიკულუმი შერჩეულია მრავალფეროვანი სასწავლო თემებით, გათვალისწინებულია მოსწავლეთა და სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

**ტექნოლოგიები**

კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სწავლა-სწავლების პროცესში, საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა-წარმართვის დროს აქტიურად ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებას-შესაძლებლობას, მათ ინტერესებს, მოტივაციასა და წინარე გამოცდილებას. აქვთ აქტიური კომუნიკაცია მშობლებთან. აღნიშნეს, რომ სასკოლო საზოგადოების ინტერესები გათვალისწინებულია სასკოლო კურიკულუმების ჩამოყალიბებისას. პედაგოგები მიიჩნევენ, რომ წლის მანძილზე განხორციელებული რეფლექსიები, მიგნებები და სასწავლო პროცესის ანალიზი არის სწორედ ის , რაც კურიკულუმს განავითარებს. კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლები იაზრებენ, რომ მოსწავლე სასწავლო პროცესის მთავარი სუბიექტია და მისი ჩართულობა კურიკულუმში კარგად დაგეგმილი და მიმდინარე სასწავლო პროცესის წინაპირობაა. მოსწავლის ცოდნა, გამოცდილება, კომპეტენციები, ინტერესები კი სწავლის ფუნდამენტია.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

**საზოგადოებრივი მეცნიერებები**

მასწავლებლებთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ წლის ბოლოს, ატარებენ სასკოლო საზოგადოების გამოკითხვას აღნიშნულ მტკიცებულებებს იყენებენ მომავალი წლის კურიკულუმის შექმნის პროცესში. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სწავლა-სწავლების პროცესში, საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა-წარმართვის დროს აქტიურად ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს - შესაძლებლობებს, მათ ინტერესებს, მოტივაციასა და წინარე გამოცდილებას. აქვთ აქტიური კომუნიკაცია მშობლებთან. მათ მოსაზრებებსა და შეხედულებებს ასახავენ ახალ კურიკულუმში. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

**3.. სახელმწიფო ენა**

ატვირთული დოკუმენტაციიდან(სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია; თვითშეფასების კითხვარი,მშობლის ბარათი) და მასწავლებლებთან გასაუბრებიდან გამომდინარე, ირკვევა, რომ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები შემუშავებულია კათედრის ერთობლივი მუშაობის საფუძველზე, გასაუბრების დროს აღნიშნეს,რომ ითვალისწინებენ მოსწავლეების , მშობლების უკუკავშირს.სკოლას აქვს მზაობა , რომ ჩართონ სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები მეტი აქტიურობით კურიკულუმის შემუშავების პროცესში.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

**მათემატიკა.**

სასკოლო საზოგადოების წევრები აქტიურად მონაწილეობენ კურიკულუმის შემუშავების პროცესში, მათ ჩართულობას ფორმალური და ფრაგმენტული სახე არ აქვს. გააზრებული აქვთ, რომ კურიკულუმის შემუშავება ციკლური პროცესია და მასში ჩართულობა გულისხმობს მთელი წლის მანძილზე მიმდინარე პროცესებში თანამონაწილეობას. კურიკულუმის მიმდინარე ვერსია, რომელის ავტორიზაციის პროცესში წარმოადგინეს, გასაუბრებით დადასტურდა, რომ იყო გაზიარებული და შეთანხმებული. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უცხოური ენები თვითშეფასების ფორმაში წარმოდგენილი აქვთ რომ ქოუჩებთან ერთად შეიმუშავეს კურიკულუმები, გაუზიარეს მშობლებს ,,მშობლის ბარათები“, შექმნეს სადამრიგებლო პროგრამა სადაც გათვალისწინებული იქნება ასევე სასკოლო საზოგადოების ინტერესები. ინტერვიუს დროსაც, აღინიშნა რომ კურიკულუმის შემუშავებაში მონაწილეობდნენ მშობლები და კათედრის წევრებიც. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები სსიპ ქალაქ გორის #5 საჯარო სკლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით ბუნებისმეტყველების საგნობრივი კურიკულუმების შემუშავების პროცესსი ჩართული იყო კათედრის წევრები I, II, II, IV, V, VI კლასების ბუნებისმეტყველების მასწავლებლები, მშობლები, სკოლის ადმინისტრაცია. ეს დადასტურდა გასაუბრების პროცესსიც, სადაც აღინიშნა, რომ ბუნებისმეტყველების კურიკულუმების შექმნაში აქტიურად იყო ჩართული და თანამომაწილეობდნენ როგორც კათედრის წევრები, ასევე სკოლის მშობლები და ადმინისტრაცია.

ტარდებოდა მიზნობრივი დაგეგმილი შეხვედრები სკოლაში, სადაც განიხილებოდა კურიკულუმების შექმნის პრონციპები, მოსწავლეთა საჭიროებები და მათი სურვილები. ასევე ანისნს რომ ყოველივე ამას ხელი შეუწყო მასწავლებელთა კათედრის წევრების აქტიურმა ჩარტულობამ ქოუჩინგის პროცესებში და სხვადასხვა ტრენინგებში. კლასის ხელმძღვანელების დახმარებით მშობლები ჩართულები არიან ბუნებისმეტყველების კურიკულუმების შექმნაში. დაწესებულებას გაცნობიერებული აქვს მომავალში როგორ იქნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობა არა მარტო ბუნბისმეტყველების საგნობრივი კურიკულუმის, არამედ სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში. გასაუბრებისას გამოიკვეთ, რომ სკოლის სასკოლო საზოგადოება წარმოადგენს ერთიან გუნდს, რომელიც წარმართავს კურუკულუმის სემუშავების პროცესს. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

**ესთეტიკური აღზრდა**

სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების წინარე გამოცდილება. ყველა საგნის პედაგოგებმა ქოუჩებთან ერთად შეიმუშავეს საგნობრივი კურიკულუმი, რომელიც მიჰყვება საგნის თემატიკას და ჩაშენებული აქვს კომპლექსური დავალებები.

პედაგოგებმა, ინტერვიუს დროს, აღნიშნეს, რომ კათედრა აქტიურად თანამშრომლობს ერთმანეთთან, განიხილავენ კურიკულუმებს და შეთანხმებულად ადგენენ მომავალი წლის გეგმას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სამომავლოდ, აპირებენ მოახდინონ სასწავლო პროცესის ანალიზი, კურიკულუმის რეფლექსია, გაითვალისწინონ მოსწავლეთა და მშობელთა უკუკავშირი და შექმნან სასკოლო საზოგადოებაზე მორგებული და მათ მიერ შემუშავებული კურიკულუმი. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

**სპორტი**

ინტერვიუს მსვლელობისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია მთელი კათედრა და ერთობლივად გეგმავს სკოლაზე და მოსწავლეებზე ორიენტირებულ სასკოლო გეგმებს და აქტივობებს. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

**ტექნოლოგიები**

დოკუმენტაციაში შეინიშნება, რომ კურიკულუმების შემუშავების პროცესში აქტიურად თანამშრომლობდა ერთმანეთთან თითოეული კათედრა და სკოლის ადმინისტრაცია, იგივე გამოიკვეთა მასწავლებლებთან ინტერვიუების დროსაც, მაგრამ აუცილებლად საჭირო იქნება დამატებითი აქტივობების დაგეგმვა სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების ჩასართველადაც კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესებში.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

საზოგადოებრივი მეცნიერებები ინტერვიუს დროს გამოიკვეთა კურიკულუმების შემუშავების პროცესში თითოეული კათედრის და სკოლის ადმინისტრაციის აქტიური თანამშრომლობა. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის წევრმა მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივი კურიკულუმის შედგენისას ისინი ერთობლივად მუშაობდნენ, ითვალისწინებდნენ სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებს, მოსწავლეთა წინარე ცოდნას, ინტერესებსა და საჭიროებებს. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

**4.სახელმწიფო ენა**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან( სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია; თვითშეფასების კითხვარი,მშობლის ბარათი)და პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა , რომ შემუშავებულ კურიკულუმებს უზიარებენ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

როგორც კათედრებს,ასევე მშობლებს სხვადასხვა საშუალებით-სოციალური მედიის, ელ. ფოსტის, ბეჭდვითი მასალების, საჯარო ღონისძიებების და სხვა საშუალებების გამოყენებით. რაც მათ ჩართულობას ზრდის . წინარე გამოცდილებიდან გამომდინარე აღნიშნეს, რომ ეს მიღებული პრაქტიკაა და გაითვალისწინებენ მომავალ წელსაც,

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

**მათემატიკა**

ყველა პედაგოგს აქვს მიკუთვნებულობის განცდა სასკოლო კურიკულუმის მიმართ, როგორც ყველას პროდუქტი - ასე აღიქვამენ. სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა თითეული მათგანისათვის, აღნიშნეს რომ აქვთ ამობეჭდილიც კათედრაზე. კურიკულუმის საბოლოო ვერსიებს აცნობენ მოსწავლეებსაც და მშობლებსაც.ისმენენ რეკომენდაციებსაც

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

**უცხოური ენები** შემუშავებული კურიკულუმები გაზიარებული იყო სკოლის one drive_ზე, ასევე teams და მესენჯერის საშუალებით მოხდა კომპლექსური დავალებების ბარათების გაზიარება მშობლებისთვის. გარდა ამისა, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში წარმოდგენილია როგორ მოხდება სასკოლო საზოგადოებისათვის კურიკულუმის გაზიარება.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

ამჟამად არსებული საგნობრივი კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებითვის.პედაგოგების მიერ მიწოდებული კომპლექსური დავალებების მშობელთა ბარათებში დეტალურად ჩაშლილი ინსტრუქციები სრულ წარმოდგენას უქმნის მათ,თუ რა ტიპის სამუშაოს შესრულება უწევთ მათ შვილებს .სკოლის სოციალურ სივრცეში განთავსებული მასალები მისაწვდომია და უფრო მეტად შეუწყობს ხელს კურიკულუმის საზოგადოებისათვის გაზიარებას.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

**ესთეტიკური აღზრდა**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგნობრივი კურიკულუმები განთავსებულია სკოლის onedrive -ზე, თიმსის და მესენჯერის ჩათების საშუალებით ზიარდება კომპლექსური დავალების ბარათები, რაც ხელს უწყობს მშობლების ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში.
სკოლა სამომავლოდ გეგმავს კურიკულუმები და მისი დამხმარე მასალები (მისია, ხედვა, საგნობრივი პროგრამები, სადამრიგებლო საათის პროგრამა, ფორმალური და არაფორმალური სწავლების სხვადასხვა საშუალებები - გახადოს ხელმისაწვდომი, რათა სასკოლო საზოგადოების წევრებს ჰქონდეთ მიკუთვნებულობის განცდა.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

**სპორტი**

შექმნილ კურიკულუმებს, ფესტივალების მოწყობით და საერთო სასკოლო აქტივობებში ჩართულობით, იზიარებს სასკოლო საზოგადოებაც.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

**ტექნოლოგიები** დოკუმენტაციის გაცნობისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა, რომ სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი ელექტრონული საკომუნიკაციო არხები: ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა, სოციალური მედია და ა.შ.
თვითშეფასების კითხვარში კი ვკითხულობთ, რომ ,,საგნობრივი კურიკულუმები განთავსებული და გაზიარებული იყო სკოლის onedrive-ზე, ასევე თიმსში და მესინჯერის ჩატების საშუალებით ვაზიარებთ ,,კომპლექსური დავალების ბარათებს“ მშობლებისათვის, რაც ხელს უწყობს მშობელთა ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში”.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

**საზოგადოებრივი მეცნიერებები**

სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით, სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი ელექტრონული საკომუნიკაციო არხები- ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა, სოციალური მედია, teams-ის პლატფორმა და ა.შ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
•სსიპ გორის N5 საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
•სსიპ გორის N5 საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
•კურიკულუმის შემუშავების პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტები/აქტივობები/მასალა.
•დანართი 2 - რესურსების ბანკი;
•კათედრის შეხვედრის ოქმები.
•თვითშეფასების ფორმა
•დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები
•კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
•სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია
•სასკოლო–სასწავლო გეგმა
დანართი 1 ინკლუზია
მასწავლებლებთან, კათედრასთან გასაუბრება
•ფესტივალის, სასკოლო პროექტებში ანუ შიდასასკოლო კონფერენციებში მონაწილეობისა და სხვა აქტივობების ამსახველი ფოტო-მასალა.

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა

☒შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2.კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სახელმწიფო ენა**

დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი თემები, მრავალფეროვანი რესურსები და დავალებები, შეუქმნის მოსწავლეებს საკუთარი შესაძლებლობის გამოვლენისა და თვითრეალიზების საშუალებას. მასწავლებლებმა კი გასაუბრებისას აღნიშნეს,რომ ახორციელებენ კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომლებსაც არჩევენ სასწავლო პროცესში



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, საჭიროებების გათვალისწინებით.ძირითადად ამახვილებენ ყურადღებას დავალებებზე,რომლებიც იქნება, როგორც საინტერესო და მამოტივირებელი მოსწავლეებისთვის, ისე ცოდნა-უნარის მრავალმხრივ განვითარებას შეუწყობს ხელს(მაგალითად,ილუსტაციების შექმნა, წარმოსახვითი წერილის მიწერა, მოთხრობის გაგრძელება) .კურიკულუმის ჩარჩოს გაცნობისა და მასწავლებლებთან გასაუბრებისდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ,რომ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს აქვთ მზაობა დაგეგმონ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

**მათემატიკა**

სკოლის მათემატიკის დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი ძირითადად სასწავლო პროცესზე ორიენტირებული პროგრამაა, რომელიც აჩვენებს, თუ როგორ ხდება მოსწავლის მიერ ცოდნის კონსტრუირება ამ საგანში, წარმოდგენილია შესაბამის თემები და საკითხები. უმჯობესია კურიკულუმების დიზაინი აგებული იყოს იმგვარად, რომ მარტივად ორიენტირება ხდებოდეს გრძელვადიან მიზნებზე: ამჟამად წარმოდგენილ კურიკულუმებში კარგი იქნება თუ სამიზნე ცნებებს მათემატიკური მოდელი, კანონზომიერება და ლოგიკა გადმოიტანენ წინა სვეტში, რადგან სკოლის მაღალ საფეხურებზე კურიკულუმების დიზაინში ეს ნიუანსი გათვალსიწინებულია, ჯობია ამ საფხურზეც შეიცვალოს და სკოლის მათემატიკის კურიკულუმები იყოს ერთნაირ ფორმაში აწყობილი. სამივე საფეხურზე უნდა მუშავდებოდეს აღნიშნული გრძელვადიანი მიზნები, ასევე ტექნიკურად გასასწორებელია მე-5 და მე-6 კლასის კურიკულუმებიც. ეს ყოველივე თუ იქნება გათვალისწინებული, ხელს შეუწყობს კათედრის წევრებს შორის ეფექტურ თანამშრომლობას. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ დოკუმენტებში თემების და შესაბამისი შუალედური მიზნების დასახელება არ ხდება ფორმალურად, ეს მასწავლებლებთან გასაუბრების დროსაც დაზუსტდა. პედაგოგებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ ძირითადად იყენებენ სანიმუშო მატრიცებს math.ge-დან, ამ მატრიცის ბოლოში კი ინტეგრირებულია ე. წ. პოლიას მეთოდით შემუშავებული კითხვები, რომლიც ეხმარება მოსწავლეს გაიაზროს რა გამოუვიდა კარგად, რატომ, რა იყოს ის ცოდნა და გამოცდილება, რამაც წარმატება მოუტანა, რა ვერ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეძლო, რას შეიძლებოდა ხელი შეეშალა და ა. შ. ეს კი მიუთითებს, რომ კათედრის წევრები იყენებენ მეტაკოგნაციის განვითარების სტრატეგიებს. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

**უცხოური ენები**

დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები ორიენტირებულია სწავლის პროცესზე, წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები და განხორციელებული ინტეგრირებული გაკვეთილები ცოდნის აქტიური კონსტრუირებისკენაა მიმართული. კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და მიმართულია მოსწავლის განვითარებისკენ. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები. დაწყებითი საფეხურის წარმოდგენილი ყველა კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმის განხილვისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგიდან გამოიკვეთა , რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ კურიკულუმი არის მოსწავლზე ორიენტირებული სწავლის პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზა და სწავლების პროცესში ორიენტირება ხდება მოსწავლთა შესაძლებლობების და საჭიროებების გათვალისწინება, რაც იკვეთება დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობებით, ვიზუალური მასალებით, რომლებიც თვალნათლივ ვიხილე სკოლაში ვიზიტისას.

მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ, რომ მოსწავლეთა რელევანტირუ სურვილების გათვალისწინება, თემის შესასწავლი საკითხების შესარჩევად, ერთერთი საუკეთესო გზაა მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლებისთვის, რის განხორციელების საშუალებაა გარკვეული ინსტრუმენტების მეშვეობით გაზომილ იქნას მათი სურვილები. როგორიცაა: დაკვირვება, გამოკითხვა და სხვა ინსტრუმენტები.

ამ ეტაპზე I, II, III, IV, V, VI კლასების ბუნებისმეტყველების საგნობრივი კურიკულუმის ყოველი განსახილველი საკითხი მიმართულია გრძელვადიანი მიზნის გააზრებისკენ და ეფუძნება ესგ ის სავალდებულო თემებს. რიგი საკითხების დამუშავებისთვის მოცემულია კონტექსტ მაგალითები, მაგალითები შედარებისთვის და კმპლექსური დავალების იდეა. გაწერილია შესაბამისი ძირითადი და დამხმარე რესურსები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ასევე კურიკულუმში იტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიები, რაც დასტურდება კომპლექსური დავალების ბარათებსა და მატრიცებში განთავსებული კითხვებით– „შეკითხვები რეფლექსიისთვის“ მოსწავლის შესრულებულ სამუშაოზე.

ივეთება მოსწავლეთა რელევანტური სურვილების გათვალისწინებაც, რაც უფრო მოქნილს ხდის კურიკულუმს.

კურიკულუმის ჩარჩოს შემუშავების კუთხით მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მისი შექმნისას გაითვალისწინეს წინა წლების გამოცდილება. გამოიკვეთა, რომ შექმნილი კურიკულუმის გადახედვისას გაითვალისწინებენ მიცემულ რეკომენდაციებს და შესაბამისად ახალ კურიკულუმში იქნება წინა წლის გამოცდილების გათვალისწინებით დავალებები, რომლებიც ყველაზე მეტად იქნება მორგებული მოსწავლეთა საჭიროებებს და მათი წარმატების მიღწევის საფუძველი იქნება.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

**ესთეტიკური აღზრდა**

დაწყებითი საფეხურის ესთეტიკის კათედრის - მუსიკის და ხელოვნების საგნის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, თემები და კომპლექსური დავალებები, ეყრდნობა მოსწავლეთა და პედაგოგთა წინა გამოცდილებას და პრაქტიკას, გათვალისწინებულია გრძელვადიანი სასწავლო მიზნები და შედეგები, მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, განისაზღვრება როგორც დაწყებითი საფეხურის მისაღწევი შედეგების ორიენტირი, რაც განაპირობებს მოსწავლის აქტიურ ჩართვას სწავლა სწავლების პროცესში. დავალებები გამოირჩევა შემდეგი მახასიათებლებით: ანალიზი, შედარება, დახარისხება, შეცვლა, აგება და დაშლა ნაწილებად. დაწყებით საფეხურზე ესთეტიკური აღზრდის საგნების კურიკულუმში შემუშავებულია ისეთი კომპლექსური დავალებები, რომლებიც მოსწავლეებს აძლევენ შინაგანი ძალების გააქტიურების საშუალებას და ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე.

მუსიკის საგნის პედაგოგმა ამ კუთხით განსაკუთრებით გამოარჩია მე-5 კლასის თემა ,,ზღაპრული სამყარო მუსიკაში“. ისაუბრა მოსწავლეებზე, რომლებისთვისაც თემის ფარგლებში შესრულებული კომპლექსური დავალება იყო ძალიან საინტერესო, სახალისო, შემეცნებითი.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**სპორტი** მასწავლებლიების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილი და მორგებულია მოსწავლეზე, ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზებზე .

სკოლიში ფიზიკური აღზრდაში დაწყებით საფეხურის 1-6 კლასის კურიკულუმებში, გაწერილი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები და დაგეგმილი კომლექსური დავალებები ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკური განვითარების, ორგანიზებისა და თვითკონტროლის და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დანერგვის მიღწევაზე. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

**ტექნოლოგიები** - კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლების მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო (II-დან VI კლასის ჩათვლით) წარმოადგენს მე-3 თაობის ესგ-ს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებსა და საშუალებებს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარებისათვის. კურიკულუმის ჩარჩო ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, საგნობრივი ჯგუფის მიერ შემუშავებულ კურიკულუმში შუალედურ მიზნებად მოაზრებულია სამიზნე ცნებები და მათი დამუშავებისთვის წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები (კომპლექსური დავალებების იდეები), რომლებიც შემუშავებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით და რომლებიც ხელს უწყობს ცოდნის ურთიერთდაკავშირებასა და ტრანსფერს, სააზროვნო უნარების გავითარებას, ცოდნის გამთლიანებას, ორგანიზებასა და ურთიერთადაკავშირებას კომპლექსურ პროდუქტის შექმნისას. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროსაც გამოჩნდა, რომ მათ გააზრებული აქვთ სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, მკვიდრი წარმოდგენების, საგნობრივი საკითხების, კომპლექსური დავალებების ერთმანეთთან ურთიერთმიმართება და კოლერაცია. მასწავლებლებს გააზრებული აქვთ საგნის სწავლა-სწავლების ძრითადი მიზნები. იყენებს სარეკომენდაციო რესურსებს.
წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში მუშავდება სტანდარტით გათვალისწინებული საგნობრივი მიმართულებები (კომპიუტერული ტექნოლოგიები, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და ციფრული წიგნიერება) და ასევე, ყველა სამიზნე ცნება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო პროცესისთვის რესურსების შერჩევის პრინციპი ეფუძნება სწავლის გრძელვადიანი მიზნებს. კურიკულუმის მიხედვით. სწავლება ეფუძნება მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და ცხოვრებისეული გამოცდილების გათვალისწინებას.

სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოში გამოიკვეთა, რომ ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/ მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები როგორც წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან ჩანს, სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეზე, რადგან გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და საჭიროებები. მასწავლებლების მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო დაწყებით საფეხურზე წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარებისათვის გზას. კურიკულუმის ჩარჩო ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, საგნობრივი ჯგუფის მიერ შემუშავებულ კურიკულუმში შუალედურ მიზნებად მოაზრებულია კომპლექსური დავალებები, რომლებიც შემუშავებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით და რომლებიც ხელს უწყობს ცოდნის ურთიერთდაკავშირებასა და ტრანსფერს, სააზროვნო უნარების განვითარებას, ცოდნის გამთლიანებას, ორგანიზებასა და ურთიერთადაკავშირებას კომპლექსურ პროდუქტის შექმნისას.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

2 სახელმწიფო ენა

კურიკულუმის შესწავლისას და გასაუბრებისას გამოიკვეთა ,რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, იცნობენ და იყენებენ საგნობრივ სტანდარტს კურიკულუმების შემუშავებისას და გამოიყენებენ მომავალში მათ დასახვეწად. შესაბამისად,კურიკულუმში წარმოდგენილი ზოგიერთი დავალებისთვის განსაზღვრულია მისაღწევი მიზნები ცნებების სახით.სანიმუშოდ მოცემული დავალებებიდან(მაგალითად,ილუსტაციების შექმნა, წარმოსახვითი წერილის მიწერა, მოთხრობის გაგრძელება),წარმოდგენილი სადამრიგებლო საათის პროგრამიდან ჩანს, რომ მასწავლებლები ითვალისწინებენ ისეთი უნარების განგანვითარებას, როგორიცაა მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გაზრდა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

,კომუნიკაცია,შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებას. გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ყურადღებას ანმახვილებენ სწავლის სწავლაზე .დავალების შესრულების შემდეგ მოსწავლეები საუბრობენ ,რა გამოუვიდათ კარგად,მსჯელობენ ,თავიდან რომ შეესრულებინათ დავალება,რას შეცვლიდნენ და რატომ.აღნიშნეს ,რომ ამ პრინციპით აპირებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვას.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

**მათემატიკა**

სკოლის დაწყებითი საფეხურის წლიური კურიკულუმები დაგეგმილია მათემატიკის საგნობრივი სტანდარტისა და გრიფირებული სახელმძღვანელოების მიხედვით, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, სასწავლო პროცესი დაგეგმილია სავალდებულო თემებით, რომლის ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი (პირველ და მეორე კლასში წარმოდგენილი არ აქვთ სრული დაგეგმარება, დააგემარებენ მას შემეგ რაც ახალ სახელმძღვანელოებს მიიღებენ). გარდა მე-4 კლასისა ყველგან ჩანს თუ რა საგნობრივ საკითხებს, კომლექსურ დავალებებს, თემებს, ძირითად რესურსებს, შეფასების ინსტრუმენტებს სთავაზობს სკოლა საკუთარ მოსწავლეებს პიროვნული განვითარებისთვის და ასევე ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად. (მე-4 კლასის ნაწილობრივი დაგეგმარებაში მიანც ჩანს, რომ აქვთ მზაობა, სრულად დაამუშაონ ამ კლასშიც კურიკულუმი, ასახონ შესაბამისი კომპლექსური დავალებები, საჭირო რესურსები და ა.შ.) პედაგოგთა მიერ ძირითადად გააზრებულია შედეგები, სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები გრძელვადიან მიზნებად, დასტურდება წარმოდგენილი კომპლექსური დავალების ბარათებით, სადაც გაწერილია მკვიდრი წარმოდგენებიც. ჩანს კორელაცია გრძელვადიან მიზნებსა და შეფასების ინსტრუმენტებს შორის. დასტურდება საგნობრივი კურიკულუმებით, კურიკულუმების ბოლოში მიბმული თემატური მატრიცებით, პედაგოგებთან გასაუბრებით. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

**უცხოური ენები**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული სამზინე ცნებები, საკითხები/ქვესაკითხები და კომპლექსური დავალებები მიემართება ესგ-ით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებსა და მკვიდრი წარმოდგენებს. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** ყველა კლასის კურიკულუმის ჩაჩო დაგეგმილია ესგ–ით განსაზღვრული სავალდებულო თემების მიხედვით. წარმოდგენილი დოკუმენტაციით მეტწილად სამიზნე ცნების და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდეგენების დამუშავება ხდება კომპლექსური დავალებების საშუალებით. ხოლო იქ სადაც არ არის განსაღვრული კომპლექსური დავალება თემის დამუშავება ხდება საკითხებით და საკითხთა კლასტერებით. კომპლექსური დავალებები შერჩეულია მოსწავლეთა ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებული საკითხების გათვალისწინებით. გაწერილი აქტივობები ხელს უწყობს ფუნქციური უნარების ( შემოქმედებითობა, თანამშრომლობა, პასუხისმგებლობა და სხვა) განვითარებას, რაც დასტურდება მოსწავლეთა მიერ შექმნილი შემოქმედები

თი პროდუქტებით. მატრიცებში გაწერილი აქტივობები სასურველია მეტად იძლეოდეს მოსწავლეთა საკუთარი აზრის დაფიქსირების და შესაბამისად კრიტიკული აზროვნების საშუალებას, რაც კიდევ უფრო მეტად ხელს შეუწყობს ფუნქციური უნარების განვითარებას. ჩანს რომ გამოყენებულია მაკროცნება კვლევა და მოსწავლეებს არაერთი კვლევითი სამუშაო აქვთ შესრულებული, რომელიც დასტურდება მოსწავლეთა ნამუშევრებით

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

რჩევა: კარგი იქნება შერჩეული აქტივობები მეტად იძლეოდეს საშუალებას მოსწავლეებმა შეძლონ საკუთარი აზრების დაფიქსირება და შესაბამისად კრიტიკული აზროვნების განვითარება.

**ესთეტიკური აღზრდა**

დაწყებითი საფეხურის მუსიკის და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმში განსაზღვრულია აუცილებელი თემები და თემატური ბლოკები. კურიკულუმის ჩარჩო და მასში წარმოდგენილი სამიზნე ცნება, რესურსები, კომპლექსური დავალების იდეები, იძლევა შესაძლებლობას განსაზღვროს მოსწავლის ჩართვა პროცესში, მიემართება ეროვნული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და ორიენტირდება ფუნქციურ კომპონენტური ექვსი უნარის დამუშავებისაკენ, მოსწავლეებისგან ავტომატურად ითხოვს ყველა ამ უნარის არა მხოლოდ აქტივირებას, არამედ წაახალისებს მათ გაცნობიერებას, გააზრებულობასა და სრულყოფას.

რამოდენიმე კლასის კურიკულუმში იყო უმნიშვნელო უზუსტობები. აღნიშნულ საკითხზე პედაგოგებთან შეხვედრის დროს ვისაუბრეთ და დავაზუსტეთ დეტალები. პედაგოგებმა გამოთქვეს მზაობა: სასწავლო წლის დაწყებამდე, კათედრაზე, კიდევ ერთხელ გადახედავენ კურიკულუმებს და შეიმუშავებენ საბოლოო ვარიანტს.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

**სპორტი**

სკოლის მიერ წარმოგდენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნები (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), სამიზნე ცნებები და შედეგები; ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

**ტექნოლოგიები**

კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას და ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხების ურთიერთმიმართებები, საგნის სწავლების მიზანი. კომპლექსური ბუნების დავალებები მიემართება კონკრეტულ ცნებებს, აღსანიშნავია, რომ მასწავლებლებს წარმოდგენილი აქვთ ორიგინალური, მის მიერ მოფიქრებული დავალებები, რომლებიც ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, გარდა ამისა, ინტერვიუს პროცესში და გადმოგზავნილი დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ კომპლექსურ დავალებებთან ერთად ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირებით სკოლაში ხორციელდება მრავალფეროვანი პროექტები, ინტეგრირებული გაკვეთილები, სხვადასხვა სახის ღონისძიებები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების გააქტიურებასაც.

ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ძალიან კარგად აღწერეს რამდენიმე უკვე განხორციელებულ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი, ეტაპები, აქტივობები, შუალედური დავალებები. ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები კომპლექსური დავალების დაგეგმვისას ითვალისწინებენ და გაითვალისწინებენ სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კურიკულუმის ჩარჩოსა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შემდეგ ვფიქრობ, რომ პედაგოგებს სრულიად აქვთ გააზრებული ის, რომ კომპლექსური ბუნების დავალებები ხელს უწმობს მოსწავლეს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას/ პრობლემის გადაჭრას მიუდგეს შემოქმედებითად, გუნდური მუშაობის დროს ჩამოუყალიბდეთ თანამშრომლობითი უნარები.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

**საზოგადოებრივი მეცნიერებები**

შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმი მიემართება ეროვნული-სასწავლო გეგმის გრძევადიან მიზნებს. გაწერილია სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები. მასწავლებლებთან ინტერვიუზე და სკოლის მიერ დამატებით გადმოგზავნილი დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ირკვევა, რომ სასწავლო პროცესში დიდია გლობალურ ფუნქციური უნარების როლი, რომელთა დამუშავებაც ხდება კომპლექსური ხასიათის დავალებების კეთებისა და პროექტების განხორციელების პროცესში.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

**3.სახელმწიფო ენა**

აქტვირთული დოკუმენტაციიდან (კურიკულუმის ჩარჩოები მრავალფეროვანი დავალებებით, კონტექსტმაგალითებითა და თემებით;ისგ),მასწავლებლებთან გასაუბრებიდან ირკვევა,რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა განსხვავებული თავისებურებები,სწავლის სტილი,იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა.მასწავლებელიც არჩევს შესაბამისად დავალებებს.კათედრას აქვს მზაობა, გაამახვილოს ყურადღება და გაითვალისწინოს 2023-24 წლის კურიკულუმში დიფერენცირებული სწავლების პრინციპები...ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

**მათემატიკა**

დაწყებით საფეხურზე მათემატიკის სწავლების პროცესის შინაარსი მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე, კერძოდ დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები (მიუხედავად იმისა რომ ყველა კლასში სრულად შევსებულები არაა წარმოდგენილი), მოსწავლეთა შეფასების დოკუმენტები, კომპლექსური დავალების ბარათები ასახავს კონკრეტული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეების ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. ყველა თემა ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მის გამოცდილებას და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან და ხელს უწყობს ფუნქციური უნარების განვითარებას; საერთო ჯამში კურიკულუმებში, შუალედური სასწავლო მიზნის მიღწევის აუცილებელ ინსტრუმენტად კომპლექსური დავალებებია წარმოედგენილი, რომელიც საშუალებას აძლევს მასწავლებელს გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები და შესაბამისი დავალება შესთავაზოს მათ. ცალკეული მოსწავლეებისთვის კი სკოლას აქვს ამ დავალების ადაპტირებული ვერსიები, წარმოადგინეს ნიმუშად ადაპტირებული მატრიცა და ადაპტირებული კომპლექსური დავალება. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

**უცხოური ენები**

სკოლამ წარმოადგინა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, სადაც მოცემულია კომპლექსური დავალების პირობები, რაც არის მორგებული მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. გარდა ამისა, ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ მოსწავლეებს აძლევენ სშუალებას შესაძლებლობების მიხედვით წარადგინონ კომპლექსური დავალეები, მაგალითად, დახატონ, ან გამოძერწონ ანდ სურათი მოიტანონ და ა.შ. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

I-IV და V-VI კლასის კურიკულუმებში ჩანს, რომ - სწავლება მიმდინარეობს ყველა მოსწავლისთვის ხელმისაწვდომ ფორმაში. ბუნებისმეტყველების თემატური მატრიცები გაწერილი განსახორციელებელი აქტივობებით , იმთავითვე გულისხმობს სასწავლო პროცესში დიფერენცირებული სწავლების გათვალისწინებას, ასევე შექმნილი მრავალფეროვანი შემოქმედებითი პროდუქტები დასტურია იმისა, რომ მოსწავლეს აქვს საშუალება თვითონვე შეარჩიოს მისთვის სასურველი და გასაკეთებლად ხელმისაწვდომი პროდუქტი. სსსმ მოსწავლისთვის შექმნილი ისგ მორგებულია მოსწავლის შესაძლებლობებს და ორიენტირბულია მის განვითაებაზე.

გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ საჭიროებების შემთხვევაში აქვთ დავალებები დიფერენცირებული, რაც კონკრეტული მოსწავლის საჭიროების შესაბამისია. საგაკვეთილო პროცესში გამოყენებულია დიფერენცირებული სწავლების ფორმები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აქედან გამომდინარე, მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმონ და წარმართონ ინკლუზიური მიდგომებისა და დიფერენცირებული სწავლების პრინციპებით, რაც მთლიანად იქნება აგებული მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და საჭიროებებზე. ტიპიური მოსწავლეების შესაძლებლობის გამოკვეთა და შემდგომ გათვალისწინება ხელს უწყობს მათ განვითარებას მათივე შესაძლებლობის ფარგლეში.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

რჩევა: სასურველია მეტი ინტენსივობით გამოიყენონ ტიპიურ მოსწავლეთა საჭიროებების დასადგენი ინსტრუმენტები (სხვადასხვა შინაარსობრივი დატვირთვის კითხვარები) და შესაბამისად მოახდინონ დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიების გამოყენება (აქტივობის განხორციელებისთვის დროის მენეჯმენტის მორგება, დავალების სირთულის მიხედვით შერჩევა— სასწავლო მენიუ და სხვა ). ასვე სასურველია სკოლას ჰქონდეს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო რესურსების მიწოდების მექანიზმი. მიუხედავად იმისა სკოლას ეყოლება თუ არა სსსმ მოსწავლე, რაც საშუალებას მისცემს სკოლას ნებისმიერ მომენტში მომსახურეობა გაუწიონ სსსმ მოსწავლეს.

**ესთეტიკური აღზრდა**

კომპლექსურ დავალებებში, პირობასთან ერთად, მითითებულია მოსწავლის მიერ შესასრულებელი პროდუქტის სახე და გათვალისწინებულია მოსწავლის შესაძლებლობები. მათ აქვთ არჩევანის საშუალება, თვითონ გადაწყვიტონ რა ფორმით წარმოადგენენ საბოლოო პროდუქტს.

დოკუმენტაციაში წარმოდგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილი ისგ. სხდომის ოქმები, სადაც განხილულია დაწყებით საფეხურზე მყოფი მოსწავლისათვის ისგ. გეგმის შემუშავების საკითხები. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანს წარმოდგენილი აქვს დაწყებითი საფეხურის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელშიც აღწერილია მოსწავლის ცოდნის აქტუალური დონე და შესაბამისად განსაზღვრულია გრძელვადიანი მიზნები.

სკოლა ჩართულია G-pried -ის პროგრამაში, ასევე USAID -სა და MTSS -ის საბაზისო განათლების პროგრამაში, რომელთა ფარგლებშიც ტარდება გაკვეთილები, დიაგნოსტიკური ტესტირებები, აქვთ დიფერენცირებული სწავლების გამოცდილება, თუმცა სამომავლოდ გეგმავენ მეთოდოლოგიის დახვეწასა და რესურსების გამდიდრებას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

**სპორტი**

სკოლა უზრუნველყოფს ფიზიკური აღზრდის სასწავლო პროცესის დიფერენცირებულ და ინკლუზიური მიდგომებს, სკოლაში იგეგმება სსსმ მოსწავლეებისათვის ფიზიკური აღზრდის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების, დამუშავება და მოსწავლეების საჭიროებისადმი მორგებას, რომელიც ჩაშენებული იქნება კომპლექსურ დავალებებში, სსიპ - ქ. გორის N 5 საჯარო სკოლის საჭიროებების შესწავლის შედეგებიდან გამომდინარე, სკოლა მომავალში მეტად უზრუნველყოფს მოსწავლეების, მაქსიმალურად ჩართვას სასწავლო პროცესში....ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

**ტექნოლოგიები**

საგან ,,კომპიუტერული ტექნოლოგიების" კურიკულუმში წარმოდგენილია მრავალფეროვანი და მოსწავლეზე მორგებული სასწავლო შინაარსი - შეთავაზებულია მოსწავლეზე მორგებული, მრავალფეროვანი სასწავლო მასალა და ელ. რესურსები, რაც მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას შეუწყობს ხელს.

ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მათ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვს დაგეგმილ აქტივობებში, სთავაზობს დიფერენცირებულ მიდგომებსა და მათთვის საინტერესო, მოდიფიცირებულ და მრავალფეროვან რესურსებს. პედაგოგმა აღნიშნა, რომ ისინი აძლევს მოსწავლეებს შესაძლებლობას გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მრავალი და მისთვის ეფექტური საშუალებით. რაც შეეხება შეფასებას, პედაგოგმა აღნიშნა, რომ ეს არის საშუალება მოსწავლისთვის, გააუმჯობესოს საკუთარი სწავლის პროცესი.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

**საზოგადოებრივი მეცნიერებები**

კურიკულუმებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი და მოსწავლეზე მორგებული სასწავლო შინაარსი, სასწავლო მასალა და ელექტრონული რესურსები, რაც მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მათ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ დაგეგმილ აქტივობებში, სთავაზობენ დიფერენცირებულ მიდგომებსა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და მათვის საინტერესო, მოდიფიცირებულ და მრავალფეროვან რესურსებს. გარდა ამისა, სსსმ მოსწავლეებისთვის, საჭიროებისამებრ, შემუშავებული აქვთ ინდივიდუალური გეგმები, რომელთა დახვეწას და სრულყოფას გეგმავენ კომპლექსური დავალებების მოდიფიცირების საშუალებით.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

**4.სახელმწიფო ენა**

წარმოდგენილია შეფასების რამდენიმე რუბრიკა,რომლებიც წარმოდგენას გვიქმნის სკოლის ფარგლებში შეფასების წარმოების წესზე.ჩანს,რომ მასწავლებლებს აქვთ შეფასების რუბრიკების შექმნის გამოცდილება,შექმნილი რუბრიკები ეყრდნობა სტანდარტით გათვალისწინებულ ინდიკატორებს.აღნიშნეს, რომ მიმართავენ ხშირად განმავითარებელ შეფასებას .დამატებითი ინფორმაციის მოძიება შესაძლებელი გახდა ვიზიტის დროს, სკოლას აქვს მზაობა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება წარმართოს სამიზნე ცნებებზე დაფუძნებით. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

**მათემატიკა**

მატემატიკის კათედრამ წარმოადგინა განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ზედა საფეხურზე, რადგან ერთი და იგივე მასწავლებლები მე-5 მე-6 კლასშიც ასწავლიან, აქვთ მზაობა, შექმნან ყველა თემისთვის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა დაწყებით საფეხურზეც. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ გააზრებული აქვთ განმსაზღვრელი შეფასების როლი სწავლის შედეგების აღწერასა და მიღწევის საერთო მაჩვენებელთან მიმართებით.

რაც შეეხება განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, წარმოადგინეს კურიკულუმების ბოლოში თანდართულ ცხრილებში (I-IV კლ. ) ასევე ჩაშენებულია მათ მიერ წარმოდგენილ კომპლექსური დავალების ბარათში - “მოსწავლეს შეუძლია”. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრას ესმის განმავითარებელი შეფასების რუბრიკების როლი, ისინი მოსწავლის შესახებ აგროვებს მონაცემთა ფართო სპექტრს, მათზე დაყრდნობის მასწავლებელს უკეთესადშეუძლია ხელი შეუწყოს მოსწავლის განვითარებას.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

უცხოური ენები როგორც ქოუჩინგის შეჯამების ოქმში ვკთხულობთ, სკოლა იყენებს თვითშეფასებისა და მოსწავლეთა ურთიერთშეფასების კითხვარებს, თუმცა ეს არ აქვთ წარმოდგენილი. მასწავლებლები შემოიფარგლებიან განმავითარებელი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომენტარებით განმავითარებელი შეფასებისას იყენებს ზეპირ განმავითარებელ კომენტარებს. სამუშაო შეხვედრის ოქმში წარმოდგენილი პროექტი, უკუკავშირი და თვითშეფასების ფორმა ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი და შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებს, განხორციელებული პროექტები და მათი შეფასების ფორმა ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ძირითადად მიმართულია მოსწავლის შეფასება–განვითარებისკენ, ასევე იძლევა საშუალებას, რომ შეფასებაში მონაწილეობა მიიღოს როგორც მასწავლებელმა, ისე თავად მოსწავლემ . ამის დასტურია თუნდაც მასწავლებლის მიერ წამოდგენილი შეკითხვები, რომელსაც კომპლსური დავალების წარდგნის შემდეგ აძლევს მოსწავლეს ანი კითხვები მოსწავლის რეფლექსიისთვის, რაც ხელს უწყობს მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას და მოსწავლის თვითშეფასებას.

ასევე წარმოადგინეს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები მე–5 და მე–6 კლასებისთვის ესგ–სთან შესაბამისობით (საგნის სტანდარტის შედეგები, სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენები) შეფასების კრიტერიუმებით და სამიზნე ცნებების მიხედვით ქულათა განაწილების სრული დაცვით. შეფასების კრიტერიუმების ფორმირება როცა გამომდინარეობს ესგ–ის სტანდარტის შედეგებიდან და სმიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენებიდან მოსწავლის შეფასება ემსახურება ესგ–ის მისაღწევი შედეგის დაზლევას.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

რჩევა: სასურველია შეფასების რუბრიკების შექმნისას მაქსიმალურად გამოყენებულ იქნას კრიტერიუმთა მიმართება განმსაზღვრელი რუბრიკებისთვის სტანდარტის შედეგთან, ხოლო განმავითარებელი რუბრიკებისთვის სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან.

**ესთეტიკური აღზრდა**

დაწყებით საფეხურზე ძირითადად განმავითარებელი შეფასება გამოიყენება, რომელსაც პედაგოგი სასწავლო პროცესში იყენებს. დოკუმენტაციაში წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი

ხელოვნების საგანში. ვხვდებით მექანიკურ უზუსტობებს რუბრიკებში, თუმცა აღნიშნული რუბრიკები მიანიშნებს, რომ პედაგოგებს გააზრებული აქვთ რა უნდა შეფასდეს სწავლების პროცესში.

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ვხვდებით შეფასების სხვადასხვა ფორმებს: განმავითარებელი შეფასების რუბრიკას, შეფასების სქემა გაკვეთილზე ჩართულობისათვის, სქემა საშინაო დავალების შეფასებისთვის, შეფასების სქემა თეორიული მასალისათვის, ჯგუფური მუშაობის შეფასების სქემა და ა.შ. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

რჩევა: სასწავლო წლის დაწყებამდე დაკონკრეტდეს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები და ასევე დაწყებითი საფეხურის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები მიმართული იყოს სამიზნე ცნებასთან, ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან და სტანდარტის შედეგებთან.

**სპორტი**

განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები, რუბრიკები, ფიზიკური აღზრდაში დაწყებით საფეხურის კურიკულუმებში გაწერილია, თემებთან და დაგეგმილი კომპლექსური დავალებებთან, შეფასების ინსტრუმენტები, რომელიც წარმოადგინა სკოლამ კერძოდ: - რუბრიკები კომპლექსური და შემაჯამებელი დავალების, გაკვეთილის, მოსწავლის თვითშეფასება, მრავალმხრივია და ვალიდურია. საშუალებას იძლევა, მოსწავლეების ცოდნა შეფასდეს ობიექტურად და ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებებზე.... ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

**ტექნოლოგიები**

დაწყებითის კათედრის მიერ წარდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, ეფუძნება გრძელვადიან სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს. პედაგოგებმა აღნიშნეს რომ მომავალი სასწავლო წლისთვის ქმნიან და ავითარებენ შეფასების რუბრიკებს. მათთან საუბრისას გამოიკვეთა რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების კათედრას გააზრებული აქვს განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობა მოსწავლეთა განვითარებისა და სწავლა-სწავლების პროცესის სრულყოფისთვის. რომ განმავითარებელი შეფასება ქმნის მნიშვნელოვან პლატფორმას მოსწავლის მრავალმხრივი გაცნობისა და შესწავლისთვის. განმსაზღვრელი შეფასება კი წარმოადგენს სწავლის შედეგების აღწერას საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნებთან/კრიტერიუმთან და მიღწევის საერთო მაჩვენებელთან მიმართებით შეფასების ეს ფორმა მართულია

მასწავლებლის მიერ და ძირითადად ხორციელდება, როგორც პროცესის შემაჯამებელი რაიმე თემის, თავის, სემესტრის, საკითხის და ა.შ. დასასრულს.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

**საზოგადოებრივი მეცნიერებები**

მასწავლებლები განმავითარებელი შეფასებისთვის იყენებენ და კვლავაც გამოიყენებენ სხვადასხვა ტიპის შეფასების ინსტრუმენტებს- რუბრიკებს, რომლებიც ეფუძნება გრძელვადიან სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს. ამის მტკიცებულებად მასწავლებლებს წარმოდგენილი აქვთ განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრაზე გააზრებული აქვს ამ ტიპის შეფასების მნიშვნელობა მოსწავლეთა განვითარებისა და სწავლა-სწავლების პროცესის სრულყოფისთვის.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

**5.სახელმწიფო ენა**

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან( ძველი და ახალი კურიკულუმის ჩარჩო,კათედრისა და პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები) და კათედრის წევრებთან საუბრიდან იკვეთება, რომ კურიკულუმის დაგეგმვისას გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება. სადიაგნოსტიკო წერები,პედსაბჭოზე და ასევე კათედრებზე თითოეული მასწავლებლის მიერ წარმოდგენილი ანალიზიდან ნათელი ხდება, რომ სკოლას აქვს მზაობა წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით დაგეგმოს სასწავლო პროცესი და განახორციელოს ცვლილებები. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

**მათემატიკა**

მათემატიკის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღება მიაქციეს წავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაცია გამოიკვეთა მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს. მათ კურიკულუმში დაწყებითში შეიტანეს მათ მიერ უკვე განხორციელებული კომპლექსური დავალებები, ზედა საფეხურებზეც შესატანად აარჩიეს ის დავალებები რომლებიც უკვე განხორციელებული ჰქონდათ წინა წლებში. გამოთქვეს მზაობა რომ მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უკუკავშირის, რეფლექსიის შედეგების და წინარე გამოცდილების გათვალისწინებით გადაამუშავებენ და დახვეწავენ კურიკულუმებს. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

**უცხოური ენები**

წარმოდგენილი შემაჯამებელი ანალიზის ფორმები, მასწავლებლის რეფლექსიები და ინტეგრირებული გაკვეთილის ანალიზის ფორმა მიუთითებს იმ პრობლემებსა თუ რეკომენდაციებზე რაც უნდა იყოს გათვალისწინებული მომავალში სასწავლო პროცესში. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები 2023–2024 ს.წლის საგნობრივი კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გამოიყენებულია წინა წლების გამოცდილება. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული კომპლექსური დავალებების, სასწავლო პროექტებისა თუ კომპლექსური ბუნების დავალებების განხორციელებისას წარმოშობილი პრობლემების და მიგნებების გაანალიზებით მოახდენენ ახალი კურიკულუმის შექმნას. ასევე აღნიშნეს, რომ მეტი აქცენტი გაკეთდება კომპლექსურ დავალებებზე მუშაობაზე და აქტივობების ცვლილებებზე,რაც სრულად იქნება მორგებული მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. ყურადღებას ამახვილებენ, რომ აქტივობების განხორციელებისას გათვალისწინებული იქნას მეთოდური ორიენტირებები (ხარისხიანი განათლება, განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობა, მეტაკოგნიცია, საგანთა შორის ინტეგრირება, ტექნოლოგიების გამოყენება), ასევე საგანმანათლებლო პრინციპები (მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურება, წინაწე ცოდნაზე ახლი ცოდნის კონსტრუირება, ცოდნათა ურთიერთდაკავშირება, სწავლების სტრატეგიები და ცოდნის სამი კატეგორიის შესაბამისი აქტივობები) და ფუნქციურ–კომპონენტური უნარების (კრიტიკული აზროვნება,შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, მოსწავლეთა ხასიათი/ნებელობა) განვითარება. გამოიკვეთა, რომ კურიკულუმზე მუშაობისას მასწავლებლები აქტიურად უზიარებენ ერთმანეთს წინარე გამოცდილებას და ურთიერღშეთანხმებულად გეგმავენ ახალ კურიკულუმს განვითარებისა და დინამიურობის პრინციპით. მზად არიან ჩაატარონ რეგულარული მონიტორინგი და გააკეთონ შედეგების ანალიზი. ამ ანალიზის შედეგად დაგეგმონ სასწავლო პროცესი და მოახდინონ შესაბამისი ცვლილებები კურიკულუმში. გაწერილი აქვთ, თუ როგორ მოახდინონ ახალი სასწავლო წლისთვის ამ ეტაპზე წრმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოებისა სრულყოფა და შერჩევა კომპლექსური დავალებების.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

**ესთეტიკური აღზრდა**

დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის განვითარების დოკუმენტაცია ასახავს გამოცდილებიდან გამომდინარე თანმიმდევრულ დაგეგმვას, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების და მუსიკის საგნობრივი კურიკულუმები აგებულია იმგვარად, რომ მასში გათვალისწინებულია და თვალსაჩინოა წინარე გამოცდილება, რაც წინა წლის სასწავლო პროცესის შეჯამებისა და გაანალიზებისას მიიღეს.

ინტერვიუს დროს პედაგოგმა აღნიშნა, რომ მე-4 კლასის კურიკულუმში ჩაშენებულია ისეთი კომპლექსური დავალებებიც, რომლის შესრულების წინარე გამოცდილებაც პედაგოგს არა აქვს, მაგრამ აქვს მზაობა დაძლიოს მოცემულობა.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

**სპორტი**

ინტერვიუს შედეგად, დასტურდება, რომ პედაგოგები აანალიზებენ, საკუთარ განხორციელებულ პრაქტიკას. უზიარებენ ერთმანეთს გაამოცდილებას და მიღებული რჩევევბს, ითვალისწინებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვას, გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი... ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

**ტექნოლოგიები**

გადმოგზავნილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე (შეფასების რუბრიკები) და ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების კათედრას გააზრებული აქვს განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობა მოსწავლეთა განვითარებისა და სწავლა-სწავლების პროცესის სრულყოფისთვის. შეფასების დიზაინი, რომელსაც იყენებენ მასწავლებლები განმავითარებელი შეფასებისას ქმნის მნიშვნელოვან პლატფორმას მოსწავლის მრავალმხრივი გაცნობისა და შესწავლისთვის. განმსაზღვრელი შეფასება კი წარმოადგენს სწავლის შედეგების აღწერას საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნებთან/კრიტერიუმთან და მიღწევის საერთო მაჩვენებელთან მიმართებით შეფასების ეს ფორმა მართულია მასწავლებლების მიერ და ძირითადად ხორციელდება, როგორც პროცესის შემაჯამებელი რაიმე თემის, თავის, სემესტრის, საკითხის და ა.შ. დასასრულს. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საზოგადოებრივი მეცნიერებები სკოლაში პერიოდულად ტარდება მოსწავლეთა შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზი, საგაკვეთილო დაკვირვება, მოსწავლეთა პროფილის კვლევა, რაც მასწავლებლებს ეხმარება სასწავლო პროცესი დაგეგმონ მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით. როგორც ინტერვიუდან გამოიკვეთა, საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებლები სისტემატურად იკრიბებიან და აანალიზებენ მოსწავლეთა მიღწევებსა თუ პრობლემებს. მომავალშიც კურიკულუმის დანერგვის პარალელურად ყოველთვის გამოკვეთენ იმ საჭიროებებს, რასაც გაითვალისწინებენ ახალი სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვისას.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

. თვითშეფასების ფორმა გორის N5 საჯარო სკოლა

სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია

სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია

სსიპ გორის N5 საჯარო სკოლის საგნობრივი კურიკულუმები

ხარისხის პოლიტიკა

კათედრის ოქმი

სადამრიგებლო პროგრამა

დიაგნოსტიკური შეფასება

შეფასების ანალიზი

კალიგრაფიის კონკურსი

პროექტი-ვიზრუნოთ ფრინველებზე

თვითშეფასების ბარათები

დანართი 20 - გაკვეთილის გეგმა, რეფლექსია და უკუკავშირი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კურიკულუმის ჩარჩოები
ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
რესურსი 12: ქოუჩინგის შეჯამება
შემაჯამებლის ანალიზი
ინტეგრირებული გაკვეთილი
გაკვეთილის რეფლექსია
ისგ სხდომის ოქმები
განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.
ინკლუზია დანართი #8
მასწავლებელთა ზეპირი გასაუბრება

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2კურიკულუმის განხორციელება

2.2.1სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.**სახელმწიფო ენა** კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში გაწერილი კონმპლექსური დავალებების პირობებზე დაყრდნობით ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი აძლევს მოსწავლეს საშუალებას აქტიურად ჩაერთოს პროცესში. კომპლექსური დავალებების პირობა ხშირ შემთხვევაში იძლევა შესაძლებლობას მოსწავლე არა მხოლოდ მონაწილე იყოს პროცესის ,არამედ შემოქმედიც, მას უწევს პრობლემის გადაჭრა, ფიქრი, მსჯელობა და სხვადასხვა ტიპის პროდუქტის, როგორიცაა მაგალითად, ილუსტრაციების, წარმოსახვითი წერილის, მოთხრობის გაგრძელების შექმნა.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

**მათემატიკა** დაწყებითი საფეხურის მათემატიკის კურიკულუმში შეტანილი დავალებები, წარმოდგენილი კომპლექსური დავალების ბარათები, საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. კათედრამ ამის დასტურად გარდა კურიკულუმისა,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპლექსური დავალების ბარათებისა ,წარმოადგინა მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებებიც (მაგ: წარმოადგინეს სივრცული ფიგურებით შესრულებული დავალების ფრაგმენტი). .
მათემატიკის მასწავლებლები სასწავლო პროცესში იყენებენ ელ. რესურსებს და უახლოეს პერიოდში სასურველია სრულად ასახონ კურიკულუმში რესურსების ველში. გააზრებული აქვთ, რომ ახალი მასალის, ინფორმაციის დამუშავების პროცესში მასწავლებლის როლი არის ორგანიზებული მიზნობრივი გარემოს შექმნა, სადაც გამოწვევები დაკავშირებული იქნება მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართული იქნება სამიზნე ცნებების გააზრებაზე. კათედრა ამ ყველაფრის საფუძველზე ასაბუთებს, რომ სასწავლო პროცესი ხელს უწყობს აქტიურ სწავლასა და მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივებას. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია
**უცხოური ენები** დაწყებითი კალსების კურიკულუმის ჩარჩოში წამოდგენილი კომპლექსური დავალები, განხორციელებული პროექტები, ინტეგრირებული გაკვეთილები, Facebook გვერდზე წარმოდგენილი განხორციელებული პროექტების ფოტო მასალა ადასტურებს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია
**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** ბუნებისმეტყველების საგნობრივ კურიკულუმში დაგეგმილი კომპლექსური დავალებების განხორციელებით შესაძლებელია მოსწავლეების შემოქმედებითი უნარების განვითარება. ადგილზე წარმოადგინეს მოსწავლეთა ნამუშვრები სხვადასხვა თემატიკით, ასევე ადგილზე დათვალიერებით თვალსაჩინოთ აქვთ მოსწავლეთა ნამუშევრები გამოფენილი. კომპლექსური დავალებები კურიკულუმში მცირე რაოდენობითაა და შემოქმედებითი უნარის განვითარებაში დიდი როლი აქვს კომპლექსურ დავალებებს, მათ მიერ შექმნილი შეფასების რუბრიკები მოსწავლეთა შემოქმედებითი პროცესის წამახალისებელი და ამ პროცესში ჩართვის სტიმულატორია. გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესსი პრიორიტეტია სწავლა კეთებით,სადაც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მაკროცნება კვლევას. რაც ადასტურებს რომ მოსწავლეთა შემოქმედებითობას აქვს გზა ხსნილი. გასაუბრებით გამოიკვეთა, მოსწავლეებს აქვთ კომპლექსური დავალებების ფარგლებში მრავალფეროვანი პროდუქტების შექმნის გამოცდილება. მაგ: სხვადასხვა ორგანიზმის ნახატები, ბუნებისმეტყველების სხვადასხვა თემატიკის პლაკატები და სხვა . იკვეთება მოსწავლეების მოტივაცია და მათი აქტიურ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შემოქმედებით პროცესში ჩართვა. მათ აღნიშნეს, რომ შემოქმედებითი უნარების განვითარებას ხელს უწყობენ ელექტრონული რესურსების შექმნით, სადაც მოსწავლეებს თავიანთი დიზაინის შესაბამისად ეძლევათ საშუალება შექმნან სხვადასხვა შინაარსის პროდუქტი: პოსტერი, ბუკლეტი, პეიზაჟი, ბაღი და სხვა, რომელსაც ასრულებენ ვსწავლობთ თამაშით“ პროგრამაში და ასევე აქვთ მცდელობა canva პროგრამაში მუშაობის. შექმნილი პროდუქტები დაცული აქვთ ელექტონულ საცავებში.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია
რჩევა: სასურველია, რომ კომპლექსური დავალებები მეტი რაოდენობით და ხარისხის უზრუნველყოფით იყოს წარმოდგენილი კურიკულუმში, რაც გაამჯობესებს მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარებას

**ესთეტიკური აღზრდა** დაწყებითი საფეხურის ესთეტიკური აღზრდის კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებში გამოკვეთილია საკვანძო სტრუქტურული ერთეულები: თემა, საკითხი, ცნება, რესურსი. უმეტეს შემთხვევაში იგეგმება სწავლა სწავლების პროცესის წარმართვა კომპლექსური დავალებებით, რაც განაპირობებს მოსწავლეების ჩართულობას შემოქმედებით პროცესში, კურიკულუმში ასახული განხორციელებული და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეს აძლევს საშუალებას შეიძინოს ცოდნა, ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. აღნიშნული კურიკულუმის საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მოსწავლეები ჩართული არიან აქტიურ შემოქმედებით პროცესში. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

**სპორტი** 1-6 კლასის დაწყებით საფეხურის კურიკულუმები და მასში გაწერილი, როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული შინაარსის თემები, ისევე როგორც დაწყებით საფეხურზე მოწყობილი, სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, ფესტივალები სადაც ჩართულია ყველა მოსწავლე და ინფორმირებულია მშობლები. უზრუნველყოფენ მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით, სასწავლო პროცესში ჩართვას. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

ტექნოლოგიები - სკოლამ თვითშეფასების კითხვარში აღნიშნა, რომ „სკოლის მიერ მხარდაჭერილია, მოსწავლეთა იდეები, სასკოლო პროექტები, საკლუბო აქტივობები.”

**კომპიუტერული ტექნოლოგიების** მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სწავლა-სწავლების პროცესის დროს გამოყენებული აქტივობები, დავალებები და რესურსები მიმართულია მოსწავლეთა შემოქმედებითი და სააზროვნო უნარების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განვითარებისკენ. აღნიშნა, რომ ახალი ცოდნის გადაცემას ახორციელებს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით (კონსტრუქტივიზმი). პედაგოგებმა დაასახელეს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის რამდენიმე მაგალითი, რა დროსაც მოსწავლეები აქტიურად ჩაერთნენ სასწავლო პროცესში, შექმნეს საინტერესო ციფრული პროდუქტები და განივითარეს კომპლექსური-სააზროვნო და შემოქმედებითი უნარები. გადმოგზავნილი დოკუმენტაციის საფუძველზე იკვეთება რომ მოსწავლეები აქტიურად იყენებენ ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს სხვადასხვა საგანში განსხვავებული ტიპის პრობლემების გადაჭრისა და მრავალფროვანი პროდუქტის შექმნისთვის. აგრეთვე, სასკოლო პროექტებში, კონფერენციების დაგეგმვა-ჩატარებისას. ამას მოწმობს სკოლაში წარმოდგენილი მოსწავლეთა მიერ შესრულებული ციფრული ნამუშევრები, მოსწავლეთა და მასწავლებელთა პორტფოლიო, სხვადასხვა ციფრული აქტივობის ამსახველი მასალები. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

**საზოგადოებრივი მეცნიერებები** კომპლექსური დავალებების შესრულება მოსწავლეს საშუალებას აძლევს ერთდროულად განივითაროს სხვადასხვა სააზროვნო უნარი, დამოუკიდებლად განახორციელოს სხვადასხვა აქტივობა, დააკვირდეს მუშაობის პროცესსა და გააანალიზოს შედეგები. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სწავლა-სწავლების პროცესის დროს გამოყენებული აქტივობები, დავალებები და რესურსები მიმართულია მოსწავლეთა შემოქმედებითი და სააზროვნო უნარების განვითარებისკენ. პედაგოგებმა დაასახელეს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის რამდენიმე მაგალითი, რა დროსაც მოსწავლეები აქტიურად ჩაერთნენ სასწავლო პროცესში, შექმნეს საინტერესო ნამუშევრები და განივითარეს კომპლექსური-სააზროვნო და შემოქმედებითი უნარები.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

**2.სახელმწიფო ენა**

კურიკულუმის ჩარჩოს გაცნობამ და მასწავლებლებთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ სკოლა სწავლა-სწავლების პროცესს წარმართავს წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. კურიკულუმის თემატური დაგეგმვა, კომპლექსური დავალებების პირობაში ნაცნობი კონტექსტების შემოტანა(მაგ.,პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით ტექსტების შედგენა) და მასწავლებლების მიერ მოყვანილი მაგალითები პრაქტიკული გამოცდილებიდან ცხადყოფს, რომ ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**მათემატიკა**

სასწავლო პროცესი დაწყებით საფეხურზე ხელს უწყობს ახალი ცოდნის კონსტრუირებას მოსწავლის წინარე ცოდნაზე დაყრდნობით, დასტურდება კურიკულუმით, ინტერვიუს დროს ხაზგასმული სასწავლო პროექტებით, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებებით, სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალებით/რესურსებით. სკოლის მიერ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მოსწავლისათვის ნაცნობ კონტექსტშია განხილული, რომელიც დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას, დამუშავებასა და გააზრებაში. კურიკულუმის თემა, თემის საკვანძო შეკითხვები, სასკოლო პროექტების ინიცირების წახალისება და მოსწავლისთვის საინტერესო არაფორმალური განათლების ელემენტები - ეს ყველაფერი ეხმარება მოსწავლეს ახალი ცოდნის კონსტრუირებაში წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

**უცხოური ენები**

შემუშავებული კურიკულუმებში წარმოდგენილი თემები, კომპლექსური დავალებები, განხორციელებული აქტივობები და პროექტები წარმოადგენენ მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების გზას სწორედ მის წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით, ამასვე ადასტურებს წარმოდგენილი განხორციელებული პროექტების რეფლექსიაც. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

განხორციელებულ კომპლექსური დავალებების შესაბამისად აშკარად იკვეთება, რომ მოსწავლეებთან მუშაობა მიმდინარეობს წინარე ცოდნის გააქტიურებით და არსებულ ცოდნაზე ახლის დაშენებით. მასწავლებლებთან ინტერვიუს შემდეგ გამოიკვეთა, რომ სწავლის პროცესში აქტივობების განხორციელებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა გამოცდილება, ინტერესები და შესაძლებლობები. კომპლექსური დავალებების განხორციელება ხდებოდა ნაკლები შესაბამისობით მისი განხორციელების ძირითად სტრუქტურასთან და აქცენტს მეტწილად აკეთებდნენ საბოლოო პროდუქტების შექმნაზე. ხოლო აქტივობების განხორციელება ხდება კონსტრუქტივისტული მიდგომების გამოყენებით - არსებულ ცოდნაზე, გამოცდილებაზე ახლის დაშენებით. ძირითადად ნაცნობ კონტექსტებს სთავაზობენ მოსწავლეებს, რაც მათ უადვილებთ მუშაობის პროცესს და ეძლევათ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაძლებლობა ნაცნობი პრობლემის გადაჭრა მოახდინონ ან პერსრექტივაში შეიმეცნონ მომავალში როგორ გაუმკლავდნენ ამათუ იმ პრობლემას. კომპლექსური დავალებებით მუშაობა არის ერთ–ერთი საფუძველი წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ახლის დაშენების.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

**ესთეტიკური აღზრდა**

საგნობრივი კურიკულუმები ეყრდნობა მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებას, რაც წარმოადგენს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების გზას. კომპლექსური დავალებები ისეა შედგენილი, რომ მოსწავლებს შეუძლიათ ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირება და დამუშავება. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას უწევთ მათთვის ნაცნობი, ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან დაკავშირებული ფაქტების აღწერა, ანალიზი, არსებული ცოდნისა და გამოცდილების გამოყენება, იდეების გენერირება და შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა. შესაბამისად კრიტერიუმი ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

**სპორტი**

სკოლის ფიზიკური აღზრდის და სპორტის მასწავლებლების სკოლაში განხორცილებული კომპლექსური ტიპის დავალებები, რომლის დახვეწასა და განვითარებას გეგმავს სკოლა , მათზე მუშაობისას პროცესში განხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, ახალი ცოდნის დაშენება. დავალების ყოველ მომდევნო ეტაპზე, მუშაობისას მოსწავლეს, წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით, გაუადვილდება სტანდარტით გათვალისწინებული გრძელვადიან მიზნებზე გასვლა. ...

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

**ტექნოლოგიები**

კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოში გათვალისწინებულია მე-3 თაობის ესგ-ს რეკომენდაციები. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, დაასახელა რამდენიმე მაგალითი და კურიკულუმის ჩარჩოშიც გამოიკვეთა, რომ სწავლა-სწავლების პროცესში იყენებს კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო მეთოდს, რაც გულისხმობს წინარე ცოდნის საფძველზე ახალი ცოდნის აგებას. კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლებს კომპიუტერული ტექნოლოგიების ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი აქვს რამდენიმე კომპლექსური



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დავალება ყველა სამიზნე ცნებათან მიმართებით. მის მიერ შერჩეული კომპლექსური დავალებები და ასევე, საგანმანათლებლო რესურსები ხელს უწყობს ახალი ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

**საზოგადოებრივი მეცნიერებები**

მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი სწავლა-სწავლების პროცესში იყენებენ კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო მიდგომებს, რაც გულისხმობს წინარე ცოდნის საფძველზე ახალი ცოდნის აგებას. პედაგოგებს კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილი აქვთ რამდენიმე კომპლექსური დავალება ყველა სამიზნე ცნებათან მიმართებით. მათ მიერ შერჩეული კომპლექსური დავალებები და ასევე, რესურსები ხელს უწყობს ახალი ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

**3.სახელმწიფო ენა**

კათედრის წევრებთან გასაუბრებიდან გამომდინარე ,შეიძლება ითქვას, მხარდაჭერილია მოსწავლის რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე. როცა მოსწავლე აანალიზებს შესრულებული დავალებას: მსჯელობს რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება;წარმოდგენილი თემატური მატრიცა და თვითშეფასების რუბრიკების ნიმუში, ამ თვალსაზრისით სასწავლო პროცესის შეფასების საშუალებას იძლევა. შესაძლებელია დავასკვნათ, სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

**მათემატიკა**

დაწყებით საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოებში იკითხება, რომ მომდევნო სასწავლო წელს დაგეგმილი პროცესები ხელს შეუწყობს მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებასა და ახალ ცოდნამდე მიყვანის პროცესს. კურიკულუმის ჩარჩოები აგებულია თემების გათვალისწინებით, რაც ნაცნობი კონტექსტია მოსწავლისთვის და დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. კურიკულუმის ჩარჩოში ჩაშენებულ დავალების ნიმუშებში ჩანს მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტი, მაგ, კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა. (მაგ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ისაუბროს ოჯახის, საკუთარი თავის, მეგობრების და ა.შ (წინა წლებში გავლილი თემების) შესახებ). ინტერვიუს დროსაც მასწავლებლებმა დაადასტურეს რომ მომდევნო სასწავლო წელს პროცესი წარიმართება აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინებით. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

**უცხოური ენები**

განხორციელებული პროექტები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, ინტეგრირებული გაკვეთილები, წარმოდგენილი ფოტო მასალა და სკოლის Facebook გვედზე წარმოდგენილი სურათები მიანიშნებს რომ აქცენტი კეთდება სწავლის-სწავლაზე. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

განხორციელებული აქტივობების გაანალიზებით და ინტერვიუს საფუძველზე გამოიკვეთა: სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია სწავლების პრონციპები, როგორიცაა სწავლის - სწავლა. ასევე მეთოდოლოგიური ორიენტირებებიდან იკვეთება მეტაგოგნიცია ანუ მოსწავლეს უწევს საკუთრი სწავლის სტრატეგიების გაანალიზება - როდის ისწავლა კარგად, რა გამოუვიდა კარგად და ა.შ. მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ სწავლა სწავლების პროცესში დიდ ყურადღებას უთმობენ სტრატეგიის მოდელირებას და შესაბამისად მოსწავლეების მხრიდან წინმსწრებ და შემდგომ მეტაკოგნიტურ პაუზებს, რაც კვეთავს იმ ფაქტს რომ მუშაობა მიმდინარეობს სწავლის სწავლაზე. ასევე ინტენსიურად მიმდინარეობს მოსწავლთა დამოუკიდებელი მუშაობის სტრატეგიის დამკვიდრება,რაც ხელს უწყობს ათვისების სხვადასხვა ტიპის მქონე მოსწავლეების ცოდნის მყარად დაუფლებას. კეთებით სწავლა ერთ–ერთი პრიორიტეტული სტრატეგიაა ბუნებისმეტყველების საგანში და ამის სადემონსტრაციოდ თვალსაჩინოა ის კვლევითი სამუშაოები რასაც მოსწვლეები ასრულებენ სკოლაში თუ შინ. ამ ფაქტებს ადასტურებს კვლევითი სამუშაოების დროს დაკვირვება, ჩანიშვნა მონაცემების და გაკეთებული დასკვნები. სწავლის სწავლა ერთ–ერთი ხელშემწყობია მოსწავლის ცოდნის დუფლების და მისი უნარების განვითარების, ასევე სხვადასხვა ტიპის უნარის მქონე მოსწავლეებისთვის სწავლის სხსვადასხვა სტრატეგიაა საჭირო, რომ მოსწავლე დაეუფლოს სასწავლო მასალას და მოახდინოს გააზრება სამიზნე ცნებების და შედეგად გავიდეს ესგ–ის საგნობრივი სტანდარტის შედეგებზე.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რჩევა: სასურველია სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება სწავლა–სწავლების პროცესში მოსწავლეთა მაღალი აკადემიური მიღწევებისთვის. როგორიცაა: დამოუკიდებელი სწავლება, სტრატეგიის მოდელირება, ტექსტის დანაწილებით გააზრება და მთავარი ასპექტების გამოკვეთა და სხვა.

**ესთეტიკური აღზრდა**

კათედრის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში, ზოგიერთ შემთვევაში, ჩაშენებულია ისეთი კომპლექსური დავალებები, რომელშიც აქტიურად არის გამოყენებული მოსწავლეთა განსხვავებული ხედვები, მათ მიერ პრობლემის იდენთიფიცირებისა და გადაჭრის ალტერნატიული გზების მიება.

დაწყებით საფეხურზე ვხვდებით ისეთ კომპლექსურ დავალებებსაც, რომელიც არ იძლევა სწავლა - სწავლების საშუალებას და წარმოდგენილია როგორც ერთი კონკრეტული აქტივობა. აღნიშნული საკითხის შესახებ პედაგოგებთან ვისაუბრე, გავარკვიეთ დეტალები და გამოთქვეს მზაობა, რომ კიდევ ერთხელ გადახედავდნენ კურიკულუმებს და ერთობლივად შეიმუშავებდნენ საბოლოოო ვერსიას.

მასწავლებლებმა, რომლებიც აქტიურად წარმართავენ პროცესს კომპლექსური დავალებებით, ინტერვიუს დროს ისაუბრეს, რომ სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტები კეთდება ისეთ კომპლექსურ დავალებებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეებში განსხავებული უნარ-ჩვევების გამოვლენას, დაკვირვებას, დასკვნის გამოტანას, პარალელების გავლებას და ა.შ. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

**სპორტი** სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში, აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე , რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში, განსხვავებული უნარ ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას. მოსწავლეები, ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათი შეძენილი- ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. . ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

**ტექნოლოგიები** - გადმოგზავნილ დოკუმენტაციაზე და მასწავლებელტა ინტერვიუების ანალიზისას გამოიკვეთა რომ სასწავლო პროცესში წახალისებულია მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება და ცნობისმოყვარეობა. დავალებებზე მუშაობისას



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხელს უწყობენ მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას, ინფორმაციის მოძიებას, დამუშავებას, ანალიზს, მსჯელობას-დისკუსიას. გარდა ამისა, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ აქტიურად იყენებს კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო მეთოდს. შესაბამისად, შემიძლია დავასკვნა, რომ სკოლაში სრული მზაობაა, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი გაკეთდეს „სწავლის სწავლაზე", მიღწეულ შედეგებსა და მიზნების მისაღწევად განხორციელებულ გზებზე.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

საზოგადოებრივი მეცნიერებები კურიკულუმში ნათლად იკვეთება სწავლის სწავლაზე მიმართული სტრატეგიები, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ არ არის აღწერილია კურიკულუმის განხორციელების კონკრეტული ნაბიჯები მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმი მიმართულია კონსტრუქტივისტული მიდგომაზე და სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, მიღწეულ შედეგებზე, მიზნების მისაღწევად განხორცილებულ გზებზე. მასწავლებლები საუბრობდნენ იმის შესახებ, რომ სასწავლო პროცესში ყურადღება ექცევა მოსწავლეთა მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. ისინი ფასილიტაციას უწევენ მოსწავლეებს, ეხმარებიან მათ შესრულებული დავალების გაანალიზებაში.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

4.**სახელმწიფო ენა** - სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე . კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებული სწავლება თავისთავად უზრუნველყოფს ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებას,ინტერვიუს დროს კი აღნიშნეს ,რომ ისინი აძლევენ დავალებებს, სადაც მოსწავლეს უწევს, ფაქტობრივი ცოდნის გამოყენება ,ასევე მსჯელობა და ანალიზი , საკუთარი დასკვნების ჩამოყალიბება,ყურადღებას ამახვილებენ აქტივობებში,როგორ უნდა გამოიყენონ მიღებული ცოდნა შემდგომ ცხოვრებისეულ სიტუაციებში .კათედრა გამოხატავს მზაობას, რომ იყოს ორიენტირებული ცოდნის სამივე კატეგორიაზე.. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

მათემატიკა დაწყებით საფეხურზე კათედრის მიერ არჩეული კომპლექსური დავალებების პირობები, მოითხოვს საგნობრივი საკითხის დამუშავებას, ცოდნის დადასტურებას, სწავლის სტრატეგიების ფლობას, გარკვეული პროცედურების შესრულებას, პრობლემის გადაჭრას და ცოდნის ცხოვრებისეულ კონტექსტთან დაკავშირებით შემოქმედებითი პროდუქტის შექმნას. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. კომპლექსურ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დავალებებზე მუშაობა თავის თავში გულისხმობს ცოდნის სამივე კატეგორიაზე ორიენტირებულობას. ასევე, ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება მიმდინარე საკლასო თუ არაფორმალურ აქტივობებში, როგორ უნდა გამოიყენონ მიღებული ცოდნა შემდგომ ცხოვრებისეულ სიტუაციებში.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

**უცხოური ენები** - კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილი დავალებები, განხორციელებული პროექტები, კომპლექსური დავალებები და აქტივობები, მიუთითებს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე .

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**- შუალედურ მიზნებზე მუშაობა, კომპლექსური დავალებებით სწავლება, სასწავლო პროექტები და კომპლესური ბუნების დავალებები იძლევა საშუალებას სასწავლო პროცესში ცოდნის სამივე კატეგორიაზე გასვლას, რასაც ხელს უწყობს აქტივობების განხორციელებისას ცოდნის სხვადასხვა კატეგორიაზე გამსვლელი შეკითხვები. ამ ფაქტს ადასტურებს განხორციელებული კომპლექსური დავალებები და სხვა ტიპის შუალედური მიზნები, სადაც მოსწავლეები ფაქტობრივ დეკლარატიულ ცოდნაზე დაყრდნობით აგებენ ახალ ცოდნას და ამ ცოდნის აგებისას ასრულებენ გარკვეულ და მიზანმიმართულ პროცედურებს, რის მეშვეობითაც შეძენილი ცოდნა , თუ არსებული ცოდნა მოქმედებაში გადააქვთ და კონკრეტული მოცემულობის ან პირობის შესაბამისად იყენებენ. ამის მაგალითები წარმოდგენილია მოსწავლეთა მიერ შექმნილი შემოქმედებითი პროდუქტები, რომლებიც ვიზიტის დროს წარმოადგინეს მასწავლებლებმა.

გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ცოდნის სამი კატეგორიიდან მეტწილად ხორციელდება ცოდნის ორ კატეგორიაზე (დეკლარატიული და პროცედურული) ორიენტირება, მაგრამ აქვე აღნიშნეს რომ მომავალში მეტი ინტენსივობით მოახდინენ პირობისეული ცოდნის კატეგორიაზე მოსწავლეების გაყვანას.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

რჩევა: სასურველია მოსწავლეთა პირობისეული ცოდნის გააქტიურება სხვადსასხვა მარტივი მოქმედებებით. მოსწავლეებმა დაუსვან თავიანთ თავს შეკითხვა: როგორ გამოიყენონ და ვის გამოადგება მათი შექმნილი შემოქმედებითი პროდუქტი?



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ესთეტიკური აღზრდა**- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები ხელს უწყობს დეკლარატიული ცოდნის გააქტიურებას, რომელიც აისახება პროცედურულ და პირობისეულ ცოდნაში. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ საგაკვეთილო პროცესში მოსწავლე იღებს ფაქტობრივ ცოდნას კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით, შემდეგ კი შეუძლია საკუთარი ცოდნის ტრანსფერი, ანუ სხვა სიტუაციაში გადატანა. ამის მაგალითად, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების პედაგოგმა ისაუბრა და აღნიშნა, რომ ორიენტირება ცოდნის სამივე კატეგორიაზე უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში საკითხის გააზრებას, არსობრივ წვდომასა და სხვადასხვა კონტექსტში ცოდნის ადეკვატურ გამოყენებას. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

**სპორტი**- დაწყებით საფეხურის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სკოლის პედაგოგების მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი, კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ თეორიული ცოდნის გამოყენებას ფიზიკურ აქტივობებში და მიღებული ცოდნის ტრანსფერი ახალი აქტივობების შესწავლის პროცესში, რომელიც ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული)...ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

ტექნოლოგიები - ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებელს გააზრებული აქვს თემატური მატრიცების შექმნის პრინციპი. მისი მსჯელობის თანახმად, ვინაიდან სასწავლო პროცესი უნდა წარიმართოს კომპლექსური დავალებებით, თითოეული დავალების განხორციელებისას, მოსწავლეებს უწევთ სხვადასხვა საგნობრივი საკითხის ურთიერთდაკავშირება, მსჯელობა, ანალიზი, პრობლემის გადაჭრა და შედეგად, საბოლოო პროდუქტის მომზადება, რითიც დაადასტურებს საგნობრივ ცოდნას და განივითარებს მაღალსააზროვნო უნარებს. როგორც კომპიუტერული ტექნოლოგიების პედაგოგთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, სამომავლოდ გეგმავს კურიკულუმის ჩარჩოს დახვეწა/განვითრებას და მის ესგ-ს მოთხოვნებთან შესაბამისობას, შეიძლება ითქვას რომ შუალედური მიზნების სათანადოდ განხორციელების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება ცოდნის სამივე კატეგორიის შეთავაზება. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

**საზოგადოებრივი მეცნიერებები**- კურიკულუმის საფუძველზე შეიძლება ითქვას რომ შუალედური მიზნების სათანადოდ განხორციელების შემთხვევაში შესაძლებელია ცოდნის სამივე კატეგორიის შეთავაზება. მასწავლებელთა მხრიდან აღინიშნა, რომ კურიკულუმი მიმართულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე სწორედ კომპლექსური დავალებების განხორციელებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

**5.სახელმწიფო ენა-** .საგნობრივი კურიკულუმის თემატური დაგეგმვა,კომპლექსური დავალებები ,ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმა..გვიჩვენებს საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით სასწავლო პროცესის რეალიზების გზას და არის ამავდროულად ის მთავარი კომპონენტი ,რომელიც იძლევა საშუალებას ცოდნათა ორგანიზებისა და ურთიერდაკავშირების.მასწავლებლები გამოხატავენ მზაობას სასწავლო პროცესი დაგეგმონ ამ პრინციპების გათვალისწინებით.ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

**მათემატიკა**-დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში შეტანილი კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევებთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შექნაზე და ა.შ. ამავდროულად მასწავლებლებს აქვთ მზაობა, მოაწყონ უფრო მეტი არაფორმალური, პროექტული და პრობლემაზე დაფუძნებულ აქტივობები, სადამრიგებლო საათზე განხორციეელონ აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას, დაკავშირებას და ა.შ. ასევე მათ თვითსეფასების ანგარიშში წარმოდგენილია არაფორმალური განათლების სერტფიფკატები, რაც ადასტურებს მათ მზაობას. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

**უცხოური ენები** - კომპლექსური დავალებების პირობები მიემართება თემასა და ქვეთემებს, შესაბამისად უზრუნველყოფილია ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკაშირება. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**- იკვეთება საგანმანათლებლო პრინციპი –ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება წარმოდგენილი კომპლექსური დავალებებიდან, მათი განხორციელების აქტივობებიდან და დასტურდება მასწავლებლებთან გასაუბრებით. ამ პრინციპის გამოყენება ასევე დასტურდება სხვადასხვა გრაფიკულ–მაორგანიზებლით, რაც თვალსაჩინოდ არის სკოლაში გამოკრული. (მაგ: სასიცოცხლო ციკლი სხვადასხვა ორგანიზმში. )

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

**ესთეტიკური აღზრდა** -კომპლექსური დავალებები, რომლებიც ასახულია დაწყებითი საფეხურის ესთეტიკური აღზრდის კურიკულუმში, ისეა აგებული, რომ მოსწავლემ გააერთიანოს ყველა ის უნარი და ცოდნა, რაც მას გამოადგება პრობლემის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გადაჭრისას, გამოწვევებთან გამკლავებისა და პროდუქტის შექმნისას. ყოველივე ეს ხელს უწყობს ცოდნის ინსტრუმენტად გარდაქმნას.

ასევე მნიშვნელოვანია ინტეგრირებული გაკვეთილები, რომლებიც, თავისთავად, ხელს უწყობენ ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას.

დოკუმენტაციაში წარმოდგენილია გერმანულისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მიერ ჩატარებული ინტეგრირებული გაკვეთილი მე-5 კლასში ,,ქრისტეს შობა გერმანიასა და საქართველოში“. ასევე წარმოდგენილია გაკვეთილის რეფლექსია. აღნიშნული ინტეგრირებული გაკვეთილის მიზანი იყო მოსწავლეებში მსჯელობის, კვლევის, პრეზენტაციის, კრიტიკული აზროვნების, ფანტაზიის, შემოქმედების, ასევე სოციალურ, თანამშრომლობით და ცოდნის ტრანსფერის უნარების განვითარება.

პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეებმა მოიძიეს ინფორმაცია გერმანული შობის ტრადიციების შესახებ, დაამუშავეს და მოამზადეს პრეზენტაციები. ასევე, ორი ქვეყნის ტრადიციებზე დაყრდნობით, მოამზადეს საშობაო დეკორაციები და შესაბამისი სიმღერები.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

**სპორტი** ფიზიკური აღზრდის და სპორტის საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, ძირითადად ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. კურუკულუმში გაწერილი თემები, რომლის რაოდენობის გაზრდის მზაობა გამოხატეს პედაგოგებმა, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ტიპის დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კომპონენტები ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად იძლევა სწავლების საშუალებას....ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

**ტექნოლოგიები** - თვითშეფასების კითხვარი, კურიკულუმის ჩარჩო და ინტერვიუს დროს მასწავლებელთა გამოცდილება (განხორციელებული კომპლექსური დავალებები), მოსაზრებები და ხედვა მაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელი შეძლებს ცოდნათა ურთიერთდაკავშრებას და ორგანიზებას. 2023-2024

სასწავლო წლის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი დაგეგმილი კომპლექსური დავალებების სპეციფიკა გაამარტივებს ცოდნის ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებას.
ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ შუალედური მიზნების სათანადოდ განხორციელების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება, მით უფრო კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია
საზოგადოებრივი მეცნიერებები კურიკულუმის ჩარჩოს საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ შუალედური მიზნების სათანადოდ განხორციელების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. დოკუმენტაციის საფუძველზე შესაძლებელია იმის დანახვა, თუ რამდენად მოახდენს მასწავლებელი პრაქტიკაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას. ასევე, როგორც მასწავლებლები აღნიშნავდნენ მათ პრაქტიკაში მრავლადაა წარმატებული გამოცდილება საგანთაშორისი ინტეგრაციის.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
. თვითშეფასების ფორმა გორის N5 საჯარო სკოლა
სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია
სსიპ გორის N5 საჯარო სკოლის საგნობრივი კურიკულუმები
ხარისხის პოლიტიკა
კათედრის ოქმი
სადამრიგებლო პროგრამა
შეფასების ანალიზი
კალიგრაფიის კონკურსი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროექტი-ვიზრუნოთ ფრინველებზე
თვითშეფასების ბარათები
დანართი 20 - გაკვეთილის გეგმა, რეფლექსია და უკუკავშირი
ინტეგრირებული გაკვეთილი (ქართ და მათ)
კურიკულუმის ჩარჩო
სკოლის Facebook გვერდი
ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმა
ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
გაკვეთილის რეფლექსია
I – VI კლასის კურიკულუმები
კომპლექსური დავალებების განმავითარებელი შეფასების რუბრიკები (ფოლდერი: დაწყებითი საფეხური)
მასწავლებელთა ზეპირი გასაუბრება

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა

☒შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სახელმწიფო ენა სკოლის მიერ წარმოდგენილია კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტები, სადაც მართებულად არის გაწერილი თემების მიხედვით კომპლექსური დავალების იდეები, საგნის სამიზნე ცნებები. კურიკულუმში წარმოდგენილი საკითხები მიმართულია სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებისკენ. შესაბამისად, სკოლამ გამოთქვა მზაობა, რომ გააგრძელებენ ამ პრინციპით კურიკულუმის განვითარებას.სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ ამ კრიტერიუმს. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია
მათემატიკა დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესი ორიენტირებულია თემებზე და უნჯობესია აისახოს სამიზნე ცბებებიც: მატემატიკური მოდელი, კანონზომიერება, ლოგიკ.ა მასწავლებლებს გააზრებული აქვთ მკვდრი წარმოდგენების მნიშვნელობა, ამის კარგი მაგალითია მოსწავლეების მიერ კომპლექსური ბუნების დავალების შერულების შედეგად შექმნილი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც რომლის სურთებიც წარმოდგენილი აქვთ თვითშეფასების ანგარიშთან ერთად დანართად.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

უცხოური ენები დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები და მასში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები და პროექტები მიუთითებს, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია სამიზნე ცნებების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით,ამასვე მოწმობს ინტერვიუს დროს მასწავლებელთა პასუხებიც. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები I – VI კლასის ბუნებისმეტყველბის საგნობრივ კურიკულუმებში ,მესამე თაობის ესგ–ის სტანდარტით დადგენილი სავალდებულო თემის ფარგლებში, სამიზნე ცნების და მკვიდრი წარმოდგენების გასააზრებლად შერჩეულია საკითხები და საკითხთა კლასტერები, რომელთა დამუშავება მეტწილად გათვლილია კომპლექსური დავალებებით. მათი განხორციელება განსაზღვრავს სამიზნე ცნებების და მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას, იმ ცოდნის შეძენას და უნარების განვითარებას, რომელსაც მოსწავლე უნდა დაეუფლოს სავალდებულო თემისა და შერჩეული საკითხის შესწავლისას. ზოგიერთი თემის შესწავლისთვის არ არის კომპლექსური დავალება შერჩეული, მაგრამ ჩანს თემის შესასწავლად და შესაბამისად სამიზნე ცნების გააზრებისთვის შერჩეული საკითხები, ძირითადი და დამატებითი რესურსები.

გასაუბრების დროს გამოიკვეთა მასწავლებელთა მზაობა სასწავლო წლის დასაწყისისთვის მოახდინონ კურუკულუმის ჩარჩოების შევსება კომპლექსური დავალებებით და ქვეცნებებით.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

ესთეტიკური აღზრდა

კათედრის მიერ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში მოცემულია მომავალი წლის სასწავლო პროცესი, რომელიც დაგეგმილია სავალდებულო თემების, თემატური ბლოკების, სამიზნე ცნების, მკვიდრი წარმოდგენების და საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. რიგ შემთხვევებში ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები რომელიც მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას ემსახურება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განსაზღვრულია, თუ რა მიზანს ემსახურება და რა შედეგზეა ორიენტირებული მითითებული საგნის საკითხების შესწავლა. სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე კონკრეტული საგნის შესწავლისას უნდა დაეუფლოს. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

სპორტი დაწყებით საფეხურის სკოლის ფიზიკური აღზრდის სასწავლო პოროცესი. კურიკულუმებში გაწერილი თემები და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფენ სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; მოსწავლეები გაეცნობიან საგნობრივ საკითხებს, საკვანძო შეკითხვებს, განიხილება კომპლექსური დავალების პირობას და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით მოხდება, ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს დაეხმარება ახალი აქტივობების გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი ,,პროდუქტი", რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით..

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

ტექნოლოგიები - კომპიუტერული ტექნოლოგიების კათედრა ორიენტირებულია კომპლექსური დავალებებით სწავლებაზე, რაც მის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმშიც ნათლად არის ასახული. საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოში მიმართულებები, სამიზნე ცნებები, საკითხები, კომპლექსური დავალების პირობები. ერთმანეთთან სწორადაა დაკავშრებული. გარდა ამისა, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებელს აქვს მზაობა სასწავლო პროცესის სწორად წარმართვისა.

ამას უზრუნველყოფს ერთი მხრივ კარგად დანახული და გაწერილი საგნობრივი კურიკულუმი, ინტერვიუს დროს აღნიშული გამოცდილება კომპლექსური დავალებების დანერვისა და მეორე მხრივ მომავალი სასწავლო წლისთვის დაგეგმილი კომპლექსური დავალებები და მასწავლებლის მოლოდინი კურიკულუმის განხორციელების პროცესისადმი.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

საზოგადოებრივი მეცნიერებები კათედრის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში ასახული და გააზრებულია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, ქვეცნებებსა და საგნობრივ საკითხებს შორის. აღნიშნული ნათლად იკვეთება მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს დაგეგმილ კომპლექსური ტიპის დავალებებზე საუბრისას და მათ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

2.სახელმწიფო ენა

წარმოდგენილ დოკუმენტაციისა და გასაუბრების შედეგად გამოვლინდა,რომ მასწავლებლები ზრუნავენ მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო -სოციალურ განვითარებაზე,აღნიშნეს, რომ გეგმავენ აქტივობებს და არჩევენ ისეთ დავალებებს, რომლითაც აძლევენ მოსწავლეებს საშუალებას ამოიცნონ საკუთარი ღირებულებები,ძლიერი და სუსტი მხარეები.კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი თემები და დავალებები, სადამრიგებლო პროგრამა ადასტურებს, რომ კათედრას აქვს მზაობა იმუშაოს ამ მიმართულებით და გაითვალისწინოს მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვისას. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

მათემატიკა

კურიკულუმები, ინტერვიუს დროს აღწერილი სასწავლო პროექტები, ინტერვიუს დროს აღწერილი მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, სასწავლო პროცესში გამოყენებული რესურსები, აქტივობები, ამ მასალების საფუძველზე სკოლამ დაასაბუთა, რომ სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს (და არა საგნობრივი საკითხების ამოწურვის „ვალდებულებას“). შესაბამისად მათემატიკის საგნობრივი კონტექსტი ემსახურება მოსწავლის ფსიქო-სოციალურ განვითარებას. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

უცხოური ენები კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული კომპლექსური დავალებები მიემართება მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო-სოციალური უნარების განვითარებას, ამასვე მოწმობს გერმანულ ენაში განხორციელებული ინტეგრირებული გაკვეთილები და ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. ასევე, ინტერვიუს დროს ახენეს ის პროექტები რაც სკოლამ განახორციელა და ყველა მიმართული იყო არამხოლოდ აკადემიური არამედ პიროვნულ განვითარებაზეც. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგნობრივი კონტექსტი მთელი რიგი სპეციალისტების მიერ არის ისე შერჩეული, რომ მისი გავლენა მოსწავლეზე არ იწვევს მისი ქცევისა და ფსიქოლოგიის ნეგატიურ სპეციფიკურ ცვლილებებს. ამას ხელს უწყობს მასწავლებლის მიერ საგნობრივი კონტექსტის პოზიტიურად მიტანა მოსწავლესთან და დამატებით ისეთი შინაარსის კონტექსტის შეთავაზება, რომელიც ასევე მისაღები და არა გამაღიზიანებელია მოსწავლისთვის. ამ მხრივ კურიკულუმებში შეტანილი საკითხები, რომლებიც მასწავლებლის შემოქმედებითობით არის არჩეული თემის დასამუშავებლად სრულად შეესაბამება მოსწავლეების ინტერესებს, საჭიროებებს და შესაძლებლობებს. განსახორციელებელი კომპლექსური დავალებების ს მატრიცებში კი მუშაობის ოგანიზების ფორმები, როგორიცაა წყვილში, ჯგუფური, ინდივიდუალური მუშაობა ხელს უწყობს მოსწავლეთა ფსიქო–ემოციური და სოციალური თავისებურებების რეგულირებას. არის საშუალება მოსწავლისთვის, რომ თვითონ შეარჩიოს მუშაობის ორგანიზების ფორმა. ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა პიროვნულ ჩამოყალიბებას. რაც გამოიხატება მისი პასუხისმგებლობის, თანამშრომლობის, სხვისი აზრის მოსმენა/გაზიარების უნარების განვითარებაში, დაამყაროს ურთიერთობა თანატოლებთან, ჩამოყალიბდეს პიროვნებად და არა მხოლოდ ცოდნა შეიძინოს და ურთიერთობები მისთვის უცხო იყოს. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები დიდ ყურადღებას უთმობენ მოსწავლის ფსიქო სოციო - ემოციურ, განვითარებას, მათ პიროვნებად ჩამოყალიბებას.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

რჩევა:სასურველია მასწავლებლის მიერ შეტანილი დამატებითი საგნობრივი კონტექსტი გათვლილი იყოს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო–სოციალურ განვითარებაზე.

ესთეტიკური აღზრდა მოსწავლე სწავლა-სწავლების პროცესში ყალიბდება პიროვნებად. რომლისთვისაც მნიშვნელოვანია როგორც აკადემიური მიღწევები, ასევე სრულყოფილი ფიზიკური და გონებრივი განვითარება. ყოველივე ამის განსახორციელებლად სკოლაში ტარდება სხვადასხვა აქტივობები.

პიროვნულ და ფსიქო-სოციო-ემოციურ განვითარებას ხელს უწყობს ასევე სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები: კომპლექსური დავალებები, საგნობრივი და სასკოლო პროექტები, ღონისძიებები, ექსკურსიები და სხვა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ამ აქტივობის საშუალებით ბავშვებს უვითარდებათ თვითცნობიერება, თვითრეგულაცია, სოციალური ცნობიერება, ურთიერთობის უნარები, პასუხისმგებლობა გადაწყვეტილებებზე. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

სპორტი სკოლაში დაწყებით საფეხურის სასწავლო პროცესი და საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. სკოლის მიერ შეთავაზებული სწავლის სხვადასხვა მეთოდები - თეორიული, პრაქტიკული. კურილულემებში გაწერილ თემებზე დართული ჰიპერლინკები, რომლებიც ასახავს სხვადასხვა სპორტის სახეობის ისტორიებს და ქართველი სპორტსმენების მიღწევებს, აგრეთვე მასწავლებლის მიერ დაგეგმილი მოსწავლეების შესაქმნელი პროექტები, ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა ფიზიკურ და გონებრივ, ფსიქო-ემოციურ კეთილდღეობას. .... ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

ტექნოლოგიები - წარმოდგენილ დოკუმენტაციაში და მასწავლებელთან ინტერვიუსას ფიქსირდება ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაში ფუნქციურ -კომპონენტური უნარების განვითარების ხელშეწყობა: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი/ნებელობა; თვითცნობიერება, თვითრეგულაცია, სოციალური იუნარები, ურთიერთობის უნარები, პასუხისმგებლობა გადაწყვეტილებებზე რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარების ხელშეწყობას. მნიშვნელოვანია, სკოლის მიერ განხორციელებული/გასახორციელებელი სხვადასხვა ტიპის პროექტები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეებში ფსიქო-სოციალურ უნარებს, დაუკავშირდეს საგნობრივ კონტექსტს.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

საზოგადოებრივი მეცნიერებები დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში ნათლად იკვეთება ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაში ფუნქციურ -კომპონენტური უნარების განვითარების შელშეწყობა. რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარების ხელშეწყობას. არაფორმალური განათლება, სკოლის მიერ განხორციელებული სხვადსახვა სოციალური პროექტები ავითარებს მოსწავლეებში აღნიშნულ უნარებს.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.სახელმწიფო ენა მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მიმართევენ თვითშეფასებას,ურთიერთშეფასებას.ჩანს სკოლის სწორი ხედვა შეფასების სისტემის თვალსაზრისით.აღნიშნავენ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერის მნიშვნელობას; შესაბამისად, გამოხატეს მზაობა იმუშაონ ამ პრინციპით და გაამახვილონ ყურადღება მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმში. ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

მათემატიკა შეფასების სისტემა დაწყებით საფეხურზე ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. სასკოლო სასწავლო გეგმაში აღწერილი განმავითარებელი შეფასების წარმოების აღწერიდან შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოსწავლეების მიერ შესასრულებელი აქტივობები ფასდება მთლიანობაში და ეძლევა შესაბამისი უკუკავშირი. მათ საშუალება აქვთ მთლიანობაში დაინახონ საკუთარი შესაძლებლობები კონკრეტულ დავალებასთან მიმართებით, გაიგონ რა აქვთ გამოსასწორებელი და იმუშაონ მის გაუმჯობესაბაზე.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

უცხოური ენები დაწყებით კლასებში სკოლამ დამატებით წარმოადგინა მატრიცები, რაც აფასების არამხოლოდ მოსწავლის მიერ შესრულებული დავალების სისწორეს არამედ მის პიროვნულ განვითარებასა და პროგრესს. შესაბამისად, შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მიხარდაჭერაზე.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

მესამე თაობის ესგ ითვალისწინებს მოსწალეთა ჰოლისტურ განვითარებას. ჰოლისტური მიდგომა,როგორც განათლების მიზანი გულისხმობს , რომ მასწავლებელმა უნდა იცოდეს რას უნდა ელოდებოდეს მოსწავლისგან და შესაბამისად სწავლების პროცესიც აქეთ უნდა მიდიოდეს. მასწავლებელი უნდა იყოს მხარდამჭერი და ხელშემშველებელი მოსწავლის ნიჭის, უნარის და შეფასების სისტემაც სწორედ ამას უნდა ემსახურებოდეს. აღნიშნული მიდგომა იკვეთება წარმოდგენილ განმავითარებელ რუბრიკებში, სადაც შეფასების კრიტერიუმები გამომდინარეობს მოსწავლის შესაძლებლობის/ საჭიროებიდან და ეფუძნება საგნობრივი სტანდარტის შედეგებს, სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებს. აქცენტი კეთდება მოსწავლეების ფუნქციური



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უნარების განვითარებაზე , როგორიცაა კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, თანამშრომლობა. ორიენტაცია ხდება სწავლის პროცესის გაანალიზებაზე.

გასაუბრების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ ჰოლისტური მიდგომა მოსწავლის განვითარებისთვის მათთვის არახალია და სასწავლო პროცესის მიდინარეობის მუდმივი თანხვედრილი პროცესია.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

რჩევა: სასურველია მოსწავლის ჰოლისტური განვითარებისთვის, მისი ინდივიდუალური გამოცდილების რეალიზებით მოხდეს მოსწავლის გონებაში ცოდნის ჩამოყალიბება.

ესთეტიკური აღზრდა სკოლა დაწყებით საფეხურზე იყენებს განმავითარებელ და V-VI კლასში განმსაზღვრელ შეფასებას, რაც პედაგოგებს ეხმარება მოსწავლეების მიღწევების დონის დადგენაში, ასევე სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაში.

თვითშეფასების ფორმაში ვკითხულობთ: მოსწავლის ჰოლისტური განვითარების პროცესში ვითვალისწინებთ ამ მიდგომის მთავარ კითხვას: რას ველით მოსწავლისგან? და შესაბამისად სწავლების პროცესსაც აქედან გამომდინარე ვგეგმავთ.

სამომავლოდ აპირებენ კიდევ უფრო მეტად დახვეწონ შეფასების სისტემა და გახადონ მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზე ორიენტირებული.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

სპორტი

ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწყებით საფეხურზე ფიზიკურ აღზრდაში განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მიზანმიმართულად გამოიყენება, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში, სიტყვიერი კომენტარები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის განვითარებას.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

ტექნოლოგიები - სკოლის თვითშეფასების კითხვარში აღნიშნული პრაქტიკა იძლევა საფუძველს რომ სკოლას შესწევს უნარი დანერგოს მოსწავლის ჰოლისტური შეფასების პრაქტიკა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თანაც, მასწავლებელთა ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა შეფასებისას გათვალისწინებულია არა მარტო მათი აკადემიური უნარები, არამედ სოციალური და ოჯახური მდგომარეობა. ამგვარი პოზიცია მასწავლებელს აძლევს შესაძლებლობას შეფასება იყოს ჰოლისტური ხასიათის.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

საზოგადოებრივი მეცნიერებები როგორც პედაგოგები აღნიშნავდნენ, დაწყებით საფეხურზე, ყველა საგნის მასწავლებელი იყენებს განმავითარებელ შეფასებას, რომელიც სწავლა/სწავლების პროცესში მოსწავლის მაქსიმალურ მხარდაჭერას ემსახურება. მარტივ დავალებებს ფრთხილად ენაცვლება შედარებით რთული და ამასთანავე მრავალფეროვანი დავალებები, ხოლო მასწავლებლები შეფასებისას, მოსწავლის აკადემიური მიღწევის აღწერისას მიმართავენ ზეპირ და წერილობით უკუკავშირს, აღწერენ ძლიერ და სუსტ მხარეებს, გასცემენ რეკომენაციების. ამით ისინი შეფასების დროს ხელს უწყობენ მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებას.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

4.სახელმწიფო ენა

წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და გასაუბრებაზე დაყრდნობით აღვნიშნავთ, სკოლაში მოსწავლეთა შეფსება ხდება ესგ-ის სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებთან მიმართებით. იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას.შეფასებისთვის გამოიყენება მრავალფეროვანი ინსტრუმენტები. .შეფასების ინდიკატორებს მასწავლებლები აცნობენ მოსწავლეებს და განიხილავენ მათთან ერთად.კათედრას აქვს მზაობა შექმნას ისეთი შეფასების სისტემა, რომელიც იქნება სანდო,ვალიდური და გამჭვირვალე. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

მათემატიკა სკოლის სასწავლო გეგმის პროექტის მიეხდვით დაგეგმილია შეფასების მხრივ დოკუმენტაციის დახვეწა, ამჟამად სკოლას აქვს მზაობა სამივე საფეხურზე შეფასება იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიქტური. პედაგოგებს აქვთ გააზრებული, რომ შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და სერიოზულად უდგებიან მას. ამ დასკვნის საფუძველს გვაძლევს კურიკულუმი, მომავალი დაგეგმილი სასწავლო პროექტები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, ასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

უცხოური ენები

შეფასების სისტემის ვალიდურობასა და ობიექტურობაზე მიუთითებს ის მატრიცები და განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბიკები რაც სკოლამ წარმოადგინა. გარდა ამისა, ინტერვიუს დროს ახსენეს რომ მოსწავლეებმა წინასწარ იციან შეფასების კრიტერიუმები შესაბამისად შეფასების სისტემა გამჭვირვალეცაა.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში ჩანს შეფასების მიზანი, რომელიც დაფუძნებულია ესგ–ის გრძელვადიანი მიზნების გააზრებასა და საგნობრივი სტანდარტის შედეგების მიღწევაზე. რაც შეფასებას ხდის სანდოს, სამართლიანს და ობიექტურს. ვალიდურობის თვალსაზრისით იკვეთება შეფასების კრიტერიუმების შესაბამისობა/ ურთიერთკავშირი სასწავლო თემებთან და საკითხებთან. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ შეფასება აქვთ გამჭვირვალე, რასაც ახორციელებენ შეფასების რუბრიკების გასაჯაროებით, გაზიარებით როგორც თვით მოსწავლეებთან ასევე სასკოლო საზოგადოებასა და მშობლებთან.

გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს კარგად აქვთ გააზრებული შეფასების მნიშვნელობა და იგეგმება რუბრიკების განახლება, დახვეწა.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისი

ესთეტიკური აღზრდა

დოკუმენტაციაში ესთეტიკური აღზრდის კათედრის მიერ წარმოდგენილია დაწყებითი საფეხურის განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. მუსიკის საგანში განმავითარებელი შეფასების რუბრიკაში ვხვდებით მცირე უზუსტობას, რომლის შესახებ ვისაუბრეთ შეხვედრაზე. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ შესაძლებელია ეს შეცდომა იყოს მექანიკური, რადგან მათ ზუსტად იციან, თუ რა უნდა შეფასდეს და რას ეფუძნება შეფასების კრიტერიუმები. ვფიქრობ, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები მუსიკაში და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანში საჭიროებს დახვეწას, რის მზაობაც პედაგოგებმა ინტერვიუს დროს გამოხატეს და აღნიშნეს, რომ

სამომავლოდ აპირებენ შეიმუშავონ ისეთი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ფორმულირებული იქნება მოსწავლეებისთვის გასაგებ ენაზე. მოსწავლეს წინასწარ ეცოდინება რა კრიტერიუმით შეაფასებენ მას. ეს ხელს შეუწყობს შეფასების ობიექტურობასა და თვითშეფასების უნარის განვითარებას.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

სპორტი

სკოლის თვითშეფასების კითხვარიდან გამომდინარე . მასწავლებლები ფლობენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს და წარმატებით იყენებენ პრაქტიკაში, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს( დისკუსიის, პრეზენტაციის, პრაქტიკული სამუშაოს ,ჩართულობის, აქტივობის), ფიზიკური აღზრდის და სპორტის მასწავლებელთან გასაუბრების დროს კი გამოიკვეთა, რომ მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში გათვალისწინებულია ფიზიკური აღზრდაში შეფასების სისტემის განვითარება და დახვეწა, რომლებიც სრულად დააკმაყოფილებს, საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, იქნება გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი....

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

ტექნოლოგიები - წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე რომელიც წარმოადგინა დაწყებითის კათედრამ გამოიკვეთა, რომ ქოუჩინგის პროცესში მომზადებულ შეფასების რუბრიკებში გაწერილია თუ რას და როგორ შეაფასებს მასწავლებელი, რაზე გაამახვილონ მოსწავლეებმა ყურადღება კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას. ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელს გააზრებული აქვს, რომ წინარე გამოცდილების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია მოსწავლეებმა წინასწარ იცოდნენ შეფასების კრიტერიუმები, რათა სწორად დაგეგმოს საკუთარი სწავლების გზა.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

საზოგადოებრივი მეცნიერებები

კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ქოუჩინგის პროცესში მომზადებულია შეფასების რუბრიკები, რომლებშიც გაწერილია, თუ რას და როგორ შეაფასებს მასწავლებელი, რაზე უნდა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გაამახვილონ მოსწავლეებმა ყურადღება კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას. ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ კათედრის წევრ მასწავლებლებს აქვთ გააზრებული, წინარე გამოცდილების მნიშვნელობა. მოსწავლეებმა წინასწარ იციან შეფასების კრიტერიუმები, რათა სწორად დაგეგმონ საკუთარი სწავლების გზა და იმისთვის, რომ შეფასების პროცესი იყოს მეტად გამჭვირვალე და ობიექტური, მოსწავლეების ჩართულობაც შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბებისას.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

5.ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრებიდან შეიძლება ითქვს, რომ ისინი აანალიზებენ მოსწავლეთა ნამუშევრებს და აქვთ მიზნიდან გამომდირე, რუბრიკების ერთობლივად შექმნის გამოცდილება.სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, სადაც აღნიშნულია,რომ სტრატეგიული დაგეგმვის დროს მნიშვნელოვანია ინფორმაციის შეგროვება,სტატისტიკური მონაცემების/კვლევის ანალიზი(მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების..), სამოქმედო/სტრატეგიული გეგმების მონიტორინგი და შეფასება . შეიძლება ითქვას, რომ კათედრას აქვს მზაობა გააგრძელონ მუშაობა ვერიფიკაციის მექანიზმის დახვეწა-განვითრებაზე.

ინტერვიუ ადასტურებს, რომ შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას ახორციელებენ კათედრები, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია და დაკვირვების შედეგად ხდება მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკებისა და სისტემის შესაბამისობის დადგენა, მოქმედ სტანდარტებთან. სკოლა მომავალში გეგმავს ვერიფიკაციის მექანიზმების დახვეწასა და განვითარებას.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

6.ქალაქ -გორის N 5 სკოლაში დაცულია კანონმდებლობით განსაზღვრული რეგულაციები დოკუმენტების წარმოებასა და მათ შენახვასთან დაკავშირებით.

მიმდინარე სასწავლო წლის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები ინახება ელექტრონულ ჟურნალში (სკოლის შიდა რეგულაციებით განსაზღვრულია ელექტრონულ ჟურნალამდე არსებული მატერიალური ჟურნალების შენახვა უვადოდ). კომპლექსური დავალებები, როგორც მტკიცებულება, ინახება მოსწავლის სამართლებრივი აქტის საფუძველზე მომდევნო კლასში გადასვლამდე. შემაჯამებელი დავალებები კი ინახება კათედრაზე არანაკლებ 3 წლის ვადით, რაც უზრუნველყოფს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასებასთან დაკავშირებულ სანდოობას და ობიექტურობას. იგეგმება კათედრებზე როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული საცავის შექმნა.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია
დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
. თვითშეფასების ფორმა გორის N5 საჯარო სკოლა
სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია
სსიპ გორის N5 საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
სსიპ გორის N5 საჯარო სკოლის შინაგანაწესი
შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის პროექტი
ხარისხის პოლიტიკა
კათედრის ოქმი
სადამრიგებლო პროგრამა
დიაგნოსტიკური შეფასება
შეფასების ანალიზი
კალიგრაფიის კონკურსი
პროექტი-ვიზრუნოთ ფრინველებზე
თვითშეფასების ბარათები
დანართი 20 - გაკვეთილის გეგმა, რეფლექსია და უკუკავშირი
კურიკულუმის ჩარჩოები
საგნობრივი კურიკულუმი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები (Minecraft-ში შესრულებული)
განმავითარებელი შეფასების რუბრიკა
განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა

☒შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.. ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრებიდან ირკვევა,რომ სკოლაში შექმნილია კეთილგანწყობილი და უსაფრთხო გარემო თანამშრომლობითი და პოზიტიური კომუნიკაციისთვის. წახალისებულია მოქმედების თავისუფლება და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობა სკოლის განვითარებაში., მასწავლებლებს და დამრიგებლებს აქვთ შეხვედრები მშობლებთან და მათი ჩართულობით ,მხარდაჭერით ხდება მოსწავლეების საჭიროებების, ინტერესების გათვალისწინება.

მასწავლებლებთან გასაუბრების დროს, გამოიკვეთა პედაგოგთა ღიაობა და მიმღებლობითობა, რომელიც ერთ-ერთი საკვანძო ასპექტია პოზიტიური სასკოლო კლიმატისთვის. ყველას აქვს გამომხატველობის შესაძლებლობა, ეს კი ქმნის ნაყოფიერ სივრცეს თანამშრომლობითი და პოზიტიური კომუნიკაციისთვის. იქიდან გამომდინარე, რომ სკოლა აქტიურად ახორციელებს სხვადასხვა პროექტებს, ქმნის კომპლექსურ დავალებებს, ატარებენ ღონისძიებებს, ინტეგრირებულ გაკვეთილებს და ამ ყველაფერში ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე შეიძლება ითქვას რომ სკოლაში ტარდება სხვადასხვა სახის ღონისძიებები, გამოფენები, ფუქციონირებს მოგზაურთა კლუბი ,,ჰორიზონტი“, რომლებშიც მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული.

სადამრიგებლო კლასებში ხორციელდება სადამრიგებლო საათი, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა სხვადასხვა უნარის განვითარებას (მაგ. წიგნიერების, ციფრული წიგნიერების, გარემოს დაცვითი უნარების განვითარებას და ა.შ).

ყოველივე ეს მიანიშნებს, რომ სასკოლო საზოგადოება ცდილობს იზრუნოს მოსწავლის პიროვნულ და აკადემიურ წინსვლაზე.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

2. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან ინტერვიუებიდან ირკვევა,რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეებზე,კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები თუ ის განხორციელებული პროექტები, რომლებზეც პედაგოგებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს, ნამდვილად გვაძლევს იმის დასკვნის საშუალებას,რომ სასწავლო პროცესი მაქსიმალურად ორიენტირებულია მოსწავლეებზე. სწავლა-სწავლების პროცესში მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, ინტერესებს, ფიზიკურ, ფსიქიკურ მახასიათებლებს, ემოციურ ინტელექტს. სასწავლო გარემო არის პოზიტიური, მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე.

მასწავლებლები, როგორც მოსწავლის გამოცდილების არქიტექტორები, ზრუნავენ თანასწორობის პრინციპებზე აგებულ უსაფრთხო გარემოს შექმნაზე მოსწავლეებთან თანამშრომლობით, უზრუნველყოფენ ყველა მოსწავლის ჩართვას სასწავლო პროცესში, ამისათვის კი იყენებენ კლასის მართვის ეფექტიან სტრატეგიებს, ხელს უწყობენ და ახალისებენ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თვითრეგულირებად ქცევას, მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას და ქმნიან ეფექტურ გარემოს მოსწავლეთა პოტენციალის რეალიზებისთვის. დასტურდება ზეპირსიტყვიერად განხილული და წაროდგენილი შესრულებული კომპლექსური დავალებებით.

კლასის ეფექტიანი მართვისთვის იყენებენ სხვადასხვა სტრატეგიებს. მაგალითად: მოსწავლეები ერთობლივად შეიმუშავებენ ქცევის წესებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში თვითრეგულაციისა და თანამშრომლობითი უნარების განვითარებას.

დაწყებით საფეხურზე მოსწავლეები ფასდებიან განმავითარებელი კომენტარებით. პედაგოგებმა ისაუბრეს იმაზეც, რომ სწავლის პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებული მიდგომა, ხდება იმის გაცნობიერება, რომ ყველა მოსწავლე სხვადასხვა ტემპით და განსხვავებული სტილით სწავლობს.

3.. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან გასაუბრებიდან იკვეთება,რომ მაღალია თანამშრომლობითი კულტურა,როგორც აღნიშნეს ინტენსიურად უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ესწრებიან გაკვეთილებზე, ერთობლივად გეგმავენ სასწავლო პროცესს.ტარდება ინტეგრირებული და ურთიერთდასწრების გაკვეთილები.ხშირად იმართება კათედრების წევრების შეხვედრები, იგეგმება და ხორციელდება სასკოლო პროექტები.

სკოლაში დამკვიდრებულია გამოცდილება პედაგოგების თანამშრომლობის, სკოლის სტრუქტურულ ერთეულებთან. მშობლებს, სამეურვეო საბჭოს აქვთ საშუალება გაეცნონ სკოლის სასწავლო პროცესში შემოთავაზებულ ინოვაციებს, ახალ მეთოდებს, ,,ახალი სკოლის" მოდელის ფარგლებში, კურიკულუმის დანერგვის პროცესის, მექანიზმების შესახებ. მშობლებს აქვთ ინფორმაცია დაწყებით საფეხურზე ჩატარებული სპორტული ფესტივალის შინაარსის შესახებ. სკოლა გეგმავს მშობლების კომპონენტის გაძლიერებას, პროექტული სწავლების გამოყენებით, სასკოლო თემის მეტად ჩართულობას, სკოლის განვითარებაში.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

4.. ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან ინტერვიუ და წარმოდგენილი დოკუმენტაცია (სასკოლო სასწავლო გეგმა, თვითშეფასების კითხვარი, კათედრების ოქმები) წარმოჩენს ამ კუთხით სკოლის მზაობასა და სკოლაში არსებულ კეთილგანწყობილ, ურთიერთპატივისცემასა და თანამშრომლობაზე დაფუძნებულ გარემოს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფოკუს-ჯგუფის ფორმატში და მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით გამოიკვეთება, რომ პოზიტიური სასკოლო კლიმატის გასაუმჯობესებლად, გარდა კურიკულუმის დასახვეწი პროცესებისა, სკოლას მრავალი აქტივობის დაგეგმვა და განხორციელება შეუძლია. კერძოდ: მათემატიკური პროექტების წახალისება მოსწავლეებში ძირითადი ფინანსური უნარების განვითარების მიზნით; - ასევე ძალადობისა და კონფლიქტების პრევენციული ღონისძიებები; თანატოლების თანამშრომლობისა და თანასწავლების წახალისება; მოსწავლის პიროვნულ ზრდაზე მიმართული აქტივობები და სხვა. ინტერვიუს დროს ნახსენები ჩატარებული ღონისძიებები, რომელიც წარმოდგენილი აქვთ სურათების სახით facebook გვერდზე, განხორციელებული პროექტები, Facebook გვერდზე წარმოდგენილი სურათები, კომპლექსური დავალებების ნიმუშები მოწმობს პოზიტიური კლიმატის შექმნას.

მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ მოსწავლის ნებისმიერი მოსაზრება, იდეა, შეხედულება მისაღებია და მას აქვს შესაძლებლობა საკუთარი აზრის ღიად, თავისუფლად გამოხატვისა, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პოზიტიური საკლასო თუ სასკოლო კლიმატის შექმნას.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

. კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

თვითშეფასების ფორმა გორის N5 საჯარო სკოლა

სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია

ხარისხის პოლიტიკა

კათედრის ოქმი

სადამრიგებლო პროგრამა

დიაგნოსტიკური შეფასება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასების ანალისზი
კალიგრაფიის კონკურსი
პროექტი-ვიზრუნოთ ფრინველებზე
თვითშეფასების ბარათები
დანართი 20 - გაკვეთილის გეგმა, რეფლექსია და უკუკავშირი
კურიკულუმის ჩარჩოები
ინტეგრირებული გაკვეთილები და პროექტები
საგნობრივი კურიკულუმი
მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები
მოგზაურთა კლუბი ,,ჰორიზონტი“ .

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან, ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ სკოლაში ეტაპობრივად ხორციელდება კურიკულუმების მონიტორინგი და შეფასება; შედეგების ანალიზის საფუძველზე იგეგმება შემდეგი წლის სასწავლო კურიკულუმი.
სკოლაში შექმნილია ხარისხის მართვის ჯგუფი, რომელიც ორიენტირებულია კურიკულუმის მონიტორინგსა და შეფასებაზე. ქოუჩინგის ოქმში, რეფლექსიებსა და ურთიერთდასწრების რეფლექსიებიდან ჩანს, რომ სკოლა ახორციელებს მონიტორინგს და ითვალისწინებს მიღებულ შედეგებს. ინტერვიუს დროსაც აღინიშნა, რომ კათედრებზე განიხილავენ თუ რას შეცვლიდნენ შემუშავებულ კურიკულუმებში და რამ იმუშავა და რამ არა. შეფასება და მონიტორინგი გამოყენებულია არა როგორც კონტროლის, არამედ მხარდაჭერის მექანიზმი. მონიტორინგის მეთოდოლოგიის შემუშავების მიზნით სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ხდება მიზნების და ამოცანების განსაზღვრა.
სკოლას აქვს წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია
2. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან, ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ მონიტორინგისა და შეფასების საფუძველზე ხდება საჭიროებების გამოკვეთა, რაც ორიენტირებულია მოსწავლე-მასწავლებელთა მხარდაჭერაზე. მტკიცებულებებზე დაყრდნობით მასწავლებლებს შეუძლიათ შეაფასონ მოსწავლის სწავლის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცესი, დაადგინონ ის სფეროები და უნარები, სადაც მოსწავლეს დახმარება სჭირდება, მისცენ უკუკავშირი და მიგნებების გათვალისწინებით დაგეგმონ სწავლის პროცესი. ასევე მასწავლებლებს და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებსაც, შეუძლიათ შეფასონ საკუთარი მუშაობის პროცესი და მოძებნონ გამოსავალი გამოწვევებზე.

მათ აქვთ კათედრის წევრებს შორის ურთიერთდასწრების და თანამშრომლობის პრაქტიკა. არსებობს „კრიტიკული მეგობრის " ინსტიტუტი. მასწავლებლისა და დამკვირვებლის ზეპირი სიტყვიერი რეფლექსიის საფუძველზე, აანალიზებენ ძლიერ და სუსტ მხარეებს. პროცესი არის გამჭვირვალე და თანამშრომლობაზე დაფუძნებული.

სკოლაში შექმნილია ხარისხის მართვის ჯგუფი, რომელიც მომავალში უფრო აქტიურად იმუშავებს და გაუწევს მონიტორინგს სასწავლო პროცესს. აღნიშნულ გამოცდილებაზე დაყრდნობით მომავალი 2023-2024 სასწ. წლისთვის კიდევ უფრო ორგანიზებულად შეიმუშავებენ დასწრების განრიგს და საჭიროების შემთხვევაში დახვეწენ ურთიერთშეფასების ფორმას, რომელშიც გაწერენ გაკვეთილის დადებით და უარყოფით მხარეებს და დასახავენ გაუმჯობესების გზებს.

მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა მათი მოსაზრება, რომ მონიტორინგი და შეფასება ძალიან საჭიროა მიღწევებისა და არსებული გამოწვევების გამოსაკვეთად, რათა ამის შემდგომ პროცესები იმგვარად დაიგეგმოს, რომ შესაძლებელი იყოს ეფექტიანი პრაქტიკის გათვალისწინება და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

3. ატვირთული დოკუმენტაციიდან, ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან ინტერვიუებიდან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ კათედრაზე ხორციელდება წინა წლის კურიკულუმების ანალიზი ; მასწავლებლები აღნიშნავენ მონიტორინგისა და შეფასების მნიშვნელობას და დაგეგმილი აქვთ კურიკულუმების დანერგვის პროცესში შესაბამისი კვლევის ინსტრუმენტების გამოყენება;

სკოლას აქვს მზაობა მომავალ სასწავლო წელს სკოლაში მონიტორინგისა და შეფასების შედეგად მიღებული მასალა გამოიყენოს პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაჭრისთვის. ამ ეტაპზე პედაგოგებს აქვთ: ურთიერთდასწრების და განმავითარებელი შეფასების გამოცდილება, თვითშეფასებისა და ურთიერთდასწრების რეფლექსიები, შემაჯამებლის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ანალიზის ფორმა, ინტერვიუს დროს აღწერილი გამოცდილების გაზიარების პრაქტიკა ხელს უწყობს პრობლემის გადაჭრის გზის განსაზღვრას.

სკოლის პრობლემების მონიტორინგის და შეფასების განსაზღვრის იდენტიფიცირების შემდეგ, სასკოლო საზოგადოება გეგმავს კონკრეტულ ნაბიჯების - კონკრეტული მიზნებისათვის განსაზღვროს პასუხისმგებელი სტრუქტურები.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

. დიაგნოსტიკური შეფასების ახალი ინსტრუმენტის ცარიელი

- თვითშეფასების ფორმა გორის N5 საჯარო სკოლა
- სსიპ გორის N5 საჯარო სკოლის კურიკულუმები
- სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია
- ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმა / რეფლექსია
- შემაჯამებელი ანალიზის ფორმა
- ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან ინტერვიუები

  - გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
  - შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა

☒შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.. თვითშეფასების კითხვარიდან, ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრებიდან გამომდინარე ,ირკვევა, რომ შეფასებისას იყენებენ მრავალფეროვან მეთოდებს: კითხვარებს, ინტერვიუებს სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან(მშობელი, მოსწავლე, მასწავლებელი, სხვა დაინტერესებული პირი), რათა მიიღონ სრული და რეალური სურათი.

სკოლას აქვს პრაქტიკა (მაგ: კათედრის შეხვედრის ოქმი, ურთიერთდასწრების ფორმები) რომელიც წარმოაჩენს წყაროებს, მასალებს და ამ მასალების საფუძველზე გამოკვეთილ დასკვნებს, რომლების საფუძველზეც სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი მიმდინარეობს. პროცესს გააძლიერებენ მომავალი სასწავლო წლიდან.

შემაჯამებელი ანალიზის ფორმაში ვკითხულობთ თუ რა გაუჭირდათ მოსწავლეებს და როგორ უნდა განხორციელდეს და შეფასდეს შემდეგი შემაჯამებელი დავალება. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ორიენტირებულია არამხოლოდ მოსწავლის ცოდნის, არამედ მისი პროგრესის შემოწმებაზე იმდენად, რამდენადაც კომპლექსურ დავალებებში



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოცემული მოსწავლეთა თვითშეფასების ფორმა ორიენტირებულია მომავალში მის მიერ გამოყენებული სტრატეგიების გააზრებასა და გამოყენებაზე.

ისინი გეგმავენ გამოიყენონ უფრო კონკრეტული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ასევე მოსწავლის თვითშეფასების და ურთიერთშეფასების რუბრიკაც.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

2.ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ სკოლა ითვალისწინებს, შეფასებისას ხედვის პერსპექტივის მნიშვნელობას,რომ საჭიროა მოსწავლის შეფასებისას მასზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება.ირკვევა,რომ შეფასების მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრება კონტექსტებიც და ფოკუსიც, რაც მოცემულ კონტექსტში იქნება საჭირო

პედაგოგები ცდილობენ შეისწავლონ რამდენად ეფექტურია მათ მიერ გადადგმული ნაბიჯები სწავლის შედეგების თვალსაზრისით, ისინი ცდილობენ შეფასებისას გაითვალისწინონ კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწავლეთა ინტერესები და ა.შ.

ისგ, კომპლექსური დავალებები, თვითრეფლექსია, ინტეგრირებული გაკვეთილების რეფლექსია, მასწავლებელთა ურთიერთდასწრების რეფლექსიები- მოწმობს იმას, რომ შეფასება ხდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით

სამომავლოდ იგეგმება ისეთი ინსტრუმენტების გამოყენება,რომლებიც ზუსტად ასახავენ ინფორმაციას მოსწავლეებში არსებულ ძლიერ და სუსტ მხარეებზე. სკოლის შეფასების რუბრიკები ფიზიკური აღზრდაში და სპორტში საჭიროებს დახვეწას და განვითარებას, რომლის ამოცანა იქნება უზრუნველყოს შეფასება მრავალი კონტექსტის გამოყენებით, რაც შესაძლებლობას მისცემს სკოლას გამოიკვეთოს მოსწავლის მრავალმხრივი შეფასების, მათი შესაძლებლობების და ინტერესების გათვალისწინება, რის მზაობასაც გამოხატავს სკოლა. ...

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე ვიგებთ, რომ გორის სკოლაში შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები; ძირითადად იყენებენ ანკეტირება, გამოკითხვა, ინტერვიუს, ფოკუს-ჯგუფი, მოსწავლეთა შეფსებისას იყენებენ კომპლექსურ დავალებებს, შემჯამებელ დავალებებს, დიაგნოსტიკურ ტესტებს. შესაბამისად შეფასება ხდება მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით.

სამომავლოდ დაგეგმილი აქვთ გამოიყენონ მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა ინსტრუმენტები: კრიტიკული მეგობრის მეთოდი, მოსწავლეთა და მასწავლებელთა რეფლექსიები.... სკოლას აქვს გამოცდილება მოსწავლეთა ცოდნის დონის განსზღვრის მიზნით, შეაგროვოს მონაცემები და კვლევის საფუძველზე გამოავლინოს მოსწავლეთა ინტერესები.

შესაბამისად 2023-24 სასწავლო წელს სკოლაში დაგეგმილი მოსწავლეების სადიაგნოსტიკო შეფასება სათანადოდ იქნება განხორციელებული, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა საჭიროებათა გამოსავლენად მონაცემების შეგროვებას.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

4... სკოლა ითვალისწინებს, რომ შეფასებისას მნიშვნელოვანია ხედვის პერსპექტივა, მოვლენის, სიტუაციის, ინდივიდის შესწავლისას მასზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება.ამას აგრეთვე ხელს უწყობს მშობლებთან , დამრიგებლებთან მჭიდრო კომუნიკაცია .

სკოლის და კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა ,რომ სკოლას აქვს გამოცდილება და მზაობა ამ მიმართულებით .

მასწავლებლებს აქვთ გააზრებული, რომ მოსწავლეზე, მის სასწავლო სიტუაციაზე, გარემოებაზე გავლენას ახდენს, არა მხოლოდ უშუალო გარემომცველი მიკროსისტემა, არამედ ფაქტორთა მთელი რიგი სხვადასხვა სისტემებიდან: ოჯახი, ჯანდაცვა, ფასეულობები, ტრადიციები და ა. შ. თვითშეფასების ანგარიშშიც აღნიშნავენ, რომ ყველა ზემოთ აღნიშნული გათვალისწინებული იქნება მომდევნო სასწავლო წელს. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკაში, განხორციელებული კომპლექსური დავალებებსა და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში მოცემულია სხვადასხვა ფაქტორები, რითაც შეფასება ხორციელდება ბევრი საკითხის გათვალისწინებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ შეფასებისას ითვალისწინებენ დიფერენცირებულ მიდგომას, მოსწავლეების შესაძლებლობებს. ახდენენ სხვადასხვა უნარისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირებას, ჯგუფური მუშაობის დროს ჩართულობას და ფუნქციათა დელეგირებას.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- თვითშეფასების ფორმა გორის N5 საჯარო სკოლა
- სსიპ გორის N5 საჯარო სკოლის კურიკულუმები
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკა
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა
- შემაჯამებელი ანალიზის ფორმა
- მასწავლებლებტან ინტერვიუები

შეფასება:

- გთხოვთ,  ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სწორი ხედვა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით.მასწავლებლებს ესმით, რომ არა სპონტანურად, არამედ თანმიმდევრულად უნდა წარიმართოს მიმდინარე წელიწადს კურიკულუმის დანერგვის შესახებ მონაცემების შეგროვება და დამუშავება. რეფლექსიით და საჭიროებების კვლევით ისინი შეძლებენ წლის ბოლოს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის ჩამოყალიბებას. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა რევიზიის საშუალებას. ასევე, ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ სასწავლო წლის ბოლოს მოახდენენ კურიკულუმების შეფასებასა და რევიზიას, იგივე აქვთ წარმოდგენილი თვითშეფასების ფორმაშიც. წარმოდგენილი შემაჯამებლის ანალიზის ფორმა, ინტეგრირებული გაკვეთილის რეფლექსია ადასტურებს რომ სკოლას აქვს მზაობა განახორციელოს კურიკულუმის რევიზია და შექმნას რეკომენდაციები სამომავლოდ კურიკულუმის შემუშავებისთვის. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების გადამუშავებული ვერსიები დაშენდება წინარე გამოცდილებასა და მონიტორინგის, შეფასების შედეგებზე.

მასწავლებლებს აქვთ მზაობა სასკოლო კურიკულუმი მომავალ წელს უფრო გამართულ დოკუმენტად აქციონ, მისი დახვეწა-განვითარება მოხდება წინა წლის გამოცდილების გათვალისწინებით. ინტერვიუს დროს ისაუბრეს ,რომ კათედრებზე მუდმივად ახდენენ შემუშავებული კურიკულუმების გადასინჯვას და გამოცდილების გაზიარებას, რაც ასევე ასახულია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაშიც და ეფუძნება წინარე გამოცდილებას.

მომდევნო სასწავლო წლის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების შედგენისას -კოორდინირებულად მუშაობდნენ საგნობრივი კათედრები. რომლებიც ითვალისწინებდნენ წინარე გამოცდილებას.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ გორის N5 საჯარო სკოლის წლიური სამოქმედო გეგმა
- შემაჯამებელი ანალიზის ფორმა
- თვითშეფასების ფორმა
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

## I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| სტანდარტი 2 | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი -საბაზო საფეხური** | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4** | ☐ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი
2.1. კურიკულუმის შემუშავება
2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სახელმწიფო ენა

სკოლის მიერ შემუშავებული „კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიიდან" ირკვევა, რომ კათედრის კურიკულუმების ჩარჩო ჩამოყალიბდა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის გამოცდილების გაზიარებისა და გაანალიზების შედეგად . ამას ადასტურებს მათ მიერ წაარმოდგენილი დოკუმენტაციაც (კერძოდ, სტრატეგიული დაგეგმარების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მეთოდოლოგია,თვითშეფასების ფორმა,კათედრის ოქმი..). ჩანს, რომ კურიკულუმის შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართვა ხორციელდება მშობლებთან, სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებთან სოციალური მედიის, ელ. ფოსტის, ბეჭდვითი მასალების, საჯარო ღონისძიებების და სხვა საშუალებების გამოყენებით.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

მათემატიკა
სკოლის მიერ შემუშავებული „კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიიდან“ ირკვევა, კურიკულუმის შემუშავების პროცესის ნაწილი იყო კათედრებზე მასწავლებლების მიერ ინდივიდუალური ხედვის წარდგენა, კოლეგებთან ერთად განხილვა, უკუკავშირი, გასული წლების გამოცდილების გაზიარება და შეჯერება საბოლოო ვერსიაზე. ასევე სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებთან: რამდენიმე შემთხვევაში მშობლებთან და თითქმის ყველა მოსწავლსთან კონცეპტუალური იდეების განხილვა, გამოწვევებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირების მიზნით. სამივე საფეხურზე კურიკულუმის განვითარების მიზნით, ასევე სასწავლო პროცესის გასამრავალფეროვნებლად იყენებენ მათემატიკის პედაგოგის მიერ შექმნილ learningapps.org-ის ელ. რესურსებს.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

უცხოური ენები
სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის განვითარებისა და შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც გაწერილია სასკოლო საზოგადოების წევრების როლი, ფუნქცია-მოვალეობები კურიკულუმის შემუშავებისას. ასევე, თვითშეფასების ფორმაში აღწერილია რომ სკოლა დიაგნოსტიკური შეფასებების, კომპლექსური დავალებების, ,,მშობლის ბარათებისა“ და კათედრაზე ერთობლივი მუშაობით ითვალისწინებენ სასკოლო საზოგადოების ინტერესებს. ამის დასტურად შესაძლოა მივიჩნიოთ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, სადაც გაწერილია სასკოლო საზოგადების ფუქცია-მოვალეობები და ასევე, წარმოდგენილი ,,მშობლის ბარათები“. თუმცა, უმჯობესი იქნება სკოლამ შეიმუშავოს კურიკულუმის განვითარებისა და შემუშავების მეთოდოლოგიაც ცალკე დოკუმენტად.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

სკოლის მიერ შემუშავებული „კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიიდან“ ირკვევა, რომ შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

ესთეტიკური აღზრდა

მომავალი წლისათვის იგეგმება მშობელთა და მოსწავლეთა ინტერესების კვლევა და მათი ასახვა კურიკულუმში. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

სპორტი

წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილი და მორგებულია მოსწავლეზე, ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზებზე .

სკოლის ფიზიკური აღზრდის და სპორტის საბაზო საფეხურის 7-9 კლასის კურიკულუმებში, გაწერილი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები და დაგეგმილი კომლექსური დავალებები ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკური განვითარების, ორგანიზებისა და თვითკონტროლის და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დანერგვის მიღწევაზე.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

საზოგადოებრივი მეცნიერებები

სკოლის კურიკულუმის შემუშავებისას მკაფიოდაა გაწერილი მეთოდოლოგია, სადაც გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ინტერესები და შეხედულებები. კურიკულუმის შემუშავება მიმდინარეობს მთელი წლის მანძილზე და აღწერს მოსწავლის განვითარების გზას. დაგროვილ გამოცდილებას ითვალისწინებენ კათედრებზე თვითშეფასების, ურთიერთდასწრების, უკუკავშირისა და სასწავლო პროცესის რეფლექსიის საფუძველზე. ყოველივე ამის გათვალისწინებით იქმნება ახალი კურიკულუმი.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

2.სახელმწიფო ენა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან(სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია; თვითშეფასების ფორმა,მშობლის ბარათი.) და გასაუბრებდან გამოიკვეთა, რომ კათედრა კურიკულუმის შედგენისას ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესებსა და შეხედულებებს, პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმს შეიმუშავებენ თანამშრომლობით, სასკოლო საზოგადოების წევრთა გამოკითხვა-ანალიზის ,გამოცდილების გაზიარების საფუძველზე. როგორც თავად აღნიშნეს,აქტივობები და დავალებები შერჩეულია მოსწავლეთა საჭიროებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე.სწავლისა და პიროვნული ზრდის მხარდაჭერისთვის,

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

მათემატიკა

პედაგოგებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ ისინი ცდილობენ პოზიტიური, სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერაზე ორიენტირებული სასკოლო კულტურის შექმნას; მოსწავლეზე ორიენტირებული, საფეხურის პროგრამების კურიკულუმში ასახვას; მოსწავლის სწავლის შედეგების ანალიზს; განმავითარებელი შეფასების სისტემის დახვეწას; არაფორმალური განათლების ხელშეწყობას; მშობლის ბარათებით მშობელთა ინფორმირებას თუ რისი სწავლა უწევთ მათ შვილებს - ეს ყველაფერი ბუნებრივად უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ყველა ინტერესების კურიკულუმში ასახვას. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

უცხოური ენები

საბაზო საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები რასაც მოწმობს წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები. გარდა ამისა, ინტერვიუს დროსაც ახსენეს რომ მასწავლებლებს ხანდახან უხდებოდათ კომპლექსური დავალების პირობის შეცვლა მშობელთა უკუკავშირის საფუძველზე. ინტერვიუს დროს, ასევე ახსნეს რომ მათ იციან და ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს კომპლექსური დავალების შემუშავების დროს, თუმცა უმჯობესი იქნება, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაზე მუშაობისას აღწერონ თუ როგორ, რა გზით მოახდენენ მოსწავლეთა ინტერესების გაგებასა და გათვალისწინებას სასწავლო პროცესში.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წლის დასაწყისში დამრიგებლები ხვდებიან მშობლებს, აცნობენ წლის სამუშაო გეგმას, ახდენენ ზოგადი პრობლემების იდენტიფიცირებას, ითვალისწინებენ მათ მოსაზრებებს და ადგენენ სადამრიგებლო პროგრამებს. სასწავლო გეგმა მოიცავს როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ განათლებას, ღონისძიებებს, პროექტებს. სკოლას აქვს მზაობა, სამომავლოდ კურიკულუმში უფრო მეტად ასახოს მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

ესთეტიკური აღზრდა
პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სკოლას ერთგვარ ტრადიციად აქვს, ყოველ პარასკევს მშობლებთან შეხვედრა. მოდიან მშობლები, ეცნობიან მიმდინარე პროცესებს, ხვდებიან პედაგოგებს და ჩართული არიან სასკოლო ცხოვრებაში. მშობლების დამოკიდებულება განსაკუთრებით გამოიხატება ღონისძიებებში, სადაც ისინი განსაკუთრებით აქტიურად გამოხატავენ საკუთარ ინტერესებს.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

სპორტი
წარმოგდენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნები (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), სამიზნე ცნებები და შედეგები.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

საზოგადოებრივი მეცნიერებები
კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ყველა ერთეულის ინტერესი. კომპლექსური დავალებები არის დაფუძნებული მოსწავლეთა უკუკავშირზე, თვითშეფასებაზე და ურთიერთშეფასებაზე. ადმინისტრაცია თანამშრომლობს მოსწავლეთა თვითმმართველობასთან და ახალისებს მათ ინიციატივებს. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სწავლა-სწავლების პროცესში, საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა-წარმართვის დროს აქტიურად ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს - შესაძლებლობებს, მათ ინტერესებს, მოტივაციასა და წინარე გამოცდილებას. აქვთ აქტიური კომუნიკაცია მშობლებთან. მათ მოსაზრებებსა და შეხედულებებს ასახავენ ახალ კურიკულუმში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

ჰსახელმწიფო ენა

.ატვირთული დოკუმენტაციიდან(სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია; თვითშეფასების კითხვარი,მშობლის ბარათი) და მასწავლებლებთან გასაუბრებიდან გამომდინარე, ირკვევა, რომ საფეხურის კურიკულუმები შემუშავებულია კათედრის ერთობლივი მუშაობის საფუძველზე, გასაუბრების დროს აღნიშნეს,რომ ითვალისწინებენ მოსწავლეების , მშობლების უკუკავშირს.სკოლას აქვს მზაობა , რომ ჩართონ სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები მეტი აქტიურობით კურიკულუმის შემუშავების პროცესში.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

მათემატიკა

სასკოლო საზოგადოების წევრები აქტიურად მონაწილეობენ კურიკულუმის შემუშავების პროცესში, მათ ჩართულობას ფორმალური და ფრაგმენტული სახე არ აქვს. გააზრებული აქვთ, რომ კურიკულუმის შემუშავება ციკლური პროცესია და მასში ჩართულობა გულისხმობს მთელი წლის მანძილზე მიმდინარე პროცესებში თანამონაწილეობას. კურიკულუმის მიმდინარე ვერსია, რომელის ავტორიზაციის პროცესში წარმოადგინეს, გასაუბრებით დადასტურდა, რომ იყო გაზიარებული და შეთანხმებული.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

უცხოური ენები

თვითშეფასების ფორმაში წარმოდგენილი აქვთ რომ ქოუჩებთან ერთად შეიმუშავეს კურიკულუმები, გაუზიარეს მშობლებს ,,მშობლის ბარათები“, შექმნეს სადამრიგებლო პროგრამა სადაც გათვალისწინებული იქნება ასევე სასკოლო საზოგადოების ინტერესები. ინტერვიუს დროსაც, აღინიშნა რომ კურიკულუმის შემუშავებაში მონაწილეობდნენ მშობლები და კათედრის წევრებიც.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების წინარე გამოცდილება. ყველა საგნის პედაგოგებმა, ქოუჩებთან ერთად, შეიმუშავეს საგნობრივი კურიკულუმი, რომელიც მიჰყვება საგნის თემატიკას და ჩაშენებული აქვს კომპლექსური დავალებები.
პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ კათედრა აქტიურად თანამშრომლობს ერთმანეთთან, განიხილავენ კურიკულუმებს და შეთანხმებულად ადგენენ მომავალი წლის გეგმას.
სამომავლოდ აპირებენ მოახდინონ სასწავლო პროცესის ანალიზი, კურიკულუმის რეფლექსია, გაითვალისწინონ მოსწავლეთა და მშობელთა უკუკავშირი და შექმნან სასკოლო საზოგადოებაზე მორგებული და მათ მიერ შემუშავებული კურიკულუმი.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

ესთეტიკური აღზრდა
სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების წინარე გამოცდილება. სხვადასხვა საგნის პედაგოგებმა, ქოუჩებთან ერთად, შეიმუშავეს საგნობრივი კურიკულუმი, რომელიც მიყვება საგნის თემატიკას და ჩაშენებული აქვს კომპლექსური დავალებები.
პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ კათედრა აქტიურად თანამშრომლობს ერთმანეთთან, განიხილავენ კურიკულუმებს და შეთანხმებულად ადგენენ მომავალი წლის გეგმას.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

სპორტი პ
ედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია მთელი კათედრა და ერთობლივად გეგმავს სკოლაზე და მოსწავლეებზე ორიენტირებულ სასკოლო გეგმებს და აქტივობებს.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

საზოგადოებრივი მეცნიერებები
კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია მთელი სასკოლო საზოგადოება. მშობელთა გააქტიურების მიზნით სკოლა სამომავლოდ გეგმავს გამოკითხვის ჩატარებას მშობელთა უკუკავშირის მისაღებად, რაც გათვალისწინებული იქნება კურიკულუმის შექმნის დროს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა კურიკულუმების შემუშავების პროცესში თითოეული კათედრის და სკოლის ადმინისტრაციის აქტიური თანამშრომლობა. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის წევრმა მასწავლებლებმა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნეს, რომ საგნობრივი კურიკულუმის შედგენისას ისინი ერთობლივად მუშაობდნენ, ითვალისწინებდნენ სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებს, მოსწავლეთა წინარე ცოდნას, ინტერესებსა და საჭიროებებს.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

4.სახელმწიფო ენა
წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან( სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია; თვითშეფასების კითხვარი,მშობლის ბარათი)და პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა , რომ შემუშავებულ კურიკულუმებს უზიარებენ როგორც კათედრებს,ასევე მშობლებს სხვადასხვა საშუალებით-სოციალური მედიის, ელ. ფოსტის, ბეჭდვითი მასალების, საჯარო ღონისძიებების და სხვა საშუალებების გამოყენებით. რაც მათ ჩართულობას ზრდის .სკოლას ა წინარე გამოცდილებიდან გამომდინარე აღნიშნეს, რომ ეს მიღებული პრაქტიკაა,და გაითვალისწინებენ მომავალ წელსაც, ამ თვალსაზრისით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტის შედეგებს
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

მათემატიკა
ყველა მათემატიკის პედაგოგს აქვს მიკუთვნებულობის განცდა სასკოლო კურიკულუმის მიმართ, როგორც ყველას პროდუქტი - ასე აღიქვამენ. სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა თითეული მათგნისთვის, აღნიშნეს რომ აქვთ ამობეჭდილიც კათედრაზე. კურიკულუმის საბოლოო ვერსიებს გააცნობენ მოსწავლეებსაც და მშობლებსაც.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

უცხოური ენები
თვითშეფასების ფორმაში მოცემულია, რომ შემუშავებული კურიკულუმები გაზიარებული იყო სკოლის one drive_ზე, ასევე teams და მესენჯერის საშუალებით მოხდა კომპლექსური დავალებების ბარათების გაზიარება მშობლებისთვის. გარდა ამისა, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში წარმოდგენილია როგორ მოხდება სასკოლო საზოგადოებისათვის კურიკულუმის გაზიარება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

საგნობრივი კურიკულუმები განთავსებულია სკოლის onedrive -ზე, თიმსის და მესენჯერის ჩათების საშუალებით ზიარდება კომპლექსური დავალების ბარათები, რაც ხელს უწყობს მშობლების ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში.
სკოლა სამომავლოდ გეგმავს კურიკულუმები და მისი დამხმარე მასალები (მისია, ხედვა, საგნობრივი პროგრამები, სადამრიგებლო საათის პროგრამა, ფორმალური და არაფორმალური სწავლების სხვადასხვა საშუალებები გახადოს ხელმისაწვდომი, რათა სასკოლო საზოგადოების წევრებს ქონდეთ მიკუთვნებულობის განცდა.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

ესთეტიკური აღზრდა
საგნობრივი კურიკულუმები განთავსებულია სკოლის onedrive -ზე, თიმსის და მესენჯერის ჩათების საშუალებით ზიარდება კომპლექსური დავალების ბარათები, რაც ხელს უწყობს მშობლების ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში.
სკოლა სამომავლოდ გეგმავს კურიკულუმები და მისი დამხმარე მასალები (მისია, ხედვა, საგნობრივი პროგრამები ,სადამრიგებლო საათის პროგრამა, ფორმალური და არაფორმალური სწავლების სხვადასხვა საშუალებები გახადოს ხელმისაწვდომი რათა სასკოლო საზოგადოების წევრებს ჰქონდეთ მიკუთვნებულობის განცდა.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

სპორტი შექმნილ კურიკულუმებს, ფესტივალების მოწყობით და საერთო სასკოლო აქტივობებში ჩართულობით, იზიარებს სასკოლო საზოგადოებაც.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

საზოგადოებრივი მეცნიერებები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით, სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი ელექტრონული საკომუნიკაციო არხები- ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა, სოციალური მედია, teams-ის პლატფორმა და სხვა. სასკოლო კურიკულუმი ხელმისაწვდომი და საჯაროა ყველა დაინტერესებული პირისათვის.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია
დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
• სსიპ გორის N5 საჯარო სკოლის საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
• სსიპ გორის N5 საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
• კურიკულუმის შემუშავების პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტები/აქტივობები/მასალა.
• დანართი 2 - რესურსების ბანკი;
• კათედრების შეხვედრის ოქმები.
• ფესტივალის, სასკოლო პროექტებში ანუ შიდასასკოლო კონფერენციებში მონაწილეობისა და სხვა აქტივობების ამსახველი ფოტო-მასალა..

2.1.2კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სახელმწიფო ენა საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი თემები, რესურსები და დავალებები, შეუქმნის მოსწავლეებს საკუთარი შესაძლებლობის გამოვლენისა და თვითრეალიზების საშუალებას. მასწავლებლებმა კი გასაუბრებისას აღნიშნეს,რომ ახორციელებენ კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომლებსაც არჩევენ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, საჭიროებების გათვალისწინებით.ძირითადად ამახვილებენ ყურადღებას დავალებებზე,რომლებიც იქნება, როგორც საინტერესო და მამოტივირებელი მოსწავლეებისთვის, ისე ცოდნა-უნარის მრავალმხრივ განვითარებას შეუწყობს ხელს(მაგალითად, წარმოსახვითი წერილის მიწერა, ნოველის შექმნა, პუბლიცისტური წერილის შექმნა) .კურიკულუმის ჩარჩოს გაცნობისა და მასწავლებლებთან გასაუბრებისდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ,რომ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს აქვთ მზაობა დაგეგმონ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

მათემატიკა
სკოლის მათემატიკის საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი ძირითადად სასწავლო პროცესზე ორიენტირებული პროგრამაა, რომელიც აჩვენებს, თუ როგორ ხდება მოსწავლის მიერ ცოდნის კონსტრუირება მათემატიკაში. საბაზო საფეხურის წარმოდგენილი კურიკულუმის დიზაინი აგებულია იმგვარად, რომ ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე: მათემატიკური მოდელი, კანონზომიერება და ლოგიკა. სკოლის საბაზო საფეხურის მათემატიკის პროგრამა შექმნილია მათზე ორიენტირებით: გაწერილია წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში, ასევე მოსწავლეთა შეფასების რუბრიკებში, მოგვიანებით. ამ დოკუმენტებში გრძელვადიან მიზნების დასახელება რომ არ ხდება ფორმალურად, ეს მასწავლებლებთან გასაუბრების დროსაც დაზუსტდა.
კათედრის წევრებს გააზრებული აქვთ მეტაკოგნაციის განვითარების სტრატეგიები: მატრიცებს, რომელსაც ისინი სანიმუშოდ იყენებენ (math.ge-დან), ბოლოში ინტეგრირებული აქვთ ე.წ. პოლიას მეთოდით შემუშავებული კითხვები, რომლიც ეხმარება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეს გაიაზროს რა გამოუვიდა კარგად, რატომ, რა იყოს ის ცოდნა და გამოცდილება, რამაც წარმატება მოუტანა, რა ვერ შეძლო, რას შეიძლებოდა ხელი შეეშალა და ა.შ. ინტერვიუდან გაირკვა რომ ისინი ამ მეთოდს იცნობენ და იყენებენ.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

უცხოური ენები
საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები ორიენტირებულია სწავლის პროცესზე, წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები და განხორციელებული ინტეგრირებული გაკვეთილები ცოდნის აქტიური კონსტრუირებისკენაა მიმართული. კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და მიმართულია მოსწავლის განვითარებისკენ.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.
საბუნებისმეტყველო მეცნიერებები
სკოლის ფიზიკური აღზრდის და სპორტის საბაზო საფეხურის 7-9 კლასის კურიკულუმებში, გაწერილი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები და დაგეგმილი კომლექსური დავალებები ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკური განვითარების, ორგანიზებისა და თვითკონტროლის და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დანერგვის მიღწევაზე..წამოდგენილი დოკუმენტაციით ჩანს, რომ სწავლების პროცესში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე (სამიზნე ცნებებზე და მასთან დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენებზე). კურიკულუმში სწორადაა ესგ - ს სტანდარტის შესაბამისად განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები, საკითხთა კლასტერი. მოცემულია კომპლექსური დავალების იდეა, რომელიც მიემართება სამიზნე ცნებასა და მასთან დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენებს. ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ საკითხებისა და კომლექსური დავალებების განსაზღვრა მოხდა მოსწავლეთა ინტერესების და საჭიროებების გათვალისწინებით - წინა წლის კურიკულუმის (გახორციელებული კომპლექსური დავალებების) გაანალიზების საფუძველზე. შედეგების მისაღწევად, შუალედური მიზნების სახით მეტწილად შერჩეულია კომპლექსური დავალებები, რომელთა განხორციელებისას მოსწავლეები ცოდნის შეძენის გვერდით განივითარებენ ფუნქციურ–კომპონენტურ უნარებს. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ახალი სასწავლო წლისთვის მოხდება არსებული კურიკულუმების გადახედვა, ადაპტირება და მორგება მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე. საგნობრივი კურიკულუმები კიდევ მეტად შეივსება კომპლექსური დავალებებით, რაც თავისთავად იქნება მოსწავლეზე ორიენტირებული.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

ესთეტიკური აღზრდა

საბაზო საფეხურის ესთეტიკის კათედრის - მუსიკის და ხელოვნების საგნის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, თემები და კომპლექსური დავალებები ეყრდნობა მოსწავლეთა და პედაგოგთა წინა გამოცდილებას და პრაქტიკას, გათვალისწინებულია გრძელვადიანი სასწავლო მიზნები და შედეგები, მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, განისაზღვრება როგორც საბაზო საფეხურის მისაღწევი შედეგების ორიენტირი, რაც განაპირობებს მოსწავლის აქტიურ ჩართვას სწავლა - სწავლების პროცესში. დავალებები გამოირჩევა შემდეგი მახასიათებლებით: ანალიზი, შედარება, დახარისხება, შეცვლა, აგება და დაშლა ნაწილებად. საბაზო საფეხურზე ესთეტიკური აღზრდის საგნების კურიკულუმში შემუშავებულია ისეთი კომპლექსური დავალებები, რომლებიც მოსწავლეებს აძლევს შინაგანი ძალების გააქტიურების საშუალებას და ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე.

სახვითი და გამოყენებითი საგნის პედაგოგმა ამ კუთხით გამოარჩია და ისაუბრა საბაზო საფეხურზე შესრულებულ კომპლექსურ დავალებაზე, რომლის თემა იყო ,,პეიზაჟი“. პედაგოგმა აღნიშნა, რომ მოსწავლეებმა დავალებები განსაკუთრებული მონდომებით შეასრულეს, ისინი შემდგომ გამოიფინა სასკოლო სივრცეში.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

სპორტი

წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილი და მორგებულია მოსწავლეზე, ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზებზე .

სკოლის ფიზიკური აღზრდის და სპორტის საბაზო საფეხურის 7-9 კლასის კურიკულუმებში, გაწერილი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები და დაგეგმილი კომლექსური დავალებები ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკური განვითარების, ორგანიზებისა და თვითკონტროლის და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დანერგვის მიღწევაზე.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

საზოგადოებრივი მეცნიერებები როგორც წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან ჩანს, სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეზე, რადგან გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და საჭიროებები. მასწავლებლების მიერ შემუშავებული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო საბაზო საფეხურზე წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარებისათვის გზას. კურიკულუმის ჩარჩო ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, საგნობრივი ჯგუფის მიერ შემუშავებულ კურიკულუმში შუალედურ მიზნებად მოაზრებულია კომპლექსური დავალებები, რომლებიც შემუშავებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით და კურიკულუმი ორიენტირებულია მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე. იგი დაფუძნებულია კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე. კომპლექსური დავალებები შედგენილია მოსწავლეთა ინტერესების და შესაძლებლობების გათვალისწინებით. საგნობრივი საკითხები გაერთიანებულია თემატურ ერთეულებად, თითოეული თემის დამუშავება მიმართულია ესგ-ის გრძელვადიან მიზნების მისაღწევად, რაც კონკრეტული სამიზნე ცნების დამუშავებისას წარმოადგენს მკვიდრ წარმოდგენას.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია
2სახელმწიფო ენა
კურიკულუმის შესწავლისას და გასაუბრებისას გამოიკვეთა , რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, იცნობენ და იყენებენ საგნობრივ სტანდარტს კურიკულუმების შემუშავებისას და გამოიყენებენ მომავალში მათ დასახვეწად. შესაბამისად,კურიკულუმში წარმოდგენილი ზოგიერთი დავალებისთვის განსაზღვრულია მისაღწევი მიზნები ცნებების სახით.სანიმუშოდ მოცემული დავალებებიდან(მაგალითად,ანალიტიკური ესე, წარმოსახვითი წერილის მიწერა, ),წარმოდგენილი სადამრიგებლო საათის პროგრამიდან ჩანს, რომ მასწავლებლები ითვალისწინებენ ისეთი უნარების განგანვითარებას, როგორიცაა მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გაზრდა ,კომუნიკაცია,შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებას. გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ყურადღებას ანმახვილებენ სწავლის სწავლაზე .დავალების შესრულების შემდეგ მოსწავლეები საუბრობენ ,რა გამოუვიდათ კარგად,მსჯელობენ ,თავიდან რომ შეესრულებინათ დავალება,რას შეცვლიდნენ და რატომ.აღნიშნეს ,რომ ამ პრინციპით აპირებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვას.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

მათემატიკა
წარმოდგენილი საბაზო საფეხურის წლიური საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია მათემატიკის საგნობრივი სტანდარტისა და გრიფირებული სახელმძღვანელოების მიხედვით, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, სასწავლო პროცესი დაგეგმილია სავალდებულო თემებით, რომლის ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და სამიზნე ცნება. ძირითადად ჩანს თუ რა საგნობრივ საკითხებს, თემებს, ძირითად რესურსებს, შეფასების ინსტრუმენტებს სთავაზობს სკოლა საკუთარ მოსწავლეებს პიროვნული განვითარებისთვის და ასევე ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად. კურიკულუმებში არ ჩანს რომელ კომლექსურ დავალებებს სთავზობენ მოსწავლელბს, თუმცა გასაუბრებაზე დააზუსტეს, რომ უკვე შეჯერდნენ რომელ კომპლექსურ დავალებებს განახორციელებენ და უმოკლეს ვადაში ასახავენ კურიკულუმებსიც. შეიძლება ითქვას, სკოლის მიერ გააზრებულია შედეგები, სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები გრძელვადიან მიზნებად, დასტურდება საგნობრივ კურიკულუმით, მოსწავლეთა შეფასების ამსახველი დოკუმენტებით, პედაგოგებთან გასაუბრებით.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

უცხოური ენები
საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული სამზინე ცნებები, საკითხები/ქვესაკითხები და კომპლექსური დავალებები მიემართება ესგ-ით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებსა და მკვიდრი წარმოდგენებს.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები
ყველა საგნის (ბილოგია, ფიზიკა, ქიმია) კურიკულუმში განსაზღვრულია გრძელვადიანი მიზნები (საგნების მიხედვით) და შუალედური მიზნების სახით წარმოდგენილია რამდენიმე კომპლექსური დავალება თავისივე იდეით, კონტექსტ მაგალითებით და მაგალითები შედარებისთვის, რომელიც იძლევა საშუალებას მოსწავლეს განუვითარდეს ფუნქციური უნარები. დაგეგმილია ასევე მაკროცნება კვლევის გამოყენება და ვიზიტის დროს დასტურად წარმოადგინეს კვლევის ანგარიშები. მათ შორის „სამკურნალო მცენარეების გამოყენება ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად“. ყველა თემა მუშავდება საგნის შესაბამისი ყველა სამიზნე ცნებებით მიუხედავად იმისა კომპლექსური დავალება არის თუ არა დაგეგმილი განსახორციელებლად.
ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ კომპლექსური დავალებების შერჩევისას გაითვალისწინეს მოსწავლეების ინტერესები და შესაძლებლობები. კომპლექსური დავალებებზე მუშაობის პროცესში გეგმავენ ისეთი აქტივობების განხორციელებას, რაც ხელს შეუწყობს ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, თანამშრომლობა, მოქალაქეობა ), ასევე მეთოდოლოგიური ორიენტირის მეტაკოგნიციის განვითარებას . შეძლოს მოსწავლემ გრაფიკულ–მაორგანიზებლების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამოყენება, კომპეტენცია– პასუხისმგებლობა განივითარონ. დამუშავების პროცესში გამოიყენონ მაკროცნება კვლევა და მთლიანად კომპლექსურით სწავლება ემსახურებოდეს გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრებას და ესგ–ის შედეგების დაძლევას. მტკიცებულებად, პროექტებით მუშაობით გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად, წარმოდგენილი იყო პროექტის „წყალი ჩვენი არსობისა" განხორციელების ამსახველი მასალა.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

ესთეტიკური აღზრდა
საბაზო საფეხურის მუსიკის და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმში განსაზღვრულია აუცილებელი თემები და თემატური ბლოკები. კურიკულუმის ჩარჩო და მასში წარმოდგენილი სამიზნე ცნება, რესურსები, კომპლექსური დავალების იდეები იძლევა შესაძლებლობას განსაზღვროს მოსწავლის ჩართვა პროცესში, მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და ორიენტირდება ფუნქციურ კომპონენტური ექვსი უნარის დამუშავებისაკენ, მოსწავლეებისგან ავტომატურად ითხოვს ყველა ამ უნარის არა მხოლოდ აქტივირებას, არამედ წაახალისებს მათ გაცნობიერებას, გააზრებულობასა და სრულყოფას.
პედაგოგებმა ისაუბრეს საეტაპო აქტივობებზე, საიდანაც გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება სამიზნე ცნებისა და ქვეცნებების დამუშავებას.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

სპორტი
წარმოგდენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნები (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), სამიზნე ცნებები და შედეგები.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

საზოგადოებრივი მეცნიერებები
კურიკულუმი სწავლის პროცესს განიხილავს, როგორც ცოდნის აქტიურ კონსტრუირებას. ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. გრძელვადიანი მიზნები წარმოდგენილია მკვიდრი წარმოდგენების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სახით, ხოლო საგნობრივი საკითხები მუშავდება თემატური ბლოკისა და სამიზნე ცნების და ქვეცნებების ფარგლებში. მოსწავლის ცოდნის აგება ხდება წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაფუძნებით. მასწავლებლებთა ინტერვიუზე და სკოლის მიერ დამატებით გადმოგზავნილი დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ირკვევა, რომ სასწავლო პროცესში დიდია გლობალურ ფუნქციური უნარების როლი, რომელთა დამუშავებაც ხდება კომპლექსური ხასიათის დავალებების კეთებისა და პროექტების განხორციელების პროცესში.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

3.სახელმწიფო ენა

ატვირთული დოკუმენტაციიდან (კურიკულუმის ჩარჩოები , მრავალფეროვანი კონტექსტმაგალითებითა და თემებით;ისგ)და მასწავლებლებთან გასაუბრებიდან ირკვევა,რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა განსხვავებული თავისებურებები,სწავლის სტილი,იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა.როგორც აღნიშნეს, არჩევენ შესაბამისად დავალებებს.კათედრას აქვს მზაობა, გაამახვილოს ყურადღება და გაითვალისწინოს 2023-24 წლის კურიკულუმში დიფერენცირებული სწავლების პრინციპები

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

მათემატიკა

საბაზო საფეხურზე მათემატიკის სწავლების პროცესის შინაარსი მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე, კერძოდ საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები, მოსწავლეთა შეფასების დოკუმენტები ასახავს კონკრეტული მოსწავლეების ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. ყველა თემა ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მის გამოცდილებას და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან და ხელს უწყობს ფუნქციური უნარების განვითარებას; კურიკულუმებში, შუალედური სასწავლო მიზნის მიღწევის აუცილებელ ინსტრუმენტად კომპლექსური დავალებები უნდა შეიტანონ, რომელიც საშუალებას მისცემს მასწავლებლებს გაითვალისწინონ მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები. ცალკეული მოსწავლეებისთვის კი სკოლას აქვს მზაობა ამ დავალების ადაპტირებული ვერსიები მომზადოს, ეს მზაობა გამოჩნდა ინტერვიუს პროცესშიც და დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ ადაპტირებულ მატრიცასა და კომპლექსური დავალების ბარატში.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უცხოური ენა
სკოლამ წარმოადგინა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, სადაც მოცემულია კომპლექსური დავალების პირობები რაც არის მორგებული მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. გარდა ამისა, ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ მოსწავლეებს აძლევენ სშუალებას შესაძლებლობების მიხედვით წარადგინონ კომპლექსური დავალებები, მაგალითად, პრეზენტაცია წარმდოაგინონ Power Point-ისან პოსტერის სახით, როგორც მათთვის იქნება მეტად მოსახერხებელი.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია
საბუნებისმეტყველო მეცნიერებები
ყველა საგნის კურიკულუმის მიხედვით სწავლება მეტწილად წარიმართება კომპლექსური დავალებებით. გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ პრიორიტეტად იქნება ინკლუზიური განათლება,რასაც მიაღწევენ დიფერენცირებული სწავლებით, მოსწავლეთა შესაძლებლობების და ინტერესების გათვალისწინებით დაიგეგმება მრავალფეროვანი, მოსწავლეზე მორგებული აქტივობები . ასევე სსსმ მოსწავლესთან, ასეთი ახალ სასწავლო წელს იქნება თუ არ იქნება მოსწავლეთა კონტიგენტში , გამოიყენებენ ისგ–ს, სადაც გათვალისწინებული იქნება სსსმ მოსწავლის საჭიროებები და შესაბამისად განსაზღვრული სასწავლო მიზნები (გრძელვადიანი - სამიზნე ცნებების სახით და შუალედური - მოდიფიცირებული კომპლექსური დავალებებით.)
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

ესთეტიკური აღზრდა
კომპლექსურ დავალებებში პირობასთან ერთად მითითებულია მოსწავლის მიერ შესასრულებელი პროდუქტის სახე და გათვალისწინებულია მოსწავლის შესაძლებლობები. მათ აქვთ არჩევანის საშუალება, თვითონ გადაწყვიტონ რა ფორმით წარმოადგენენ საბოლოო პროდუქტს.
დოკუმენტაციაში წარმოდგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილი ისგ. სხდომის ოქმები, სადაც განხილულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საკითხები. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანს წარმოდგენილი აქვს დაწყებითი საფეხურის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელშიც აღწერილია მოსწავლის ცოდნის

აქტუალური დონე და შესაბამისად განსაზღვრულია გრძელვადიანი მიზნები. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ პედაგოგს გააზრებული აქვს თუ რას ეფუძნება ინდ.გეგმა და სამომავლოდ რაზე უნდა გააკეთოს აქცენტი შექმნის მომენტში. სკოლა ჩართულია G-pried -ის პროგრამაში, ასევე USAID -სა და MTSS -ის საბაზისო განათლების პროგრამაში, რომელთა ფარგლებშიც ტარდება გაკვეთილები, დიაგნოსტიკური ტესტირებები, აქვთ დიფერენცირებული სწავლების გამოცდილება, თუმცა სამომავლოდ გეგმავენ მეთოდოლოგიის დახვეწასა და რესურსების გამდიდრებას.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია
სპორტი
სკოლა უზრუნველყოფს ფიზიკური აღზრდის და სპორტის სასწავლო პროცესის დიფერენციალურ და ინკლუზიური მიდგომებს, სკოლაში იგეგმება სსსმ მოსწავლეებისათვის ფიზიკური აღზრდის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების, დამუშავება და მოსწავლეების საჭიროებისადმი მორგებას, რომელიც ჩაშენებული იქნება კომპლექსურ დავალებებში, სსიპ - ქ. გორის N 5 საჯარო სკოლის საჭიროებების შესწავლის შედეგებიდან გამომდინარე, სკოლა მომავალში მეტად უზრუნველყოფს მოსწავლეების, მაქსიმალურად ჩართვას სასწავლო პროცესში..
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

საზოგადოებრივი მეცნიერებები
კურიკულუმებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი და მოსწავლეზე მორგებული სასწავლო შინაარსი, სასწავლო მასალა და ელექტრონული რესურსები, რაც მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მათ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ დაგეგმილ აქტივობებში, სთავაზობენ დიფერენცირებულ მიდგომებსა და მათვის საინტერესო, მოდიფიცირებულ და მრავალფეროვან რესურსებს. გარდა ამისა, სსსმ მოსწავლეებისთვის, საჭიროებისამებრ, შემუშავებული აქვთ ინდივიდუალური გეგმები, რომელთა დახვეწას და სრულყოფას გეგმავენ კომპლექსური დავალებების მოდიფიცირების საშუალებით.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

4.სახელმწიფო ენა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილია შეფასების რამდენიმე რუბრიკა,რომლებიც წარმოდგენას გვიქმნის სკოლის ფარგლებში შეფასების წარმოების წესზე.ჩანს,რომ მასწავლებლებს აქვთ შეფასების რუბრიკების შექმნის გამოცდილება,შექმნილი რუბრიკები ეყრდნობა სტანდარტით გათვალისწინებულ ინდიკატორებს.აღნიშნეს, რომ მიმართავენ ხშირად განმავითარებელ შეფასებას .დამატებითი ინფორმაციის მოძიება შესაძლებელი გახდა ვიზიტის დროს, სკოლას აქვს მზაობა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება წარმართოს სამიზნე ცნებებზე დაფუძნებით.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

მათემატიკა
საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი სანიმუშო შეფასების რუბრიკა ეფუძნება საგნობრივ კურიკულუმში, მოსწავლეთა შეფასების ამსახველ დოკუმენტებში გრძელვადიან მიზნებს. კათედრის წევრებთან ინტერვიუში გამოიკვეთა, რომ შეფასებას სწავლა-სწავლების პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.
კათედრამ წარმოადგინა განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, როემლიც ეფუძვნება საბაზო საფეხურის მათემატიკის სტანდარტს, სტანდარტში გაწერილ ინდიკატორებს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ გააზრებული აქვთ განმსაზღვრელი შეფასების როლი სწავლის შედეგების აღწერასა და მიღწევის საერთო მაჩვენებელთან მიმართებით.
რაც შეეხება განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, წარმოადგინეს ცალკე ფაილად 1 ნიმუში. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრას ესმის განმავითარებელი შეფასების რუბრიკების როლი, ისინი მოსწავლის შესახებ აგროვებს მონაცემთა ფართო სპექტრს, მათზე დაყრდნობის მასწავლებელს უკეთესად შეუძლია ხელი შეუწყოს მოსწავლის განვითარებას. წარმოდგენილი რუბრიკებით შესაძლებელია თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკის კონტროლი და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

უცხოური ენები
როგორც ქოუჩინგის შეჯამების ოქმში ვითხულობთ სკოლა იყენებს განმსაზღვრელი შეფასების პირველ მოდელს რომლის რუბრიკებიც აქვს სკოლას წარმოდგენილი და მიემართება გრძელვადიან მიზნებს, ამასვე მოწმობს განხორციელებული პროექტები და კომპლექსური დავალებები რომელთა შეფასების ფორმა ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე..



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

.წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში კრიტერიუმები მიემართება ესგ სტანდარტით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს - სამიზნე ცნებები და მასთან დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენებს. გასაუბრებისას გამოიკვეთა რომ განმსაზღვრელი შეფასებისას კრიტერიუმების ფორმირებისას ერთმნიშვნელოვნად მიმართავენ სტანდარტის შედეგებს, ხოლო განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმების ფორმულირებისას სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგნებს.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

ესთეტიკური აღზრდა საბაზო საფეხურის კურიკულუმის დანართებში წარმოადგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები რომლებიც პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან.
მუსიკის საგანს წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა საბაზო საფეხურის სხვადასხვა კლასისათვის: მე-7 კლასში თემაზე ,,სიყვარული და სიძულვილი მუსიკაში“. მე-8 კლასში თემაზე: ,,მარტოობა და ერთობა მუსიკაში“.მე-9 კლასში - ,,გმირი და ანტიგმირი მუსიკაში“.
ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ ახალი სასწავლო წლიდან გეგმავენ ეტაპობრივად შეიმუშაონ კომპლექსურ დავალებებზე მორგებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები და თემიდან გამომდინარე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, სადაც გათვალისწინებული და დაფარული იქნება ყველა სამიზნე ცნება და მოლოდინები მკვიდრ წარმოდგენებთან მიმართებით.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

სპორტი

განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები, რუბრიკები, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის, საბაზო საფეხურის კურიკულუმებში გაწერილია, თემებთან და დაგეგმილი კომპლექსური დავალებებთან, შეფასების ინსტრუმენტები, რომელიც წარმოადგინა სკოლამ კერძოდ: - რუბრიკები კომპლექსური და შემაჯამებელი დავალების, გაკვეთილის, მოსწავლის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თვითშეფასების, მრავალმხრივია და ვალიდურია. საშუალებას იძლევა, მოსწავლეების ცოდნა შეფასდეს ობიექტურად და ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებებზე..
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

საზოგადოებრივი მეცნიერებები
საბაზო საფეხურზე გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასება. შეფასებისას მოსწავლე ამ პროცესის მთავარი მონაწილეა და აქტიურად არის ჩართული შეფასების რუბრიკების შექმნაში, რაც ქმნის ვალიდაციის შესაძლებლობას. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებით სწავლის შედეგების აღწერა საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნებთან და მიღწევის საერთო მაჩვენებელთან მიმართებით მიმდინარეობს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრაზე გააზრებული აქვს ამ ტიპის შეფასების მნიშვნელობა მოსწავლეთა განვითარებისა და სწავლა-სწავლების პროცესის სრულყოფისთვის.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

5.სახელმწიფო ენა
წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან( ძველი და ახალი კურიკულუმის ჩარჩო,კათედრისა და პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები) და კათედრის წევრებთან საუბრიდან იკვეთება, რომ კურიკულუმის დაგეგმვისას გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება. სადიაგნოსტიკო წერები,პედსაბჭოზე და ასევე კათედრებზე თითოეული მასწავლებლის მიერ წარმოდგენილი ანალიზიდან ნათელი ხდება, რომ სკოლას აქვს მზაობა წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით დაგეგმოს სასწავლო პროცესი და განახორციელოს ცვლილებები.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

მათემატიკა
სამივე საფეხურის კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღება მიაქციეს წავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაცია გამოიკვეთა მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს. მათ კურიკულუმში დაწყებითში შეიტანეს მათ მიერ უკვე განხორციელებული კომპლექსური დავალებები, ზედა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საფეხურებზეც შესატანად აარჩიეს ის დავალებები რომლებიც უკვე განხორციელებული ჰქონდათ წინა წლებში. გამოთქვეს მზაობა რომ მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირის, რეფლექსიის შედეგების და წინარე გამოცდილების გათვალისწინებით გადაამუშავებენ და დახვეწავენ კურიკულუმებს.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

უცხოური ენები
წარმოდგენილი შემაჯამებელი ანალიზის ფორმები, მასწავლებლის რეფლექსიები და ინტეგრირებული გაკვეთილის ანალიზის ფორმა მიუთითებს იმ პრობლემებსა თუ რეკომენდაციებზე რაც უნდა იყოს გათვალისწინებული მომავალში სასწავლო პროცესში.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები
კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია მუშავდება სკოლის საზოგადოების მიერ, რაც ჩანს სკოლის სხვადასხვა დოკუმენტებში(მაგ. სკოლოს სასწავლო გეგმა) და გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ახალი კურიკულუმის დახვეწისას ისინი გაითვალისწინებენ წინა გამოცდილებებსა და მოსწავლეთა საჭიროებებს .
გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის გასაანალიზებლად ესწრებიან ერთმანეთს,უზიარებენ გამოცდილებას, მიღებული შედეგებით ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას, ინტერესებს, შესაძლებლობებს, შეარჩევენ დავალებებს, რომლებიც საინტერესო და მამოტივირებელი იქნება მოსწავლეებისთვის და წლის განმავლობაში მიღწეული შედეგების ანალიზის საფუძველზე კათედრა ერთობლივად მუშაობს მომავალი წლის კურიკულუმზე, რომელიც ეფუძნება წინარე ცოდნას და ორიენტირებულია შედეგების გაუმჯობესებაზე.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

ესთეტიკური აღზრდა
საბაზო საფეხურის კურიკულუმის განვითარების დოკუმენტაცია ასახავს გამოცდილებიდან გამომდინარე თანმიმდევრულ დაგეგმვას, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების და მუსიკის საგნობრივი კურიკულუმები აგებულია იმგვარად, რომ მასში



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გათვალისწინებულია და თვალსაჩინოა წინარე გამოცდილება, რაც წინა წლის სასწავლო პროცესის შეჯამებისა და გაანალიზებისას მიიღეს.
ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმში ჩაშენებულია ისეთი კომპლექსური დავალებებიც, რომლის შესრულების წინარე გამოცდილებაც არა აქვთ, მაგრამ აქვთ მზაობა განახორციელონ რაც შეიძლება მეტი აქტივობები ამ კუთხით.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია
სპორტი
ინტერვიუს შედეგად, დასტურდება, რომ პედაგოგები აანალიზებენ, საკუთარ განხორციელებულ პრაქტიკას. უზიარებენ ერთმანეთს გაამოცდილებას და მიღებული რჩევევბს, ითვალისწინებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვას, გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

საზოგადოებრივი მეცნიერებები
სკოლაში პერიოდულად ტარდება მოსწავლეთა შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზი, საგაკვეთილო დაკვირვება, მოსწავლეთა პროფილის კვლევა, რაც მასწავლებლებს ეხმარება სასწავლო პროცესი დაგეგმონ მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით. როგორც ინტერვიუდან გამოიკვეთა, საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებლები სისტემატურად იკრიბებიან და აანალიზებენ მოსწავლეთა მიღწევებსა თუ პრობლემებს. მომავალშიც კურიკულუმის დანერგვის პარალელურად ყოველთვის გამოკვეთენ იმ საჭიროებებს, რასაც გაითვალისწინებენ ახალი სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვისას.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
. თვითშეფასების ფორმა გორის N5 საჯარო სკოლა
სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია
სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია
სსიპ გორის N5 საჯარო სკოლის საგნობრივი კურიკულუმები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხარისხის პოლიტიკა
დანართი-40 კათედრის ოქმი
დანართი 22-სადამრიგებლო პროგრამა
დანართი 47-შემაჯამებელი ფორმა
დიაგნოსტიკური შეფასება
დანართი 29- G-pried -ის პროგრამა.

შეფასება:
იგთხოვთ, ასახოთ შეფასება.
იშესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება
2.2.1სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სახელმწიფო ენა

კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში გაწერილი კომპლექსური დავალებების პირობებზე დაყრდნობით ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი აძლევს მოსწავლეს საშუალებას აქტიურად ჩაერთოს პროცესში. კომპლექსური დავალებების პირობა ხშირ შემთხვევაში იძლევა შესაძლებლობას მოსწავლე არა მხოლოდ მონაწილე იყოს პროცესის ,არამედ შემოქმედიც, მას უწევს პრობლემის გადაჭრა, ფიქრი, მსჯელობა და სხვადასხვა ტიპის პროდუქტის, როგორიცაა მაგალითად, ნოველის, პუბლიცისტური წერილის შექმნა.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

მათემატიკა

საბაზო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმში შესატანად არჩეული, მზა კომპლექსური დავალებები საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. კათედრამ ამის დასტურად გარდა კურიკულუმისა, წარმოადგინა მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებებიც (მაგ: წარმოადგინეს Minecraft-ში შესრულებული დავალების ფრაგმენტი). მათემატიკის მასწავლებლები სასწავლო პროცესში იყენებენ ელ. რესურსებს და უახლოეს პერიოდში სასურველია სრულად ასახონ კურიკულუმში რესურსების ველში. გააზრებული აქვთ, რომ ახალი მასალის, ინფორმაციის დამუშავების პროცესში მასწავლებლის როლი არის ორგანიზებული მიზნობრივი გარემოს შექმნა, სადაც გამოწვევები დაკავშირებული იქნება მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართული იქნება სამიზნე ცნებების გააზრებაზე. კათედრა ამ ყველაფრის საფუძველზე ასაბუთებს, რომ სასწავლო პროცესი ხელს უწყობს აქტიურ სწავლასა და მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივებას.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უცხოური ენები საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოში წამოდგენილი კომპლექსური დავალები, განხორციელებული პროექტები, ინტეგრირებული გაკვეთილები, Facebook გვერდზე წარმოდგენილი განხორციელებული პროექტების ფოტო მასალა ადასტურებს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.
საბუნებისმეტყველო მეცნიერებები ყველა საგნის კურიკულუმში დაგეგმილი კომპლექსური დავალებების განხორციელებით შესაძლებელია მოსწავლეების შემოქმედებითი უნარების განვითარება. წარმოდგენილი დოკუმენტაციებიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ მოსწავლეებს აქვთ კომპლექსური დავალებების და სასწავლო პროექტების ფარგლებში, მრავალფეროვანი პროდუქტების შექმნის გამოცდილება. პოსტერები. პლაკატები, მოდელები და სხვა. მასწავლეები სწავლების დროს მეტად ეფექტიანად იყენებენ თანამშორმლობით სწვლებას რაც უძლიერებს მოსწავლეებს შინაგან მოტივაციას. და მეტი შემოქმედებითობის გამოვლენის შესაძლებლობა აქვთ და ამის შესაბამისად სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებელთა მიერ სისტემატიურად ხდება მათი შემოთავაზებული იდეების, ინიციატივების მხარდაჭერა და განხორციელება .ასევე აღნიშნეს, რომ დაგეგმილია სხვადასხვა სასწავლო პროექტები, მემორანდუმების გაფორმება სხვადასხვა ორგანიზაციებთან. რაც გაზრდის მოსწავლეების შინაგან მოტივაციას და ხელს შეუწყობს მოსწავლეების აქტიურ ჩართულობას შემოქმედებით პროცესში.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

ესთეტიკური აღზრდა
საბაზო საფეხურის ესთეტიკური აღზრდის კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებში გამოკვეთილია საკვანძო სტრუქტურული ერთეულები: თემა, საკითხი, ცნება, რესურსი. უმეტეს შემთხვევაში იგეგმება სწავლა სწავლების პროცესის წარმართვა კომპლექსური დავალებებით, რაც განაპირობებს მოსწავლეების ჩართულობას შემოქმედებით პროცესში, კურიკულუმში ასახული განხორციელებული და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეს აძლევს საშუალებას შეიძინოს ცოდნა, ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. მოსწავლის აქტიურ ჩართულობაზე მიუთითებს საბაზო საფეხურზე შესრულებული კომპლექსური დავალება თემაზე ,,პეიზაჟი“. პედაგოგმა აღნიშნა, რომ მოსწავლეები შემოქმედებითად მიუდგნენ საკითხს და შექმნეს საინტერესო ნამუშევრები, რომლებიც შემდგომ გამოიფინა სასკოლო სივრცეში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

სპორტი 7-9 კლასის საბაზო საფეხურის კურიკულუმები და მაში გაწერილი, როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული შინაარსის თემები, საბაზო საფეხურზე მოწყობილი, სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, ფესტივალები სადაც ჩართულია ყველა მოსწავლე და ინფორმირებულია მშობლები. უზრუნველყოფენ მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით, სასწავლო პროცესში ჩართვას. ...
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები
მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის განხორციელება და კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა ხელს უწყობს მოსწავლის აქტიურ ჩართულობას შემოქმედებით პროცესში. მოსწავლე თავად ქმნის პროდუქტს შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით. მაქსიმალურადაა გათვალისწინებული მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებები და აქტიურ შემოქმედებით პროცესებში მათი ჩართვის აუცილებლობა. კომპლექსური დავალებების შესრულება მოსწავლეს საშუალებას აძლევს ერთდროულად განივითაროს სხვადასხვა სააზროვნო უნარი, დამოუკიდებლად განახორციელოს სხვადასხვა აქტივობა, დააკვირდეს მუშაობის პროცესსა და გააანალიზოს შედეგები. პედაგოგებმა დაასახელეს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის რამდენიმე მაგალითი, რა დროსაც მოსწავლეები აქტიურად ჩაერთნენ სასწავლო პროცესში, შექმნეს საინტერესო ნამუშევრები და განივითარეს კომპლექსური-სააზროვნო და შემოქმედებითი უნარები. ყოველივე ეს ხელს უწყობს მოსწავლის მოტივაციის ამაღლებას, სასწავლო პროცესი უფრო საინტერესო და სახალისო ხდება.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

2 სახელმწიფო ენა
კურიკულუმის ჩარჩოს გაცნობამ და მასწავლებლებთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ სკოლა სწავლა-სწავლების პროცესს წარმართავს წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. კურიკულუმის თემატური დაგეგმვა, კომპლექსური დავალებების პირობაში ნაცნობი კონტექსტების შემოტანა და მასწავლებლების მიერ მოყვანილი მაგალითები პრაქტიკული გამოცდილებიდან ცხადყოფს, რომ ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

მათემატიკა

საბაზო საფეხურზე კურიკულუმებში კარგადაა გაწერილი თემებისა და საკითხების თანმიმდევრობა, რაც ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნაზე ახლის დაშენების შესაძლებლობას. შესატანად შერჩეული კომპლექსურ დავალებებში განსახორციელებელი ნაბიჯები ასახავს ცოდნის კონსტრუირების შესაძლებლობას. აღნიშნული პროცესების დასტურად ინტერვიუში მასწავლებელთა მიერ დასახელებული მაგალითებიცაა. კურიკულუმის თემა, თემის საკვანძო შეკითხვები, სასკოლო პროექტების ინიცირების წახალისება და მოსწავლისთვის საინტერესო არაფორმალური განათლების ელემენტები - ეს ყველაფერი ეხმარება მოსწავლეს ახალი ცოდნის კონსტრუირებაში წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

უცხოური ენები

შემუშავებული კურიკულუმებში წარმოდგენილი თემები, კომპლექსური დავალებები, განხორციელებული აქტივობები და პროექტები წარმოადგენენ მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების გზას სწორედ მის წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით, ამასვე ადასტურებს წარმოდგენილი განხორციელებული პროექტების რეფლექსიაც.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

.კურიკულუმებში, განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებში, ნათლად სჩანს, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. მაგალითად კომპლექსურ დავალებაში „ ტრანსპორტის უსაფრთხო მოძრაობის თეორიული მოდელი“ მოსწავლეთა მიერ პროდუქტის შექმნა და განხორციელებული აქტივობები დაყრდნობილია მოსწავლეთა გამოცდილებაზე და ხდება არსებული ცოდნის საფუძველზე ახლის აშენება.
მასწავლებლებთან ინტერვიუს შემდეგ გამოიკვეთა, რომ სწავლის პროცესში აქტივობები განხორციელდება კონსტრუქტივისტული მიდგომებით. კომპლექსური დავალებებით სწავლება იძლევა შესაძლებლობას სწავლება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განხორციელდეს მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით და ყოველი ახალი ცოდნის შესაძენად პრიორიტეტი გაკეთდება მოსწავლეთა პრაქტიკული და ცხოვრებისეული გამოცდილების საფუძველზე .
აღნიშნეს, რომ პრაქტიკა აჩვენებს, რომ მოსწავლეს წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით მათ უადვილდებათ სტანდარტით გათვალისწინებული გრძელვადიან მიზნებზე გასვლა.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

ესთეტიკური აღზრდა საგნობრივი კურიკულუმები ეყრდნობა მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებას, რაც წარმოადგენს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების გზას. კომპლექსური დავალებები ისეა შედგენილი, რომ მოსწავლებს შეუძლიათ ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირება და დამუშავება. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას უწევთ მათთვის ნაცნობი, ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან დაკავშირებული ფაქტების აღწერა, ანალიზი, არსებული ცოდნისა და გამოცდილების გამოყენება, იდეების გენერირება და შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

სპორტი
სკოლის ფიზიკური აღზრდის და სპორტის მასწავლებლების სკოლაში განხორცილებული კომპლექსური ტიპის დავალებები, რომლის დახვეწასა და განვითარებას გეგმავს სკოლა, მათზე მუშაობისას პროცესში განხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, ახალი ცოდნის დაშენება. დავალების ყოველ მომდევნო ეტაპზე, მუშაობისას მოსწავლეს, წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით, გაუადვილდება სტანდარტით გათვალისწინებული გრძელვადიან მიზნებზე გასვლა.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები
მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი სწავლა-სწავლების პროცესში იყენებენ კონსტრუქტივისტულ სგანმანათლებლო მიდგომებს, რაც გულისხმობს წინარე ცოდნის საფძველზე ახალი ცოდნის აგებას. პედაგოგებს კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილი აქვთ რამდენიმე კომპლექსური დავალება ყველა სამიზნე ცნებათან მიმართებით. მათ მიერ შერჩეული კომპლექსური დავალებები და ასევე, რესურსები ხელს უწყობს ახალი ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლები ითვალისწინებენ თითოეული მოსწავლის შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. იმის გათვალისწინებით, რომ კლასში არიან სხვადასხვა შესაძლებლობებისა და საჭიროებების მქონე მოსწავლეები, მათ გაკვეთილზე შეაქვთ შესაბამისი დავალებები. საგნობრივი კონტექსტები მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებსა და ინტერესებზეა გათვლილი მაგალითად კომპლექსური დავალების შესრულებისას ფუნქციები უნარების შესაბამისად ნაწილდება. ცოდნის კონსტრუირება ხდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, რაც ხელს უწყობს მოსწავლის როგორც კოგნიტურ, ასევე პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

3.სახელმწიფო ენა

კათედრის წევრებთან გასაუბრებიდან გამომდინარე ,შეიძლება ითქვას, მხარდაჭერილია მოსწავლის რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე. როცა მოსწავლე აანალიზებს შესრულებული დავალებას: მსჯელობს რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება;წარმოდგენილი თემატური მატრიცა და რუბრიკების ნიმუშები, ამ თვალსაზრისით სასწავლო პროცესის შეფასების საშუალებას იძლევა. შესაძლებელია დავასკვნათ, სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

მათემატიკა

საბაზო საფეხურზე ინტერვიუს დროს ხაზი გაესვა, რომ სასწავლო პროცესში წახალისებულია მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება და ცნობისმოყვარეობა. მოსწავლისთვის შეთავაზებული აქტივობები და დავალებები იძლევა მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინების საშუალებას. მხარდაჭერილია მოსწავლის რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე, ამ ეტაპზე ზეპირსიტყვიერად წახალისებულია მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უცხოური ენები განხორციელებული პროექტები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, ინტეგრირებული გაკვეთილები, წარმოდგენილი ფოტო მასალა და სკოლის Facebook გვედზე წარმოდგენილი სურათები მიანიშნებს რომ აქცენტი კეთდება სწავლის-სწავლაზე
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები
ყველა საგანში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეების, შეფასების რუბრიკებისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს გაანალიზების საფუძველზე გამოიკვეთა: კურიკულუმის განხორციელების პროცესში ყურადღება ექცევა არა მხოლოდ ცოდნის მიღებას, არამედ აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, მოსწავლეებში მეტაკოგნიკური უნარების განვითარებაზე (რეფლექსიები საკუთარი სწავლის პროცესის, გამოყენებული სწავლის სტრატეგიების) და მოსწავლისთვის შეთავაზებული აქტივობები და დავალებები, წარმოდგენილი ელექტრონული რესურსები იძლევა მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინებით დამოუკიდებლად სწავლის საშუალებას.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

ესთეტიკური აღზრდა
ესთეტიკური აღზრდის კათედრის საბაზო საფეხურის კურიკულუმებში ჩაშენებულია ისეთი კომპლექსური დავალებები, რომლებშიც აქტიურად არის გამოყენებული მოსწავლეთა განსხვავებული ხედვები, მათ მიერ პრობლემის იდენთიფიცირებისა და გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიება.
მასწავლებლებმა, რომლებიც აქტიურად წარმართავენ პროცესს კომპლექსური დავალებებით, ინტერვიუს დროს ისაუბრეს, რომ სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტები კეთდება ისეთ კომპლექსურ დავალებებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეებში განსხავებული უნარ-ჩვევების გამოვლენას, დაკვირვებას, დასკვნის გამოტანას, პარალელების გავლებას და ა.შ.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

სპორტი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში, აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში, განსხავებული უნარ ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას. მოსწავლეები, ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათი შეძენილი- ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები
მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმი მიმართულია კონსტრუქტივისტულ მიდგომაზე და სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, მიღწეულ შედეგებზე, მიზნების მისაღწევად განხორცილებულ გზებზე. მასწავლებლები საუბრობდნენ იმის შესახებ, რომ სასწავლო პროცესში ყურადღება ექცევა მოსწავლეთა მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. ისინი ფასილიტაციას უწევენ მოსწავლეებს, ეხმარებიან მათ შესრულებული დავალების გაანალიზებაში. სწავლის სწავლა ჩანს მოსწავლის მიერ შესრულებულ დავალებებსა და აქტივობებში, მათი შეფასების მექნიზმებში, თანატოლთა შეფასებებში, თვითშეფასების რუბრიკებსა თუ კომპლექსური დავალების პრეზენტაციაში. გარდა ამისა კომპლექსური დავალების განხორციელება ხდება წინარე ცოდნაზე, ძველზე ახლის დაშენებით, ანუ აქცენტი კეთდება სწავლის კონსტრუქტივისტულ მიდგომაზე, მოსწავლე ახალ ცოდნას იძენს ძველ გამოცდილებაზე დაყრდნობით, მოსწავლეს უწევს კონკრეტული პრობლების გადაჭრა, რაც საგნობრივი ცოდნას მოითხოვს, ასევე ხდება ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთკავშირი.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.
4.სახელმწიფო ენა
სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე . კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებული სწავლება თავისთავად უზრუნველყოფს ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებას,ინტერვიუს დროს კი აღნიშნეს ,რომ ისინი აძლევენ დავალებებს, სადაც მოსწავლეს უწევს, ფაქტობრივი ცოდნის გამოყენება ,ასევე მსჯელობა და ანალიზი , საკუთარი დასკვნების ჩამოყალიბება,ყურადღებას ამახვილებენ აქტივობებში,როგორ უნდა გამოიყენონ მიღებული ცოდნა შემდგომ ცხოვრებისეულ სიტუაციებში .კათედრა გამოხატავს მზაობას, რომ იყოს ორიენტირებული ცოდნის სამივე კატეგორიაზე.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მათემატიკა

საბაზო საფეხურზე კათედრამ წარმოადგინა კურიკულუმი, ფაქტიურად ესაა პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელების გეგმა, სადაც მოსწავლეს უწევს, როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის მოძებნა (მაგ. მე- 7კლასში შეარჩიული და გასაუბრების დროს წარმოადგენილი „ამწის დამზადება“ კომპლ. დავალების პირობიდან გამომდინარე). ასე რომ, სასწავლო პროცესი ხელს უწყობს საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებას და ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე. დასტურდება მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებებით (აღიწერა ინტერვიუს დროს), ასევე სასწავლო პროცესში გამოყენებული რესურსებით.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

უცხოური ენები

კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილი დავალებები, განხორციელებული პროექტები, კომპლექსური დავალებები და აქტივობები, მიუთითებს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

შერჩეული კომპლექსური დავალებები იძლევა საშუალებას სასწავლო პროცესში ცოდნის სამივე კატეგორიაზე გაკეთდეს ორიენტირება. ასევე განხორციელებული პროექტები, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები გათვალისწინებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მასწავლებლები ცდილობენ თემის, საკითხის შესწავლის შემდეგ მოსწავლეს ჰქონდეს პასუხი კითხვაზე “რატომ ვისწავლე ეს თემა?”, “რაში გამომადგება მიღებული ცოდნა“?, როგორ გამოიყენებს სხვა ჩემს მიერ შექმნილ პროდუქტს და ა.შ. შესაბამისად კი მოსწავლებს უმუშავდებათ უნარი, თუ როგორ გამოიყენონ ცოდნა, გადაწყვიტონ ესა თუ ის პრობლემა და მოახდინონ ცოდნის ტრანსფერი.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

ესთეტიკური აღზრდა

საბაზო საფეხურის კურიკულუმში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები ხელს უწყობს დეკლარატიული ცოდნის გააქტიურებას, რომელიც აისახება პროცედურულ და პირობისეულ ცოდნაში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ საგაკვეთილო პროცესში მოსწავლე იღებს ფაქტობრივ ცოდნას კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით, შემდეგ კი შეუძლია საკუთარი ცოდნის ტრანსფერი ანუ სხვა სიტუაციაში გადატანა. ამის მაგალითად, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების პედაგოგებმა ისაუბრეს ინტეგრირებულ გაკვეთილზე, რომელიც გერმანულის საგანთან ერთად ჩაატარეს. ინტეგრირებული გაკვეთილები დაეხმარა მოსწავლეებს ერთ საგანში მიღებული ცოდნა დაეკავშირებინათ მეორე საგანთან. ორიენტირება ცოდნის სამივე კატეგორიაზე უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში საკითხის გააზრებას, არსობრივ წვდომასა და სხვადასხვა კონტექსტში ცოდნის ადეკვატურ გამოყენებას.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

სპორტი

საბაზო საფეხურის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სკოლის პედაგოგების მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი, კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ თეორიული ცოდნის გამოყენებას ფიზიკურ აქტივობებში და მიღებული ცოდნის ტრანსფერი ახალი აქტივობების შესწავლის პროცესში, რომელიც ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული).
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

კურიკულუმის საფუძველზე შეიძლება ითქვას რომ შუალედური მიზნების სათანადოდ განხორციელების შემთხვევაში შესაძლებელია ცოდნის სამივე კატეგორიის შეთავაზება. მასწავლებელთა მხრიდან აღინიშნა, რომ კურიკულუმი მიმართულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე სწორედ კომპლექსური დავალებების განხორციელებით.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

5.სახელმწიფო ენა

საგნობრივი კურიკულუმის თემატური დაგეგმვა,კომპლექსური დავალებები გვიჩვენებს საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით სასწავლო პროცესის რეალიზების გზას და არის ამავდროულად ის მთავარი კომპონენტი ,რომელიც იძლევა საშუალებას ცოდნათა ორგანიზებისა და ურთიერდაკავშირების.მასწავლებლები გამოხატავენ მზაობას სასწავლო პროცესი დაგეგმონ ამ პრინციპების გათვალისწინებით.ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

მათემატიკა

დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში შეტანილი კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევებთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შექნაზე და ა.შ. ამავდროულად მასწავლებლებს აქვთ მზაობა, მოაწყონ უფრო მეტი არაფორმალური, პროექტული და პრობლემაზე დაფუძნებულ აქტივობები, სადამრიგებლო საათზე განხორციეელონ აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას, დაკავშირებას და ა.შ. ასევე მათ თვითსეფასების ანგარიშში წარმოდგენილია არაფორმალური განათლების სერტფიფკატები, რაც ადასტურებს მათ მზაობას. კომპლექსური დავალებების პირობები მიემართება თემასა და ქვეთემებს, შესაბამისად უზრუნველყოფილია ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკაშირება.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

უცხოური ენები

კომპლექსური დავალებების პირობები მიემართება თემასა და ქვეთემებს, შესაბამისად უზრუნველყოფილია ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკაშირება.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებისა და დაკავშირებისთვის მასწავლებლები გამოიყენებენ სხვადასხვა მაორგანიზებელ და კოგნიტურ დიაგრამებს (ვენის დიაგრამა-შედარება/ ანალიზისთვის, მოვლენათა ჯაჭვი - მოვლენების ქრონოლოგიურად დასალაგებლად, მიზეზების რუკა - რატომ, რატომ? და სხვა). მასწავლებლებმა აღნიშნეს ასევე, რომ სასწავლო პროცესში ხელს უწყობენ მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას, იმისათვის, რომ მიღებული ინფორმაცია აქტიურად დაამუშაონ და გარდაქმნან ცოდნად, შეძლონ წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირება, შეძლონ ასევე ინფორმაციის მიღება და გამოყენება. ამასთანავე ეხმარებიან ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებაში, იმისათვის, რომ მეხსიერებაში გაიზარდოს გააზრების,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დამახსოვრებისა და ცოდნის ფუნქციური გამოყენების შესაძლებლობები. წარმოადგინეს კომპლექსური დავალება პოლიმერებზე, სადაც ქიმიიდან მიღებული ცოდნა მოსწავლეებმა დაუკავსირეს ცხოვრებისეულ პრაქტიკას და ასევე გააკეთეს დასკვნები თუ როგორ შეიძლება მიღებული ცოდნა პოლიმერებზე მომავალში ადამიანთა საკეთილდღეოდ გამოიყენონ.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

ესთეტიკური აღზრდა
კომპლექსური დავალებები, რომელიც ასახულია საბაზო საფეხურის ესთეტიკური აღზრდის კურიკულუმში, ისეა აგებული, რომ მოსწავლემ გააერთიანოს ყველა ის უნარი და ცოდნა, რაც მას გამოადგება პრობლემის გადაჭრისას, გამოწვევებთან გამკლავებისა და პროდუქტის შექმნისას. ყოველივე ეს ხელს უწყობს ცოდნის ინსტრუმენტად გარდაქმნას.
ასევე მნიშვნელოვანია ინტეგრირებული გაკვეთილები, რომლებიც თავისთავად ხელს უწყობენ ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.
სპორტი
ფიზიკური აღზრდის და სპორტის საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, ძირითადად ხელს უწყობს მოსწავლეთა მეხსიერებაში ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. კურუკულუმში გაწერილი თემები, რომლის რაოდენობის გაზრდის მზაობა გამოხატეს პედაგოგებმა, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ტიპის დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კომპონენტები ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად იძლევა სწავლების საშუალებას.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები
სასკოლო კურიკულუმში კომპლექსური დავალებები ისეა შედგენილი, რომ ხშირად ხდება ცოდნათა ორგანიზება და ერთ საგანში მიღებული ცოდნის გამოყენება სხვა საგანში, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. კურიკულუმის ჩარჩოს საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ შუალედური მიზნების სათანადოდ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განხორციელების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. დოკუმენტაციის საფუძველზე მტკიცდება ის, თუ რამდენად მოახდენს მასწავლებელი პრაქტიკაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას. ინტერვიუს დროს მასწავლებელთა მოსაზრებები მიგვანიშნებს რომ სურვილისა და მონდომების შეთხვევაში ეს მარტივად მიღწევადია. როგორც მასწავლებლები აღნიშნავდნენ მათ პრაქტიკაში მრავლადაა საგანთაშორისი ინტეგრაციის წარმატებული გამოცდილება.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
თვითშეფასების ფორმა გორის N5 საჯარო სკოლა
სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია
სსიპ გორის N5 საჯარო სკოლის საგნობრივი კურიკულუმები

ხარისხის პოლიტიკა
16 კათედრის სხდომის ოქმის ნიმუში
დანართი-40 კათედრის ოქმი
დანართი 22-სადამრიგებლო პროგრამა
დანართი 47-შემაჯამებელი ფორმა
დიაგნოსტიკური შეფასება
კურიკულუმის ჩარჩოები
განხორციელებილი კომპლექსური დავალებების და სასწავლო პროექტის მასალა
განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
მასწავლებლებთან ზეპირი გასაუბრება

შეფასება:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

იგთხოვთ, ასახოთ შეფასება.
იშესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.
☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სახელმწიფო ენა
სკოლის მიერ წარმოდგენილია კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტები, სადაც მართებულად არის გაწერილი თემების მიხედვით კომპლექსური დავალების იდეები, საგნის სამიზნე ცნებები. კურიკულუმში წარმოდგენილი საკითხები მიმართულია სამიზნე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ცნებების მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებისკენ. შესაბამისად, სკოლამ გამოთქვა მზაობა, რომ გააგრძელებენ ამ პრინციპით კურიკულუმის განვითარებას.სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ ამ კრიტერიუმს.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

მათემატიკა
საბაზო საფეხურზე მათემატიკის სამიზნე ცნებები მათ. მოდელი, კანონზომიერება და ლოგიკა, ასევე თემები, თემის მკვიდრი წარმოდგენები განსაზღვრავს იმ ცოდნას რომელსაც მოსწავლე უნდა დაეუფლოს დაწყებით საფეხურზე მათემატიკის სწავლისას, ამ ცოდნისკენ სვლა კათედრაზე ხორციელდება შემდეგი მიდგომებით: კურკულუმში ყველაგან აქვთ წარმოდგენილი სამიზნე ცნებები, აქვთ ჩაშლილი ქვეცნებები, ასევე ინტერვიუს დროს დაზუსტდა, რომ პედაგოგებს აქვთ გააზრებული კავშირები სამიზნე ცნებებსა და თემებსა და მკვიდრ წარმოდგენებს შორის, მაგალითად ის, რომ მათემატიკური მოდელი რეალურ ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენებს აღწერს მათემატიკური ცნებების, ობიექტების და ენის გამოყენებით. (პროცესები შეიძლება ჩაიწეროს რიცხვითი გამოსახულების, ალგებრული გამოსახულების, განტოლების, უტოლობის, სისტემების, ფუნქციის, დიაგრამის, გეომეტრიული ობიექტების... მეშვეობით. მათემატიკური მოდელი გამოიყენება რეალური პროცესების აღსაწერად, ასახსნელად, პროგნოზირებისათვის და პრობლემის გადაჭრისთვის, აღწერილი აქვთ შეფასების რუბრიკებშიც.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.
უცხოური ენა საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები და მასში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები და პროექტები მიუთითებს, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია სამიზნე ცნებების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით, ამასვე მოწმობს ინტერვიუს დროს მასწავლებელთა პასუხებიც.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები ყველა საგნის კურიკულუმში , სტანდარტით დადგენილი სავალდებულო თემის შესწავლა ხდება ყველა სამიზნე ცნების და მათი მკვიდრი წარმოდგენების გააზრებით რაც მიმდინარეობს თემის შესაბამისი საკითხების დამუშავებით. საკითხების დასამუშავებლად მეტწილად შერჩეულია კომპლექსური დავალებები. წარმოდგენილია ასევე საკითხთა კლასტერი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დოკუმენტურად მოწოდებული რეალიზებული კომპლექსური დავალებებით და მისი შეფასების რუბრიკებით, არსებული მასალის შეფასებით აშკარაა სასწავლო პროცესში მიმდინარეობს სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.. .გათვალისწინებულია ცნებათა იერარქია დამუშავებული კონკრეტულ საკითხებთან კონტექსტში რაც სტანდარტის შედეგებზე გასვლის წინაპირობაა.
გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ცვლილებებს შეიტანენ კურიკულუმში, რაც უფრო მეტად შეუწყობს ხელს სამიზნე ცნებებების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხზე დაყრდნობით.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

ესთეტიკური აღზრდა

ესთეტიკური აღზრდის კათედრის მიერ საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში მოცემულია მომავალი წლის სასწავლო პროცესი, რომელიც დაგეგმილია თემების, თემატური ბლოკების, სამიზნე ცნების, მკვიდრი წარმოდგენების და საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. რიგ შემთხვევებში ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები, რომლებიც მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას ემსახურება.
განსაზღვრულია, თუ რა მიზანს ემსახურება და რა შედეგზეა ორიენტირებული მითითებული საგნის საკითხების შესწავლა. სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე კონკრეტული საგნის შესწავლისას უნდა დაეუფლოს.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

სპორტი

საბაზო საფეხურის სკოლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სასწავლო პოროცესი. კურიკულუმებში გაწერილი თემები და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფენ სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; მოსწავლეები გაეცნობიან საგნობრივ საკითხებს, საკვანძო შეკითხვებს, განიხილება კომპლექსური დავალების პირობას და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით მოხდება, ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცესი მოსწავლეს დაეხმარება ახალი აქტივობების გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი ,,პროდუქტი“, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები
სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით, კურიკულუმის განხორციელება და კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა ხელს უწყობს მოსწავლის აქტიურ ჩართულობას შემოქმედებით პროცესში, ამ შემთხვევაში მოსწავლე პასიური მსმენელი კი არ არის არამედ აქტიურად არის ჩართული, თვითონ ქმნის პროდუქტს. აქცენტი კეთდება საგნის სწავლების მნიშვნელობაზე და დაკავშირებაზე ყოფითი პრობლემების გადაჭრასთან. კათედრის მიერ წარმოდგენილ საფეხურის კურიკულუმში ასახული და გააზრებულია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, ქვეცნებებსა და საგნობრივ საკითხებს შორის. აღნიშნული ნათლად იკვეთება მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს დაგეგმილ კომპლექსური ტიპის დავალებებზე საუბრისას.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.
2 .სახელმწიფო ენა
წარმოდგენილ დოკუმენტაციისა და გასაუბრების შედეგად გამოვლინდა,რომ მასწავლებლები ზრუნავენ მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო -სოციალურ განვითარებაზე,აღნიშნეს, რომ გეგმავენ აქტივობებს და არჩევენ ისეთ დავალებებს, რომლითაც აძლევენ მოსწავლეებს საშუალებას ამოიცნონ საკუთარი ღირებულებები,ძლიერი და სუსტი მხარეები.კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი თემები და დავალებები, სადამრიგებლო პროგრამა ადასტურებს, რომ კათედრას აქვს მზაობა იმუშაოს ამ მიმართულებით და გაითვალისწინოს მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვისას.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

მათემატიკა
კურიკულუმები, ინტერვიუს დროს აღწერილი სასწავლო პროექტები, ინტერვიუს დროს აღწერილი მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, სასწავლო პროცესში გამოყენებული რესურსები, აქტივობები, ამ მასალების საფუძველზე სკოლამ დაასაბუთა, რომ სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მნიშვნელობა აქვს მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს (და არა საგნობრივი საკითხების ამოწურვის „ვალდებულებას“). შესაბამისად მათემატიკის საგნობრივი კონტექსტი ემსახურება მოსწავლის ფსიქო-სოციალურ განვითარებას.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

უცხოური ენები კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული კომპლექსური დავალებები მიემართება მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო-სოციალური უნარების განვითარებას, ამასვე მოწმობს ინგლისურ ენაში განხორციელებული ინტეგრირებული გაკვეთილები და ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. ასევე, ინტერვიუს დროს ახენეს ის პროექტები რაც სკოლამ განახორციელა და ყველა მიმართული იყო არამხოლოდ აკადემიური არამედ პიროვნულ განვითარებაზეც.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები
ყველა საგნის კურიკულუმში ჩანს, რომ საგნობრივი საკითხების შერჩევისას, ანუ საგნობრივი კონტექსტის მთავარი ამოსავალი არის მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ მოსწავლეებს აქვთ საშუალება ჩაერთონ სკოლის სხვადასხვა პროექტებში, ღონისძიებებში. რის დასტურიცაა სასკოლო პროექტი, საგნებს შორის ინტეგრირებული პროექტი, სასწავლო–შემეცნებითი ღონისძიებები დ სხვა არაფორმალური განათლების აქტივობები.
გამოიკვეთა, რომ სამომავლოდაც გეგმავენ მრავალფეროვანი პროექტების განხორციელებას , განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ისე შედგენას, რომ ხელს უწყობდეს მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. სასკოლო სასწავლო გეგმაშიც ასახულია, რომ სკოლა სასკოლო საათობრივ ბადეს ადგენს მოსწავლეების ფიზიკური და ფსიქოლოგიური შესაძლებლობის გათვალისწინებით.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

ესთეტიკური აღზრდა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლე სწავლა-სწავლების პროცესში ყალიბდება პიროვნებად, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია როგორც აკადემიური მიღწევები, ასევე სრულყოფილი ფიზიკური და გონებრივი განვითარება. ყოველივე ამის განსახორციელებლად სკოლაში ტარდება სხვადასხვა აქტივობები.
პიროვნულ და ფსიქო-სოციო-ემოციურ განვითარებას ხელს უწყობს ასევე სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები: კომპლექსური დავალებები, საგნობრივი და სასკოლო პროექტები, ღონისძიებები, ექსკურსიები, სადამრიგებლო პროგრამები. ამ აქტივობების საშუალებით ბავშვებს უვითარდებათ თვითცნობიერება, თვითრეგულაცია, სოციალური ცნობიერება, ურთიერთობის უნარები, პასუხისმგებლობა გადაწყვეტილებებზე.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

სპორტი სკოლაში საბაზო საფეხურის სასწავლო პროცესი და საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. სკოლის მიერ შეთავაზებული სწავლის სხვადასხვა მეთოდები - თეორიული, პრაქტიკული. კურილულემებში გაწერილ თემებზე დართული ჰიპერლინკები, რომლებიც ასახავს სხვდასხვა სპორტის სახეობის ისტორიებს და ქართველი სპორტსმენების მიღწევებს, აგრეთვე მასწავლებლის მიერ დაგეგმილი მოსწავლეების შესაქმნელი პროექტები, ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა ფიზიკურ და გონებრივ, ფსიქო-ემოციურ კეთილდღეობას.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია
საზოგადოებრივი მეცნიერებები
კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში, პროექტებით სწავლების დროს, არაფორმალური განათლების დანერგვისას ხდება მოსწავლეთა თანამშრომლობითი უნარების განვითარების ხელშეწყობა, მოსწავლეს უვითარდება პასუხისმგებლობის გრძნობა როგორც საკუთარი თავის მიმართ, ასევე სხვების მიმართ ეცვლება დამოკიდებულება და ხდება სასკოლო საზოგადოების, თემის აქტიური წევრი, რაც ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ, კოგნიტურ და ფსიქო-სოციალური განვითარებას. რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მოსწავლის პიროვნების განვითარების ხელშეწყობას. არაფორმალური განათლება, სკოლის მიერ განხორციელებული სხვადსახვა სოციალური პროექტები ავითარებს მოსწავლეებში აღნიშნულ უნარებს.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.სახელმწიფო ენა
მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მიმართევენ თვითშეფასებას,ურთიერთშეფასებას.ჩანს სკოლის სწორი ხედვა შეფასების სისტემის თვალსაზრისით.აღნიშნავენ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერის მნიშვნელობას; შესაბამისად, გამოხატეს მზაობა იმუშაონ ამ პრინციპით და გაამახვილონ ყურადღება მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმში. ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

უცხოური ენები
საბაზო კლასებში სკოლამ დამატებით წარმოადგინა მატრიცები, რაც აფასების არამხოლოდ მოსწავლის მიერ შესრულებული დავალების სისწორეს არამედ მის პიროვნულ განვითარებასა და პროგრესს. შესაბამისად, შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მიხარდაჭერაზე.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

მათემატიკა
საბაზო საფეხურზე სკოლას აქვს მზაობა, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებული იყოს ფაქტობრივ ცოდნაზეც და გაითვალისწინონ მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის აქტუალური ყველა გარემოება. წარმოდგენილმა შეფასების რუბრიკებმა საბაზო საფეხურზე, ასევე ინტერვიუმ აჩვენა რომ შეფასების წარმოებისას მასწავლებელები ითვალისწინებენ შეფასების სტრატეგიებს: რომელ მიზანზეა ორიენტირებული შეფასება, რამდენად აძლევს სასწავლო პროცესში შესრულებული დავალებები მოსწავლეს ცოდნის/საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენის საშუალებას და რამდენად შეუწყო ხელი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესმა მოსწავლის ფუნქციური უნარების განვითარებას. ინტერვიუს დროს ერთ-ერთმა პედაგოგმა ფაქტიურად თვითრეფლექსია წარმოადგინა ზეპირად, ანუ იმის ანალიზი თუ რამდენად მოახდინა მისმა საქმიანობამ ზეგავლენა მოსწავლის მიღწევებზე, შესაბამისად მათემატიკაში შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითერბის მხარდაჭერაზე.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

ჰოლისტური მიდგომა,როგორც განათლების მიზანი გულისხმობს , რომ მასწავლებელმა უნდა იცოდეს რას უნდა ელოდებოდეს მოსწავლისგან და შესაბამისად სწავლების პროცესიც აქეთ უნდა მიდიოდეს. მასწავლებელი უნდა იყოს მხარდამჭერი და ხელშემშველებელი მოსწავლის ნიჭის, უნარის და შეფასების სისტემაც სწორედ ამას უნდა ემსახურებოდეს.
ორგანიზაციის სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია სასკოლო შეფასების პრინციპები.
წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებში ჩანს, რომ აქცენტი კეთდება მოსწავლეების ცოდნის შეფასებაზე, თუმცა ინტერვიუში გამოთქვეს მზაობა მოხდეს რუბრიკების დახვეწა და კრიტერიუმებში ფუნქციური უნარების (მაგ: შემოქმედებითობა, კრიტიკული აზროვნება და სხვა) გათვალისწინება. ორიენტაცია მოხდება ცოდნასთან ერთად, სწავლის პროცესის გაანალიზებაზე. აღნიშნეს ასევე, რომ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს, წარმატებით იყენებენ პრაქტიკაში და მომავალი სასწავლო წლისთვის გეგმავენ ახალი გამოწვევის შესაბამისად რუბრიკების შექმნას, სადაც გათვალისწინებული იქნება ხელშეწყობა მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარებისთვის.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

ესთეტიკური აღზრდა
სასკოლო საზოგადოების მიერ გააზრებულია, რომ თითოეული მოსწავლე დამოუკიდებელი ინდივიდია და თავად არის საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორი. მასწავლებლები მოტივირებული არიან ხელი შეუწყონ მოსწავლეს ცოდნის, უნარებისა და ნიჭის განვითარებაში. შეფასების სისტემა (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული.
სკოლის თვითშეფასების ფორმაში ვკითხულობთ: მოსწავლის ჰოლისტური განვითარების პროცესში გათვალისწინებულია მთავარი კითხვა: რას ველით მოსწავლისგან? და შესაბამისად სწავლების პროცესი აქედან გამომდინარე იგეგმება .
სამომავლოდ აპირებენ კიდევ უფრო მეტად დახვეწონ შეფასების სისტემა და გახადონ მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზე ორიენტირებული.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სპორტი
ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურზე ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მიზანმიმართულად გამოიყენება, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში, სიტყვიერი კომენტარები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის განვითარებას. ..
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები საგნობრივი კათედრები ითვალისწინებენ თითოეული მოსწავლის შესაძლებლობებსა და ინტერესებს. საკითხები და სასწავლო რესურსები შერჩეულია და გათვლილია მოსწავლეზე კომპლექსური დავალების წარდგენისას მოსწავლე აკეთებს თვითშეფასებას, აანალიზებს დავალების შესრულებისას როგორც მიღწევებს, რა გამოუვიდა კარგად, ასევე ხარვეზებს, დავალებას ხელმეორედ რომ ასრულებდეს რას შეცვლიდა და რატომ. ყველა საგნის მასწავლებელი იყენებს განმავითარებელ შეფასებას, რომელიც სწავლა/სწავლების პროცესში მოსწავლის მაქსიმალურ მხარდაჭერას ემსახურება. მარტივ დავალებებს ფრთხილად ენაცვლება შედარებით რთული და ამასთანავე მრავალფეროვანი დავალებები, ხოლო მასწავლებლები შეფასებისას, მოსწავლის აკადემიური მიღწევის აღწერისას მიმართავენ ზეპირ და წერილობით უკუკავშირს, აღწერენ ძლიერ და სუსტ მხარეებს, გასცემენ რეკომენაციების. ამით ისინი შეფასების დროს ხელს უწყობენ მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებას.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

4.სახელმწიფო ენა
წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და გასაუბრებაზე დაყრდნობით აღვნიშნავთ, სკოლაში მოსწავლეთა შეფსება ხდება ესგ-ის სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებთან მიმართებით. იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას.შეფასებისთვის გამოიყენება მრავალფეროვანი ინსტრუმენტები. .შეფასების ინდიკატორებს მასწავლებლები აცნობენ მოსწავლეებს და განიხილავენ მათთან ერთად.კათედრას აქვს მზაობა შექმნას ისეთი შეფასების სისტემა, რომელიც იქნება სანდო,ვალიდური და გამჭვირვალე.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მათემატიკა
სკოლის სასწავლო გეგმის პროექტის მიეხდვით დაგეგმილია შეფასების მხრივ დოკუმენტაციის დახვეწა, ამჟამად სკოლას აქვს მზაობა სამივე საფეხურზე შეფასება იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიქტური. პედაგოგებს აქვთ გააზრებული, რომ შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და სერიოზულად უდგებიან მას. ამ დასკვნის საფუძველს გვაძლევს კურიკულუმი, მომავალი დაგეგმილი სასწავლო პროექტები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, ასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

უცხოური ენები შეფასების სისტემის ვალიდურობასა და ობიექტურობაზე მიუთითებს ის მატრიცები და განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბიკები რაც სკოლამ წარმოადგინა. გარდა ამისა, ინტერვიუს დროს ახსენეს რომ მოსწავლეებმა წინასწარ იციან შეფასების კრიტერიუმები შესაბამისად შეფასების სისტემა გამჭვირვალეცაა.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები
.
სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან , განმავითარებელი შეფასების რუბრიკებიდან, თუ მასწავლებლებთან ინტერვიუდან ჩანს,რომ სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებულია შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი-სიტყვიერი ზეპირი კომენტარი, თუ რუბრიკა და მოსწავლეებმა წინასწარ იციან რის მიხედვით ფასდებიან ,თვითონაც მონაწილეობენ შეფასებაში. ასევე ჩანს, რომ შეფასების მიზანი და შეფასების კრიტერიუმები მიემართება გრძელვადიან მიზნებს . გაწერილი აქვთ შეფასების კრიტერიუმები და ამ კრიტერიუმის აღწერილობა, რაც შეფასებას ხდის ვალიდურს, სამართლიანს და ობიექტურს. იკვეთება, რომ მასწავლებლებს კარგად აქვთ გააზრებული შეფასების მნიშვნელობა და იგეგმება რუბრიკების შექმნა სხვადასხვა თემების შესაბამისად, ასევე არსებულის განახლება და დახვეწა. პროცესში მონაწილეობას მიიღებენ მოსწავლეები. შეფასების რუბრიკები გაზიარდება სასკოლო საზოგადოებასთან და მშობლებთან, რაც კიდევ უფრო გაზრდის შეფასების გამჭვირვალობას.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ესთეტიკური აღზრდა

კათედრის მიერ წარმოდგენილია საბაზო საფეხურის განსამზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, სადაც ჩანს თუ რა კრიტერიუმებზე დაყრდნობით და როგორ ფასდებიან მოსწავლეები. ,სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანს წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, სადაც ჩაშენებულია კომპლექსური დავალებების ინსტრუქციაც ,,ნაშრომში ხაზგასმით წარმოაჩინე“, რომელიც ასევე შეიძლება იქცეს მოსწავლის განმავითარებელ შეფასებად. აღნიშნული რუბრიკა საკმაოდ საინტერესო და გასათვალისწინებელი მიგნება იყო.

მუსიკის საგანს წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა საბაზო საფეხურის სხვადასხვა კლასისათვის: მე-7 კლასში თემაზე ,,სიყვარული და სიძულვილი მუსიკაში“. მე-8 კლასში თემაზე: ,,მარტოობა და ერთობა მუსიკაში“. მე-9 კლასში - ,,გმირი და ანტიგმირი მუსიკაში“. მოსწავლეებმა წინასწარი იციან რა კომპონენტებისა და აქტივობების მიხედვით შეფასდებიან, რაც ქმნის სანდოობის მაღალ ხარისხს. რუბრიკები მიემართება საგნის შედეგების ინდიკატორებს და გრძელვადიანი მიზანს, შესაბამისად შეფასება არის ვალიდური და სანდო. სამომავლოდ აპირებენ ეტაპობრივად გაწერონ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ყველა საკითხზე.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

სპორტი

ფიზიკური აღზრდის და სპორტის მასწავლებელთან გასაუბრების დროს კი გამოიკვეთა, რომ მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში გათვალისწინებულია ფიზიკური აღზრდის და სპორტის შეფასების სისტემის განვითარება და დახვეწა, რომლებიც სრულად დააკმაყოფილებს, საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, იქნება გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი...

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ქოუჩინგის პროცესში მომზადებულა შეფასების რუბრიკები, რომლებშიც დეტალურად არის გაწერილი თუ რას და როგორ შეაფასებს მასწავლებელი, რაზე გაამახვილონ მოსწავლეებმა ყურადღება კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას. ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ კათედრის წევრ მასწავლებლებს აქვთ გააზრებული, წინარე გამოცდილების მნიშვნელობა. მოსწავლეებმა წინასწარ იციან შეფასების კრიტერიუმები, რათა სწორად დაგეგმონ საკუთარი სწავლების გზა. მასწავლებლებს კი ესმით, რომ

შეფასების პროცესი რომ მეტად გამჭვირვალე და ობიექტური იყოს, აუცილებელია მოსწავლეების ჩართულობა შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბებისას.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

5. მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში შექმნილია პოზიტიური სასწავლო გარემო, მხარს უჭერენ მოსწავლეთა ინიციატივებს, მათთან ერთად გეგმავენ აქტივობებსა და ღონისძიებებს. სკოლაში შექმნილია თანამშრომლობითი და პოზიტიური კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. წახალისებულია მოსწავლეთა თავისუფლება, სკოლის განვითარებაში ჩართულობა და მონაწილეობა. გარდა ამისა, მოსწავლეთა ინდივიდუალური ინტერესები და შეხედულებები, გათვალისწინებულია საგნობრივი კურიკულუმების ჩამოყალიბებისასაც.
წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში ტარდება სხვადასხვა სახის ღონისძიებები,გამოფენები,ფუნქციონირებს კლუბები,რომლებშიც მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი. სადამრიგებლო კლასებში ხორციელდება სადამრიგებლო საათი,რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა სხვადასხვა უნარის განვითარებას(მაგ: წიგნიერების,ციფრული წიგნიერების,გარემოს დაცვითი უნარების და ა.შ)
ყოველივე ეს მიანიშნებს, რომ სასკოლო საზოგადოება ცდილობს იზრუნოს მოსწავლის პიროვნულ და აკადემიურ წინსვლაზე.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

6 სსიპ ქალაქ გორის N5 სკოლაში დაცულია კანონმდებლობით განსაზღვრული რეგულაციები დოკუმენტების წარმოებასა და მათ შენახვასთან დაკავშირებით.
მიმდინარე სასწავლო წლის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები ინახება ელექტრონულ ჟურნალში (სკოლის შიდა რეგულაციებით განსაზღვრულია ელექტრონულ ჟურნალამდე არსებული მატერიალური ჟურნალების შენახვა უვადოდ).
კომპლექსური დავალებები, როგორც მტკიცებულება, ინახება მოსწავლის სამართლებრივი აქტის საფუძველზე მომდევნო კლასში გადასვლამდე. შემაჯამებელი დავალებები კი ინახება კათედრაზე არანაკლებ 3 წლის ვადით, რაც უზრუნველყოფს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასებასთან დაკავშირებულ სანდოობას და ობიექტურობას. იგეგმება კათედრებზე როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული საცავის შექმნა.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
. თვითშეფასების ფორმა გორის N5 საჯარო სკოლა
სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია
შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის პროექტი
ხარისხის პოლიტიკა
16 კათედრის სხდომის ოქმის ნიმუში
დანართი-40 კათედრის ოქმი
დანართი 22-სადამრიგებლო პროგრამა
დანართი 47-შემაჯამებელი ფორმა
დიაგნოსტიკური შეფასება
კურიკულუმის ჩარჩოები
სასკოლო სასწავლო გეგმა
მასწავლებლებთან ზეპირი გასაუბრება

შეფასება
იგთხოვთ, ასახოთ შეფასება.
იშესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.
☒ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის წარმომადგენლებთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში შექმნილია პოზიტიური სასწავლო გარემო, მხარს უჭერენ მოსწავლეთა ინიციატივებს, მათთან ერთად გეგმავენ აქტივობებსა და ღონისძიებებს.
სკოლაში შექმნილია თანამშრომლობითი და პოზიტიური კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. წახალისებულია მოსწავლეთა თავისუფლება, სკოლის განვითარებაში ჩართულობა და მონაწილეობა. გარდა ამისა, მოსწავლეთა ინდივიდუალური ინტერესები და შეხედულებები გათვალისწინებულია საგნობრივი კურიკულუმების ჩამოყალიბებისასაც.
გასაუბრების დროს, გამოიკვეთა პედაგოგთა ღიაობა და მიმღებლობა, რომელიც ერთ-ერთი საკვანძო ასპექტია პოზიტიური სასკოლო კლიმატისთვის. ყველას აქვს გამომხატველობის შესაძლებლობა, ეს კი ქმნის ნაყოფიერ სივრცეს თანამშრომლობითი და პოზიტიური კომუნიკაციისთვის.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.
2. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით და მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები, როგორც მოსწავლის გამოცდილების არქიტექტორები, ზრუნავენ თანასწორობის პრინციპებზე აგებულ უსაფრთხო გარემოს შექმნაზე მოსწავლეებთან თანამშრომლობით. უზრუნველყოფენ ყველა მოსწავლის ჩართვას სასწავლო პროცესში, ამისათვის კი იყენებენ კლასის მართვის ეფექტიან სტრატეგიებს, ხელს უწყობენ და ახალისებენ თვითრეგულირებად ქცევას, მოსწავლეებში



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თანამშრომლობითი უნარების განვითარებას და ქმნიან ეფექტურ გარემოს მოსწავლეთა პოტენციალის რეალიზებისთვის. სწავლა-სწავლების პროცესში მასწავლებლები მაქსიმალურად ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს,ინტერესებს,ფიზიკურ და ფსიქიკურ მახასიათებლებს.

დასტურდება ზეპირსიტყვიერად განხილული და წაროდგენილი შესრულებული კომპლექსური დავალებებით, განხორციელებული პროექტებით.

მოსწავლეთა შეფასების რუბრიკა ორიენტირებულია მოსწავლეთა პროგრესის შეფასებაზე, ამას მოწმობს წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები.

საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კომპლექსური დავალებებიც სწორედ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის საწინდარია.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

3. .წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და გასაუბრებიდან იკვეთება,რომ სკოლაში მაღალია თანამშრომლობითი კულტურა, როგორც აღნიშნეს ინტენსიურად უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას და ესწრებიან გაკვეთილებზე,ერთობლივად გეგმავენ სასწავლო პროცესს და სასკოლო პროექტებს. კათედრის წევრთა შორის ხდება გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება. ამის უზრუნველყოფისთვის კი მეტად მნიშვნელოვანია თანამშრომლობა, გუნდურობა,რაც დასტურდება ინტერვიუთი.

სხვა კათედრებთან თანამშრომლობით კომუნიკაციას ადასტურებს ინტეგრირებული გაკვეთილები,ერთობლივად განხორციელებული პროექტები, რაც წარმოადგინა სკოლამ. კარგი თანამშრომლობითი კულტურის მაჩვენებელი იყო ასევე ინტერვიუს დროს ერთმანეთის მხარდამჭერი გარემო. კათედრაზე ჯანსაღ კომუნიკაციაზე მუთითებს თვითდასწრებისა და რეფლექსიის ნიმუშები.

სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის სუფევს მაღალი ურთიერთპატივისცემა და ნდობა. სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი გრძნობს პასუხისმგებლობას, ზრუნავს სკოლაზე, იზიარებენ ერთმანეთის მოსაზრებებს და ამის შესაბამისად გეგმავენ ახალ სასწავლო პროცესებს. აგრეთვე აღინიშნა, რომ აქტიური კომუნიკაცია აქვთ მოსწავლეებთან, რომელთა ინიციატივების შესაბამისად იგეგმება სწავლა-სწავლების პროცესი და კურიკულუმი.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4 სკოლაში შექმნილია პოზიტიური საკლასო კლიმატი. მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის დამოკიდებულება საკლასო ატმოსფეროს ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია. მასწავლებლები ქმნიან გაკვეთილზე ისეთ გარემოს, რომელშიც მოსწავლეს თავისუფლად შეუძლია აზრის გამოთქმა და მის აზრს, შეხედულებას თუ პოზიციას პატივისცემით ეპყრობიან.
ინტერვიუს დროს სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო გარემო დამყარებულია ნდობასა და კეთილგანწყობაზე. მოსწავლეებს აქვთ არჩევანის საშუალება, რაც გულისხმობს მათი უნარისა და შესაძლებლობების დაფასებას; იციან, რომ მასწავლებლები დადებითად შეხვდებიან მათ შეკითხვებს, განსხვავებულ მოსაზრებებს, წაახალისებენ შემოქმედებითობასა და კრიტიკულობას.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
თვითშეფასების ფორმა გორის N5 საჯარო სკოლა
სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია
სსიპ გორის N5 საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
სსიპ გორის N5 საჯარო სკოლის შინაგანაწესი
ხარისხის პოლიტიკა
16 კათედრის სხდომის ოქმის ნიმუში
დანართი-40 კათედრის ოქმი
დანართი 22-სადამრიგებლო პროგრამა
დანართი 47-შემაჯამებელი ფორმა
დიაგნოსტიკური შეფასება
კურიკულუმის ჩარჩოები
სადამრიგებლო პროგრამა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოგზაურთა კლუბი ,,ჰორიზონტი“ .

შეფასება:
იგთხოვთ,  ასახოთ შეფასება.
იშესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.
☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება
2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 .სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სკოლაში შექმნილია ხარისხის მართვის ჯგუფი, რომელიც ორიენტირებულია კურიკულუმის მონიტორინგსა და შეფასებაზე. ქოუჩინგის ოქმში, რეფლექსიებსა და ურთიერთდასწრების რეფლექსიებიდან ჩანს, რომ სკოლა ახორციელებს მონიტორინგს და ითვალისწინებს მიღებულ შედეგებს.მათი მზაობა ასევე გამოჩნდა, როცა წარმოადგინეს დიაგნოსტიკური შეფასების ახალი ინსტრუმენტის ცარიელი ფორმა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება და მონიტორინგი გამოყენებულია არა როგორც კონტროლის, არამედ მხარდაჭერის მექანიზმი. მონიტორინგის მეთოდოლოგიის შემუშავების მიზნით სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ხდება მიზნების და ამოცანების განსაზღვრა. მასწავლებლები თანამშრომლობის ფორმატით ესწრებიან გაკვეთილებს, მონიტორინგს უწევენ სასწავლო პროცესს, სკოლის გამგეობასთან ერთად აფასებენ მდგომარეობას და იძლევიან ეფექტურ უკუკავშირს, რათა მოხდეს სასწავლო პროცესის გაუმჯობესება. ,,კრიტიკული მეგობრის" პოზიციიდან ერთმანეთის დახმარება მათი წარმატებული პრაქტიკაა.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

2 სკოლას სამივე საფეხურზე აქვს კათედრის წევრებს შორის ურთიერთდასწრების და თანამშრომლობის პრაქტიკა. სკოლაში ფუნქციონირებს „კრიტიკული მეგობრის " ინსტიტუტი. მასწავლებლისა და დამკვირვებლის ზეპირი სიტყვიერი რეფლექსიის საფუძველზე, აანალიზებენ ძლიერ და სუსტ მხარეებს. პროცესი არის გამჭვირვალე და თანამშრომლობაზე დაფუძნებული.ასევე აქვთ შექმნილი ხარისხის ჯგუფი.

მონიტორინგის მიერ მოპოვებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით მასწავლებლები აფასებენ მოსწავლეების სწავლისა და საკუთარი მუშაობის პროცესს, გამოკვეთენ მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და საჭიროებებს, ერთად გეგმავენ პრობლემების გამოსწორების გზებს. მონიტორინგი ასევე ხელს შეუწყობს სკოლის მომავლის დაგეგმვას, ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებას და ახალი შესაძლებლობების შეფასებას.მონიტორინგი ორიენტირებულია მოსწავლე-მასწავლებლის მხარდაჭერაზე.

აღნიშნულ გამოცდილებაზე დაყრდნობით მომავალი სასწავლო წლისთვის გაითვალისწინებენ გამოცდილებას, კიდევ უფრო ორგანიზებულად შეიმუშავებენ დასწრების განრიგსა და საჭიროების შემთხვევაში დავხვეწენ ურთიერთშეფასების ფორმას, რომელშიც გაწერენ გაკვეთილის დადებით და უარყოფით მხარეებს და დასახავენ გაუმჯობესების გზებს.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

3. ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან ინტერვიუებისას იკვეთება, რომ სკოლას აქვს მზაობა მომავალ სასწავლო წელს სკოლაში მონიტორინგისა და შეფასების შედეგად მიღებული მასალა გამოიყენოს პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაჭრისთვის. ამ ეტაპზე პედაგოგებს აქვთ ურთიერთდასწრების და განმავითარებელი შეფასების გამოცდილება, დასტურდება თვითშეფასების ანგარიშითაც. სკოლაში წლის ბოლოს ხდება ფორმალური და არაფორმალური განათლების აქტივობების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება, აანალიზებენ რამდენად მოხერხდა დასახული მიზნების მიღწევა. რისი გამოსწორებაა საჭირო და რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას ამისათვის.

მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მონიტორინგისა და შეფასებისას გამოიკვეთა მიღწევები და პრობლემები, გაანალიზდა ისინი და დაიგეგმა არსებული გამოწვევების მოგვარების გზები, ამ მიმართულებით ასევე გეგმავენ სადიაგნოსტიკო წერების ჩატარებას. კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის ანალიზზე დაყრდნობით, სკოლა შეიმუშავებს პრიორიტეტულ და სტრატეგიულ ხედვას, ასახავს სამოქმედო გეგმასა და კურიკულუმებში.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

. კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

თვითშეფასების ფორმა გორის N5 საჯარო სკოლა

სსიპ გორის N5 საჯარო სკოლის კურიკულუმები

სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია

დანართი 47-შემაჯამებელი ფორმა

დიაგნოსტიკური შეფასება

კურიკულუმის ჩარჩოები

რეფლექსია

ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმა / რეფლექსია

შემაჯამებელი ანალიზის ფორმა

შეფასება:

იგთხოვთ, ასახოთ შეფასება.

იშესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან ინტერვიუებისას აღინიშნა,რომ აქვთ პრაქტიკა (მაგ: კათედრის შეხვედრის ოქმი, ურთიერთდასწრების ფორმები) ,რომელიც წარმოაჩენს წყაროებს, მასალებს და ამ მასალების საფუძველზე გამოკვეთილ დასკვნებს, რომლების საფუძველზეც სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი მიმდინარეობს. პროცესს გააძლიერებენ მომავალი სასწავლო წლიდან.

ისაუბრეს , რომ სასწავლო პროცესში შეფასებისას ეყრდნობიან არა მარტო მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, არამედ მათ შესახებ მოპოვებულ სხვა ინფორმაციებსაც, მაგალითად, ეს შეიძლება იყოს ოჯახური, მატერიალური თუ სოციალური პირობები, პიროვნული მახასიათებლები, მათი ძლიერი თუ სუსტი მხარეები და ა.შ. ამის შესახებ ცნობებს იღებენ მშობელთა კრებებიდან, ძირითადად, დამრიგებლების საშუალებით. სკოლაში სასწავლო პროცესის შეფასება ეყრდნობა, როგორც სასკოლო

საზოგადოების თითოეულ წევრს, ასევე სხვადასხვა დოკუმენტურ და სტატისტიკურ რესურსებს. მაგალითად: კომპლექსური დავალების შესრულებისას მასწავლებელი მოსწავლეთა ცოდნის და უნარ-ჩვევების შესაფასებლად იყენებს სხვადასხვა მეთოდებს: მასწავლებლის დაკვირვება, მოსწავლეთა თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, რუბრიკები და სხვა.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

2. პედაგოგები ცდილობენ შეისწავლონ რამდენად ეფექტურია მათ მიერ გადადგმული ნაბიჯები სწავლის შედეგების თვალსაზრისით, ისინი ცდილობენ შეფასებისას გაითვალისწინონ კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწავლეთა ინტერესები და ა.შ.

ისგ, კომპლექსური დავალებები, თვითრეფლექსია, ინტეგრირებული გაკვეთილების რეფლექსია, მასწავლებელთა ურთიერთდასწრების რეფლექსიები- მოწმობს იმას, რომ შეფასება ხდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით

სამომავლოდ იგეგმება ისეთი ინსტრუმენტების გამოყენება,რომლებიც ზუსტად ასახავენ ინფორმაციას მოსწავლეებში არსებულ ძლიერ და სუსტ მხარეებზე. სკოლის შეფასების რუბრიკები ფიზიკური აღზრდაში და სპორტში საჭიროებს დახვეწას და განვითარებას, რომლის ამოცანა იქნება უზრუნველყოს შეფასება მრავალი კონტექსტის გამოყენებით, რაც შესაძლებლობას მისცემს სკოლას გამოიკვეთოს მოსწავლის მრავალმხრივი შეფასების, მათი შესაძლებლობების და ინტერესების გათვალისწინება, რის მზაობასაც გამოხატავს სკოლა.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

3. სკოლის წარმომადგენლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ იმისათვის, რომ შეფასება იყოს გამჭვირვალე და ვალიდური, იყენებდნენ და გამოიყენებენ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან ინსტრუმენტებს :მაგალითად, კრიტიკული მეგობრის, მოსწავლის, პედაგოგისა და დამკვირვებლის რეფლექსიებს, ფოკუს-ჯგუფებს,ანკეტირებას, ინტერვიუს და ა.შ.

მასწავლებელები შეფასებისას იყენებენ სხვადასხვა ტიპის რუბრიკებს, ქოუჩინგის პროცესშიც შექმნეს და წარმოადგინეს რუბრიკის ნიმუშები. გეგმავენ შეფასების რუბრიკების განვითარებას ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების გათვალისწინებით მომავალი სასწავლო წლისთვის, ასევე გეგმავენ დიაგნოსტიკური შეფასების წარმოებას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სიტუაციის, მოვლენის, მოსწავლის უნარისა და შესაძლებლობებისა თუ სხვა ასპექტების შესწავლისას გადამწყვეტია მაქსიმალურად ამომწურავი და ვალიდური ინფორმაციის მიღება, რაც შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ საკითხისადმი მრავლმხრივი მიდგომით. ეს კარგად აქვთ გააზრებული მასწავლებლებსაც და ადმინისტრაციის წარმომადგენლებსაც.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

4. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ შეფასებისას ითვალისწინებენ დიფერენცირებულ მიდგომას, მოსწავლეების შესაძლებლობებს. ახდენენ სხვადასხვა უნარისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირებას, ჯგუფური მუშაობის დროს ჩართულობას და ფუნქციათა დელეგირებას. მასწავლებლებს აქვთ გააზრებული, რომ მოსწავლეზე, მის სასწავლო სიტუაციაზე, გარემოებაზე გავლენას ახდენს, არა მხოლოდ უშუალო გარემომცველი მიკროსისტემა, არამედ ფაქტორთა მთელი რიგი სხვადასხვა სისტემებიდან: ოჯახი, ჯანდაცვა, ფასეულობები, ტრადიციები და ა. შ. თვითშეფასების ანგარიშშიც აღნიშნავენ, რომ ყველა ზემოთ აღნიშნული გათვალისწინებული იქნება მომდევნო სასწავლო წელს. საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკაში, განხორციელებული კომპლექსური დავალებებსა და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში მოცემულია სხვადასხვა ფაქტორები, რითაც შეფასება ხორციელდება ბევრი საკითხის გათვალისწინებით.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
• თვითშეფასების ფორმა გორის N5 საჯარო სკოლა
• სსიპ გორის N5 საჯარო სკოლის კურიკულუმები
• . განმავითარებელი შეფასების რუბრიკა
• განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა
• შემაჯამებელი ანალიზის ფორმა

შეფასება:
ივთხოვთ, ასახოთ შეფასება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

იშესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სწორი ხედვა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით.მასწავლებლებს ესმით, რომ არა სპონტანურად, არამედ თანმიმდევრულად უნდა წარიმართოს მიმდინარე წელიწადს კურიკულუმის დანერგვის შესახებ მონაცემების შეგროვება და დამუშავება. რეფლექსიით და საჭიროებების კვლევით ისინი შეძლებენ წლის ბოლოს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის ჩამოყალიბებას. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა რევიზიის საშუალებას. ასევე, ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ სასწავლო წლის ბოლოს მოახდენენ კურიკულუმების შეფასებასა და რევიზიას, იგივე აქვთ წარმოდგენილი თვითშეფასების ფორმაშიც. წარმოდგენილი შემაჯამებლის ანალიზის ფორმა, ინტეგრირებული გაკვეთილის რეფლექსია ადასტურებს, რომ სკოლას აქვს მზაობა განახორციელოს კურიკულუმის რევიზია და შექმნას რეკომენდაციები სამომავლოდ კურიკულუმის შემუშავებისთვის.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

2. ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების გადამუშავებული ვერსიები დაშენდება წინარე გამოცდილებასა და მონიტორინგის, შეფასების შედეგებზე. მასწავლებლებს აქვთ მზაობა სასკოლო კურიკულუმი მომავალ წელს უფრო გამართულ დოკუმენტად აქციონ, მისი დახვეწა-განვითარება მოხდება წინა წლის გამოცდილების გათვალისწინებით. კათედრებზე მუდმივად ახდენენ შემუშავებული კურიკულუმების გადასინჯვას და გამოცდილების გაზიარებას, რაც ასევე ასახულია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაშიც და ეფუძნება წინარე გამოცდილებას.

მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში, კურიკულუმის გადასინჯვა -რევიზიისათვის გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები: სიტუაციის, მოვლენის, მოსწავლის უნარისა და შესაძლებლობებისა თუ სხვა ასპექტების შესწავლისას გადამწყვეტია მაქსიმალურად ამომწურავი და ვალიდური ინფორმაციის მიღება, რაც შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ საკითხისადმი მრავლმხრივი მიდგომით, მათ აქვთ ამის პრაქტიკა და გამოიყენებენ მუშაობისას.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

• სსიპ გორის N5 საჯარო სკოლის წლიური სამოქმედო გეგმა
• შემაჯამებელი ანალიზის ფორმა
• თვითშეფასების ფორმა
• კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

შეფასება:

იგთხოვთ, ასახოთ შეფასება.

იშესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| სტანდარტი 2 | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი საშუალო საფეხური** | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4** | ☐ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი
2.1. კურიკულუმის შემუშავება
2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სახელმწიფო ენა სკოლის მიერ შემუშავებული „კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიიდან" ირკვევა, კათედრის კურიკულუმების ჩარჩო ჩამოყალიბდა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის გამოცდილების გაზიარებისა და გაანალიზების შედეგად . ამას ადასტურებს მათ მიერ წაარმოდგენილი დოკუმენტაციაც (კერძოდ, სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია,თვითშეფასების ფორმა,კათედრის ოქმი..). ჩანს, რომ კურიკულუმის შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართვა ხორციელდება მშობლებთან, სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებთან სოციალური მედიის, ელ. ფოსტის, ბეჭდვითი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასალების, საჯარო ღონისძიებების და სხვა საშუალებების გამოყენებით. სკოლა ინდიკატორთან მიმართებით არის .ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

მათემატიკა- სკოლის მიერ შემუშავებული „კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიიდან“ ირკვევა,რომ მათემატიკის მიმართულებით კურიკულუმის შემუშავების პროცესის ნაწილი იყო კათედრებზე მასწავალებლების მიერ ინდივიდუალური ხედვის წარდგენა, კოლეგებთან ერთად განხილვა, უკუკავშირი, გასული წლების გამოცდილების გაზიარება და შეჯერება საბოლოო ვერსიაზე. ასევე სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებთან: რამდენიმე შემთხვევაში მშობლებთან და თითქმის ყველა მოსწავლსთან კონცეპტუალური იდეების განხილვა, გამოწვევებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირების მიზნით. სამივე საფეხურზე კურიკულუმის განვითარების მიზნით, ასევე სასწავლო პროცესის გასამრავალფეროვნებლად იყენებენ მათემატიკის პედაგოგის მიერ შექმნილ learningapps.org-ის ელ. რესურსებს..ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

უცხოური ენები სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის განვითარებისა და შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც გაწერილია სასკოლო საზოგადოების წევრების როლი, ფუნქცია-მოვალეობები კურიკულუმის შემუშავებისას. ასევე, თვითშეფასების ფორმაში აღწერილია რომ სკოლა დიაგნოსტიკური შეფასებების, კომპლექსური დავალებების, ,,მშობლის ბარათებისა“ და კათედრაზე ერთობლივი მუშაობით ითვალისწინებენ სასკოლო საზოგადოების ინტერესებს. ამის დასტურად შესაძლოა მივიჩნიოთ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, სადაც გაწერილია სასკოლო საზოგადების ფუქცია-მოვალეობები და ასევე, წარმოდგენილი ,,მშობლის ბარათები“. . ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები პედაგოგები კურიკულუმებზე მუშაობის პროცესში ერთმანეთთან თანამშრომლებენ, უზიარებენ ერთმანეთს თავიანთ გამოცდილებას და სწორედ ამის გათვალისწინებით ერთობლივად იქმნება ბიოლოგიის ფიზიკის, ქიმიის საგნობრივი კურიკულუმები საშუალო საფეხურზე. კურიკულუმის მეთოდოლოგიის შემუშავების შემდეგ გათვალისწინებული იქნება სასკოლო საზოგადოების ინტერესი, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

ესთეტიკური აღზრდა სკოლის მიერ შემუშავებული „კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიიდან“ ირკვევა, რომ სკოლა ჩართულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში, აქვთ კურიკულუმების შექმნის გამოცდილება, რომელშიც ჩართულია სასკოლო საზოგადოება. სკოლაში შექმნილია საგნობრივი კათედრები, რომლებიც ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე აანალიზებენ მოსწავლეთა შედეგებს, იგულისხმება: კომპლექსური დავალებები, შემაჯამებელი დავალებები, სასკოლო პროექტები. განიხილავენ მოსწავლეთა საჭიროებებს, შესაძლებლობებს და გეგმავენ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მომავალი წლის სამოქმედო გეგმას, რომელიც ემსახურება სკოლის მისიის შესრულებას. მომავალი წლისათვის იგეგმება მშობელთა და მოსწავლეთა ინტერესების კვლევა და მათი ასახვა კურიკულუმში. საშუალო საფეხურზე, კერძოდ მე-10, მე-11 კლასებში ესთეტიკური აღზრდის საგნების, მუსიკისა და ხელოვნების სწავლება მიმდინარეობს პროექტული სწავლებით. მუსიკის პედაგოგს წარმოდგენილი აქვს მოსწავლის მიერ შესრულებული პრეზენტაცია. რაც შეეხება სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნის პედაგოგს, არ აქვს გაწერილი და არც არის ამჯერად შემუშავებული კურიკულუმის გაწერის შაბლონი, რადგანაც პროექტული სწავლებისათვის მოსწავლეები წლის დასაწყისში ირჩევენ ერთ თემას სემესტრში განსახორციელებლად. ვინაიდან, თემების არჩევა უნდა მოხდეს მასწავლებლის დეტალური, საფუძვლიანი ახსნის და მოსწავლეთა მსჯელობის და ინტერესების გათვალისწინებით, შეუძლებელია წინასწარ განისაზღვროს ასარჩევი თემების ჩამონათვალი. .ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

სპორტი სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებშიც ნათლად ჩანდა თუმცა ინტერვიუს დროს, აღნიშნეს, პედაგოგებმა, რომ სკოლის და მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებით გეგმავენ და კათედრაზე კოლეგიალურად შეიმუშავებენ კურიკულუმებს. მათ გამოთქვეს მზაობა, რომ სამომომავლოდ კურიკულუმის შემუშავების პროცესებში, ჩართული იქნება სასკოლო საზოგადოება. (შობელი, მოსწავლე, მასწავლებელი, დირექცია). .ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

საზოგადოებრივი მეცნიერებები სკოლის მიერ შემუშავებული „კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიიდან“ ირკვევა, რომ სკოლის კურიკულუმის შემუშავებისას მკაფიოდაა გაწერილი მეთოდოლოგია, სადაც გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ინტერესები და შეხედულებები. კურიკულუმის შემუშავება მიმდინარეობს მთელი წლის მანძილზე და აღწერს მოსწავლის განვითარების გზას. დაგროვილ გამოცდილებას ითვალისწინებენ კათედრებზე თვითშეფასების, ურთიერთდასწრების, უკუკავშირისა და სასწავლო პროცესის რეფლექსიის საფუძველზე. ყოველივე ამის გათვალისწინებით იქმნება ახალი კურიკულუმი. როგორც მასწავლებლები აღნიშნავდნენ კურიკულუმის შემუშავებაში დიდი დახმარება გაუწიეს საგნობრივმა ექსპერტებმა და ზოგადად ქოუჩინგის პროცესმა.. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

2.სახელმწიფო ენა .წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან(სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია; თვითშეფასების ფორმა.) და გასაუბრებდან გამოიკვეთა, რომ კათედრა კურიკულუმის შედგენისას ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესებსა და შეხედულებებს, პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმს შეიმუშავებენ თანამშრომლობით, სასკოლო საზოგადოების წევრთა გამოკითხვა-ანალიზის ,გამოცდილების გაზიარების საფუძველზე. როგორც თავად აღნიშნეს,აქტივობები და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დავალებები შერჩეულია მოსწავლეთა საჭიროებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე.სწავლისა და პიროვნული ზრდის მხარდაჭერისთვის, ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

მათემატიკა პედაგოგებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ ისინი ცდილობენ პოზიტიური, სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერაზე ორიენტირებული სასკოლო კულტურის შექმნას; მოსწავლეზე ორიენტირებული, საფეხურის პროგრამების კურიკულუმში ასახვას; მოსწავლის სწავლის შედეგების ანალიზს; განმავითარებელი შეფასების სისტემის დახვეწას; არაფორმალური განათლების ხელშეწყობას; მშობლის ბარათებით მშობელთა ინფორმირებას თუ რისი სწავლა უწევთ მათ შვილებს - ეს ყველაფერი ბუნებრივად უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ყველა ინტერესების კურიკულუმში ასახვას. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

უცხოური ენები საშუალო საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები რასაც მოწმობს წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები. გარდა ამისა, ინტერვიუს დროსაც ახსენეს რომ მასწავლებლებს ხანდახან უხდებოდათ კომპლექსური დავალების პირობის შეცვლა მშობელთა უკუკავშირის საფუძველზე. ინტერვიუს დროს, ასევე ახსნეს რომ მათ თავად იციან მსოწავლეთა ინტერესები და შესაბამისად ქმნიან კომპლექსურ დავალებებს. თუმცა უმჯობესი იქნება, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაზე მუშაობისას აღწერონ თუ როგორ, რა გზით მოახდენენ მოსწავლეთა ინტერესების გაგებასა და გათვალისწინებას სასწავლო პროცესში. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები წარმოდგენილი დოკუმენტაციით, მასწავლებლებთან გსაუბრებით დასტურდება, რომ , კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ დიდი ყურადღება ეთმობა არაფორმალურ განათლებას, პროექტებს. .სასკოლო სასწავლო გეგმაში/კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები ,რომლის მიხედვითაც მიმდინარეობს საქმიანობა მთელი სასწავლო წლის განმავლობაში.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

ესთეტიკური აღზრდა სკოლაში ჩამოყალიბებულია სამოქალაქო განათლების, დებატების („დებატები უკეთესი განვითარებისათვის“-

ახორციელებს დებატების ინსტიტუტი და აფინანსებს გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდი), სპორტული კლუბი „მზიური“, სამოქალაქო განათლებისა და ისტორიის კლუბი „SMART”, დრამატული კლუბი ინგლისურ ენაში „Little Stars”, მეწარმეობის კლუბი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

,,ხელმარჯვეები“ და მოგზაურთა კლუბი ,,ჰორიზონტი“. კლუბების შექმნის იდეა დაიბადა საგაკვეთილო პროცესში. მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე, რომელშიც საკუთარი სურვილით გაწევრიანდნენ საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები, მასწავლებლის, მშობელთა და დირექციის ჩართულობით მოსწავლეები აქტიურად ჩაერთვნენ კლუბის მუშაობაში. მოგზაურთა კლუბ ,,ჰორიზონტის“ ფარგლებში, კლუბის წევრებმა შექმნეს facebook გვერდი, youtube გვერდი და ინტერნეტ გაზეთი.
გამოყოფილია სივრცე, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით, რაც ეხმარება კლუბებს აქტიურ მუშაობაში. სკოლა გეგმავს მშობელთა კლუბის შექმნას, რომელიც, იმედი გვაქვს, ხელს შეუწყობს მშობელთა ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში და მოსწავლეებში მოტივაციის ზრდას-ვკითხულობთ თვითშეფასების ფორმაში.
როგორც აღვნიშნე, საშუალო საფეხურზე პროექტული სწავლებაა. მუსიკის პედაგოგმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ პროექტების შერჩევის დროს, მოსწავლეებმა, მათი ინტერესიდან გამომდინარე აირჩიეს პროექტი, რომელიც საქართველოში არსებულ რიტუალებს ეხებოდა და დიდი ინტერესით შეუდგნენ შესასწავლ საკითხს. ყოველივე აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვიმსჯელებთ, რომ კურიკულუმში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესი. .ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია
სპორტი - შერჩეული მრავალფეროვანი სასწავლო თემებით, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები; .ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია
საზოგადოებრივი მეცნიერებები კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ყველა ერთეულის ინტერესი. კომპლექსური დავალებები არის დაფუძნებული მოსწავლეთა უკუკავშირზე, თვითშეფასებაზე და ურთიერთშეფასებაზე. ადმინისტრაცია თანამშრომლობს მოსწავლეთა თვითმმართველობასთან და ახალისებს მათ ინიციატივებს. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სწავლა-სწავლების პროცესში, საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა-წარმართვის დროს აქტიურად ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს - შესაძლებლობებს, მათ ინტერესებს, მოტივაციასა და წინარე გამოცდილებას. აქვთ აქტიური კომუნიკაცია მშობლებთან. მათ მოსაზრებებსა და შეხედულებებს ასახავენ ახალ კურიკულუმში. .ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

3.სახელმწიფო ენა ატვირთული დოკუმენტაციიდან(სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია; თვითშეფასების კითხვარი) და მასწავლებლებთან გასაუბრებიდან გამომდინარე, ირკვევა, რომ საფეხურის კურიკულუმები შემუშავებულია კათედრის

ერთობლივი მუშაობის საფუძველზე, გასაუბრების დროს აღნიშნეს,რომ ითვალისწინებენ მოსწავლეების , მშობლების უკუკავშირს.სკოლას აქვს მზაობა , რომ ჩართონ სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები მეტი აქტიურობით კურიკულუმის შემუშავების პროცესში.ამ თვალსაზრისით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტის შედეგებს...ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

მათემატიკა სასკოლო საზოგადოების წევრები აქტიურად მონაწილეობენ კურიკულუმის შემუშავების პროცესში, მათ ჩართულობას ფორმალური და ფრაგმენტული სახე არ აქვს. გააზრებული აქვთ, რომ კურიკულუმის შემუშავება ციკლური პროცესია და მასში ჩართულობა გულისხმობს მთელი წლის მანძილზე მიმდინარე პროცესებში თანამონაწილეობას. კურიკულუმის მიმდინარე ვერსია, რომელის ავტორიზაციის პროცესში წარმოადგინეს, გასაუბრებით დადასტურდა, რომ იყო გაზიარებული და შეთანხმებული. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

უცხოური ენები თვითშეფასების ფორმაში წარმოდგენილი აქვთ რომ ქოუჩებთან ერთად შეიმუშავეს კურიკულუმები, გაუზიარეს მშობლებს ,,მშობლის ბარათები", შექმნეს სადამრიგებლო პროგრამა სადაც გათვალისწინებული იქნება ასევე სასკოლო საზოგადოების ინტერესები. ინტერვიუს დროსაც, აღინიშნა რომ კურიკულუმის შემუშავებაში მონაწილეობდნენ მშობლები და კათედრის წევრებიც. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები საგნობრივი კურიკულუმი ამჟამად მეტწილად შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ , რაშიც აქტიურადაა ჩართული საშუალო საფეხურის წარმომადგენელი პედაგოგები.ითვალისწინებენ წინა წლის მიღწევებს და ცდილობენ ახალი სტრატეგიების შემუშავებით ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებისკენ სვლა. ყოველივე ეს დასტურდება მასწავლებლებთან გასაუბრებით, სადაც გამოკვეთილია პედაგოგთა ინდივიდუალური

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

ესთეტიკური აღზრდა სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების წინარე გამოცდილება. სხვადასხვა საგნის პედაგოგებმა, ქოუჩებთან ერთად, შეიმუშავეს საგნობრივი კურიკულუმი, რომელიც მიყვება საგნის თემატიკას და ჩაშენებული აქვს კომპლექსური დავალებები.

პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ კათედრა აქტიურად თანამშრომლობს ერთმანეთთან, განიხილავენ კურიკულუმებს და შეთანხმებულად ადგენენ მომავალი წლის გეგმას.

საშუალო საფეხურზე მუსიკის საგანს წარმოდგენილი აქვს მოსწავლის მიერ შესრულებული ნამუშევარი, რომელშიც ასახულია უძველესი ქართული ტრადიცია-რიტუალი ,,ჭონა". აღნიშნული პროექტი შერჩეულია მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით. .ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სპორტი ინტერვიუს მსვლელობისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია მთელი კათედრა და ერთობლივად გეგმავს სკოლაზე და მოსწავლეებზე ორიენტირებულ სასკოლო გეგმებს და აქტივობებს. .ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

რჩევა: სამომავლოდ უზრუნველყონ სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობა აღნიშნულ პროცესში.

საზოგადოებრივი მეცნიერებები კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია მთელი სასკოლო საზოგადოება. მშობელთა გააქტიურების მიზნით სკოლა სამომავლოდ გეგმავს გამოკითხვის ჩატარებას მშობელთა უკუკავშირის მისაღებად, რაც გათვალისწინებული იქნება კურიკულუმის შექმნის დროს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა კურიკულუმების შემუშავების პროცესში თითოეული კათედრის და სკოლის ადმინისტრაციის აქტიური თანამშრომლობა. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის წევრმა მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივი კურიკულუმის შედგენისას ისინი ერთობლივად მუშაობდნენ, ითვალისწინებდნენ სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებს, მოსწავლეთა წინარე ცოდნას, ინტერესებსა და საჭიროებებს. .ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

................................................................................................................................................................................................................................................

4.სახელმწიფო ენა წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან( სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია; თვითშეფასების კითხვარი,კათედრის ოქმი)და პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა , რომ შემუშავებულ კურიკულუმებს უზიარებენ როგორც კათედრებს,ასევე მშობლებს სხვადასხვა საშუალებით-სოციალური მედიის, ელ. ფოსტის, ბეჭდვითი მასალების, საჯარო ღონისძიებების და სხვა საშუალებების გამოყენებით. რაც მათ ჩართულობას ზრდის . წინარე გამოცდილებიდან გამომდინარე აღნიშნეს, რომ ეს მიღებული პრაქტიკაა,და გაითვალისწინებენ მომავალ წელსაც, ამ თვალსაზრისით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტის შედეგებს..ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

მათემატიკა ყველა მათემატიკის პედაგოგს აქვს მიკუთვნებულობის განცდა სასკოლო კურიკულუმის მიმართ, როგორც ყველას პროდუქტი - ასე აღიქვამენ. სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა თითეული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მათგნისთვის, აღნიშნეს რომ აქვთ ამობეჭდილიც კათედრაზე. კურიკულუმის საბოლოო ვერსიებს გააცნობენ მოსწავლეებსაც და მშობლებსაც. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

უცხოური ენები თვითშეფასების ფორმაში მოცემულია, რომ შემუშავებული კურიკულუმები გაზიარებული იყო სკოლის one drive_ზე, ასევე teams და მესენჯერის საშუალებით მოხდა კომპლექსური დავალებების ბარათების გაზიარება მშობლებისთვის. გარდა ამისა, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში წარმოდგენილია როგორ მოხდება სასკოლო საზოგადოებისათვის კურიკულუმის გაზიარება.ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები ამჟამად არსებული საგნობრივი კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ კომუნიკაციის სხვადასხვა გზების გამოყენებით . პედაგოგების მიერ მიწოდებული კომპლექსური დავალებების მშობელთა ბარათებში დეტალურად ჩაშლილი ინსტრუქციები სრულ წარმოდგენას უქმნის მათ,თუ რა ტიპის სამუშაოს შესრულება უწევთ მათ შვილებს .სკოლის სოციალურ სივრცეში განთავსებული მასალები მისაწვდომია და უფრო მეტად შეუწყობს ხელს კურიკულუმის საზოგადოებისათვის გაზიარებას.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

ესთეტიკური აღზრდა საგნობრივი კურიკულუმები განთავსებულია სკოლის onedrive -ზე, თიმსის და მესენჯერის ჩათების საშუალებით ზიარდება კომპლექსური დავალების ბარათები, რაც ხელს უწყობს მშობლების ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში. სკოლა სამომავლოდ გეგმავს კურიკულუმები და მისი დამხმარე მასალები (მისია, ხედვა, საგნობრივი პროგრამები ,სადამრიგებლო საათის პროგრამა, ფორმალური და არაფორმალური სწავლების სხვადასხვა საშუალებები გახადოს ხელმისაწვდომი რათა სასკოლო საზოგადოების წევრებს ჰქონდეთ მიკუთვნებულობის განცდა.

საშუალო საფეხურზე პროექტული სწავლება ისედაც ითვალისწინებს შექმნილი პროდუქტის (ბუკლეტი, გაზეთი, კონფერენცია, პრეზენტაცია და ა.შ.) წარდგენას და გაზიარებას სასკოლო საზოგადოების წევრებთან. ინტერვიუს მსვლელობისას პედაგოგმა აღნიშნა, რომ პროექტი გაზიარებული იყო სასკოლო საზოგადოების მიერ. .ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

სპორტი შექმნილ კურიკულუმებს, ფესტივალების მოწყობით კონფერენციების გამართვით და საერთო სასკოლო აქტივობებში ჩართულობით, იზიარებს სასკოლო საზოგადოებაც. .ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საზოგადოებრივი მეცნიერებები სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით, სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი ელექტრონული საკომუნიკაციო არხები- ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა, სოციალური მედია, teams-ის პლატფორმა და სხვა. სასკოლო კურიკულუმი ხელმისაწვდომი და საჯაროა ყველა დაინტერესებული პირისათვის. .ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
• სსიპ გორის N5 საჯარო სკოლის საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
• სსიპ გორის N5 საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
• კურიკულუმის შემუშავების პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტები/აქტივობები/მასალა.
• დანართი 2 - რესურსების ბანკი;
• კათედრების შეხვედრის ოქმები.
• კომპლექსური დავალებების ბარათები
• ზეპირი გასაუბრება მასწავლებლებთან
• კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება
2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სახელმწიფო ენა საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი თემები, რესურსები და დავალებები, შეუქმნის მოსწავლეებს საკუთარი შესაძლებლობის გამოვლენისა და თვითრეალიზების საშუალებას. მასწავლებლებმა კი გასაუბრებისას აღნიშნეს,რომ ახორციელებენ კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომლებსაც არჩევენ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, საჭიროებების გათვალისწინებით.ძირითადად ამახვილებენ ყურადღებას დავალებებზე,რომლებიც იქნება, როგორც საინტერესო და მამოტივირებელი მოსწავლეებისთვის, ისე ცოდნა-უნარის მრავალმხრივ განვითარებას შეუწყობს ხელს(მაგალითად,ზეპირი გამოსვლის ტექსტის მომზადება;პირადი მოსაზრების გამომხატველი ესე)კურიკულუმის ჩარჩოს გაცნობისა და მასწავლებლებთან გასაუბრებისდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ,რომ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს აქვთ მზაობა დაგეგმონ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი . ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

მათემატიკა სკოლის მათემატიკის საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი ძირითადად სასწავლო პროცესზე ორიენტირებული პროგრამაა, რომელიც აჩვენებს, თუ როგორ ხდება მოსწავლის მიერ ცოდნის კონსტრუირება მათემატიკაში. საშუალო საფეხურის წარმოდგენილი სამივე კლასის კურიკულუმის დიზაინი აგებულია იმგვარად, რომ ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე: მათემატიკური მოდელი, კანონზომიერება და ლოგიკა. კურიკულუმებსი გრძელვადიან მიზნების დასახელება რომ არ ხდება ფორმალურად, ეს მასწავლებლებთან გასაუბრების დროსაც დაზუსტდა. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

უცხოური ენები საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები ორიენტირებულია სწავლის პროცესზე, წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები და განხორციელებული ინტეგრირებული გაკვეთილები ცოდნის აქტიური კონსტრუირებისკენაა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიმართული. კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და მიმართულია მოსწავლის განვითარებისკენ.ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები საბაზო საფეხურზე, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საგნებში: ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია წარმოდგენილ კურიკულუმებში ჩანს, რომ სწავლების პროცესში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე. იკვეთება მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის გზა.. კერძოდ, კურიკულუმში წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა საჭიროებები, ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები. პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მომავალ სასწავლო წელს იგეგმება კომპლექსური დავალებების კიდევ უფრო მეტად ადაპტირება და მორგება მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე.კომპლექსური დავალებების შერჩევა მოხდება მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ აპირებენ კურიკულუმების გადახედვას და დახვეწას და აქვთ მზაობა, რომ ისინი იყოს მოსწავლეების საჭიროებებზე უფრო მეტად ორიენტირებული და მოსწავლეთა აკდემიური მიღწევების ამაღლების საშუალება.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

ესთეტიკური აღზრდა კურიკულუმის აგებისას ითვალისწინებენ გრძელვადიან მიზნებსა და შედეგებს საფეხურის და სასწავლო კურსის დონეზე. კომპლექსურ დავალებებში, პირობის შინაარსთან ერთად, მითითებულია მოსწავლის მიერ შესასრულებელი პროდუქტის სახე(ელექტრონული პოსტერი, ბუკლეტი, ესსე და ა.შ.).

თვითშეფასების ფორმაში ვკითხულობთ, რომ: სკოლას ჰყავს იძულებით გადაადგილებული, სოციალურად დაუცველი და საოჯახო ტიპის საცხოვრებელი სახლის აღსაზრდელები. დამრიგებლები ყოველწლიურად ავსებენ eschool ის ბაზაში კითხვარს მოსწავლეთათვის არსებული ტექნიკისა და ინტერნეტთან წვდომის შესახებ. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით, კომპლექსური დავალების პროდუქტის შექმნისას, მოსწავლეებს საშუალება აქვთ შექმნან პროდუქტი საკუთარი შესაძლებლობიდან გამომდინარე (ელექტრონული ან მატერიალური ფორმით).

ესთეტიკური აღზრდის კათედრაზე საშუალო საფეხური პროექტული სწავლებით არის შემოფარგლული, თუმცა, კურიკულუმის შექმნის გამოცდილება მნიშვნელოვანია საშუალო საფეხურზე სწავლების წარმართვისთვის, რადგანაც პედაგოგმა და მოსწავლეებმა შეძლონ ცნებების, საკითხების და თემის სრულად დამუშავება, ისწავლონ კვლევის წარმოება, სწორად განსაზღვრონ შესაქმნელი პროდუქტი, მოახერხონ საინტერესოდ პრეზენტირება და იზრუნონ ინფორმაციის გაზიარებაზე. პროექტული სწავლება მოსწავლეს აძლევს შინაგანი ძალების გააქტიურების და განვითარების საშუალებას. ამ მხვრივ კათედრას



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი აქვს მოსწავლის მიერ შესრულებული ნამუშევარი, რომელშიც ასახულია ინფორმაცია უძველეს ქართულ სააღდგომო ტრადიცია-რიტუალზე ,,ჭონა“. .ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

სპორტი წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილი და მორგებულია მოსწავლეზე, ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზებზე .
სკოლის ფიზიკური აღზრდის და სპორტის საშუალო საფეხურის 10-12 კლასის კურიკულუმებში, გაწერილი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები და დაგეგმილი კომლექსური დავალებები ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკური განვითარების, ორგანიზებისა და თვითკონტროლის და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დანერგვის მიღწევაზე. .ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია
საზოგადოებრივი მეცნიერებები როგორც წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან ჩანს, სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეზე, რადგან გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და საჭიროებები. მასწავლებლების მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო საშუალო საფეხურზე წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარებისათვის გზას. კურიკულუმის ჩარჩო ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, საგნობრივი ჯგუფის მიერ შემუშავებულ კურიკულუმში შუალედურ მიზნებად მოაზრებულია კომპლექსური დავალებები, რომლებიც შემუშავებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით და კურიკულუმი ორიენტირებულია მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე. იგი დაფუძნებულია კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე. კომპლექსური დავალებები შედგენილია მოსწავლეთა ინტერესების და შესაძლებლობების გათვალისწინებით. საგნობრივი საკითხები გაერთიანებულია თემატურ ერთეულებად, თითოეული თემის დამუშავება მიმართულია ესგ-ის გრძელვადიან მიზნების მისაღწევად, რაც კონკრეტული სამიზნე ცნების დამუშავებისას წარმოადგენს მკვიდრ წარმოდგენას. .ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

2.სახელმწიფო ენა კურიკულუმის შესწავლისას და გასაუბრებისას გამოიკვათა , რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, იცნობენ და იყენებენ საგნობრივ სტანდარტს კურიკულუმების შემუშავებისას და გამოიყენებენ მომავალში მათ დასახვეწად. შესაბამისად,კურიკულუმში წარმოდგენილი ზოგიერთი დავალებისთვის განსაზღვრულია მისაღწევი მიზნები ცნებების სახით.სანიმუშოდ მოცემული დავალებებიდან(მაგალითად, პირადი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსაზრების გამომხატველი ესე, ზეპირი გამოსვლის ტექსის მომზადება) ),წარმოდგენილი სადამრიგებლო საათის პროგრამიდან ჩანს, რომ მასწავლებლები ითვალისწინებენ ისეთი უნარების განგანვითარებას, როგორიცაა მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გაზრდა ,კომუნიკაცია,შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებას. გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ყურადღებას ანმახვილებენ სწავლის სწავლაზე .დავალების შესრულების შემდეგ მოსწავლეები საუბრობენ ,რა გამოუვიდათ კარგად,მსჯელობენ ,თავიდან რომ შეესრულებინათ დავალება,რას შეცვლიდნენ და რატომ.აღნიშნეს ,რომ ამ პრინციპით აპირებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვას. ამ თვალსაზრისით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტის შედეგებს.. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

მათემატიკა წარმოდგენილი საშუალო საფეხურის წლიური საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია მათემატიკის საგნობრივი სტანდარტისა და გრიფირებული სახელმძღვანელოების მიხედვით, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სავალდებულო თემებით, რომლის ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება. ძირითადად ჩანს თუ რა საგნობრივ საკითხებს, თემებს, ძირითად რესურსებს, შეფასების ინსტრუმენტებს სთავაზობს სკოლა საკუთარ მოსწავლეებს პიროვნული განვითარებისთვის და ასევე ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად. კურიკულუმებში არ ჩანს რომელ კომლექსურ დავალებებს სთავაზობენ მოსწავლეებს, თუმცა გასაუბრებაზე დააზუსტეს, რომ უკვე შეჯერდნენ რომელ კომპლექსურ დავალებებს განახორციელებენ და უმოკლეს ვადაში ასახავენ კურიკულუმებშიც. შეიძლება ითქვას, სკოლის მიერ საშუალო საფეხურზე გააზრებულია შედეგები, სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები გრძელვადიან მიზნებად. ჩანს კორელაცია გრძელვადიან მიზნებსა და შეფასების ინსტრუმენტებს შორის. დასტურდება საგნობრივ კურიკულუმით, მოსწავლეთა შეფასების ამსახველი დოკუმენტებით, პედაგოგებთან გასაუბრებით. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

უცხოური ენები საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული სამზინე ცნებები, საკითხები/ქვესაკითხები და კომპლექსური დავალებები მიემართება ესგ-ით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებსა და მკვიდრი წარმოდგენებს. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები ყველა საგნის კურიკულუმი დაგეგმილია ესგ–ის შესაბამისი სავალდებულო თემების მიხედვით, სამიზნე ცნების და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების დამუშავებისთვის შეტანილია რამდენიმე კომპლექსური დავალება კომპლექსური დავალებების იდეით, კონტექსტ მაგალითით და მაგალითები შდარებისთვის., ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ კომპლექსური დავალებების და პროექტების განხორციელებისას მოსწვლეები გაიუმჯობესებენ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფუნქციურ–კომპონენტურ უნარებს: კრიტიკული აზროვნება , შემოქმედებითობა, თანამშრომლობა, მოქალაქეობა. ასევე დამუშავდება მაკრო ცნება კვლევა და თითოეული თემის შესწავლისას ყველა სამიზნე ცნება შესაბამისი მკვიდრი წრმოდგენებით, დასტურს წარმოადგენს განხორციელებული კომპლექსური დავალებები და პროექტი „ წყალი ჩვენი არსობისა" ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

ესთეტიკური აღზრდა სკოლა საშუალო საფეხურზე გეგმავს კურიკულუმის შედგენას გრძელვადიან მიზნების, მკვიდრი წარმოდგენების გათვალისწინებით, სამიზნე ცნებებსა და ქვეცნებებზე დაყრდნობით. ესთეტიკური კათედრის საშუალო საფეხური პროექტული სწავლებით არის წარმოდგენილი და გათვალისწინებულია პროექტის იდეის ჩამოყალიბება კონტექსტ მაგალითებზე დაფუძნებით.

პედაგოგმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ პროექტული სწავლება სიახლე იყო გასულ წელს, ამიტომ მოსწავლეების მიერ შესრულებულ დავალებებში ნაკლებად იკითხებოდა ცნებებისა და ქვეცნებების გააზრება,თუმცა გამოთქვა მზაობა, რომ სამომავლოდ გაითვალისწინებდა წინარე გამოცდილებას და ყურადღებას გაამახვილებდა ცნებების დამუშავებაზე. .ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

სპორტი წარმოგდენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნები (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), სამიზნე ცნებები და შედეგები; .ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

საზოგადოებრივი მეცნიერებები კურიკულუმი სწავლის პროცესს განიხილავს, როგორც ცოდნის აქტიურ კონსტრუირებას. ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. გრძელვადიანი მიზნები წარმოდგენილია მკვიდრი წარმოდგენების სახით, ხოლო საგნობრივი საკითხები მუშავდება თემატური ბლოკისა და სამიზნე ცნების და ქვეცნებების ფარგლებში. მოსწავლის ცოდნის აგება ხდება წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაფუძნებით. მასწავლებლებთა ინტერვიუზე და სკოლის მიერ დამატებით გადმოგზავნილი დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ირკვევა, რომ სასწავლო პროცესში დიდია გლობალურ ფუნქციური უნარების როლი, რომელთა დამუშავებაც ხდება კომპლექსური ხასიათის დავალებების კეთებისა და პროექტების განხორციელების პროცესში. .ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.სახელმწიფო ენა ატვირთული დოკუმენტაციიდან (კურიკულუმის ჩარჩოები)და მასწავლებლებთან გასაუბრებიდან ირკვევა,რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა განსხვავებული თავისებურებები,სწავლის სტილი,იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა.როგორც აღნიშნეს, არჩევენ შესაბამისად დავალებებს.კათედრას აქვს მზაობა, გაამახვილოს ყურადღება და გაითვალისწინოს 2023-24 წლის კურიკულუმში დიფერენცირებული სწავლების პრინციპები. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

მათემატიკა სწავლების პროცესის შინაარსი მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე, კერძოდ საშუალო საფეხურის გადმოგზავნილი კურიკულუმები, მოსწავლეთა შეფასების დოკუმენტები ასახავს კონკრეტული მოსწავლეების ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. კურიკულუმებში, შუალედური სასწავლო მიზნის მიღწევის აუცილებელ ინსტრუმენტად კომპლექსური დავალებები უნდა შეიტანონ, რომელიც საშუალებას მისცემს მასწავლებლებს გაითვალისწინონ მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები. ცალკეული მოსწავლეებისთვის კი სკოლას აქვს მზაობა ამ დავალების ადაპტირებული ვერსიები მომზადოს, ეს მზაობა გამოჩნდა ინტერვიუს პროცესშიც და დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ ადაპტირებულ მატრიცასა და კომპლექსური დავალების ბარატში. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

უცხოური ენები სკოლამ წარმოადგინა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, სადაც მოცემულია კომპლექსური დავალების პირობები რაც არის მორგებული მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. გარდა ამისა, ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ მოსწავლეებს აძლევენ საშუალებას შესაძლებლობების მიხედვით წარადგინონ კომპლექსური დავალეები, მაგალითად, მაგალითად, პრეზენტაცია წარმდოაგინონ Power Point-ისან პოსტერის სახით, როგორც მათთვის იქნება მეტად მოსახერხებელი. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები კურიკულუმებში იკვეთება მზაობა ინკლუზიური განათლებისა, მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გაირკვა, რომ საგაკვეთილო პროცესში გამოყენებულია დიფერენცირებული სწავლების ფორმები, მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული რესურსები და რამოდენიმე კონკრეტული მაგალითიც კი დაასახელეს, გეგმავენ საჭიროების შემთხვევაში კომპლექსური დავალებების ადაპტირებას მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად. შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლაში სასწავლო პროცესში ხორციელდება მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება, დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომები.ისინი მზად არიან დიფერენცირებული სწავლების ელმენტები მეტი სიხშირით შემოიტანონ და სასწავლო პროცესი ხელმისაწვდომი იყოს თნაბრად ყველა მოსწავლისთვის.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ესთეტიკური აღზრდა პროექტული სწავლებისას, კომპლექსური დავალებების პროდუქტებში არჩევანის შესაძლებლობა და მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები იძლევა დიფერენცირებული სწავლების შესაძლებლობას. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ კათედრას ინდივიდუალური დაგეგმვის მიმართულებით აქვთ გარკვეული გამოცდილება. აპირებენ სამომავლოდ უფრო მეტად დახვეწონ ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რათა სასწავლო პროცესში გათვალისწინებული იყოს თითოეული მოსწავლის ინტერესი და შესაძლებლობა. .ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

სპორტი სკოლა უზრუნველყოფს ფიზიკური აღზრდის და სპორტის სასწავლო პროცესის დიფერენციალურ და ინკლუზიური მიდგომებს, სკოლაში იგეგმება სსსმ მოსწავლეებისათვის ფიზიკური აღზრდის და სპორტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების, დამუშავება და მოსწავლეების საჭიროებისადმი მორგებას, რომელიც ჩაშენებული იქნება კომპლექსურ დავალებებში, სსიპ -ქ. გორის N 5 საჯარო სკოლის საჭიროებების შესწავლის შედეგებიდან გამომდინარე, სკოლა მომავალში მეტად უზრუნველყოფს მოსწავლეების, მაქსიმალურად ჩართვას სასწავლო პროცესში. .ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია
საზოგადოებრივი მეცნიერებები კურიკულუმებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი და მოსწავლეზე მორგებული სასწავლო შინაარსი, სასწავლო მასალა და ელექტრონული რესურსები, რაც მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მათ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ დაგეგმილ აქტივობებში, სთავაზობენ დიფერენცირებულ მიდგომებსა და მათვის საინტერესო, მოდიფიცირებულ და მრავალფეროვან რესურსებს. გარდა ამისა, სსსმ მოსწავლეებისთვის, საჭიროებისამებრ, შემუშავებული აქვთ ინდივიდუალური გეგმები, რომელთა დახვეწას და სრულყოფას გეგმავენ კომპლექსური დავალებების მოდიფიცირების საშუალებით. .ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია
4.სახელმწიფო ენა წარმოდგენილია შეფასების რამდენიმე რუბრიკა,რომლებიც წარმოდგენას გვიქმნის სკოლის ფარგლებში შეფასების წარმოების წესზე.ჩანს,რომ მასწავლებლებს აქვთ შეფასების რუბრიკების შექმნის გამოცდილება,შექმნილი რუბრიკები ეყრდნობა სტანდარტით გათვალისწინებულ ინდიკატორებს.აღნიშნეს, რომ მიმართავენ ხშირად განმავითარებელ შეფასებას .დამატებითი ინფორმაციის მოძიება შესაძლებელი გახდა ვიზიტის დროს, სკოლას აქვს მზაობა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება წარმართოს სამიზნე ცნებებზე დაფუძნებით.ინდიკატორი შეესაბამება და აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს . ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მათემატიკა წარმოდგენილი შეფასების სანიმუშო რუბრიკა საშუალო საფეხურზე ეფუძნება საგნობრივ კურიკულუმში, მოსწავლეთა შეფასების ამსახველ დოკუმენტებში გრძელვადიან მიზნებს. კათედრის წევრებთან ინტერვიუში გამოიკვეთა, რომ შეფასებას სწავლა-სწავლების პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.
კათედრამ წარმოადგენია 1 სანიმუშო განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ცალკე ფაილად. აქვთ მზაობა, სამივე კლასშიც შექმნან ყველა თემისთვის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ გააზრებული აქვთ განმსაზღვრელი შეფასების როლი სწავლის შედეგების აღწერასა და მიღწევის საერთო მაჩვენებელთან მიმართებით.
რაც შეეხება განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, ამ ეტაპზე არ წარმოუდგენიათ, თუმცა ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრას ესმის განმავითარებელი შეფასების როლი, ის მოსწავლის შესახებ აგროვებს მონაცემთა ფართო სპექტრს, რაც ეხმარება მასწავლებელს უკეთესად იზრუნოს მოსწავლის შემდგომ განვითარებაზე. ამ რუბრიკებზე დაყრდნობით გაცემული განმავითარებელი შეფასებით შესაძლებელია თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკის კონტროლი და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. აქვთ მზაობა შექმნან და გამოიყენონ განმავითარებელი შეფასების ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია
უცხოური ენები როგორც ქოუჩინგის შეჯამების ოქმში ვითხულობთ სკოლა იყენებს განმსაზღვრელი შეფასების პირველ მოდელს რომლის რუბრიკებიც აქვს სკოლას წარმოდგენილი და მიემართება გრძელვადიან მიზნებს, ამასვე მოწმობს განხორციელებული პროექტები და კომპლექსური დავალებები რომელთა შეფასების ფორმა ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია
საბუნებისმეტყველო მეცნიერებები განმავითარებელი შეფასება გულისხმობს მოსწავლეებთან თანამშრომლობას ყოველდღიური სასწავლო საქმიანობის მსვლელობისას, მათთვის სხვადასხვა ზეპირი თუ წერილობითი უკუკავშირების მიცემას დახმარების მიზნით, ეს შეიძლება იყოს: მოსწავლეებისთვის მიცემული მისახვედრებელ/საორიენტაციო შეკითხვები; მითითებები შესრულებული დავალების კონკრეტულ დეტალებთან დაკავშირებით; პრაქტიკული რჩევები დავალების შესრულებისთვის შესაფერისი სტრატეგიის შესარჩევად; დამატებითი შეკითხვები მეტაკოგნიტური მიგნებების გასააზრებლად და სხვა.
სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში,არის ინსტრუმენტები ( ჩანაწერის დღიური, მოსწავლეთა თვითშეფასება, გასასვლელი ბარათები და სხვა. ) მიმდინარე როგორც განმავითაებელი ასევე განმსაზღვრელი შეფასებისთვის. რომლებიც იძლევა იმის საშუალებას, რომ შეფასებაში მონაწილეობა მიიღოს როგორც მასწავლებელმა ისე თავად მოსწავლემ . გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ აქვთ მზაობა განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს სწავლის სტრატეგიების გაანალიზებას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასების რუბრიკები მიმართული იქნეს გრძელვადიანი მიზნების გააზრებისკენ და შეეცდებიან ღრმად შეეხონ და საკითხთა შესწავლის დროს გათვალისწინებული იყოს მეთოდიკური ორიენტირები: განათლების ხუთივე პრონციპი, ინკლუზიური განათლება, საგანთა შორის ინტეგრაცია და ტექნოლოგიების გამოყენება.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

ესთეტიკური აღზრდა საშუალო საფეხურზე, პროექტული სწავლება ითვალისწინებს განმავითარებელი შეფასებით ხელმძღვანელობას, რაც მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; ამ ეტაპზე დოკუმენტაციაში არ იძებნება განმავითარებელი შეფასების რუბრიკა საშუალო საფეხურზე. პედაგოგმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ პროექტის მიმდინარეობის პროცესში ზეპირი ფორმით აძლევდა განმავითარებელ შეფასებას. ხელოვნების და მუსიკის პროექტული სწავლების სახელმძღვანელოებს დართული აქვს შეფასების რუბრიკები თემების მიხედვით და პედაგოგებს შესაძლებლობა აქვთ გამოიყენონ ეს რუბრიკები. .ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

სპორტი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები, რუბრიკები, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის, საშუალო საფეხურის კურიკულუმებში გაწერილია, თემებთან და დაგეგმილი კომპლექსური დავალებებთან, შეფასების ინსტრუმენტები, რომელიც წარმოადგინა სკოლამ კერძოდ: - რუბრიკები კომპლექსური და შემაჯამებელი დავალების, გაკვეთილის, მოსწავლის თვითშეფასების, მრავალმხრივია და ვალიდურია. საშუალებას იძლევა, მოსწავლეების ცოდნა შეფასდეს ობიექტურად და ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებებზე.
.ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია
რჩევა: სამომავლოდ შეფასების რუბრიკები ჩაიშალოს თემების მიხედვით.

საზოგადოებრივი მეცნიერებები საშუალო საფეხურზე გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასება. განმავითარებელი შეფასებისას მოსწავლე ამ პროცესის მთავარი მონაწილეა. მოსწავლე აქტიურად არის ჩართული შეფასების რუბრიკების შექმნაში, რაც ქმნის შეფასების ვალიდაციიის შესაძლებლობას. განმსაზღვრელი შეფასებით სწავლის შედეგების აღწერა საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნებთან და მიღწევის საერთო მაჩვენებელთან მიმართებით მიმდინარეობს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრაზე გააზრებული აქვს ამ ტიპის შეფასების მნიშვნელობა მოსწავლეთა განვითარებისა და სწავლა-სწავლების პროცესის სრულყოფისთვის. .ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.სახელმწიფო ენა .წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან( ძველი და ახალი კურიკულუმის ჩარჩო,კათედრისა და პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები) და კათედრის წევრებთან საუბრიდან იკვეთება, რომ კურიკულუმის დაგეგმვისას გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება. სადიაგნოსტიკო წერები,პედსაბჭოზე და ასევე კათედრებზე თითოეული მასწავლებლის მიერ წარმოდგენილი ანალიზიდან ნათელი ხდება, რომ სკოლას აქვს მზაობა წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით დაგეგმოს სასწავლო პროცესი და განახორციელოს ცვლილებები..შესაბამისობაშია

მათემატიკა სამივე საფეხურის კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღება მიაქციეს წავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაცია გამოიკვეთა მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს. მათ კურიკულუმში დაწყებითში შეიტანეს მათ მიერ უკვე განხორციელებული კომპლექსური დავალებები, ზედა საფეხურებზეც შესატანად აარჩიეს ის დავალებები რომლებიც უკვე განხორციელებული ჰქონდათ წინა წლებში. გამოთქვეს მზაობა რომ მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირის, რეფლექსიის შედეგების და წინარე გამოცდილების გათვალისწინებით გადაამუშავებენ და დახვეწავენ კურიკულუმებს. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

უცხოური ენები წარმოდგენილი შემაჯამებელი ანალიზის ფორმები, მასწავლებლის რეფლექსიები და ინტეგრირებული გაკვეთილის ანალიზის ფორმა მიუთითებს იმ პრობლემებსა თუ რეკომენდაციებზე რაც უნდა იყოს გათვალისწინებული მომავალში სასწავლო პროცესში. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები მასწავლებელთა რეფლექსიებიდან ჩანს, რომ სკოლაში სისტემატიურად ხორციელდება კოლეგების გაკვეთილებზე დასწრება, გამოცდილების გაზიარება და მოსწავლეთა ცოდნის, შესაძლებლობებისა და საჭიროებების ანალიზი, დგინდება ძლიერი თუ გასაუმჯობესებელი მხარეები, ამოცანები და აქტივობები. რის საფუძველზეც იგეგმება მომავალი საგაკვეთილო პროცესი და მოსწავლეებისთვის ყოველი ახლი მასალის მიწოდება ხდება წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით. ასევე კომპლექსური დავალებების განსახორციელებელი აქტივობები წინა წელს განხორციელების შემდეგ აქვთ შეცვლილი და წინარე გამოცდილების საფუძველზე გეგმავენ ახალ, მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და საჭიროებებზე მორგებულს.

მასწავლებლებმა ინტერვიუს პროცესში აღნიშნეს, რომ აპირებენ ურთიერთდასწრების კომპონენტის გახშირებას , რათა მოხდეს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების მეტად იდენტიფიცირება, მათზე დროული რეაგირება და რევიზირებული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კურიკულუმის შექმნა. ყოველივე ეს მაძლევს იმის საფუძველს , რომ სკოლას აქვს გამოცდილება და შესაბამისი მზაობა კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში იხელმძღვანელოს წინარე გამოცდილებით
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია
ესთეტიკური აღზრდა  პროექტული სწავლება გასულ წელს შევიდა საშუალო საფეხურზე, აქედან გამომდინარე, წინარე გამოცდილება ვერ იქნებოდა გათვალისწინებული მუსიკის საგნის მიერ განხორციელებულ პროექტში. პედაგოგებმა ინტერვიუს პროცესში დაადასტურეს, რომ პროექტის შესრულებისას საორიენტაციოდ იყენებენ მეთოდურ სახელმძღვანელოს, თუმცა, ასევე მნიშვნელოვანია მათთვის მოსწავლეების ინტერესის გათვალისწინება. .ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია
სპორტი ინტერვიუს შედეგად, დასტურდება, რომ პედაგოგები აანალიზებენ, საკუთარ განხორციელებულ პრაქტიკას. უზიარებენ ერთმანეთს გაამოცდილებას და მიღებული რჩევევბს, ითვალისწინებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვას, გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. .ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია
საზოგადოებრივი მეცნიერებები სკოლაში პერიოდულად ტარდება მოსწავლეთა შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზი, საგაკვეთილო დაკვირვება, მოსწავლეთა პროფილის კვლევა, რაც მასწავლებლებს ეხმარება სასწავლო პროცესი დაგეგმონ მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით. როგორც ინტერვიუდან გამოიკვეთა, საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებლები სისტემატურად იკრიბებიან და აანალიზებენ მოსწავლეთა მიღწევებსა თუ პრობლემებს. მომავალშიც კურიკულუმის დანერგვის პარალელურად ყოველთვის გამოკვეთენ იმ საჭიროებებს, რასაც გაითვალისწინებენ ახალი სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვისას.  .ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
თვითშეფასების ფორმა გორის N5 საჯარო სკოლა
სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია
სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია
სსიპ გორის N5 საჯარო სკოლის საგნობრივი კურიკულუმები
ხარისხის პოლიტიკა
დანართი-40 კათედრის ოქმი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დანართი 41-სადამრიგებლო პროგრამა
შემაჯამებელი ფორმა
განხორციელებული სასწავლო პროექტი
მასწავლებელთა ზეპირი გასაუზრება.

შეფასება:
იგთხოვთ,  ასახოთ შეფასება.
იშესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2კურიკულუმის განხორციელება
2.2.1სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სახელმწიფო ენა კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში გაწერილი კომპლექსური დავალებების პირობებზე დაყრდნობით ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი აძლევს მოსწავლეს საშუალებას აქტიურად ჩაერთოს პროცესში. კომპლექსური დავალებების პირობა ხშირ შემთხვევაში იძლევა შესაძლებლობას მოსწავლე არა მხოლოდ მონაწილე იყოს პროცესის ,არამედ შემოქმედიც, მას უწევს პრობლემის გადაჭრა, ფიქრი, მსჯელობა და სხვადასხვა ტიპის პროდუქტის, როგორიცაა მაგალითად, ანალიტიკური ესე, პირადი მოსაზრების გამომხატველი ტექსტის შექმნა. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ,რომ ამ ეტაპზე ინდიკატორის მოთხოვნა ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია
მათემატიკა საშუალო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმებში შესატანად კომპლექსურ დავალებებს აარჩევენ „მათემატიკური წიგნიერების" ახალი სახელმძღვანელოდან ( ამის თაობაზე მათ რეკომენდაცია მიეცათ გასაუბრების პროცესში), ეს დავალებები საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. ასევე იგეგმება სასწავლო პროცესში ჩართონ უფრო მეტი ელ. რესურსი და ასახონ კურიკულუმში რესურსების ველში. მათ აქვთ გააზრებული, რომ ახალი მასალის, ინფორმაციის დამუშავების პროცესში მასწავლებლის როლი არის ორგანიზებული მიზნობრივი გარემოს შექმნა, სადაც გამოწვევები დაკავშირებული იქნება მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართული იქნება სამიზნე ცნებების გააზრებაზე. კათედრა ამ ყველაფრის საფუძველზე ასაბუთებს, რომ სასწავლო პროცესი ხელს უწყობს აქტიურ სწავლასა და მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივებას. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

უცხოური ენები საშუალეო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოში წამოდგენილი კომპლექსური დავალები, განხორციელებული პროექტები, ინტეგრირებული გაკვეთილები, Facebook გვერდზე წარმოდგენილი განხორციელებული პროექტების ფოტო მასალა ადასტურებს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია
საბუნებისმეტყველო მეცნიერებები წარმოდგენილი დოკუმენტაციით ვლინდება, რომ ყველა საგნის კურიკულუმში დაგეგმილი კომპლექსური დავალებების განხორციელებით შესაძლებელია მოსწავლეების შემოქმედებითი უნარების განვითარება. ინტერვიუდან გამოიკვეთა, მოსწავლეებს აქვთ კომპლექსური დავალებების და სასწავლო პროექტების ფარგლებში,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მრავალფეროვანი პროდუქტების შექმნის გამოცდილება. მათი მოტივაციის გაზრდის მიზნით შეირჩა კომპლქსური დავალებები, რომლებიც კავშირშია ყოველდღიურობასთან, მათთვის ნაცნობ მოვლენასთან, კვლევის ტიპის სამუშაოებთან, რაც ზრდის მოსწავლეების შინაგან მოტივაციას და განაპირობებს მოსწავლეების ჩართულობას აქტიურ შემოქმედებით პროცესში.
აღნიშნეს რომ მაღალი მიმღებლობა და მოსწავლის ინიციატივების წახალისება წამყვან როლს ასრულებს სასკოლო ცხოვრებაში, მასწავლებლები სწავლების დროს მეტად ეფექტიანად იყენებენ თანამშრომლობით სწვლებას რაც უძლიერებს მოსწავლეებს შინაგან მოტივაციას და ზრდის შემოქმედებითი უნარების განვითარებას . ასევე აქვთ მზაობა დაგეგმონ სასკოლო და სასწავლო პროექტები, რაც ნათელს ხდის ითქვას , რომ სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას და მოსწავლე არის მთავარი სუბიექტი.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია
ესთეტიკური აღზრდა პროექტული სწავლებისას მოსწავლეებს ეძლევათ პრობლემაზე დაფუძნებული დავალებები. მუსიკის საგნის პედაგოგის მიერ წარმოდგენილია საშუალო საფეხურზე მოსწავლის მიერ შესრულებული პრეზენტაცია უძველეს ქართულ ტრადიცია - რიტუალზე ,,ჭონა“. პედაგოგმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ პროექტი მოსწავლეებმა თავად აირჩიეს და დააკავშირეს ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან. კერძოდ: გაიხსენეს ბერიკაობის რიტუალი, ბატონების რიტუალი და ა.შ.
მსგავსი პროექტები ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესებში ჩართულობას, ასევე მოსწავლეების შინაგანი მოტივაციის ზრდას, ძალების გააქტიურებას და პოზიტიურ დამოკიდებულებებს. .ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია
სპორტი საშუალო საფეხურის 10-12 კლასის კურიკულუმები და მასში გაწერილი, როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული შინაარსის თემები, ისევე როგორც საბაზო საფეხურზე მოწყობილი, სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, ფესტივალები სადაც ჩართულია ყველა მოსწავლე და ინფორმირებულია მშობლები. უზრუნველყოფენ მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით, სასწავლო პროცესში ჩართვას. .ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია
საზოგადოებრივი მეცნიერებები სასწავლო პროცესი დაფუძნებულია სწავლა-სწავლების პრინციპებზე. ამ პრინციპებით გათვალისწინებული სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე დაფუძნებულ სწავლებას. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის განხორციელება და კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა ხელს უწყობს მოსწავლის აქტიურ ჩართულობას შემოქმედებით პროცესში. მოსწავლე თავად ქმნის პროდუქტს შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით. კომპლექსური დავალებების შესრულება მოსწავლეს საშუალებას აძლევს ერთდროულად განივითაროს სხვადასხვა სააზროვნო უნარი, დამოუკიდებლად განახორციელოს სხვადასხვა აქტივობა,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დააკვირდეს მუშაობის პროცესსა და გააანალიზოს შედეგები. პედაგოგებმა დაასახელეს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის რამდენიმე მაგალითი, რა დროსაც მოსწავლეები აქტიურად ჩაერთნენ სასწავლო პროცესში, შექმნეს საინტერესო ნამუშევრები და განივითარეს კომპლექსური-სააზროვნო და შემოქმედებითი უნარები. ყოველივე ეს ხელს უწყობს მოსწავლის მოტივაციის ამაღლებას, სასწავლო პროცესი უფრო საინტერესო და სახალისო ხდება. .ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია
2.სახელმწიფო ენა კურიკულუმის ჩარჩოს გაცნობამ და მასწავლებლებთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ სკოლა სწავლა-სწავლების პროცესს წარმართავს წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. კურიკულუმის თემატური დაგეგმვა, კომპლექსური დავალებების პირობაში ნაცნობი კონტექსტების შემოტანა და მასწავლებლების მიერ მოყვანილი მაგალითები პრაქტიკული გამოცდილებიდან ცხადყოფს, რომ ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

მათემატიკა სასწავლო პროცესი საშუალო საფეხურზე ხელს უწყობს ახალი ცოდნის კონსტრუირებას მოსწავლის წინარე ცოდნაზე დაყრდნობით, დასტურდება წარმოდგენილი კურიკულუმებით. ინტერვის დროს ხზაგასმული სასწავლო პროექტებით, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებებით, სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალებით/რესურსებით (მათი ნაწილი ასახულია კიდევაც წარმოდგენილ კურიკულუმში რესურსების ველში) მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზით (ინტერვიუს დროს ესეც დაზუსტა, რომ კათედრას შედეგების ანალიზი აქვს და ინახება კათედრაზე). სკოლა ამ საფეხურზე შეარცევს ისეთ კომპლექსურ დავალებებს, რომელიც მოსწავლისათვის ნაცნობ კონტექსტში იქნება განხილული, დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას, დამუშავებასა და გააზრებაში. კურიკულუმის თემა, თემის საკვანძო შეკითხვები, სასკოლო პროექტების ინიცირების წახალისება და მოსწავლისთვის საინტერესო არაფორმალური განათლების ელემენტები - ეს ყველაფერი ეხმარება მოსწავლეს ახალი ცოდნის კონსტრუირებაში წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია
უცხოური ენები შემუშავებული კურიკულუმებში წარმოდგენილი თემები, კომპლექსური დავალებები, განხორციელებული აქტივობები და პროექტები წარმოადგენენ მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების გზას სწორედ მის წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით, ამასვე ადასტურებს წარმოდგენილი განხორციელებული პროექტების რეფლექსიაც. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ კომპლექსური დავალებების განხორციელებისას აქტივობები ისეა დაგეგმილი, რომ მოსწავლის ახალი ცოდნის კონსტრუირება ხდება წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით. მიმდინარეობს ნაცნობიდან უცნობის, მარტივიდან რთულისკენ განვითარების პრინციპით. ყოველი ახალი ცოდნის შეძენას წინ უძღვის წინარე ცოდნის გააქტიურება და ამაზე დაფუძნებით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. მასწავლებლებთან ინტერვიუს შემდეგ გამოიკვეთა, რომ სწავლის პროცესში აქტივობები ხორციელდება კონსტრუქტივისტული მიდგომებით, რის მაგალითად მოიყვანეს რამდენიმე განხორციელებული კომპლექსური დავალება.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია
ესთეტიკური აღზრდა მოსწავლის მიერ შესრულებული პრეზენტაციიდან ჩანს, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირებისას ითვალისწინებდნენ ცხოვრებისეულ გამოცდილებას, ნაცნობ კონტექსტებს, წინარე ცოდნას და ინტერესებს, ადარებდნენ ერთმანეთს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გავრჩელებულ ტრადიციას. მსგავსი კვლევები აუცილებელია, რათა მოსწავლეებმა შეძლონ სასწავლო პროექტში ძირითადი მახასიათებლების გამოკვეთა და გრძელვადიან მიზანზე გასვლისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების განმტკიცება. .ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია
სპორტი სკოლის ფიზიკური აღზრდის და სპორტის მასწავლებლების სკოლაში განხორცილებული კომპლექსური ტიპის დავალებები, რომლის დახვეწასა და განვითარებას გეგმავს სკოლა, მათზე მუშაობისას პროცესში განხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, ახალი ცოდნის დაშენება. დავალების ყოველ მომდევნო ეტაპზე, მუშაობისას მოსწავლეს, წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით, გაუადვილდება სტანდარტით გათვალისწინებული გრძელვადიან მიზნებზე გასვლა. .ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია
საზოგადოებრივი მეცნიერებები საგნობრივი კურიკულუმის განხორციელების პროცესი წარმოადგენს ცოდნის კონსტრუირების უწყვეტ გზას მის წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით. პედაგოგებს კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილი აქვთ რამდენიმე კომპლექსური დავალება ყველა სამიზნე ცნებათან მიმართებით. მათ მიერ შერჩეული კომპლექსური დავალებები და ასევე, რესურსები ხელს უწყობს ახალი ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. კურიკულუმის ჩარჩოებში მოცემული კონტექსტ მაგალითები წარმოადგენს მოსწავლისთვის ნაცნობ პრობლემას, მოსწავლე აკეთებს ანალოგს და მისი დახმარებით ქმნის ახალ პროდუქტს. როგორც მასწავლებლები აღნიშნავდნენ, ისინი მუდამ ითვალისწინებენ თითოეული მოსწავლის შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. იმის გათვალისწინებით, რომ კლასში არიან სხვადასხავა შესაძლებლობებისა და საჭიროებების მქონე მოსწავლეები, მასწავლებელს შეაქვს შესაბამისი დავალებები. საგნობრივი კონტექსტები მოსწავლის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდივიდუალურ შესაძლებლობებსა და ინტერესებზეა გათვლილი მაგალითად კომპლექსური დავალების შესრულებისას ფუნქციები უნარების შესაბამისად ნაწილდება. ცოდნის კონსტრუირება ხდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, რაც ხელს უწყობს მოსწავლის როგორც კოგნიტურ, ასევე პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. .ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

3.სახელმწიფო ენა კათედრის წევრებთან გასაუბრებიდან გამომდინარე ,შეიძლება ითქვას, მხარდაჭერილია მოსწავლის რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე. როცა მოსწავლე აანალიზებს შესრულებული დავალებას: მსჯელობს რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება;წარმოდგენილი თემატური მატრიცა და რუბრიკების ნიმუშები, ამ თვალსაზრისით სასწავლო პროცესის შეფასების საშუალებას იძლევა. შესაძლებელია დავასკვნათ, სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე.ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია..ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

მათემატიკა საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები და შესასვლელი და გასასვლელი ბარათების გამოყენება, რომელიც პრეზენტაციის დროს დაადასტურეს, მიანიშნებს, რომ სწავლის სწავლაზე კეთდება აქცენტი, რაც მოსწავლის მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს. მასწავლებლები ინტერვიუში ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ისინი სასწავლო პროცესში ფასილიტატორის როლს ირგებენ და მოსწავლეებს მრავალფეროვანი მეთოდების დახმარებით უბიძგებენ ცოდნის აგებისაკენ. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

უცხოური ენები განხორციელებული პროექტები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, ინტეგრირებული გაკვეთილები, წარმოდგენილი ფოტო მასალა და სკოლის Facebook გვედზე წარმოდგენილი სურათები მიანიშნებს რომ აქცენტი კეთდება სწავლის-სწავლაზე. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები საშუალო საფეხურზე განხორციელებული კომპლექსური დავალების ნიმუშები , განხორციელებული პროექტები, განმავითარებელი შეფასებები და სხვა ინსტრუმენტები მიმართულია იმისკენ, რომ მოსწავლეებმა შეძლონ სწავლის სწავლა. მასწავლებლებმა ინტერვიუს პროცესში ისაუბრეს ამ მიმართულებით გამოცდილებაზე , ხაზი გაუსვეს იმ ფაქტს რომ კომპლექსური დავალების ნამუშევრის წარდგენის ნაწილში, სადაც უშუალოდ მოსწავლე აანალიზებს თუ რა სტრატეგიები გამოიყენა დავალებაზე მუშაობის პროცესში ან სამომავლოდ რას შეცვლიდა თავიდან , რომ იწყებდეს დავალების შესრულებას კარგად ჩანს სწავლის სწავლება. ასევე აღნიშნეს, რომ კურიკულუმის განხორციელების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცესში ყურადღება მიექცევა არა მხოლოდ ცოდნის მიღებას, არამედ აქცენტი გაკეთდება სწავლის სწავლაზე. არის ისეთი აქტივობები, რომლის შესრულება მოსწვლეს გზას უხსნის ისეთი სტრატეგიის გამოყენებისკენ, რაც გაუადვილებს სწავლას და ასეთი სტრატეგიები ნათლად იკითხება კომპლექსური დავალებების განხორციელებისთვის მოცემულ აქტივობებში.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია
ესთეტიკური აღზრდა პროექტული სწავლების სტრუქტურა ისეა აგებული, რომ მოსწავლეს დამოუკიდებლად შეუძლია დავალების პირობის განსაზღვრა, გააზრება და მის შესასრულებლად საჭირო ცოდნის გამოვლენა - მობილიზება. დავალების/აქტივობის მთავარი მიზნის დადგენა, სამუშაოს წარმატებით შესრულების კრიტერიუმების გათავისება, განსახორციელებელი სამუშაოს ეტაპების გამოკვეთა.
განხორციელებული პროექტი მოსწავლეებს შესძენს ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის გამოცდილების გაუმჯობესების საშუალებას. მოსწავლე თავად მოახდენს შესრულებული დავალების ანალიზს, მიიღებს სათანადო ზომებს საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად, განსაზღვრავს დროის მენეჯმენტს, რაც სჭირდება დავალების შესრულებას და პრეზენტირებას. .ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია
სპორტი სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში, აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე , რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში, განსხავებული უნარ ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას. მოსწავლეები, ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათი შეძენილი- ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. .ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია
საზოგადოებრივი მეცნიერებები მასწავლებლები საუბრობდნენ იმის შესახებ, რომ სასწავლო პროცესში ყურადღება ექცევა მოსწავლეთა მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას, აღნიშნავდნენ, რომ მათ სკოლაში წახალისებულია თვითრეგულირებული სწავლა. ისინი ფასილიტაციას უწევენ მოსწავლეებს, ეხმარებიან მათ შესრულებული დავალების გაანალიზებაში. სწავლის სწავლა ჩანს მოსწავლის მიერ შესრულებულ დავალებებსა და აქტივობებში, მათი შეფასების მექნიზმებში, თანატოლთა შეფასებებში, თვითშეფასების რუბრიკებსა თუ კომპლექსური დავალების პრეზენტაციაში. გარდა ამისა კომპლექსური დავალების განხორციელება ხდება წინარე ცოდნაზე, ძველზე ახლის დაშენებით, ანუ აქცენტი კეთდება სწავლის კონსტრუქტივისტულ მიდგომაზე, მოსწავლე ახალ ცოდნას იძენს ძველ გამოცდილებაზე დაყრდნობით, მოსწავლეს უწევს კონკრეტული პრობლების გადაჭრა, რაც საგნობრივი ცოდნას მოითხოვს, ასევე ხდება ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთკავშირი. .ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.სახელმწიფო ენა სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე . კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებული სწავლება თავისთავად უზრუნველყოფს ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებას,ინტერვიუს დროს კი აღნიშნეს ,რომ ისინი აძლევენ დავალებებს, სადაც მოსწავლეს უწევს, ფაქტობრივი ცოდნის გამოყენება ,ასევე მსჯელობა და ანალიზი , საკუთარი დასკვნების ჩამოყალიბება,ყურადღებას ამახვილებენ აქტივობებში,როგორ უნდა გამოიყენონ მიღებული ცოდნა შემდგომ ცხოვრებისეულ სიტუაციებში .კათედრა გამოხატავს მზაობას, რომ იყოს ორიენტირებული ცოდნის სამივე კატეგორიაზე. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

მათემატიკა- საშუალო საფეხურზე მათემატიკის კურიკულუმებში შესატანად კომპლექსურ დავალებებს აარჩევენ „მათემატიკური წიგნიერების“ ახალი სახელმძღვანელოდან (ამის თაობაზე მათ რეკომენდაცია მიეცათ გასაუბრების პროცესში), ამ დავალებებში აქცენტი კეთდება სოდნის სამივე კათეგორიაზე, აღნიშნული საფეხურის კლასებში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებებიც გათვლილია, როგორც დეკლარატიულ, ისე პროცედურული და პირობისეული ცოდნის ჩამოყალიბებაზე. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

უცხოური ენები კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილი დავალებები, განხორციელებული პროექტები, კომპლექსური დავალებები და აქტივობები, მიუთითებს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე . ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები ცოდნის სამ კატეგორიაზე სასწავლო პროცესის ორიენტირებულობა ჩანს იმ კომპლექსურ დავალებებში, რომლებიც მოცემულია კურიკულუმებში და დავალების ბარათებში. ამას ადასტურებს ინტერვიუ მასწავლებლებთან, რომლებიც ხედავენ რამდენად მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის წარმართვა ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულად. აღწერეს კომპლექსური დავალების და სხვა დავალებების არჩევის პრინციპი, რამდენად მნიშვნელოვანია მოსწავლეებს თემის დასრულების დროს ჰქონდეთ პასუხი კითხვაზე “რატომ ვისწავლე ეს თემა?”, “რაში გამომადგება მიღებული ცოდნა“, „რა სარგებელს მოუტანს სხვას ჩემს მიერ შექმნილი პროდუქტი?“
,შეგვიძლია დავასკვნათ ,რომ სამომავლოდაც სასწავლო პროცესში ხელი შეეწყობა ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას.
და შერჩეული კომპლექსური დავალებები იძლევა საშუალებას სასწავლო პროცესში ცოდნის სამივე კატეგორიაზე გაკეთდეს ორიენტირება. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ესთეტიკური აღზრდა  მასალებში წარმოდგენილი შესრულებული პროექტის პრეზენტაცია მაძლევს საფუძველს ვიფიქრო, რომ პროექტი ნაკლებად იყო მიმართული ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებისკენ.
პედაგოგმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ გასულს წელს სავალდებულო პროექტები ერთგვარი გამოწვევა იყო მასწავლებლებისთვისაც, რადგან პირველად შევიდა ის საშუალო საფეხურზე. სამომავლოდ აპირებს, უფრო მეტად საინტერესოდ, მრავალფეროვანი რესურსებით წარმართოს პროცესი და ორიენტირებული გახადოს ცოდნის სამ კატეგორიაზე. .ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

სპორტი  სკოლაში  სწავლა-სწავლების პროცესში, აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე , რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში, განსხავებული უნარ ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას. მოსწავლეები, ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათი შეძენილი- ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. .ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია
საზოგადოებრივი მეცნიერებები  კურიკულუმის საფუძველზე შეიძლება ითქვას რომ შუალედური მიზნების სათანადოდ განხორციელების შემთხვევაში შესაძლებელია ცოდნის სამივე კატეგორიის შეთავაზება. მასწავლებელთა მხრიდან აღინიშნა, რომ კურიკულუმი მიმართულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე სწორედ კომპლექსური დავალებების განხორციელებით. დავალებაზე მუშაობის პირველ ეტაპზე მოსწავლეები ამუშავებენ ფაქტობრივ მასალას, მომდევნო ეტაპზე თავად განსაზღვრავს მოქმედების ნაბიჯებსა და თანმიმდევრობას. მასწავლებლები ისე შეიმუშავებენ კომპლექსური დავალების პირობას, რომ ის ითვალისწინებდეს ცოდნის სამივე კატეგორიას. .ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

5.სახელმწიფო ენა .საგნობრივი კურიკულუმის თემატური დაგეგმვა,კომპლექსური დავალებები გვიჩვენებს საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით სასწავლო პროცესის რეალიზების გზას და არის ამავდროულად ის მთავარი კომპონენტი ,რომელიც იძლევა საშუალებას ცოდნათა ორგანიზებისა და  ურთიერდაკავშირების.მასწავლებლები გამოხატავენ მზაობას  სასწავლო პროცესი დაგეგმონ ამ პრინციპების გათვალისწინებით.ამ კრიტერიუმით სკოლა  აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია
მათემატიკა- საშუალო საფეხურის როგორც ინტერვიუდან გაირკვა, ხშირია არაფორმარულ გარემოში მოსწავლეთა ცოდნის გადატანა და ურთიერთდაკავშირებაც. სასწავლო პროცესი დაგეგმილია იმგვარად, რომ შესაძლებელი გახდეს საგანთა შორის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინტეგრაცია. ეს პროცესებიც ეხმარება მოსწავლეებს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

უცხოური ენები კომპლექსური დავალებების პირობები მიემართება თემასა და ქვეთემებს, შესაბამისად უზრუნველყოფილია ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკაშირება. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები განხორციელებული კომპლექსური დავალებები და სასწავლო პროექტები ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესში მიმდინარეობს ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ცოდნის ტრანსფერი. სასკოლო სასწავლო გეგმაც ორიენტირებულია ცოდნათა ინტეგრირების ხელშემწყობი აქტივობების დაგეგმვა–განხორციელებაზე, რაც დასტურდება მასწავლებლებთან გასაუბრების დროს მიღერული ინფორმაციით. გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებისა და დაკავშირებისთვის მასწავლებლები იყენებენ სხვადასხვა მაორგანიზებელ და კოგნიტურ დიაგრამებს. ცოდნის ტრანსფერი ნათლად ჩანს განსახორციელებელ აქტივობებში, სასწავლო პროექტსა და მოსწავლეთა მიერ შექმნილ შემოქმედებით პროდუქტებში.

მათ აღნიშნეს, რომ ხელს უწყობენ ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, რადგან მოსწავლეებმა შეძლონ ინფორმაციის მიღება და გამოყენება და ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას/ ორგანიზება. შეიძლება დავასკვნათ, იმისათვის, რომ მეხსიერებაში გაიზარდოს გააზრების, დამახსოვრებისა და ცოდნის ფუნქციური გამოყენების შესაძლებლობები, ცოდნათა ურთიერდაკავშირება დ ტრანსფერი მასწავლებლებს აქვთ მზაობა სხვადასხვა სტრატეგიული მიდგომების გამოყენებით.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

ესთეტიკური აღზრდა პროექტებით სწავლება და ზოგადად სასკოლო პროექტები ისეა აგებული, რომ მოსწავლემ გააერთიანოს ყველა ის უნარი და ცოდნა, რაც მას გამოადგება პრობლემის გადაჭრისას, გამოწვევებთან გამკლავებისა და პროდუქტის შექმნისას. ყოველივე ეს ხელს უწყობს ცოდნის ინსტრუმენტად გარდაქმნას. პროექტებით სწავლება იძლევა ცოდნათა ურთიერთდაკავშირების შესაძლებლობას და მოსწავლეს აძლევს ფიქრის საშუალებას, გამოყოს პრობლემა და თავი მოუყაროს ცოდნათა ორგანიზებას.

წარმოდგენილ პრეზენტაციაში კარგად ჩანს რომ მოსწავლეებმა მოიძიეს ინფორმაციები, ჩაატარეს კვლევები და გააცნეს სასკოლო საზოგადოებას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ კათედრას აქვს ინტეგრირებულ დავალებებზე მუშაობის გამოცდილება რომელმაც ცხადყო, რომ საგანთა შორის ინტეგრირება და ცოდნის ორგანიზება საბოლოოდ ეხმარება მოსწავლეებს სკოლაში მიღებული ცოდნა ცხოვრებაშიც გამოიყენონ. .ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

სპორტი ფიზიკური აღზრდის და სპორტის საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, ძირითადად ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. კურუკულუმში გაწერილი თემები, რომლის რაოდენობის გაზრდის მზაობა გამოხატეს პედაგოგებმა, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ტიპის დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კომპონენტები ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად იძლევა სწავლების საშუალებას. .ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია
საზოგადოებრივი მეცნიერებები სასკოლო კურიკულუმში კომპლექსური დავალებები ისეა შედგენილი, რომ ხშირად ხდება ცოდნათა ორგანიზება და ერთ საგანში მიღებული ცოდნის გამოყენება სხვა საგანში, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. კურიკულუმის ჩარჩოს საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ შუალედური მიზნების სათანადოდ განხორციელების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. დოკუმენტაციის საფუძველზე რთულია იმის მტკიცება რამდენად მოახდენს მასწავლებელი პრაქტიკაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას, თუმცა ინტერვიუს დროს მასწავლებელთა მოსაზრებები მიგვანიშნებს რომ სურვილისა და მონდომების შეთხვევაში ეს მიღწევადია. ასევე, როგორც მასწავლებლები აღნიშნავდნენ მათ პრაქტიკაში მრავლადაა წარმატებული გამოცდილება საგანთაშორისი ინტეგრაციის. .ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
. თვითშეფასების ფორმა გორის N5 საჯარო სკოლა
სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია
სსიპ გორის N5 საჯარო სკოლის საგნობრივი კურიკულუმები
ხარისხის პოლიტიკა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

16 კათედრის სხდომის ოქმის ნიმუში
დანართი-40 კათედრის ოქმი
დანართი 41-სადამრიგებლო პროგრამა
შემაჯამებელი ფორმა
კურიკულუმის ჩარჩოები
სასწავლო პროექტი
შეფასების რუბრიკები
ზეპირი გასაუბრება მასწავლებლებთან

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სახელმწიფო ენა სკოლის მიერ წარმოდგენილია კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტები, სადაც მართებულად არის გაწერილი თემების მიხედვით კომპლექსური დავალების იდეები, საგნის სამიზნე ცნებები. კურიკულუმში წარმოდგენილი საკითხები მიმართულია სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებისკენ. შესაბამისად, სკოლამ გამოთქვა მზაობა, რომ გააგრძელებენ ამ პრინციპით კურიკულუმის განვითარებას.სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ ამ კრიტერიუმს. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

მათემატიკა საშუალო საფეხურის ერთი კლასების კურიკულუმის ჩარჩოდან იკვეთება ის, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. მომავალი სასწავლო წლისთვის დაგეგმილია სრულად შევსებული კურიკულუმები და კომპლექსური დავალებების ფირმირება. მათი გამოყენებით წარმართული სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენის გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

უცხოური ენები საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები და მასში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები და პროექტები მიუთითებს, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია სამიზნე ცნებების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით,ამასვე მოწმობს ინტერვიუს დროს მასწავლებელთა პასუხებიც. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები წარმოდგენილი დოკუმენტაციით ჩანს, რომ სტანდარტით დადგენილი სავალდებულო თემის ფარგლებში, სამიზნე ცნების და მკვიდრი წარმოდგენების დასამუშავებლად შერჩეულია მეტწილად კომპლექსური დავალებები.სადაც სამიზნე ცნებების გააზრება ხდება მკვიდრი წარმოდგენების საფუძველზე შექმნილი შეფასების კრიტერიუმებით, რაც მიმართულია თემის შესასწავლად კონკრეტული საკითხის დამუშავებით. ასევე კურიკულუმში ნათლადაა წარმოდგენილი საკითხთა კლასტერები. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ესგ–ის შედეგების მისაღწევად სრულად დაიცავენ შეფასების კრიტერიუმების, მკვიდრი წარმოდგენებისა და სამიზნე ცნებების იერარქიულ დამუშავებას. შეიძლება დავასკვნათ, რომ საგნობრივ კურიკულუმებში გააზრებულია სწავლა-სწავლების პროცესში კავშირი სამიზნე ცნებას,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მის მკვიდრ წარმოდგენებს, ქვეცნებებსა და საგნობრივ საკითხებს შორის. რაც სტანდარტის შედეგებზე გასვლის წინაპირობას ქმნის.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია
ესთეტიკური აღზრდა პროექტული სწავლებისას სავალდებულო თემებში მუშავდება სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, განსაზღვრულია ზოგადი ქვეცნებები, რომლის დაძლევას/გააზრებას ემსახურება საგნობრივი საკითხი. კურიკულუმში წარმოდგენილი პროექტული დავალების იდეა ამთლიანებს და დინამიკაში წარმართავს პროცესს.
როგორც ავღნიშნე, პროექტები ერთგვარი გამოწვევა იყო მასწავლებლებისთვისაც, რადგან პირველად შევიდა ის საშუალო საფეხურზე. სამომავლოდ, გამოცდილების საფუძველზე, აპირებენ სასწავლო პროცესის უზრუნველყოფას სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებზე დაყრდნობით. .ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია
სპორტი საშუალო საფეხურის სკოლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სასწავლო პოროცესი. კურიკულუმებში გაწერილი თემები და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფენ სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; მოსწავლეები გაეცნობიან საგნობრივ საკითხებს, საკვანძო შეკითხვებს, განიხილება კომპლექსური დავალების პირობას და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით მოხდება, ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს დაეხმარება ახალი აქტივობების გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი ,,პროდუქტი“, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. .ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია
საზოგადოებრივი მეცნიერებები სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით, კურიკულუმის განხორციელება და კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა ხელს უწყობს მოსწავლის აქტიურ ჩართულობას შემოქმედებით პროცესში, ამ შემთხვევაში მოსწავლე პასიური მსმენელი კი არ არის არამედ აქტიურად არის ჩართული, თვითონ ქმნის პროდუქტს. აქცენტი კეთდება საგნის სწავლების მნიშვნელობაზე და დაკავშირებაზე ყოფითი პრობლემების გადაჭრასთან. კათედრის მიერ წარმოდგენილ საფეხურის კურიკულუმში ასახული და გააზრებულია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, ქვეცნებებსა და საგნობრივ საკითხებს შორის. აღნიშნული ნათლად იკვეთება მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს დაგეგმილ კომპლექსური ტიპის დავალებებზე საუბრისას. .ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.სახელმწიფო ენა წარმოდგენილ დოკუმენტაციისა და გასაუბრების შედეგად გამოვლინდა,რომ მასწავლებლები ზრუნავენ მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო -სოციალურ განვითარებაზე,აღნიშნეს, რომ გეგმავენ აქტივობებს და არჩევენ ისეთ დავალებებს, რომლითაც აძლევენ მოსწავლეებს საშუალებას ამოიცნონ საკუთარი ღირებულებები,ძლიერი და სუსტი მხარეები.კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი თემები და დავალებები, სადამრიგებლო პროგრამა ადასტურებს, რომ კათედრას აქვს მზაობა იმუშაოს ამ მიმართულებით და გაითვალისწინოს მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვისას. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

მათემატიკა კურიკულუმები, ინტერვიუს დროს აღწერილი სასწავლო პროექტები, ინტერვიუს დროს აღწერილი მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, სასწავლო პროცესში გამოყენებული რესურსები, აქტივობები, ამ მასალების საფუძველზე სკოლამ დაასაბუთა, რომ სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს (და არა საგნობრივი საკითხების ამოწურვის „ვალდებულებას“). შესაბამისად მათემატიკის საგნობრივი კონტექსტი ემსახურება მოსწავლის ფსიქო-სოციალურ განვითარებას. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

უცხოური ენები კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული კომპლექსური დავალებები მიემართება მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო-სოციალური უნარების განვითარებას, ამასვე მოწმობს გერმანულ ენაში განხორციელებული ინტეგრირებული გაკვეთილები და ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. ასევე, ინტერვიუს დროს ახენეს ის პროექტები რაც სკოლამ განახორციელა და ყველა მიმართული იყო არამხოლოდ აკადემიური არამედ პიროვნულ განვითარებაზეც. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები წარმოდგენილ კურიკულუმში იკვეთება, რომ საგნობრივი კონტექსტების შერჩევისას მთავარი ამოსავალი არის მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები. საკითხები იმგვარადააა შერჩეული,რომ ეხმარება მოსწავლეს პიროვნულ და ფსიქო–სოციალურ განვითარებაში. სასკოლო სასწავლო გეგმაშიც ასახულია, რომ სკოლა სასკოლო საათობრივ ბადეს ადგენს მოსწავლეების ფიზიკური და ფსიქოლოგიური შესაძლებლობის გათვალისწინებით.

ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ დიდ ყურადღებას უთმობენ მოსწავლის პიროვნულ, სოციო - ემოციურ და კოგნიტურ განვითარებას. ამ მიზნით გეგმავენ შეფასების რუბრიკების დახვეწას. რამდენიმე სოციალური პროექტიც დაასახელეს. არაფორმალური განათლების მხრივ მოსწავლეები ჩართულნი არიან სხვადასხვა პროექტებში.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ესთეტიკური აღზრდა თვითშეფასების ფორმაში ვკითხულობთ, რომ სწავლა-სწავლების პროცესში ხდება მოსწავლის ზრდა და განვითარება, რომელიც გულისხმობს არა მარტო მის პიროვნულ ზრდას, არამედ ფიზიკური ჯანმრთელობის და ფსიქოემოციური ფონის მდგრადობას, მენტალურ ჯანმრთელობას, მოსწავლე ყალიბდება პიროვნებად, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია ფიზიკური და გონებრივი ჯანმრთელობა, აკადემიური მიღწევა და იდენტობა. სკოლაში კოგნიტური, აკადემიური, მენტალური, სოციალურ-ემოციური, ფიზიკური ჯანმრთელობის უნარების განვითარების მიზნით ვახორციელებთ სხვადასხვა აქტივობას, მაგალითად: ჩვენი მოსწავლეები ჩართულები არიან სხვადასხვა სპორტულ აქტივობაში, კლუბურ მუშაობაში, დისკუსიებში, დებატებში. სკოლაში გვაქვს დებატების კლუბი, რომელიც ხელს უწყობს მათ სხვადასხვა უნარის განვითარებას, ცნობიერების ამაღლებას თანასწორუფლებიანობის განცდაში.
პროექტებით სწავლება ესთეტიკური მიმართულების საგნებში, ემსახურება მოსწავლის ფსიქო-ემოციური, სოციალური, შემოქმედებითი, კრიტიკული უნარების განვითარებას. .ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია
სპორტი სკოლაში საშუალო საფეხურის სასწავლო პროცესი და საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. სკოლის მიერ შეთავაზებული სწავლის სხვადასხვა მეთოდები - თეორიული, პრაქტიკული. კურილულემებში გაწერილ თემებზე დართული ჰიპერლინკები, რომლებიც ასახავს სხვდასხვა სპორტის სახეობის ისტორიებს და ქართველი სპორტსმენების მიღწევებს, აგრეთვე მასწავლებლის მიერ დაგეგმილი მოსწავლეების შესაქმნელი პროექტები, ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა ფიზიკურ და გონებრივ, ფსიქო-ემოციურ კეთილდღეობას.
საზოგადოებრივი მეცნიერებები კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში, პროექტებით სწავლების დროს, არაფორმალური განათლების დანერგვისას, ხდება მოსწავლეთა თანამშრომლობითი უნარების განვითარების ხელშეწყობა, მოსწავლეს უვითარდება პასუხისმგებლობის გრძნობა როგორც საკუთარი თავის მიმართ, ასევე სხვების მიმართ. ეცვლება დამოკიდებულება და ხდება სასკოლო საზოგადოების, თემის აქტიური წევრი, რაც ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ, კოგნიტურ და ფსიქო-სოციალური განვითარებას. რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარების ხელშეწყობას. არაფორმალური განათლება, სკოლის მიერ განხორციელებული სხვადსახვა სოციალური პროექტები ავითარებს მოსწავლეებში აღნიშნულ უნარებს. .ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

3.სახელმწიფო ენა მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მიმართევენ თვითშეფასებას,ურთიერთშეფასებას.ჩანს სკოლის სწორი ხედვა შეფასების სისტემის თვალსაზრისით.აღნიშნავენ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერის მნიშვნელობას;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისად, გამოხატეს მზაობა იმუშაონ ამ პრინციპით და გაამახვილონ ყურადღება მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმში. ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

მათემატიკა საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლები მოსწავლეებს აფასებენ როგორც ზეპირსიტყვიერი-განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებით. მასწავლებლებთან ინტერვიუმ დაადასტურა, რომ მათ გააზრებული აქვთ, რომ შეფასება არის მრავალმხრივი პროცესი. ისინი ითვალისწინებენ ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებულ შეფასების პრინციპებს, იაზრებენ შეფასების სისტემის მნიშვნელობას და ახალი სასწავლო წლისთვის გეგმავენ უფრო დეტალიზებული შეფასების რუბრიკების შექმნას. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

უცხოური ენები საშუალო კლასებში სკოლამ დამატებით წარმოადგინა მატრიცები, რაც აფასების არამხოლოდ მოსწავლის მიერ შესრულებული დავალების სისწორეს არამედ მის პიროვნულ განვითარებასა და პროგრესს. შესაბამისად, შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მიხარდაჭერაზე. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები ჰოლისტური მიდგომა,როგორც განათლების მიზანი გულისხმობს , რომ მასწავლებელმა უნდა იცოდეს რას უნდა ელოდებოდეს მოსწავლისგან და შესაბამისად სწავლების პროცესიც აქეთ უნდა მიდიოდეს. მასწავლებელი უნდა იყოს მხარდამჭერი და ხელშემშველებელი მოსწავლის ნიჭის, უნარის და შეფასების სისტემაც სწორედ ამას უნდა ემსახურებოდეს.

საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებით, კურიკულუმში მოცემული კომპლექსური დავალების იდეიდან, კონტექსტ მაგალითებიდან და შედარებისთვის მაგალითებიდან ჩანს, რომ ძირითადი აქცენტი კეთდება მოსწავლეების როგორც ცოდნის , ასევე ფუნქციურ კომპონენტური უნარების განვითარებაზე (მაგ: კრიტიკული აზროვნება, სემოქმედებიტობა, თანამშრომლობა და სხვა) .

გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ იგეგმება სასწავლო თემების ფარგლებში ესგ–ის შედეგებისა და სამიზნე ცნებებიზე დაყრდნობით ფორმულირებული კრიტერიუმებით განმავითარებელი შეფასების რუბრიკების დახვეწა, რომელიც ორიენტირებული იქნება მოსწავლეთა ჰოლოსტურ განვითარებაზე..

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

ესთეტიკური აღზრდა საშუალო საფეხურზე პროექტული სწავლება ფასდება განმავითარებელი შეფასებით. ამ ეტაპზე პედაგოგს არ აქვს წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, თუმცა აღნიშნა, რომ პროექტის მსვლელობის პროცესში აქტიურად იყენებდა ზეპირ განმავითარებელ შეფასებას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კათედრის მიერ წარმოდგენილი მრავალფეროვანი შეფასებები მაძლევს საფუძველს ვიფიქრო, რომ პედაგოგები კათედრაზე შეიმუშავებენ ისეთ შეფასების რუბრიკებს, რომელიც ორიენტირებული იქნება მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. .ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

სპორტი ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ საშუალო საფეხურზე ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მიზანმიმართულად გამოიყენება, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში, სიტყვიერი კომენტარები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის განვითარებას. .ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

საზოგადოებრივი მეცნიერებები საგნობრივი კათედრები ითვალისწინებენ თითოეული მოსწავლის შესაძლებლობებსა და ინტერესებს. საკითხები და სასწავლო რესურსები შერჩეულია და გათვლილია მოსწავლეზე კომპლექსური დავალების წარდგენისას მოსწავლე აკეთებს თვითშეფასებას, აანალიზებს დავალების შესრულებისას როგორც მიღწევებს, რა გამოუვიდა კარგად, ასევე ხარვეზებს, დავალებას ხელმეორედ რომ ასრულებდეს რას შეცვლიდა და რატომ. ყველა საგნის მასწავლებელი იყენებს განმავითარებელ შეფასებას, რომელიც სწავლა/სწავლების პროცესში მოსწავლის მაქსიმალურ მხარდაჭერას ემსახურება. მარტივ დავალებებს ფრთხილად ენაცვლება შედარებით რთული და ამასთანავე მრავალფეროვანი დავალებები, ხოლო მასწავლებლები შეფასებისას, მოსწავლის აკადემიური მიღწევის აღწერისას მიმართავენ ზეპირ და წერილობით უკუკავშირს, აღწერენ ძლიერ და სუსტ მხარეებს, გასცემენ რეკომენაციებს. ამით ისინი შეფასების დროს ხელს უწყობენ მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებას. .ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

4.სახელმწიფო ენა წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და გასაუბრებაზე დაყრდნობით აღვნიშნავთ, სკოლაში მოსწავლეთა შეფსება ხდება ესგ-ის სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებთან მიმართებით. იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას.შეფასებისთვის გამოიყენება მრავალფეროვანი ინსტრუმენტები. .შეფასების ინდიკატორებს მასწავლებლები აცნობენ მოსწავლეებს და განიხილავენ მათთან ერთად.კათედრას აქვს მზაობა შექმნას ისეთი შეფასების სისტემა, რომელიც იქნება სანდო,ვალიდური და გამჭვირვალე. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

მათემატიკა- სკოლის სასწავლო გეგმის პროექტის მიეხდვით დაგეგმილია შეფასების მხრივ დოკუმენტაციის დახვეწა, ამჟამად სკოლას აქვს მზაობა სამივე საფეხურზე შეფასება იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიქტური. პედაგოგებს აქვთ გააზრებული, რომ შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და სერიოზულად უდგებიან მას. ამ დასკვნის საფუძველს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გვაძლევს კურიკულუმი, მომავალი დაგეგმილი სასწავლო პროექტები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, ასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

უცხოური ენები შეფასების სისტემის ვალიდურობასა და ობიექტურობაზე მიუთითებს ის მატრიცები და განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბიკები რაც სკოლამ წარმოადგინა. გარდა ამისა, ინტერვიუს დროს ახსენეს რომ მოსწავლეებმა წინასწარ იციან შეფასების კრიტერიუმები შესაბამისად შეფასების სისტემა გამჭვირვალეცაა.ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან , განმავითარებელი შეფასების რუბრიკებიდან, თუ მასწავლებლებთან ინტერვიუდან ჩანს,რომ სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებულია შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი-სიტყვიერი ზეპირი კომენტარი, თუ რუბრიკა და მოსწავლეებმა წინასწარ იციან რის მიხედვით ფასდებიან ,თვითონაც მონაწილეობენ შეფასებაში.

ასევე ჩანს, რომ შეფასების მიზანი და შეფასების კრიტერიუმები მიემართება გრძელვადიან მიზნებს . გაწერილი აქვთ შეფასების კრიტერიუმები და ამ კრიტერიუმის აღწერილობა, რაც შეფასებას ხდის ვალიდურს, სამართლიანს და ობიექტურს.

აქვთ მზაობა შეფასების მეტი ვალიდურობისა და სანდოობისთვის კათედრაზე შეიმუშაონ უფრო კონკრეტული და ესგ-ს შედეგების ინდიკატორებზე მორგებული შეფასების რუბრიკები.

შეიძლება დავასკვნათ, რომ მოსწავლეები მიღებენ მონაწილეობას როგორც შეფასების რუბრიკის, ასევე კომპლექსური დავალების შექმნის პროცესში. შეფასების რუბრიკები იქნება ჰოლისტური, გამჭვირვალე და ობიექტურ შეფასებაზე ორიენტირებული
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

ესთეტიკური აღზრდა სკოლაში შეფასების სისტემა არის ღია, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, რაც, უპირველეს ყოვლისა, დაცულია შეფასების კრიტერიუმების არსებობით. სასწავლო წლის დასაწყისში თითოეული საგნის ან კათედრის ფარგლებში იქმნება შეფასების კრიტერიუმები, მასწავლებლები დეტალურად აცნობენ როგორ რა კომპონენტებისა და აქტივობების მიხედვით შეფასდებიან. შეფასების კრიტერიუმების ღიაობა და ობიქტურობა ხელს უწყობს სკოლას ამ მიმართულებით სანდოობის მაღალი ხარისხი ჰქონდეს - აღნიშნულია თვითშეფასების ფორმაში. .ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

სპორტი სკოლის თვითშეფასების კითხვარიდან გამომდინარე . მასწავლებლები ფლობენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს და წარმატებით იყენებენ პრაქტიკაში, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს( დისკუსიის, პრეზენტაციის, პრაქტიკული სამუშაოს, ჩართულობის, აქტივობის), ფიზიკური აღზრდის და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სპორტის მასწავლებელთან გასაუბრების დროს კი გამოიკვეთა, რომ მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში გათვალისწინებულია ფიზიკური აღზრდის და სპორტის შეფასების სისტემის განვითარება და დახვეწა, რომლებიც სრულად დააკმაყოფილებს, საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, იქნება გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ქოუჩინგის პროცესში მომზადებულა შეფასების რუბრიკები, რომლებშიც დეტალურად არის გაწერილი თუ რას და როგორ შეაფასებს მასწავლებელი, რაზე გაამახვილონ მოსწავლეებმა ყურადღება კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას. ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ კათედრის წევრ მასწავლებლებს აქვთ გააზრებული, წინარე გამოცდილების მნიშვნელობა. მოსწავლეებმა წინასწარ იციან შეფასების კრიტერიუმები, რათა სწორად დაგეგმონ საკუთარი სწავლების გზა და იმისთვის, რომ შეფასების პროცესი იყოს მეტად გამჭვირვალე და ობიექტური, მოსწავლეების ჩართულობაც შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბებისას. .ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

5. ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და მასწავლებელთან გასაუბრებიდან შეიძლება ითქვს, რომ ისინი აანალიზებენ მოსწავლეთა ნამუშევრებს და აქვთ მიზნიდან გამომდინარე, რუბრიკების ერთობლივად შექმნის გამოცდილება.სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, სადაც აღნიშნულია,რომ სტრატეგიული დაგეგმვის დროს მნიშვნელოვანია ინფორმაციის შეგროვება,სტატისტიკური მონაცემების/კვლევის ანალიზი(მოსწალეთა აკადემიური მოსწრების), სამოქმედო/სტრატეგიული გეგმების მონიტორინგი და შეფასება.

სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. ამ მიმართულებით კათედრები სამუშაო შეხვედრებზე განიხილავენ შეფასების მოქმედ რუბრიკებს, კომპლექსური დავალებების განხორციელების შემდეგ აანალიზებენ სასწავლო პროცესს, გამოყენებულ შეფასების სქემებს და მუდმივად ცვლიან და ნერგავენ ახალ ინსტრუმენტებს.

რადგან ვერიფიკაცია რეალურად მოსწავლის მიღწევის ანალიზია, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ამ მექანიზმს სკოლა იყენებს.(მაგ: პედაგოგებმა ინტერვიუს დროს წარმოადგინეს მოსწავლეთა შეფასება და აღწერეს პროცესი თუ როგორ აანალიზებენ მოსწავლეთა შეფასებებს ე.წ. საერთო შემაჯამებელ ანგარიშით, რაც სტატისტიკურად უჩვენებს მათ რამდენად თანმიმდევრულია მოსწავლეთა შეფასება, მათი სწავლის დინამიკა.) მათ კარგად ესმით, რომ ეს ანალიზი სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და ილუსტრაციაა იმისა, თუ რამდენად ასრულებს შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას, რამდენად



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოადგენს ის სწვლა-სწავლების პროცესის საყრდენს. სკოლას აქვს მზაობა გააგრძელოს მუშაობა ვერიფიკაციის მექანიზმის დახვეწა-განვითარებაზე.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

6. დადგინდა, რომ სსიპ ქალაქ გორის N5 სკოლაში დაცულია კანონმდებლობით განსაზღვრული რეგულაციები დოკუმენტების წარმოებასა და მათ შენახვასთან დაკავშირებით.

მიმდინარე სასწავლო წლის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები ინახება ელექტრონულ ჟურნალში (სკოლის შიდა რეგულაციებით განსაზღვრულია ელექტრონულ ჟურნალამდე არსებული მატერიალური ჟურნალების შენახვა უვადოდ).

კომპლექსური დავალებები, როგორც მტკიცებულება, ინახება მოსწავლის სამართლებრივი აქტის საფუძველზე მომდევნო კლასში გადასვლამდე. შემაჯამებელი დავალებები კი ინახება კათედრაზე არანაკლებ 3 წლის ვადით, რაც უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებულ სანდოობას და ობიექტურობას. იგეგმება კათედრებზე როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული საცავის შექმნა.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

თვითშეფასების ფორმა გორის N5 საჯარო სკოლა

სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია

შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის პროექტი

ხარისხის პოლიტიკა

კათედრის სხდომის ოქმის ნიმუში

დანართი-40 კათედრის ოქმი

დანართი 41-სადამრიგებლო პროგრამა

შემაჯამებელი ფორმა

კურიკულუმის ჩარჩოები

საგნობრივი კურიკულუმი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები (Minecraft-ში შესრულებული)
☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება
2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების დროს, გამოიკვეთა პედაგოგთა ღიაობა და მიმღებლობა, რომელიც ერთ-ერთი საკვანძო ასპექტია პოზიტიური სასკოლო კლიმატისთვის. ყველას აქვს გამომხატველობის შესაძლებლობა, ეს კი ქმნის ნაყოფიერ სივრცეს თანამშრომლობითი და პოზიტიური კომუნიკაციისთვის.

მასწავლებლებთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში შექმნილია პოზიტიური სასწავლო გარემო, მხარს უჭერენ მოსწავლეთა ინიციატივებს, მათთან ერთად გეგმავენ აქტივობებსა და ღონისძიებებს. სკოლაში შექმნილია თანამშრომლობითი და პოზიტიური კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. წახალისებულია მოსწავლეთა თავისუფლება, სკოლის განვითარებაში ჩართულობა და მონაწილეობა. გარდა ამისა, მოსწავლეთა ინდივიდუალური ინტერესები და შეხედულებები, გათვალისწინებულია საგნობრივი კურიკულუმების ჩამოყალიბებისასაც.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში ტარდება სხვადასხვა სახის ღონისძიებები,გამოფენები,ფუნქციონირებს კლუბები,რომლებშიც მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი. სადამრიგებლო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კლასებში ხორციელდება სადამრიგებლო საათი,რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა სხვადასხვა უნარის განვითარებას(მაგ: წიგნიერების,ციფრული წიგნიერების,გარემოს დაცვითი უნარების და ა.შ)

ყოველივე ეს მიანიშნებს, რომ სასკოლო საზოგადოება ცდილობს იზრუნოს მოსწავლის პიროვნულ და აკადემიურ წინსვლაზე.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

2..სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით და მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები, როგორც მოსწავლის გამოცდილების არქიტექტორები, ზრუნავენ თანასწორობის პრინციპებზე აგებულ უსაფრთხო გარემოს შექმნაზე მოსწავლეებთან თანამშრომლობით, უზრუნველყოფენ ყველა მოსწავლის ჩართვას სასწავლო პროცესში, ამისათვის კი იყენებენ კლასის მართვის ეფექტიან სტრატეგიებს, ხელს უწყობენ და ახალისებენ თვითრეგულირებად ქცევას, მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას და ქმნიან ეფექტურ გარემოს მოსწავლეთა პოტენციალის რეალიზებისთვის. სწავლა-სწავლების პროცესში მასწავლებლები მაქსიმალურად ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს,ინტერესებს,ფიზიკურ და ფსიქიკურ მახასიათებლებს.

დასტურდება ზეპირსიტყვიერად განხილული და წაროდგენილი შესრულებული კომპლექსური დავალებებით, განხორციელებული პროექტებით.

მოსწავლეთა შეფასების რუბრიკა ორიენტირებულია მოსწავლეთა პროგრესის შეფასებაზე, ამას მოწმობს წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები.

საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი კომპლექსური დავალებებიც სწორედ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის საწინდარია.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

3.წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და გასაუბრებიდან იკვეთება,რომ სკოლაში მაღალია თანამშრომლობითი კულტურა, როგორც აღნიშნეს ინტენსიურად უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას და ესწრებიან გაკვეთილებზე,ერთობლივად გეგმავენ სასწავლო პროცესს და სასკოლო პროექტებს. კათედრის წევრთა შორის ხდება გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება. ამის უზრუნველყოფისთვის კი მეტად მნიშვნელოვანია თანამშრომლობა, გუნდურობა,რაც დასტურდება ინტერვიუთი.

სხვა კათედრებთან თანამშრომლობით კომუნიკაციას ადასტურებს ინტეგრირებული გაკვეთილები,ერთობლივად განხორციელებული პროექტები, რაც წარმოადგინა სკოლამ. კარგი თანამშრომლობითი კულტურის მაჩვენებელი იყო ასევე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინტერვიუს დროს ერთმანეთის მხარდამჭერი გარემო. კათედრაზე ჯანსაღ კომუნიკაციაზე მუთითებს თვითდასწრებისა და რეფლექსიის ნიმუშები.
სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის სუფევს მაღალი ურთირთპატივისცემა და ნდობა. სასკოლო საზოგადოების თითეოეული წევრი გრძნობს პასუხისმგებლობას, ზრუნავს სკოლაზე, იზიარებენ ერთმანეთის მოსაზრებებს და ამის შესაბამისად გეგმავენ ახალ სასწავლო პროცესებს. აგრეთვე აღინიშნა, რომ აქტიური კომუნიკაცია აქვთ მოსწავლეებთან, რომელთა ინიციატივების შესაბამისად იგეგმება სწავლა-სწავლების პროცესი და კურიკულუმი.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

4. ინტერვიუს დროს სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო გარემო დამყარებულია ნდობასა და კეთილგანწყობაზე. მოსწავლეებს აქვთ არჩევანის საშუალება, რაც გულისხმობს მათი უნარისა და შესაძლებლობების დაფასებას; იციან, რომ მასწავლებლები დადებითად შეხვდებიან მათ შეკითხვებს, განსხვავებულ მოსაზრებებს, წაახალისებენ შემოქმედებითობასა და კრიტიკულობას.
ფოკუს-ჯგუფის ფორმატში და მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით გამოიკვეთა, რომ პოზიტიური სასკოლო კლიმატის გასაუმჯობესებლად გარდა კურიკულუმის დასახვეწი პროცესებისა, სკოლას მრავალი აქტივობის დაგეგმვა და განხორციელება შეუძლია. კერძოდ: მათემტიკური პროექტების წახალისება მოსწავლეებში ძირითადი ფინანსური უნარების განვითარების მიზნით; - ასევე ძალადობისა და კონფლიქტების პრევენციული ღონისძიებები; თანატოლების თანამშრომლობისა და თანასწავლების წახალისება; მოსწავლის პიროვნულ ზრდაზე მიმართული აქტივობები და სხვა.
არაფორმალური აქტივობები, განხორციელებული პროექტები, Facebook გვერდზე წარმოდგენილი სურათები, კომპლექსური დავალებების ნიმუშები -მოწმობს პოზიტიური კლიმატის არსებობას სკოლაში.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია
დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
თვითშეფასების ფორმა გორის N5 საჯარო სკოლა
სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია
სსიპ გორის N5 საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სსიპ გორის N5 საჯარო სკოლის შინაგანაწესი
ხარისხის პოლიტიკა
16 კათედრის სხდომის ოქმის ნიმუში
დანართი-40 კათედრის ოქმი
დანართი 22-სადამრიგებლო პროგრამა
დანართი 47-შემაჯამებელი ფორმა
დიაგნოსტიკური შეფასება
კურიკულუმის ჩარჩოები
მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები
შეფასება:
იგთხოვთ,  ასახოთ შეფასება.
იშესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება
2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სკოლაში შექმნილია ხარისხის მართვის ჯგუფი, რომელიც ორიენტირებულია კურიკულუმის მონიტორინგსა და შეფასებაზე. ქოუჩინგის ოქმში, რეფლექსიებსა და ურთიერთდასწრების რეფლექსიებიდან ჩანს, რომ სკოლა ახორციელებს მონიტორინგს და ითვალისწინებს მიღებულ შედეგებს.მათი მზაობა ასევე გამოჩნდა, როცა წარმოადგინეს დიაგნოსტიკური შეფასების ახალი ინსტრუმენტის ცარიელი ფორმა.

შეფასება და მონიტორინგი გამოყენებულია არა როგორც კონტროლის, არამედ მხარდაჭერის მექანიზმი. მონიტორინგის მეთოდოლოგიის შემუშავების მიზნით სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ხდება მიზნების და ამოცანების განსაზღვრა. მასწავლებლები თანამშრომლობის ფორმატით ესწრებიან გაკვეთილებს, მონიტორინგს უწევენ სასწავლო პროცესს, სკოლის გამგეობასთან ერთად აფასებენ მდგომარეობას და იძლევიან ეფექტურ უკუკავშირს, რათა მოხდეს სასწავლო პროცესის გაუმჯობესება. ,,კრიტიკული მეგობრის“ პოზიციიდან ერთმანეთის დახმარება მათი წარმატებული პრაქტიკაა.

ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ სკოლაში ეტაპობრივად ხორციელდება კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება. შედეგების ანალიზის საფუძველზე იგეგმება სასწავლო პროცესი..

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

2. სკოლას აქვს  კათედრის წევრებს შორის ურთიერთდასწრების და თანამშრომლობის პრაქტიკა. არსებობს „კრიტიკული მეგობრის “ ინსტიტუტი. მასწავლებლისა და დამკვირვებლის ზეპირი სიტყვიერი რეფლექსიის საფუძველზე, აანალიზებენ ძლიერ და სუსტ მხარეებს. პროცესი არის გამჭვირვალე და თანამშრომლობაზე დაფუძნებული.ასევე აქვთ შექმნილი ხარისხის ჯგუფი.

მონიტორინგის მიერ მოპოვებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით მასწავლებლები აფასებენ მოსწავლეების სწავლისა და საკუთარი მუშაობის პროცესს, გამოკვეთენ მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და საჭიროებებს, ერთად გეგმავენ პრობლემების გამოსწორების გზებს. მონიტორინგი ასევე ხელს შეუწყობს სკოლის მომავლის დაგეგმვას, ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებას და ახალი შესაძლებლობების შეფასებას.მონიტორინგი ორიენტირებულია მოსწავლე-მასწავლებლის მხარდაჭერაზე.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნულ გამოცდილებაზე დაყრდნობით მომავალი 2023-2024 სასწ. წლისთვის გაითვალისწინებენ გამოცდილებას, კიდევ უფრო ორგანიზებულად შეიმუშავებენ დასწრების განრიგსა და საჭიროების შემთხვევაში დავხვეწენ ურთიერთშეფასების ფორმას, რომელშიც გაწერენ გაკვეთილის დადებით და უარყოფით მხარეებს და დასახავენ გაუმჯობესების გზებს.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

.................................................................................................................................................................................................................
3.ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან ინტერვიუებისას იკვეთება, რომ სკოლას აქვს მზაობა მომავალ სასწავლო წელს სკოლაში მონიტორინგისა და შეფასების შედეგად მიღებული მასალა გამოიყენოს პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაჭრისთვის. ამ ეტაპზე პედაგოგებს აქვთ ურთიერთდასწრების და განმავითარებელი შეფასების გამოცდილება, დასტურდება თვითშეფასების ანგარიშითაც. სკოლაში წლის ბოლოს ხდება ფორმალური და არაფორმალური განათლების აქტივობების შეფასება, აანალიზებენ რამდენად მოხერხდა დასახული მიზნების მიღწევა. რისი გამოსწორებაა საჭირო და რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას ამისათვის.
მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მონიტორინგისა და შეფასებისას გამოიკვეთა მიღწევები და პრობლემები, გაანალიზდა ისინი და დაიგეგმა არსებული გამოწვევების მოგვარების გზები, ამ მიმართულებით ასევე გეგმავენ სადიაგნოსტიკო წერების ჩატარებას. კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის ანალიზზე დაყრდნობით, სკოლა შეიმუშავებს პრიორიტეტულ და სტრატეგიულ ხედვას, ასახავს სამოქმედო გეგმასა და კურიკულუმებში.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
• თვითშეფასების ფორმა გორის N5 საჯარო სკოლა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

• სსიპ გორის N5 საჯარო სკოლის კურიკულუმები
• სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია
• დიაგნოსტიკური შეფასების ახალი ინსტრუმენტის ცარიელი
• რეფლექსია
• ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმა / რეფლექსია
• შემაჯამებელი ანალიზის ფორმა

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან ინტერვიუებისას აღინიშნა,რომ აქვთ ასეთი პრაქტიკა (მაგ: კათედრის შეხვედრის ოქმი, ურთიერთდასწრების ფორმები) რომელიც წარმოაჩენს წყაროებსა, მასალებს და ამ მასალების საფუძველზე გამოკვეთილ დასკვნებს, რომლების საფუძველზეც სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი მიმდინარეობს. პროცესს გააძლიერებენ მომავალი სასწავლო წლიდან.

ისაუბრეს , რომ სასწავლო პროცესში შეფასებისას ეყრდნობიან არა მარტო მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, არამედ მათ შესახებ მოპოვებულ სხვა ინფორმაციებსაც, მაგალითად, ეს შეიძლება იყოს ოჯახური, მატერიალური თუ სოციალური პირობები, პიროვნული მახასიათებლები, მათი ძლიერი თუ სუსტი მხარეები და ა.შ. ამის შესახებ ცნობებს იღებენ მშობელთა კრებებიდან, ძირითადად, დამრიგებლების საშუალებით. სკოლაში სასწავლო პროცესის შეფასება ეყრდნობა, როგორც სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრს, ასევე სხვადასხვა დოკუმენტურ და სტატისტიკურ რესურსებს. მაგალითად კომპლექსური



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დავალების შესრულებისას მასწავლებელი მოსწავლეთა ცოდნის და უნარ-ჩვევების შესაფასებლად იყენებს სხვადასხვა მეთოდებს: მასწავლებლის დაკვირვება, მოსწავლეთა თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, რუბრიკები და სხვა.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

2. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ პედაგოგები ცდილობენ შეისწავლონ რამდენად ეფექტურია მათ მიერ გადადგმული ნაბიჯები სწავლის შედეგების თვალსაზრისით, ისინი ცდილობენ შეფასებისას გაითვალისწინონ კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწავლეთა ინტერესები და ა.შ.

ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ შეფასება ხორციელდება მრავალმხრივი კონტექსტების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფილია თითოეული მოსწავლის შესახებ მაქსიმალურად სრულყოფილი და ამომწურავი ინფორმაციის მოპოვებით და ამის სასწავლო პროცესში გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფილია სასწავლო თემების, საკითხების, შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბებით. ისაუბრეს, რომ საგაკვეთილო პროცესების დროს ყურადღება მახვილდება მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე და შეფასების სისტემაც, შეფასების რუბრიკების სახით, ამის გათვალისწინებითაა შექმნილი. აღნიშნეს, რომ იგეგმება დიაგნოსტიკური შეფასება, რათა სრულყონ შეფასების საკუთარი სისტემა. კომპლექსური და პროექტული დავალებების შესრულების პროცესში მოსწავლე ფასდება ინფორმაციის მოძიება-ორგანიზებით, პრობლემის გამოკვეთისა და გადაჭრის გზების ძიებით, პრეზენტაციის, ანალიზისა და დასკვნების გაკეთების უნარით, ასევე სოციალური უნარებით.

ისგ, კომპლექსური დავალებები, თვითრეფლექსია, ინტეგრირებული გაკვეთილების რეფლექსია,მასწავლებელთა ურთიერთდასწრების რეფლექსიები მოწმობს იმას, რომ შეფასება ხდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

3.სკოლის წარმომადგენლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ იმისათვის, რომ შეფასება იყოს გამჭვირვალე და ვალიდური, იყენებდნენ და გამოიყენებენ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან ინსტრუმენტებს :მაგალითად, კრიტიკული მეგობრის, მოსწავლის, პედაგოგისა და დამკვირვებლის რეფლექსიებს, ფოკუს-ჯგუფებს,ანკეტირებას, ინტერვიუს და ა.შ.

მასწავლებელები შეფასებისას იყენებენ სხვადასხვა ტიპის რუბრიკებს, ქოუჩინგის პროცესშიც შექმნეს და წარმოადგინეს რუბრიკის ნიმუშები. გეგმავენ შეფასების რუბრიკების განვითარებას ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების გათვალისწინებით მომავალი სასწავლო წლისთვის, ასევე გეგმავენ დიაგნოსტიკური შეფასების წარმოებას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სიტუაციის, მოვლენის, მოსწავლის უნარისა და შესაძლებლობებისა თუ სხვა ასპექტების შესწავლისას გადამწყვეტია მაქსიმალურად ამომწურავი და ვალიდური ინფორმაციის მიღება, რაც შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ საკითხისადმი მრავლმხრივი მიდგომით. ეს კარგად აქვთ გააზრებული მასწავლებლებსაც და ადმინისტრაციის წარმომადგენლებსაც.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია
4.. სკოლა ითვალისწინებს, რომ შეფასებისას მნიშვნელოვანია ხედვის პერსპექტივა, მოვლენის, სიტუაციის, ინდივიდის შესწავლისას მასზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება.ამას აგრეთვე ხელს უწყობს მშობლებთან , დამრიგებლებთან მჭიდრო კომუნიკაცია . სკოლის და კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა ,რომ სკოლას აქვს გამოცდილება და მზაობა ამ მიმართულებით...
მასწავლებლებს აქვთ გააზრებული, რომ მოსწავლეზე, მის სასწავლო სიტუაციაზე, გარემოებაზე გავლენას ახდენს, არა მხოლოდ უშუალო გარემომცველი მიკროსისტემა, არამედ ფაქტორთა მთელი რიგი სხვადასხვა სისტემებიდან: ოჯახი, ჯანდაცვა, ფასეულობები, ტრადიციები და ა. შ. თვითშეფასების ანგარიშშიც და გასაუბრებისასაც აღნიშნავენ, რომ ყველა ზემოთ აღნიშნული გათვალისწინებული იქნება მომდევნო სასწავლო წელს.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
• თვითშეფასების ფორმა გორის N5 საჯარო სკოლა
• სსიპ გორის N5 საჯარო სკოლის კურიკულუმები
• განმავითარებელი შეფასების რუბრიკა
• განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა
• შემაჯამებელი ანალიზის ფორმა

შეფასება:
ივთხოვთ, ასახოთ შეფასება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

იშესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია
2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას შემუშავებული აქვს სწორი ხედვა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით,მასწავლებლებს ესმით რომ არა სპონტანურად, არამედ თანმიმდევრულად უნდა წარიმართოს მიმდინარე წელიწადს კურიკულუმის დანერგვის პროცესი, მონაცემების შეგროვება და დამუშავება. რეფლექსიით და საჭიროებების კვლევით ისინი შეძლებენ წლის ბოლოს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის ჩამოყალიბებას.
ასევე, ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ ყოველი სასწავლო წლის ბოლოს მოახდენენ კურიკულუმების შეფასებასა და რევიზიას, იგივე აქვთ წარმოდგენილი თვითშეფასების ფორმაშიც. წარმოდგენილი შემაჯამებლის ანალიზის ფორმა, ინტეგრირებული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გაკვეთილის რეფლექსია ადასტურებს, რომ სკოლას აქვს მზაობა განახორციელოს კურიკულუმის რევიზია და შექმნას რეკომენდაციები სამომავლოდ კურიკულუმის შემუშავებისთვის. სკოლაში სასწავლო პროცესის შეფასება ეყრდნობა სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის მიერ წარმოდგენილ სხვადასხვა სახის დოკუმენტაციასა და სტატისტიკურ მონაცემებს. თითოეულ საკითხთან მიმართებით მონაცემების შეჯერების საფუძველზე მომზადდება რეკომენდაციები ახალი სასწავლო წლის კურიკულუმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

2. ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების გადამუშავებული ვერსიები დაშენდება წინარე გამოცდილებასა და მონიტორინგის, შეფასების შედეგებზე. მასწავლებლებს აქვთ მზაობა სასკოლო კურიკულუმი მომავალ წელს უფრო გამართულ დოკუმენტად აქციონ, მისი დახვეწა-განვითარება მოხდება წინა წლის გამოცდილების გათვალისწინებით. კათედრებზე მუდმივად ახდენენ შემუშავებული კურიკულუმების გადასინჯვას და გამოცდილების გაზიარებას, რაც ასევე ასახულია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაშიც და ეფუძნება წინარე გამოცდილებას.

მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში, კურიკულუმის გადასინჯვა -რევიზიისათვის გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები: სიტუაციის, მოვლენის, მოსწავლის უნარისა და შესაძლებლობებისა თუ სხვა ასპექტების შესწავლისას გადამწყვეტია მაქსიმალურად ამომწურავი და ვალიდური ინფორმაციის მიღება, რაც შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ საკითხისადმი მრავალმხრივი მიდგომით, მათ აქვთ ამის პრაქტიკა და გამოიყენებენ მუშაობისას.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

• სსიპ გორის N5 საჯარო სკოლის წლიური სამოქმედო გეგმა
• შემაჯამებელი ანალიზის ფორმა
• თვითშეფასების ფორმა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

• კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

შეფასება:
იგთხოვთ,  ასახოთ შეფასება.
იშესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.
☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

....................................................................................................................................................................
....................................................................................................................................................................
....................................................................................................................................................................
....................................................................................................................................................................

.....................
თარიღი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: